

39

# მნათობი



2007

1

# მნათობი

წელიწადი 83-ე  
გამომცემის 1924 წლიდან

№1

2007 წელი

## მწერალთა ასოციაცია „მნათობის“ ლიტერატურული ჟურნალი

ქურნალი გამოცემის საპატრიარქოსთან არსებული  
სულიერების, კულტურისა და მეცნიერების  
აღიარების ფონდის მხარდაჭერით

### შინაარსი

უფინდებისა და უნებარების, სრულიად საპარტოვლოს  
კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის საშობაო ეპისტოლე ----- 3

### კოეზია

არჩილ სულაკაური – 80 – ლექსები ----- 13

### პროზა, დრამატურგია

ქეთევან შენგელია – პანდა. მოთხრობა ----- 20  
 ლია გოლარიშვილი – მოთხრობები ----- 29  
 ზაირა არსენიშვილი – „მოგონება შორისა“. პიესა ----- 38  
 ირაკლი სამსონაძე – აფრინდა ჭილყვაკი, ბაღაიყრანტალა. პიესა ----- 53

### მწერლის არქივიდან

რევაზ ინანიშვილი – სტრიქონები „სამაგიდო რვეულშიდან“. ბოლოსიტყვაობა  
 ლამარა კიკელაშვილისა ----- 72  
 კობე ხიმშიაშვილი – მიკროსკოპი. მოთხრობა. ბოლოსიტყვაობა  
 ლადო ავალიანისა ----- 80

**შინაარსი**  
(გაგრძელება)

ინტოტაქმნი

**ახალი თარგმანი**

ანდრეი პლატონოვი – დამკვეთი მკაპარი. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა  
გივი კიკილაშვილმა ----- 87

**იუზილი**

როინ მებრეველი – გელატი – 900 წელი ----- 99

**ლიტერატურული ნარკვევები**

ირმა რატიანი – უძველესი იაკონური ლექსი და  
„თარგმანის სირთულეები“ ----- 113

შოთა ზოიძე – „ღვთის ნათვრისთვლი“, ანუ  
„თარგმანი“ და მისი ავტორი ----- 121

**თვალსაზრისი**

ლელა იაკობიშვილი – ეთნიკური გოგილიზაცია  
და ქართული უნივერსიტეტის გედი ----- 124

**მეცნიერება**

დავით მუსხელიშვილი – ქართული ეკლესია და სახელმწიფო  
ტერიტორია შუა საუკუნეებში ----- 132

გონდო არველაძე – ქართული ეკლესიები სომხეთში ----- 138

მარია ფაღავა – ხანძრისა და გატყვევების ლოკალიზაციისათვის ----- 143

**ბიბლიოგრაფია**

ლევან ზრუიძე – კოლხეთის აგრარული კულტურა ----- 150

უცხოეთის კულტურული სიხალეები. მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ -159

„შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა  
გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა  
და ყოვლითა გონებითა შენითა; შეიყვარე მოყვასი,  
ვითარცა თავი თვისი“

(მათე 22,37,39)

ქრისტესმიერ საყვარელნო მღვდელმთავარნო, მოძღვარ-  
ნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, პატივცემულნო ხელისუ-  
ფალნო, მართლმორწმუნენო, მკვიდრნო საქართველომსა  
და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამ-  
ულენო, სიყვარული და სიხარული განგმრავლებოდეთ,  
რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

აღსრულდა ყოვლადწმინდა სამების საღვთო განგება,  
ახდა ძველი ალთქმის წინასწარმეტყველება, - „ღმერთი  
გამოჩნდა ხორციით“ (1 ტიმ. 3,16). მაცხოვარი მოვიდა ნუთი-  
სოფელში, რომელიც ძალადობით, დაპირისპირებითა და  
ბოროტებით არის სავსე. მოვიდა, რათა სრულიად გარდაექმ-  
ნა იგი. თვინიერ ცოდვისა მიიღო ჩვენი დაცემული ბუნება,  
რომ საღვთო სიყვარულის ძალით მოეხდინა ჩვენი შინაგანი  
ფერისცვალება, შეიმოსა ადამიანური სხეულით, რომ მარა-  
დიული ტანჯვისაგან ეხსნა კაცთა მოდგმა.

ბეთლემში შობილი ყრმისაკენ მიმავალი გზა ხსნილია ყვე-  
ლასათვის. ერთნი ცოდვისა და ინტელექტის, ანუ მოგვთა  
გზით მიდიან; სხვანი განსაცდელისა და მწუხარების ბილ-  
იკს მიუყვებიან; მესამენი, მწყემსთა მსგავსად, თავმდაბლო-  
ბითა და ლოცვით მიემართებიან. რა თქმა უნდა, არსებობს  
სხვა გზებიც.

საზოგადოების ნაწილი კი საპირისპირო მიმართულებით  
მიდის და ბნელეთისაკენ მიექანება, თუმცა ამას თავიდან  
თითქმის არავინ აცნობიერებს, რადგან ეშმაკი ათასგვარი  
საცდურით აბრუებს ადამიანებს და ცოდვის ქაობში ღრმად  
ითრევს.

ჩვენს დროში მისი ქმედება უფრო დახვეწილი გახდა და  
სიკეთისა და ბოროტების გარჩევა კიდევ უფრო გაჭირდა.  
ამიტომაც აუცილებელია, კარგად გავაცნობიეროთ, რა  
გარემოში ვცხოვრობთ, რომელი ტენდენციებია მნიშვნელო-  
ვანი; რა არის მისაღები და რა უარსაყოფი; ქვეყნისთვისაც

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



და ჩვენთვისაც რა არის პირველი რიგის ამოცანა, რა შედეგად  
დეგ გასაკეთებელი საქმე?

ტელევიზიის, მობილური კავშირგაბმულობის, კომპიუტერისა და ინტერნეტის განვითარებამ მანძილი და დრო მკვეთრად შეამცირა. ეკონომიკა თანდათან კარგავს მხოლოდ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და იქმნება ტრანსნაციონალური კომპანიები, რომელთაც, ძირითადად, საკუთარი მიზნები ამოძრავებთ და არა სახელმწიფო ინტერესები. მიმდინარეობს კულტურათა ასიმილაციის პროცესიც. ეს ყველაფერი მრავალსახოვანი გლობალიზაციის გამწვანებაა.

ასეთ ვითარებაში ჩვენი ხალხი ახალი პრობლემების წინაშე დადგა. ეს არის დროის გამოწვევა. კონკრეტული ძალა არ ჩანს, მაგრამ ცრუთავისუფლებაზე დაყრდნობით, მასშედიის საშუალებებით (სერიალებით, მდარე ტელე-პროდუქციით) ხდება ზემოქმედება ჩვენი საზოგადოების, განსაკუთრებით კი მომავალი თაობის ცნობიერებაზე, რათა მათში დაინერგოს არაეროვნული, არაქრისტიანული მსოფლმხედველობა, რაც შედეგად გამოიწვევს ჩვენი ეთნოფსიქიკის შეცვლას და ერთიანი ქართველი ერის დაშლასა და გადაგვარებას.

უნდა გავაცნობიეროთ, რომ შეტევა ხორციელდება თითოეული ადამიანის აზროვნებაზე, ამიტომაცაა ყოველი ჩვენგანის გული და გონება ამ ბრძოლის ასპარეზი. ესა თუ ის პიროვნება ან რჩება ქართველად, ან, თავისი შინაგანი სისუსტისა და მიმბაძველობის გამო, იცვლის ღირებულებათა სისტემას.

ეს ისეთივე მნიშვნელობის ომია, როგორც ჩვენს მამა-პაპათ გამოუვლიათ.

მოგმართავთ ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, შეინარჩუნეთ ჩვენი თვითმყოფადობა, ჩვენი ტრადიციული ქრისტიანული ცხოვრების წესი. გახსოვდეთ, მთავარი ბრძოლა ბოროტთან მოგებულისაა. უფალი ბრძანებს: „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევინ სოფელსა“ (ინ.16,33). მაშ, იბრძოლეთ, ჩვენი გმირი წინაპრების მსგავსად, რათა საკუთარ თავში და თქვენ გარშემო დაიცვათ თქვენი წილი საქართველო. დღეს ეს ომია - თქვენი დიდგორი, თქვენი ბასიანი.

უნდა იცოდეთ, რომ ქართული იდეა ორ უმთავრეს სვეტს ეყრდნობა. ესაა სულიერი ღირებულებები (რაც გულისხმობს მართლმადიდებლურ სარწმუნოებას და მის წეს-ჩვეულებებს) და ეროვნულ-კულტურული ფასეულობები, რითაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.



ქართულმა იდეამ რომ ხორცი შეისხას და განვითარდეს, საჭიროა, გაერთიანდეს სახელმწიფოს, საზოგადოებისა და ეკლესიის ძალისხმევა.

ახლა კი შევჩერდები იმ მიმართულებებზე, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს:

ტერიტორიული მთლიანობა მუდამ იყო ქვეყნის პრიორიტეტი. იგი დღესაც ჩვენი ხელისუფლებისა და ყოველი ჩვენი განის მთავარი საზრუნავია. თანამედროვე ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თუმცაღა, უპირველეს ამოცანად, მაინც საქართველოს ერთიანობისათვის ზრუნვა რჩება და არ არსებობს მისი სანაცვლო სხვა ღირებულება.

ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობას ეკონომიკური სიძლიერე წარმოადგენს. ეს ის მთავარი საკითხია, რომელიც ჩვენმა სახელმწიფომ დროულად უნდა გადაჭრას. ამასთან, ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საქართველოს გააჩნია მეტად ძვირფასი ბუნებრივი რესურსი მტკნარი წყლის სახით, რომლის მნიშვნელობაც და ღირებულებაც ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. ამიტომ, ვფიქრობთ, საყოველთაო პრივატიზაციის პროცესში, ეს ბუნებრივი რესურსი და მისი ექსპლოატაცია სახელმწიფო სექტორში აუცილებლად უნდა დარჩეს და გამოყენებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ მთელ მსოფლიოში მოთხოვნილება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე მკვეთრად გაიზარდა და დიდი მოგების მიღების მიზნით მოდიფიცირებული და გენური ინჟინერიით მიღებული პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ქვეყნების სოფლის მეურნეობა მაღალ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. ჩვენ საერთაშორისო ბაზარს უნდა შევთავაზოთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. ეს დიდ მოგებას მოუტანს ხალხს და ააღორძინებს სოფელს.

ზოგიერთმა პატარა სახელმწიფომ თავი დაიმკვიდრა მონინავე ტექნოლოგიების ათვისებით. მაგ. სამხრეთ კორეამ, ისრაელმა, ფინეთმა... ეკონომიკის ამ დარგში სერიოზული განაცხადისათვის ჩვენს ქვეყანასაც გააჩნია ინტელექტუალური რესურსი. ქართული ფუნდამენტური მეცნიერული სკოლები აღიარებული იყო როგორც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ასე რომ, ჩვენი მეცნიერუ-



ლი პოტენციალი შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული, თუკი მას სათანადო პირობები შეექმნება.

საერთოდ, მეცნიერებასთან ერთად, განათლებას ქვეყნის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან სწავლის პროცესში ხდება მომავალი თაობის ფორმირება პიროვნებად. ამიტომაც სკოლა და, ზოგადად, სასწავლებელი მართო ცოდნას კი არ უნდა აძლევდეს მოზარდს, არამედ მან უნდა აღზარდოს იგი და ჩამოაყალიბოს თავისი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქედ. ამ საქმეში მეტად დიდია ოჯახისა და ეკლესიის როლი. სასწავლებელი, როგორც ხალხის მიერ დაქარავებული დაწესებულება, ვალდებულია, თავისი საქმიანობა წარმართოს საზოგადოების ინტერესების შესაბამისად და რადგანაც საზოგადოება ფაქტობრივად არის ოჯახთა ერთობლიობა და ეკლესია (რომლის წევრია ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა), განათლების სისტემა უნდა შეესაბამებოდეს ეკლესიისა და ოჯახის ტრადიციულ ღირებულებებს (ვისაც სურვილი აქვს განსხვავებულ გარემოში აღზარდოს შვილები, შეუძლია ეს კერძო სასწავლებელში განახორციელოს). ეს არის სწორედ იმის გარანტი, რომ მომავალი თაობა ავაცილოთ თუნდაც ისეთ საშინელ სენს, როგორც არის ნარკომანია და სხვა მანკიერი გამოვლინებები.

ნარკომანია ჩვენი დიდი ტკივილია, რომელიც ერის სულიერ და დემოგრაფიულ გენოციდს იწვევს. ჩვენ არაერთხელ შევხებივართ ამ თემას და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ამ მიმართულებით პირველი რიგის ამოცანაა პრევენციული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ ყველამ ერთად უნდა შევქმნათ ნარკოტიკის მიმართ უარყოფითი განწყობა. უნდა დავანგრეოთ ცრუ სტერეოტიპი იმის შესახებ, თითქოს ნარკომანობა პრესტიჟულია.

ნარკომანობა სირცხვილია!

ნარკომანი არის ავადმყოფი, საცოდავი, ლაჩარი, სუსტი ადამიანი, რომელიც ეშმაკის ბადეშია მოხვედრილი და, წამალზე მიჯაჭვულობის გამო, ხშირად ბოროტმოქმედებასაც ჩადის; შემდეგ კი ციხეში ხვდება და კიდევ უფრო იმძიმებს თავის მდგომარეობას.

მინდა, ციხეში არსებულ მდგომარეობასაც ნაწილობრივ შევცხო.

დღეს იქ მძიმე პირობებია. ცივილიზებულ ქვეყნებში ციხე გამოსწორების ადგილს წარმოადგენს. იმედია, ჩვენი პენიტენციალური სისტემაც მალე ამ სტანდარტებს დაუახლოვდება. ამისთვის კი, პირველ რიგში, უნდა გაიმიჯნოს საშინი ბოროტმოქმედი ეკონომიკური და სხვა შედარებით მსუბუქი სახის დანაშაულის ჩამდენისაგან. კარგი იქნება, თუ



ასეთი პატიმრებისათვის აღდგება სასჯელის მოხდა მიმაგრების ადგილებში და ამისთვის საქართველოს მაღალმთიანი დაუსახლებელი რეგიონები გამოიყენება. ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პატიმართა გამოსწორებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას და, მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ათვისებასა და განვითარებას.

რაც შეეხება მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლევთ, ციხეში მათთვისაც უნდა არსებობდეს ისეთი გარემო, რომ გაუჩნდეთ განწყობა ცხოვრების წესის შეცვლისა.

ვფიქრობთ, პენიტენციურ სისტემაში შრომის დანერგვა და სასულიერო პირის უფრო აქტიურად ჩართვა დიდ შედეგს მოიტანს, რისი გამოცდილებაც უცხოეთის ქვეყნებში კარგა ხანია აქვთ.

ცნობილია, რომ ციხის გავლენა მის გარეთაც ვრცელდება. ზოგიერთისთვის კრიმინალური მსოფლმხედველობა ერთგვარ დადებით მოვლენასაც კი წარმოადგენს, რაც შეცდომაა. ეს არის ღვთის მცნების უარმყოფელი დიდი ცოდვა. ეს არის დანაშაული მოყვასის წინაშე. წმიდა პავლე მოციქული გვასწავლის: „ნუთუ არ იცით, რომ უსამართლონი ვერ დაიმკვიდრებენ ღვთის სასუფეველს... ვერც მპარავნი, ვერც მტაცებელნი...“ (1 კორ.6,9,10).

სამწუხაროდ, ქუჩა, უბანი, გარემო, ზოგჯერ მავნე ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს, რაც მათში ცრუ ღირებულებების დამკვიდრებით არის გამოწვეული. ახალგაზრდების ნაწილი მიმბაძველობით ან თავისი წრის ზემოქმედებით, საკუთარი ნების სანინაალმდეგოდ იქცევა. თუმცა ბევრი მათგანი ეკლესიაში დადის (ხოლო ვინც არ დადის, რწმენის მიმართ პატივისცემა მაინც აქვს), მაგრამ ეს სათანადოდ ვერ აისახება მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე. სამეგობროებში არსებულ ასეთ მდგომარეობაზე, მისი თითოეული წევრი არის პასუხისმგებელი, განსაკუთრებით კი ისინი, რომელნიც ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ. ისინი კარგად უნდა დაუფიქრდნენ თავის ცხოვრებას, რომ, ნებისით თუ უნებლიედ, ეშმაკის მსახურნი არ გახდნენ.

საზოგადოება ისეთია, როგორი ავტორიტეტებიც ჰყავს მას.

ფაქტია, რომ ღირსეული პიროვნებები ჩვენთან სათანადოდ არ არიან დაფასებულნი. მათ ნაცვლად წინ წამოწეულნი არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც მნიშვნელოვანი არაფერი აქვთ გაკეთებული (ყოველ შემთხვევაში დღევანდელი), ან ისინი, რომელნიც უგულვებელყოფენ სულიერ



ლირებულებებს. ახალგაზრდები უფრო იცნობენ ტელე-  
 შოუების გმირებს, ვიდრე თავისივე თაობის ნიჭიერ პოეტ-  
 ებს, მხატვრებს, კულტურის მოღვაწეთ, მეცნიერებს და,  
 ზოგადად, ღირსეულ ადამიანებს. ეს ძირითადად მასმედი-  
 ისგან მომდინარე ნაკლია და იგი უნდა გამოსწორდეს.

მიუხედავად ასეთი პრობლემებისა, პროვინებასა და სა-  
 ზოგადოებას მაინც ბევრი რამის შეცვლა შეუძლიათ.

XX საუკუნის დასაწყისში, გასაბჭოების პერიოდში, როცა  
 აქტიურად შეუტყის ტრადიციულ ღირებულებებს, ახალ-  
 გაზრდა მამულიშვილებმა, რომლებიც შემდეგ ცნობილი სა-  
 ზოგადო მოღვაწენი გახდნენ (პავლე ინგოროყვა, კონსტან-  
 ტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე  
 აბაშელი), ჩამოაყალიბეს „ჩოხოსანთა“ საზოგადოება.  
 ეროვნული სამოსის ტარება იყო ერთგვარი პროტესტის  
 ფორმაც და მათი მსოფლმხედველობის დემონსტრირების  
 საშუალებაც. შემდგომ პერიოდში ამ მაგალითს, მართალია  
 ერთეულებმა, მაგრამ მაინც სხვებმაც მიბაძეს. დღეს ეს  
 მოძრაობა ახალ ეტაპზე გადავიდა და საზოგადოების ფარ-  
 თო ფენა მოიცვა. მისასაღმებელია, როდესაც ცნობილი ად-  
 ამიანები ქაერო და საეკლესიო დღესასწაულებზე, ეროვნულ  
 ტანსაცმელს იცვამენ (ეს კარგი ტრადიცია ევროპის ბევრ  
 ქვეყანაში დიდი ხანია არსებობს), სულ უფრო იზრდება ახ-  
 ალგაზრდების რიცხვი, რომელნიც ჩოხით იმოსებიან და  
 ჯვრისწერისასაც ამ სამოსს იცვამენ. დღეს ჩოხოსანთა სა-  
 ზოგადოებას გაცილებით მეტის გაკეთება ძალუძს, ვიდრე  
 მათ წინამორბედთ.

რა თქმა უნდა, ჩვენ მარტო ეროვნული სამოსის ტარებით  
 არ უნდა შემოვიფარგლოთ. როგორც აღვნიშნეთ, აუცილე-  
 ბელია, ავალორძინოთ ქართველი კაცის ჩვეული ცხოვრებ-  
 ის წესი. საჭიროა, თუნდაც ჩვენი ყოფისათვის ისეთი მნიშ-  
 ვნელოვანი ინსტიტუტის პირვანდელი სახით აღდგენა,  
 როგორიცაა ქართული სუფრა. დამოუკიდებლობის  
 დაკარგვის შემდეგ იგი ისევე, როგორც სხვა ტრადიციები,  
 გარკვეულწილად, შეილახა; სინამდვილეში კი მისი არსი  
 მთლიანად ქრისტიანულია და გამორიცხავს როგორც  
 თრობას, ისე დღეს არსებულ სხვა მანკიერ გამოვლინებებს.  
 კარგად აღზრდილი ადამიანი არ დათვრება და ამით თავს  
 არ დაიმცირებს.

ეკლესიური ცნობიერებიდან გამომდინარე, კარგია, რომ  
 ჩვენს სუფრაზე თანდათან მკვიდრდება სადღეგრძელოთა  
 შინაარსი და ტრადიციული თანამიმდევრობა, რაც იწყება  
 უფლის სადიდებლით და მთავრდება ყოვლადწმიდა  
 ღვთისმშობლის ხსენებით. ამასთან, ყოველი სადღეგრძელო

დალოცვაა, ლოცვის ერთგვარი სახეა. ქართული სულიერ ღრმა სულიერ ხასიათზე მიუთითებს ისიც, რომ ყოველთვის ხდება გარდაცვლილთა მოხსენიება.

ქრისტიანული სუფრა არის ადამიანთა ერთობისა და თანადგომის, ჭირისა და ლხინის გაზიარების ადგილი, სადაც უფალი მყოფობს. ამიტომაც პურობა იწყება და მთავრდება ლოცვით.

ქართული სუფრა არის ქრისტიანული სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამოხატვის უნიკალური ინსტიტუტი.

ყოველ ერს, ისევე როგორც ცალკეულ პიროვნებას, ღვთისაგან სხვადასხვა მადლი და ნიჭი აქვს ბოძებული და მასზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოიყენებს მათ.

ქართველმა კაცმა სიყვარულის ნიჭი განავითარა.

ახალ აღთქმაში ღმერთის ყველაზე მთავარ თვისებად სწორედ სიყვარულია დასახელებული — „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოანე-4,8).

აქვე ვკითხულობთ: სიყვარული ყოველს მომცველია, არ ამპარტავნობს, არ ზვაობს, სულგრძელია და ტკბილი, არ მრისხანებს, ყოველივეს ითმენს, არავისი შურს, ჭეშმარიტებით ხარობს, იგი ადამიანის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელიც უკვდავებასთან არის წილნაყარი. იმედი და რწმენა სიკვდილის შემდეგ განქარდება, ხოლო სიყვარული მარადიულად ჰგიებს.

პავლე მოციქული იმასაც ბრძანებს, რომ თუ სიყვარული არა გვაქვს, ფუჭია ქველმოქმედებაც, სასწაულთმოქმედების უნარიც, მოსაგრეობაც, თვით მონამეობრივი აღსასრულიც კი, რადგან უსიყვარულოდ ყველა სიკეთე უქმ-იქმნების.

გავიხსენოთ სახარება: იუდამ გასცა მაცხოვარი, პეტრემაც სამჯერ უარყო იგი. შემდეგ ერთმაც შეინანა და მეორემაც, მაგრამ იუდა წარწყმდა იმიტომ, რომ უსიყვარულო იყო ქრისტესთან გატარებული მისი ცხოვრება და აქედან გამომდინარე, უიმედო იყო მისი სინანული; პეტრეს სინანული კი სწორედ მისი მხურვალე სიყვარულის გამო იქნა შეწყნარებული.

მიუხედავად სხვადასხვა სირთულისა და განსაცდელისა, სიყვარული ნეტარებასთან და სიხარულთან არის დაკავშირებული; და რაც უფრო დიდია სიყვარული, მით მეტია ნეტარებაც და სიხარულიც.

ყველაზე აღმატებულია ღმერთის სიყვარული.

ამ სიყვარულის დამტყვენელი არიან დიდი სულიერი მოღვაწენი, რომელნიც მძიმე მოსაგრეობის პარალელურად, ღვ-

თაებრივ ნათელთან ლოცვითი თანაზიარებით ამქვეყნადვე აღწევნენ უსაზღვრო ნეტარებას.

სამშობლოსა და ერის ჭეშმარიტად მოყვარული ადამიანებიც დიდ სიხარულს გრძნობენ, როდესაც თავის მიზანს, თუნდაც სიცოცხლის ფასად, ერთგულად ემსახურებიან.

შეიძლება ითქვას, რომ მოყვასის სიყვარული ერთგვარი პირველი საფეხურია. წმინდა იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი ძმა, რომელსაც ხედავს, როგორღა შეიყვარებს ღმერთს, რომელსაც ვერ ხედავს?“ (I იოანე 4,20).

ღმერთი, სამშობლო, მოყვასი, — ეს არის ერთმანეთისაგან გამომდინარე იერარქია და უწყვეტი ჯაჭვი; თუ ღმერთის ადგილი სხვა რამემ, თუნდაც სამშობლომ, დაიკავა, ზემოთ აღნიშნული თანამიმდევრობა ირღვევა და პატრიოტიზმი უკვე ხელოვნურად გამოგონილ ღირებულებებს ეფუძნება, რომელთაც შეიძლება კარგი სახელიც ერქვას, მაგრამ შედეგად ვიღებთ ისეთ მანკიერ გამოვლინებებს, როგორიცაა ფაშიზმი, რასიზმი და შოვინიზმი, ანდა ტრადიციული ფასეულობების სრულ უარყოფას, - კოსმოპოლიტიზმს. ამ ორ უკიდურესობას გამოირიცხავს ღვთის რწმენა, რომელიც ჭეშმარიტ პატრიოტიზმს განაპირობებს.

მოციქული გვასწავლის: „ვინც ამბობს, რომ უყვარს ღმერთი, მაგრამ სძულს თავისი ძმა, ცრუობს“ (I იოანე 4,20). ამდენად, მხოლოდ ღმერთის სიყვარული ხიბლია და თავს იტყუებს, ვისაც ეს ასე ჰგონია. ოდენ მოყვასის სიყვარული კერძთაყვანისმცემლობაში გადადის; საკუთარ თავისადმი გადამეტებული სიყვარული კი - ეგოიზმსა და ნარცისიზმს შობს.

ადამიანი სიყვარულის ღვთაებრივ ნიჭს მაშინ ეზიარება, როცა ამ გრძნობას თავისი „მე“-დან მოყვასისაკენ მიმართავს. გაცილებით დიდ სიმაღლეზე კი მაშინ ადის, როდესაც მოყვასს შეიყვარებს, როგორც საკუთარ თავს; „არავის აქვს იმაზე მეტი სიყვარული, ვინც სულს დასდებს თავისი მეგობრებისთვის“ (იოანე 15,13), - ბრძანებს უფალი.

მოყვასისათვის სიყვარული და თავდადება ქართველი კაცის ცხოვრების წესად იქცა და ბუნებრივია, მისი საახლობლო წრე მეტად ფართოა. იგი მოიცავს სისხლისმიერ და ნათელმრონობით ნათესაობას, მეჯვარეობას, მოყვრობას, მოგვარეობას, მეზობლობას, მეგობრობას და სხვა. ასეთი ურთიერთობა უნიკალურია როგორც ქრისტიანულ სამყაროში, ისე მთელ მსოფლიოში. ფაქტია, რომ ქართველ კაცს არ აქვს მონიანალმდეგის სიძულვილი, რაც ბოლო პერიოდის მოვლენებამაც დაადასტურა. მაგალითად, ძმათამკვლელი ომი აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ჩვენს ხალხში დაპირო-

სპირებულის მხარის მიმართ გაბოროტებად არ გადაზრდო-  
ლა და იგი დღესაც მზად არის კეთილმეზობლური ურთიერ-  
ობისათვის. ეს იმიტომ, რომ შენდობისა და პატიების, საკ-  
უთარი შეცდომის აღიარებისა და სხვისი მწუხარების თანა-  
ზიარების დიდი უნარი გვაქვს. ეს კარგად სჩანს „ვეფხისა და  
მოყმის“ ბალადაშიც.

ტოლერანტობა ჩვენი ბუნებიდან მომდინარეობს და მისი  
სწავლა არასოდეს დაგვჭირდება.

დაიწყო ახალი 2007 წელი, რასაც ოფიციალური სახელმ-  
წიფო კალენდრით თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს.  
თუმცა, შეიძლება ბევრი ვერც აცნობიერებს, რომ ეს წელ-  
თაღრიცხვა მაცხოვრის დაბადებას უკავშირდება.

დიახ, 2007 წლის წინ აღსრულდა ქრისტეშობის საიდუმ-  
ლო, - „ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყანა, რომ მისცა ძე თვისი  
მხოლოდშობილი“ (ინ. 3,16). დაუსაბამო იგი, დროში იშვა,  
ყოვლისმწყობრება და ყოვლისშემოქმედმა მონის სახე მი-  
იღო, რათა მისი სიყვარულით აღესილნი და ამალეებულნი  
საღვთო წიაღს კვლავ ვზიარებოდით.

საერთოდ, ღვთის ყველა ქმედებას მხოლოდ სიყვარული  
განაპირობებს.

ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების მიზეზიც სიყ-  
ვარულიდან მომდინარეობს. მათ ღმერთის ყოვლისმომცე-  
ელ სიყვარულში შეეპარათ ეჭვი და რადგან შემოქმედის მც-  
ნება დაივიწყეს და ეშმაკს დაუჯერეს, ისინი თვითონვე მოაკ-  
ლდნენ საღვთო სიყვარულს, რაც უფალთან მათ ერთობას  
განაპირობებდა. დაცემულ მდგომარეობაში მყოფნი კი უკვ-  
დავების ხის ნაყოფის შეჭმით მარადიულად რომ არ წარწყ-  
მედილიყვნენ, უფალმა განარიდა თავის სამყოფელს.

მაცხოვარმა განკაცებით დედამინაზე ის სიყვარული  
მოიტანა, რომლის მსგავსიც მანამდე არ იცოდა კაცობრი-  
ობამ და რომელთანაც თანაზიარებით მოგვეცა სამოთხეში  
დაბრუნების შესაძლებლობა. „ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ,  
რათა გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ  
თქვენ“ (ინ. 13,34), — ოღონდ აუცილებელია, რომ მოვიპოვ-  
ოთ სინამდვილე და შევიმოსოთ ჭეშმარიტი სიყვარული, რად-  
გან ამ თვისებების გარეშე ღმერთს ვერ მივემსგავსებით და  
ჩვენივე ნებით საკუთარ თავს განვაშორებთ მის მაცხ-  
ოვებელ მადლს.

საუკუნეთა მანძილზე საქართველო გადაარჩინა მოყვასის,  
ღვთის და მამულისადმი თავდადებულმა ქრისტიანულმა სიყ-  
ვარულმა. რისი მაგალითიც აურაცხელია ჩვენს ისტორიაში,  
როგორი იქნება ჩვენი ხვალისდელი დღე, დამოკიდებულია  
იმაზე, თუ ჩვენ როგორ არჩევანს გავაკეთებთ დღეს,

მივიღებთ ბოროტის მიერ შემოთავაზებულ მოჩვენებით სიყვარულსა და ცრუ ღირებულებებს, თუ ცოდვასა და სიკვდილზე გამარჯვებული ღმერთის მხარეზე დავდგებით. ჩვენი ადგილი რომ კარგად გავაცნობიეროთ, უნდა გავარჩიოთ, ჩვენი მისწრაფებანი და ქმედებანი შესაბამისობაშია თუ არა უფლის სწავლებასთან.

ღმერთო ძლიერო, სიტყვაო, უნინარეს ყოველთა საუკუნეთა მამისაგან შობილო და ქალწულისაგან მარიამისა ხორც-შესხმულო, მოიხილე მალლით ერსა ზედა წილხვედრსა დედისა შენისასა და ისმინე მუხლმოდრეკითი თხოვნა ესე: გვედრებით, გვიხსენ ცოდვათაგან და ბოროტთა განზრახვათა ჩვენთაგან, გული განგვისპეტაკე, გონება განგვინათლე, სული განგვინმიდე, შეცდომილნი მოგვაქციენ, სულიერნი და ხორციელნი სნეულებანი ჩუენნი განკურნენ და შეგვზლუდენ საღმრთოითა შვეულითა შენითა; მოიხილე ჩვენზედა, სახიერო, და სიყვარულითა შენითა უოხჭნოითა დაცემულნი კვალად აღგვადგინენ და ტაძრად სულისა წმიდისა გამოგუაჩინე, რათა ვიყოთ ქეშმარიტი მსახურნი მოყვასისა, მამულისა და ღვთისა.

სახელისა შენისათვის, აღდეგ, უფალო, შეწვენად ჩუენდა და დააყენე კუერთხი უშვეულოთა; გარეწარაქციე ყოველნი მტერნი და მატირვებელნი ჩუენნი, რომელთა განიგდეს წილი სამკვიდრებელსა შენსა ზედა. მოიხსენე ვედრება დედისა შენისა და ყოველთა წინაპართა ჩუენტა, რომელთა ილუანეს სახელისა შენისათვის და დასთხიეს სისხლი თვისი; მათი ლოცვით აღადგინე მამული ჩუენი - საქართველო - პირველსავე დიდებასა და დაიცევ საზღუარნი მისნი უცხოთესლთა ზედა მოსვლისაგან.

ჰე, უფალო, იხილე და მოხედე ვენახსა ამას და განამტკიცე ესე, რომელი დაასხა მარჯუენემან შენმან, რათა ჩუენცა ყოველნი, მკვიდრნი ღვთიეკურთხეული ივერიისა და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებნი ქართველნი, შენს ზეციურ ნათელს და საღვთო სიყვარულს ზიარებულნი, ვგალობდეთ:

„დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

თქვენთვის მლოცველი  
ილია II

სრულიად საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქი

ქრისტეს შობა  
2007 წელი  
თბილისი

არჩილ სულაკაური - 80

დავიწყებული სიზმრები

მე დავიძინებ ახლა ღრმა ძილით  
და გვეუძრები, ნუ გამაღვიძებ...

არა იმიტომ, რომ დავიღალე  
და მინდა ძილში მოვითქვა სული.

მე ისევ მჯერა,  
მომეახლება ძველი სიზმარი,  
ძველი სიზმარი, რომელიც მზრდიდა,  
მანვეუდა სიურცვს,  
ფრენას და ფურებს...

მაინც რამდენი?  
მაინც რამდენი?  
ათი,  
თუ ოცი,  
თუ ოცდაათი,  
იქნებ ორმოცი წელი გავიდა,  
რაც ვეღარ ვსედავ იმ ჰირველ სიზმრებს?!

მეც ისე,  
როგორც ვეველა მოკვდავი,  
ყოველ საღამოს ვწვები,  
ვიძინებ,  
ოღონდ ეს ძილი ძლიერ ჰგავს სიკვდილს,  
წუვდიადით მოცულ შატარა სიკვდილს,  
სიკვდილს დილაძე.

დაღამებიდან გათენებამდე  
მე ისევ მძინავს, როგორც შავუთში.

მომნატრებია ძველი სიზმრები,  
დავიწუბებული,  
ძველი სიზმრები.



მეველი სიზმრები, რომლებიც მზრდიდნენ,  
 მანვევდნენ სივრცეს,  
 ფრენას თუ ფერებს,  
 აღმოძინდნენ უცხო ნაპირებს,  
 უცხო ვარსკვლავებს და ცისარტყელებს...

მე დავიძინებ ახლა ღრმა ძილით  
 და გვედრები, ნუ გაძაღვიძებ...

არა იმიტომ, რომ დავიღალე  
 და მინდა, ძილში მოვიტყუა სული.  
 ო, ღმერთო, ერთხელ მანვენე კიდევ  
 მეველი სიზმარი,  
 ო, ერთხელ,  
 ვიდრე  
 მარადიული ძილი მეწვევა,  
 ვიდრე ჯერ კიდევ  
 შემიძლია გამოღვიძება!

1971

### ძუთაისი, შვედგომა

ზირველაქმნილი,  
 ცისფერი დღეა...

უხედავ ბაგრატიან ნანგრევებიდან:  
 ვითა ეთერი მზეთუნახავი  
 შემოდგომის დღე თრთის და ცახცახებს.

და, როგორც ეტლით გვეუთის გზას  
 გასვირნება,  
 მომენატრება აკაკის ლექსი.

1972

### ელენე ახვლედიანს

ო, როგორ უნდა, თქვენს ნახატს ჰგავდეს  
 ამ სახლს,  
 აივანს,  
 დათოვლილ კრამიტს,  
 ხოლო მე — ცისფერ ნამქერში ვიანდე  
 სულ ერთი წუთით ან ერთი წამით.

მეველ სახლებს შერჩათ თავისი ხედა,  
 მეველ ქუჩებს მიაქვთ დარდი თავისთვის,



რომელსაც ვხედავთ, ანდა ვერ ვხედავთ,  
რასაც განვიცდით, ან ვერ განვიცდით.  
თოვს, ქალბატონო!

და ჩემი თოვლი —  
ვს დაწვეილი ჩემი ფიქრია,  
წარმავლობა ამ წუთისოფლის  
უკვდავ ფერებად რომ დაგიღვრიათ.

იასამნების,  
იის,  
იელის  
თოვლი ჩემს სულშიც შინდა ჩავტოვო...  
თოვს, ქალბატონო!  
რა შშვენური  
თოვლი მოხსულა, ო, ქალბატონო!

ამ ქუჩას უნდა, თქვენს ნასატს ჰკავდეს,  
ამ ხაზს,  
აივანს,  
დათოვლილ კრამიტს,  
ხოლო მე — ცისფერ ნამქერში ვიხანდე  
სულ ერთი წუთით ან ერთი წამით.

1972

\*\*\*

არა იმიტომ, რომ მომენატრე,  
რომ შენ ხარ ჩემი მუდრო სადგური,  
მე დაეხვეწებ შენს დიდ ნაპირზე,  
როგორც ფრინველი, ფრენით დაღლილი,  
კემის ანძაზე ისვენებს ზოლმე.

მე დაუფრინდები შენს დიდ ნაპირზე,  
რომ დაეხვეწო დაღლილი ფრთები,  
მოვითქვა სული და მერმე ისევ  
ატორტმანებულ სივრცეებს იქით  
გამოიხანდე უფრო დიდი ნაპირი,  
სადაც მზე არის და ბურუსები  
ვარდისფერია და გამჭვირვალე.

მე დაუფრინდები შენს დიდ ნაპირზე...

გვენება ჩემთვის წვალი და ხეშნი  
და მუდრო ჩრდილი?..

1975



ზაფხულის დღის სიზმარი

მთელი ცხოვრება

განვლიე ისე,  
თითქოს უძილო  
ღამე ვათიე.  
ვინ მამატიებს,  
იმ პირველ სიზმრებს,  
იმ პირველ ვნებებს  
ვინ მამატიებს?!  
ახლა მზე არის  
და დასიცხული  
ქალაქი უსმოდ  
მზის გულზე იწვიის,

აღმური წითლად,

როგორც სირცხვილი,  
მოკვიდებია  
ახალგაზრდობა და მიწას.  
და გაურკვეველ  
უნებათა ნაპირს  
აბრუებს ბანგით  
ქალაქის სიცხე...  
როდესაც ბაეში  
დგამს პირველ ნაბიჯს,  
განა იცის, რომ  
სიარულს იწუებს?!

მშვიდი ცხოვრება,

ცხოვრება ფრთხილი  
მშფოთვარე გულში  
ვერ ჩაჯატიე.  
ვინ მამატიებს  
იმ პირველ სიღვეებს,  
იმ პირველ ბოდვებს  
ვინ მამატიებს?!

არავინ მითხრა,

რას ვუბედავდი,  
რას მიპირებდა  
ან თავად ღმერთი,  
როდესაც ფურად  
სიზმრებს ვხედავდი



და გაურანდავ  
 სტრიქონებს ვწერდი.  
 მივეყვები ბედის  
 უხილავ ნაპირს,  
 მამბრუებს მზე და  
 ქალაქის სიღვ...  
 როდესაც ბაჟი  
 დგამს პირველ ნაბიჯს,  
 განა იცის, რომ  
 სიარულს იწყებს?!

\*\*\*

გადაიკარა,  
 გადაიკარა,  
 წემმა ცამ ღურჯად  
 გადაიკარა...  
 ისე წავედი,  
 ისე მივედი,  
 თითქოს იყო და  
 არა იყო რა.

მე მოვალ ისევ,  
 მე წავალ ისევ,  
 მშობლიურ ღრუბელს  
 დაფიგვამ კარვად,  
 მაგრამ ნურასდროს  
 იკითხავ მიზეზს,  
 დღეს აქ რატომ ვარ,  
 ან რატომ არ ვარ.  
 წავალ თუ მოვალ,  
 ისე, თუ ესე,  
 მე სიკვდილამდე  
 აქ ვარ დაბმული.  
 რადგან მოკვდავთა  
 ღონიერ მხრებზე  
 დგას უკვდავება  
 ჩემი მამულის!

\*\*\*

ქვეყნად რაიმე მაქვს, თუ არა მაქვს,  
მე მდიდარი ვარ,

მაპულო  
შენით!

ჩემი სიძვირის დასაფარავად  
უკვდავო სულით ბოლომდე მშველი.

ბოლომდე მშველი, ანდა მიშველი,  
ოღეს შენს მონას

მიმიღებ  
მსხვერპლად,

ოღეს კივილი სულის მიშველის  
მოყვინება შენს მიწას ჟურჯულად.

\*\*\*

ო, რა უდროოდ  
ვიციხე მამალი,  
დალექა სიზმრის  
ფერადი მინა.  
ელვლავ და მთვარე  
ოთანში დაშაქვს,  
მთვარეს ბავშვივით  
შკლავებსეშინავს.

ო, რა უაზროდ  
ვეფენ ძაღლები,  
ფლეფენ ღამეულ  
მეუდრო სარეცელს  
და ჯერ არ ვიცი,  
შირქემ,  
დაღვრემილ  
ჩემს თავს მე თვითონ  
როგორ გავექცე.

არ ვიცი,  
საით უნდა წავიდე,  
ვის შევანჯრო  
სულში ეს მთვარე...  
მაგრამ უანჯარა  
გაიღო წამით



და წვილი მთვარე  
 გაფრინდა გარეთ.  
 უცნებ მოპკვარა  
 ღამეს ღიმილი  
 და ახლა უკვე  
 მუც გული მწუდვება,  
 რომ აღარ იხმის  
 მამლის ვივილი  
 და მაწანწალა  
 ძაღვების ვეფა...



არჩილ სულაკაურის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა, მაგრამ დღემდე არ ჩამცხრალა მწუხარება თუ სინანული, მისი დაკარგვის გამო.

არჩილ სულაკაური თავისი ქვეყნის ღირსეული მოქალაქე იყო, ცხოვრებისეული კატასტროფების ეპიცენტრში შემთხვევით კი არა, თავისი ნებით, თავისი შრწამსით, თავისი მოწოდებით მღვარი პიროვნება.

თუ მისი ბოლო წლების შემოქმედებას გავიხსენებთ, შეიძლება ვთქვათ, ენერჯითა და შთაგონებით იყო სავესე, თითქოს მეორე სიკვამლით აღგზნებული, ანთებული, ატაცილი, ბრწყინვალე ლექსებს აქვეყნებდა და ვისაც მისი ბოლო, დაუმთავრებელი მოთხრობა წაუციტხავს, დამეთანხმება, ქართულ პროზას ემატებოდა კიდევ ერთი შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც ნებისმიერ ანთოლოგიას დაამშვენებდა. ამით იმის თქმა მინდა, რომ არაფერი ეტყობოდა სასიკვდილო, ისიც ჩვენმა ბედურულმა ყოფამ იმსხვერაპლა. რა დამავიწყებს ძმათა მკვლელი ომის იმ დღეს, როცა რუსთაველის პროსპექტზე „მნათობის“ ცეცხლ-წყვილებული შენობის წინ ვიდექით უმწუხონი და სასოწარკვეთილნი, რადგან ვერაფრით ვშველოდით. იწვოდა ძვირფასი წიგნები, ხელნაწერები, დიდებული ლიტერატურული ძეგლების დედნები. „მნათობი“ მისი მეორე სახლი იყო, ანდა საყდარი, სადაც, მნათესავით, სანთლებს უნთებდა სათაყვანებელი წინაპრების ხსოვნას. იცოდა, რას ნიშნავდა ეს ეურნალი ქართველი ხალხისთვის. რა დამავიწყებს ცრემლს მის თვალზე...

წავიდა ჩვენგან ასე ძვირფასი და ასე აუცილებელი შემოქმედი და ჩვენს სულში კიდევ ერთი ახალი, მარადცოცხალი ანუ მოგონებებითა და ოცნებებით სავესე სივრცე გააჩინა. მარადისობის მოზაიკა-ძვირფასი ადამიანების მიერ დატოვებული-ასეთი სივრცეებითაა შევსებული.

მწამს, ბევრი ახალი, უნიკიერესი შემოქმედი შეემატება ქართულ მწერლობას, ღმერთმა ნუ ჭნას სხვანაირად, ოღონდ, იმ სივრცეს, როგორც გარდაცვლილი მამის ოთახის სიცარიელეს, ვერავინ შეავსებს...

თამაზ ჯილაძე

29.01.07.





პანდა

მოთხრობა

იმ დღეს დედას დეიდაშვილთან - ლალისთან მივედი; გადასარევი ქალია. საკუთარი დედისგან არ ვინსხვავებ. საღამოს სუფრა უნდა გაეშალათ და თითქმის მთელი ნათესაობა მასთან ვიკრიბებოდით. ბინა თავისებურად არის დაპროექტებული: ერთი ოთახი ძალიან მოწყვეტილია სხვა დანარჩენებისაგან; სწორედ ამ ოთახის კარია მუდამ მიხურული და ლალის მუღლევა, საკუთარი ნებით, შიგ გამოკეტილი. ასე იყო მაშინაც... ლალი მაღალი, შავგვრემანი ქალია. ასაკი ძალიან დაეტყო, მაგრამ თავისი ხიბლი არ დაუკარგავს; მას მაღალქუსლიანი ქოშები და ტანზე მომდგარი, გრძელი, ნაქსოვი კაბა ეცვა. მისი ორივე ვაჟი საქმიანად დარბოდა და ნაწილ-ნაწილ ამოქონდათ მალაზიიდან ბორჯომი და ლიმონათები.

სამზარეულოში ლალის და - ეკა ტრიალებდა. გამოიხედა და ლიბილით წამოვიდა ჩემსკენ. ყურადღებას იქცევდა მისი გრძელი, საგანგებოდ მოვლილი, წითლად შეღებილი ფრჩხილები. ეკას აქვს ხშირი, ხვეული, მოწითალო-მოყავისფრო თმა, ძალიან სიმპათიური სახე, კარგი თანამდებობა და ცუდი ფეხები.

მოვეიანებით დედა და დეიდაც მოვიდნენ. „დამხმარე რაზმი სამზარეულოსთვის“ - გავიფიქრე მე. დედაჩემი, როგორც ყოველთვის, საგანგებოდ იყო გამოწყობილი. დიდი, მწვანე თვალები სიხარულისგან უბრწყინავდა. მის ლამაზ, თეთრ სახეს, რომელსაც, როგორც ამბობენ, ასაკი არაფრით არ დაეტყო, შევნიღოდა ზურმუხტისთვლიანი საყურეები. დედას ძალიან კარგი გემოვნება აქვს. უყვარს წვეულებები. მისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ისე იყო მოვლილი, მალაზიის დახლიდან ორი წუთის წინ გადმოღებული გვერთბოდათ; თმაზე ეტყობოდა, რომ დღევანდელი დღისთვის საგანგებოდ წასულიყო სალონში, თუმცა დედაჩემის

ქერა თმას ყოველთვის ეტყობა ეგ. დეიდა მელიკოს უფრო სადად აცვია ხოლმე, ოღონდ, დიდი და ძვირფასი სამკაულები მოსწონს. ასაკით დედაზე უფროსია და ცოტა მსუქანიც. უზარმაზარი ბეჭდების და საყურეების გარეშე არასოდეს მინახავს; ასე მგონია, ამ სამკაულებით დაიბადა. ამით რომ ვაკვირდებოდი, ჩემი თავის შემრცხვა. რა ბეჭედი, რის ბეჭედი?! მოვედი ჯინსით და შავი პულოვერით. რადგან შარვალი მიხდებოდა, ყველგან ჯინსით დავდიოდი. ხელზე თვლებიანი სამაჯურის ნაცვლად, დაჭრილი ტყავებისგან გაკეთებული, როგორც დეიდაჩემი მელიკო იტყობდა, „მაიბურბა“ მეკეთა. ჩემი ცისფერი თვალების „საკატიციკემულოდ“, ტყავები ცისფერი, პრიალა თოკებით იყო ერთმანეთზე გადაბმული. დედაჩემის მცდელობის მიუხედავად, თმა ერთი სარკით ზევით მქონდა აწეული. მთელ ჩემს მორთულობას ლამაზი ჩანთა შეადგენდა, რომელიც, რასაკვირველია, არ მეჭირა და შემოსასვლელში, კართან, საკიდზე იყო ჩამოკიდებული.

- ხედავ, მეღო?! როგორ არის ჩემი შვილი მობრძანებული? - მიუბრუნდა დედა თავის დას.

- გენაცვალოს დეიდა, ჩემო დახატულო, რატომ უხეთქავ ჩემს დას გულს. რა გენაღვლება, როცა ნათესაებთან მოდიხარ, მაშინ მაინც ჩაიკვი დედაშენის ნაყიდი ლამაზი კაბები?! - მითხრა დეიდა და გულში ჩამიკრა.

- თეა, ნამცხვარს დაჭრი? - გამოსძახა დედას ლალიმ.

ქალები სამზარეულოში შევიდნენ და „პოლიტიკური მიმოხილვა“ გააჩაღეს. აივანზე გავედი. ბიძაშვილებს ველოდებოდი, მაგრამ ჯერ არ ჩანდნენ. მომწყინდა, ოთახში შევბრუნდი და დერეფანს გავყვევი. კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს ვათვალიერებდი. ზოგ

ნახატს ჩარჩო ჯობდა, არ მიყვარს, როცა ასეა. გარშემო ყველაფერს სიმდიდრის კვალი ეტყობოდა, მოუხედავად ამისა, რაც იშვიათად ხდება ხოლმე, ავეჯი და გადასაფარებლები, ფარდები, ღაღის გემოვნებით ჰქონდა შერჩეული. ბოლო ოთახის კარი გაიღო და იქიდან ღაღის ქმარი გამოვიდა. ის ძალიან მაღალი, სამიწოდ შეუხედავი, მაგრამ გონიერი კაცია. კარგად იცნობს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო შედეგებს, უყვარს მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა; მაგრამ, რატომღაც, ჩაკეტილი და მართოსული ადამიანია, ზოგჯერ უსიამოვნო აურაც ახლავს, ოღონდ, არ ვიცი რატომ.

— ოჰ, გამარჯობა, ხატია, დიდი ხანია მოხვედი?! — მკითხა კიომ.

— იქნება ასე ორი საათი! — უუპასუხე მე.  
— როგორ ხარ, შემოდი! — მითხრა და თავისი ოთახის კარი უფრო ფართოდ გააღო.

პატარები რომ იყვნენ ჩემი უფროსი ბიძაშვილები, ის ფოკუსებს უჩვენებდა ბავშვებს, აძიებდა მათ შერჩევს მეტსახელი. ნათესაობაში აღარავის უკვირს მისი ამგვარად მოხსენიება. ზოგჯერ მეგობრებიც ასე მიმართავენ. მხოლოდ უცხო ხალხი ეძახის ნამდვილ სახელს.

ოთახში შევედი. ისეთი გრძობა დამეუფლა, თითქოს სხვა სამყაროში გადაესახლდი და ეს ოთახი ამ სახლს არ ეკუთვნოდა. არაფერს არ ეტყობოდა არც სიმდიდრის კვალი და არც ღაღის ხელი. ფანჯარასთან იდგა ერთი უხარამხარი ტახტი, ტახტის წინ — პატარა მაგიდა. კედლებზე წიგნების თაროებით იყო დაფარული. მაგიდაზე ბროლის მოზრდილი საფერფლე იდო, ზედ ჩაფერფლილი სიგარეტით, რაფაზე — პატარა აკვარიუმი. ფანჯარა ისე იყო გაკრიალებული, ვერც მიხედობოდი, ჰქონდა თუ არა მინა.

მე ტახტზე ჩამოვეკეტი. ფეხი ფეხზე გადავიდე და სპორტულ ფურნალს წაეკლე ხელი.

— იცი, ეს ვინ არის? — მკითხა კიომ და ფურნალის ფერად ყდას დაადო თითი.

სურათს დავხედე.

— არ ვიცი — ვთქვი მე.

— ეს ნიკი ლაუდაა, ოღონდ აქ ბოლოდროინდელი ფოტოა, ეს კი მისი ფერარია. ხომ გაგიგია ეს სპორტსმენი? — მკითხა დიმილით.

— კი, როგორ არა, მე მომწონს ავტორა...

— ესე იგი, შენ ფორმულა-1 მოგწონს — ტაქტიანად გამისწორა — აბა, მოდი, რას გარკვევს?! — მითხრა და სხვა ფურნალი გადამოიღო — შეხედე, აი, თანამედროვე მოდელები...

— შენ რომელი პილოტი მოგწონს? — შევაწყვეტინე საუბარი.

— ყველაზე მაგარი უმახერია. თუმცა, წელს თავიც დაანება სპორტს და ერთმა ესპანელმაც მოუგო — მითხრა მშვიდად.

— ალონსომ არა? — დავუდასტურე მე.

— კი ბატონო, აი, მისი „რენო“ — თითო დაადო ფოტოს და შემომხედა.

— უმახერმა სულ რამდენჯერ გაიმარჯვა? — ვკითხე მე.

— შეიდეჯერ — მიპასუხა მან.

— აქ რომ შეიდეჯერ გაიმარჯვებ, მაგარი ხარ აბა რა? — დავაფანსე სპორტსმენი.

— ყოველთვის „ფერარის“ მართავდა ხო? — დავინტერესდი ისევ.

— არა. თავიდან „ბენეტონის“ აწყობილ მოდელებში ივდა. სად არ აქვს მოგებული გრან პრი: უნგრეთში, ესპანეთში, საფრანგეთში, მონაკოში, სან-მარინოში... ხომ იცი, შვეიცარიისთვის უკვე ჩვიდმეტი ეტაპია დაწესებული — საუბრობდა და თან ფურნალს ფურცლადა.

— ვიცი, როგორ არა, გაუზრდიათ რაოდენობა. რა კარგია სისწრაფე — ვთქვი და ოცნებაში წავედი.

— ხატია, შენი მანქანა სად არის? — მკითხა რატომღაც.

— დავამტვრიე, გასაკეთებელია! — ვთქვი და გამელიძა.

— რა გაცილებს? — გაელიძა თვითონაც და სიგარეტი გააბოლა.

— არაფერი. კვლადები, როდის გამოიკეთებენ — უუპასუხე მაშინვე.

— აი, კონსტრუქტორების ინტერვიუებიც მოგიბებენ. საინტერესოა, მოგწონება — მითხრა და ფანჯარა გამოაღო — ბოლი ხომ არ გაწუხებს? — მომიბრუნდა ისევ.

— მე „მაკლარენი“ მომწონს. შენ? — შევაწყვეტინე საუბარი.

— „მაკლარენით“ ჰაინენი გამოდიოდა — ოღონდ, არ ვიცი მაგ მასალას ვიპოვნით თუ ვერა — თქვა და ახლა თაროზე შემოწყობილ ფურნალებს დასწვდა.

კიოსთან საუბარი ძალიან მართობდა. მშვიდი და აუღელვებელი კაცი იყო. ასეთი სიმშ-

ვიდე ცხოვრებაში დიდი ხნის წინ ხელჩაქ-  
ნულად ადამიანებს ახასიათებთ. სწორედ ისინი  
უთმობენ ამდენ დროს დაუნანებლად სხვებს.

კიოს შექმნილი თავის საქმეში წარმატებუ-  
ლი კაცი ყოველიყო, თუნდაც მეცნიერი(ყოველ  
შემთხვევაში, ლალი ასე ამბობდა და ამის  
გამო ხშირად ბრაზობდა), მაგრამ თვითონ  
დიდად არ წუხდა, ან ეტყობა, ერთხელ ისე  
შეწუხდა, რომ იმის შემდეგ „შესაშური“ ინ-  
დიფერენტულობით ეკიდებოდა ამგვარ წარ-  
მატებებს; არც სხვებს დასცინოდა, როგორც  
ასეთ დროს ხელმოცარულმა ადამიანებმა იციან  
ხოლმე; იყო თავისთვის და კაცმა არ იცის,  
გულში რა ედო. ამბობენ, მისი გამოგონება  
სხვამ მითთვისა, იმ სხვას, სხვა დანარჩენებმა  
მხარი დაუჭირეს და ძალიან გააშფავეს, მაგრამ  
მე თუ მკითხავთ, ახლა ის გააშფავეულის  
გარდა ყველაფერს ჰგავდა... ესე იგი, შეიძლე-  
ბა ვერც გააშფავეს.

- აი, გიპოვნე! - ფიქრი გამაწყვეტინა  
კიომ და გადაშლილი ჟურნალი წინ დამიდო.  
მერე ჩვენ დიდხანს ვსაუბრობდით სხვა  
ამბებზეც.

- თვეები ვიყვარს? - ვკითხე მისთვის  
მოულოდნელად.

- არა, მაგრამ ეუკლი. ჩემმა შვილებმა  
იყიდეს, ცოტა უფრო პატარები რომ იყვნენ,  
მერე მოსწყინდათ და მე შემოვიტანე აკვარი-  
უმი ჩემს ოთახში. წყალს ვუცვლი, მაგრამ  
მანც დაიხოცნენ, ეს სამი ძლიერს გადავარ-  
ჩინე - გაიხედა თვეებისკენ - თუ გინდა  
სახელები დაეარქვათ - გააგრძელა ისევ.

მე გამიკვირდა და არ შევიძინე.

- რა ვიცი... რა სახელები? - ცოტა დავიბე-  
ნი.

- აი, თუნდაც ფორმულა-1-ის პილოტების  
- დაადო ჟურნალს ხელი.

- კარგი. ერთი ნიკი იყოს, მეორე - ხუან  
პაბლო მონტოია - გავიშვარე თითი თვეზე-  
ისკენ.

- მესამე - ტაკუმა სატო - დაასრულა  
ღიმილით.

კიო ყოველთვის გამორჩეულად მითმობდა  
დროს. როცა მათთან ვიყავით, ხან რაზე მე-  
ლაპარაკებოდა და ხან რაზე... აინტერესებდა  
ჩემი წარმატებები.

შარშანაც, დიდი, თეთრი ყვავილების თაიფუ-  
ლით მოვიდა ჩემთან, არქიტექტორთა კონკურს-

ში ჩემი და ჩემი მეგობრების პროექტმა პრემი-  
ა რომ დაიმსახურა. ჩვენი დაპროექტებული შე-  
ნობა, რასაკვირველია, ვერ დადგენს დასაჯობა  
ვერც დადგამენ, მაგრამ რაც მთავარია ხომ  
დაეხაზეთ? თავი მოვიკალით იმ წელს შრომით  
ოთხზემ და გვიდღეს ახლა ეს პრემია საპროექ-  
ტოში უჯარო გენერალივით.

ასეთმა ნაზმა ქალმა ეს მძიმე პროფესია  
როგორ აირჩიო - მეზუმრება ხშირად და  
მოფერების ნიშნად საჩვენებელ თითს ცხვირზე  
მითათუნებს, მოუხედავად იმისა, რომ ამგვარი  
მოფერების ასაკი კარგა ხანია გამოვიდა, ბო-  
ლოს და ბოლოს ხუთი წლის ვაჟკაცი ჰყავს,  
თანაც თავის კუთვნილ წონას მგონი ორჯერ  
აჭარბებს; უყვარს ჭამა, ძილი და თამაში, გან-  
საკუთრებით მანქანებით. ესე იგი, მე დამეძს-  
გავსა.

ლალის მეუღლეს ბიძიას არ ვეძახი; თვი-  
თონ მთხოვა, სახელი დამიძახეო. მან ძალიან  
თბილი და აღერისიანი საუბარი იცის, მაგრამ  
ლალის ისე უყურადღებოდ ჰყავს მიტოვებუ-  
ლი, თითქოს არც აინტერესებს, რას აკეთებს  
თავის ოთახში გამოკეტილი. კიოს მუდამ ბევ-  
რი ფული ჰქონდა, ოლიონდ, რატომღაც, ეს  
ყოველთვის მის ცოლ-შვილს ეტყობოდა, თვი-  
თონ კი არა; თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო და  
ახალი მანქანა, „კალიაკის“ ჯიპი - ესკა-  
ლეიდი, ჰყავს. ძველმოდური და უგემოვნოდ  
შერჩეული ტანსაცმელი რომ აცვია, მაინცდ-  
ამაინც არ ენადღელება...

მოსალამოვდა. ლალიმ ოთახის კარი შე-  
მოაღო:

- აბა წამოდი, შემოგვიერთოდი, სეპარა-  
ტიზმს ნუ ექნება ადგილი, სუფრა მზადაა -  
გაგვეზუმრა და სწრაფად გაბრუნდა.

- შენ წადი, მეც მალე მოვალ - მითხრა  
კიომ.

ოთახიდან გამოვედი.

- ვაა, ვის ვხედავთ! - შესძახეს ჩემმა  
ბიძაშვილებმა(დედანიქმს ძმებიც ჰყავს) და  
შუაში ჩამისვეს.

ჭამა-სმას და ვიტარის თანხლებით სიმღ-  
ერებს, როგორც ხდება ხოლმე, პოლიტიკაზე  
კამათი ერთვოდა თან. ემზიარულობდით...

დედა, მედიკო, ლალი და ეკა ლოჯიაში  
გავიღინე, სეპარტობში მოკალათდნენ და წინ  
ყავის ჭიქები დაიდგეს, ეკამ სივარუტიც გააბ-  
ოლა და გაცხარებული ჭორაობა გააჩაღეს.

გა ყველაზე უმცროსია მათ შორის. ნათესაობა ამ ოთხი ქალის გარეშე ალბათ დაიღუპებოდა. რაც თავი მახსოვს, ბავშვობიდან, ესენი უერთმანეთოდ ჰაერის ჩასუნთქვასაც ვერ ახერხებენ. თუ რომელიმემ ოთახში ავეცი გადაადგილა, ან თუნდაც ჩანთა შეიძინა, დანარჩენმა სამმა ზუსტად ერთი საათის შემდეგ იცის ამის შესახებ; არაფერს ვამბობ, რომელიმე ჩვენგანის ავადმყოფობასა და გასაჭირზე. დღირაზმებიან და ვინ ექიმთან გარბის, ვინ აფთიაქში, ვინ სადილოს ამზადებს...



გავიდა ორი თვე. ლალის უზარმაზარ სამზარეულოში ვისხედით. მე ჩაის ვსვაპდი და ნამცხვარს მივირითმევი. დედა, მედიკო, ლალი და ეკა უნამცხვროდ შეეძვეოდნენ ყავას: ზოგი დიეტას იცავდა, ზოგი სადიეტოდ რომ არ გახდომოდა საქმე, იმაზე ზრუნავდა.

- ეს რა დღეში ჩამავლო, რა დღეში ჩამავლო! არც ბავშვების არ რცხვენია... ორი ამხელა ბიჭი ჰყავს - თქვა ლალიმ, კოპებშეკრულმა ფანჯარას გახელა და თავის მუშტს ლოყა ჩამოაყრდნო.

- შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, ამის ღირსი იყავი? მაგისთანა მაიმუნს რომ გაგაყოლებო, ახია ჩვენზე! - აქოთქოთდა მედიკო და მსხვილფოჩიანი მოსასხამის ერთი ბოლო მხარზე შემოივლო.

- სად გვია ნეტა ახლა ეს სილაპაპის ეტალონი? - იკითხა დედაჩემმა; უნდა მოგახსენოთ, რომ, მიუხედავად მისი მშვენიერი გარეგნობისა, ყველაზე მწარე ენა, საჭიროების შემთხვევაში, სწორედ მას აქვს.

- ხომ იცი, ამ ასაკში როგორ იციან გადარევა, შარშანწინ ჩემი ძმაც ასე არ გავიფლა?! - საცოდავი ჩემი რძალი კინალამ ხელში ჩაგვაკვდა ნერვიულობისგან - გაიხსენა ეკამ.

- მერე? - იკითხა მედიკომ.

- რა მერე - აღარ გახსოვს რა აღმოჩნდა? ვიღაც გაათხსირებულთან იყო წაბრძანებული და რომ მიხვდა, სად ამოყო თავი, ოჯახის ერთწლიანი ტანჯვა-წვალების შემდეგ დაბრუნდა შინ, მაგრამ ჩვენ ხომ კინალამ შეგვიწირა?! -

- პოო, ეგ სულ აღარ მახსოვდა - უპასუხა მედიკომ.

- როგორ წავიდა, რა წავიღო, ლალი, მაინც სახლიდან თუ გახსოვს? - იკითხა ეკამ, სკამიდან წამოიწია და თავის დას მიაშტერდა.

- რა ვიცი, ერთი მოგრძო სპორტული ჩანთა ეჭირა, მეტი არაფერი - უპასუხა ლალიმ და მხრები აიჩჩა.

- გასვლისას არაფერი უთქვამს? - იკითხა მედიკომ.

- შენ, შენ არ ჰკითხე, ქალო, სად მიდიხარ ამ გულანაბადითო?! - დასვა რიტორიკული კითხვა დედაჩემმა.

- რა უნდა მეკითხა? ხომ იცი, რა უცნაურია... ხან მთაში დაძვრება 4-5 დღე და სახლში არაფერს იბარებს, ხან სიკოსთან იკრიბებიან ბიჭები და გამთენიისას მოდის - იმართლა ლალიმ თავი.

- პოო, მიშვებული გყავდა, გენაცვალე, თავის ნებაზე; ზოგიერთი კაცი ცუდად ივებს ამ პატებისცემას! ისე, შენი ბრალიც არის, გყავდა უყურადღებოდ, ხანდახან ტკბილი სიტყვაც უნდა გეთქვა, რომც არ გლომებოდა მაინც; რომ დაოჯახდები 10 წლის მერეც საჭიროა ეგ და 30 წლის მერეც! - დაასკვნა ეკამ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ გასათხოვარ-გაუთხოვარია - მითუმეტეს, თვითონ ხომ იცით, როგორ ეხერხება ეს ტკბილ-ტკბილი სიტყვები! - გაავრძელა ისევე.

- ოპ, ოპ! - ნუ გამახსენებ, გული მეგლიჯება - თქვა ლალიმ ცრემლნარევი ხმით - რომ მახსენდება... მერე ასეთ დროს რა გრძელი ენა აქვს...

- რა ვიცი, სხვა დროს კია მუნჯივით - გაიოცა დედამ.

ეკა სკამიდან წამოდგა, მაგიდა ააღავა, ჭიქები გარეკა, კარადში შეაწყო, ფორთოხლები დაჭრა და მერე ლამის შეპკივლა:

- გადარევა ახლა მაგას ვინმე ახალგაზრდა გოგო, თან ხომ იცით, დღევანდელი ახალგაზრდების ამბავი, თუ რამე უნდათ, უკან არაფერზე დაიხვეწენ.

- რა უნდა უნდოდეთ მაგ მახინჯისგან?! - ისევე აღელდა დედაჩემი.

- ფული, თეა, ფული - ამოხსნა ამოცანა ეკამ - ხომ იცი, ეგ ვინ არის? - ქვაზე რომ დასვა, ცივ ქვაზე, იქაც ფულს იშოვნის.

ცივისა და თბილ ქვას შორის ამ შემთხვევაში, ნეტა, რა განსხვავებას ხედავენ? - გავიფიქრე მე და ხასიათი უფრო გამიფუჭდა.



— მეც ასე მგონია — ფიქრი გამაწყვეტინა მედიკომ — იქნება ახლა ვინმე უწესო, ახალგაზრდა ქალმა გამოაშტერა ეს პატივცემული და დაათრევს თავის ჭკუაზე.

— შენი ჭკუა რომ არ გვექნება, სხვა გათრევს თავის ჭკუაზე, აბა რა? — თქვა ვაცხარებულმა დედამ.

— ნამდვილად ასეა, მერე მაგნიარმა ქალებმა რა კარგად იციან კაცების გამოჭერა? — ჩვენსავით კი არ არიან? რას არ ვაკეთებთ, აბა სადილი, აბა სარეცხი, აბა ბავშვების მოვლა... ეგეთი ქალები კი არაფერს არ აკეთებენ, იქით თხოვლობენ ყველაფერს და იღებენ კიდევ, რაც უნდათ! — გამოაცხადა ლალიმ.

— არა, მაინც რა დაოსტატებულები არიან ეს პატარა გოგოები ასეთ საქმეებში, არაფრის არ რცხვენიათ, არაფრის; უუნებია ახლა თბილთბილ სიტყვებს და ეს სულელიც ალბათ მეცხრე ცახეა. ვაი... ცოტა ხანში გამოსჭამს იმ ფულებს, მიაგდებს ამ ვაჟბატონის და მერე მიაგონდება ეს კარგი ცოლ-შვილი — არ ცხრებოდა მედიკო.

— არც რომ არავინ არ იცის მაგის ამბავი?! მის მგობრებთან დაერეკე... მე შენ გეტყვი ვინმეს რამეს გააგებინებს — გააგრძელა ლალიმ — ამისთანა ამბავშია ახლა და ვინ გაასხენდება?! გადადიან ალბათ ვირაზე. თაფლობის თვე აქვთ, ქუჩაში რა უნდა? არა, ამაზე რომ ვფიქრობ, ჭკუიდან ვიშლები — ხელებში ჩარგო თავი ლალიმ.

— ნეტა, ლამაზი გოგოა? — იკითხა ეკამ.

— გემოვნებას არ უჩივის, უფრო ახალგაზრდა, გამოუცდელი და ჯიბეგაფხეკილი რომ იყო, ამისთანა ცოლი მოიფანა და სავსე ჯიბეებით ერთ კახას ვეღარ შეაცდენს? — გაიკვირვად ლედი.

— ლალი დეიდა, ძალიან გიყვარს? — ჩემდა საუბელურად ვკითხე მე.

— უიშე! მიყვარს კი არა, სახლში რომ იყო, არც მამინ დაშენახებოდა და ახლა მძულს, როგორც გველი, ეგ ქვეშ-ქვეშა — შემომხედა ლალიმ.

ვერაფერი ვერ გავიგე... თუ ასე სძულს, რაღად უნდა? — გავიფიქრე ჩემთვის, მაგრამ ხმას რა ამომადებინებდა.

— წარმოვიდგენია, თუა? რამდენი ხნის რომანი აქვს, რომ სახლიდან გაიქცა, ხომ იცი, ამისთანა ცოლ-შვილის და სახლ-კარის და-

ტოვება ასე ტყუილად არ ხდება? კი, მაგრამ შენ ეგვი არაფერში შეგპარევა? იქნებ, ან იპრანჭებოდა, ან სახლიდან ხშირად გადაიფრდა, ან ვინმე ქალი ურეკავდა?! — ჩაეძია დედა.

— არა! სად მეცალა მაგის კონტროლისთვის? — შეიცხადა ლალიმ.

— სხვების კონტროლისთვის ხომ გეცალა?! — გაიფრდა ეკა — გოგო, ყველა მეზობლის სახლში იცი, ვინ შედის და გადის და შენი საკუთარი ქმარი როგორ წავიდა ისე სახლიდან, რომ ვისთან იძინებდა და იღვიძებდა, ვერ გაიგე? გადავირევი პირდაპირ.

— უნდა ვიპოვნოთ ის გოგო როგორმე, არ შეიძლება ასე ახალგაზრდას პატრონი არ ჰყავდეს. მივიღეთ, ჯერ ნორმალურად ველაპარაკოთ მშობლებს... — დაიწყო დედამ.

— სად ჰყავთ მაგნიარებს პატრონი, თუა! შენ ხომ არ გგონია, ჩვენ რომ დაგვეყავს ეს შვილები უკან კუდივით გამობმული, ამისთანა დედები ჰყავთ? ან ვინ უჯერებს ახლა პატრონს? — ჩაერია საუბარში მედიკო.

— არ ვიცი, რა უნდა ექნათ, მაგრამ რაღაცა რომ უნდა ექნათ, ეს ფაქტია! — გამოაცხადა დედაჩემმა.

ტანში ურუანტელმა დამიარა. ამ სისულელების მოსმენაც აღარ შემეძლო და გადაეწყვიტე, როგორმე გავცლოდი აქაურობას.

— დედა, მე წავალ რა? — ვთქვი და სკამის ზურგზე ჩამოკიდებულ ჩანთას წავავლე ხელი.

— სად წახვალ, ხატია, მარტო? — შეყარა წარბები დედამ — მოგვაკითხავენ, შეილო, ცოტაც მოიცადე.

— არა, მირჩევნია ტაქსით წავიდე — ვთქვი კატეგორიული ხმით, მაგრამ ამითონ რა გამოვიდოდა?! —

— რატომ, დეიდა, რატომ? ბავშვი ბებიამისთან არის, შენზე უკეთესად უვლის, ხვალ დედაშენი მოგაკითხავს და რა გადარდებს? — მომიბრუნდა გოცბული მედიკო.

— რა ვიცი... ცუდად ვარ — ვიცრუე მე, მაგრამ უარესი დედე დამადგა.

— რას მეუბნები, დეიდა?! — შეპკივლა მედიკომ. ისე, შენი ფერი არ მოშწონს, ცუდად თუ ხარ, ახლა სახლში გავიშვებთ კი არა, დედაშენთან უნდა წახვიდე.

— სიცხე უნდა გავუზომოთ — წამოხტა სკამიდან ლალი; ეკა, მოუშხადე ბავშვს ცხელი ჩაი და ბუტერბრედები! მე „კოლდრექსს“

დავალებინებ — გასცა ბრძანება ლაღიმ და სამზარეულოდან გავიდა...

სიცხე არ აღმოამჩნდა, როგორც იქნა ეს კომპარია დამთავრდა და მეორე დღეს დედას ყველაფერი კუამბე.

❖ ❖ ❖

შინ ვიყავი და სახლს ვალაგებდი. ზარი დაირეკა. დიდი, რკინის კარი გამოვადე და კარს უკან, სათამაშო ვეფხვით ხელში, დედა გამოჩნდა. მის სწორ ფეხებს ძალიან უხდებოდა მოკლე შუკვანი ლაბადა.

— ჩემი მორიგეობის დრო დადგა — გამიღიმა მაშინვე — ნახე, რა მოუუტანე — ზევით ასწია პარკში ჩასმული ფუმფულა სათამაშო, რომელიც ვეფხვის გარდა ყველაფერს ჰგავდა — ენაცვალის ბებო, სად არის? სანამ აქ მოვიდოდი, მაღაზიაში შევიბრძინე, სადილიც გაეაკეთე და სალონშიც ვიყავი.

დედა თან საუბრობდა, თან კარს კეტავდა, ლაბადას იხდიდა. სათამაშო მე მომარჩა, ოთახში შემოვიდა, წაშში სამზარეულოში აღმოჩნდა და მოგრძო პრიალა ჩანიიდან პარკში გახვეული ქვაბი ამოიღო, რასაკვირველია, გამზადებული სადილით სავსე.

დედა ყოველთვის ყველაფერს ასწრებს და ყველაფერი აინტერესებს საკუთარი პროფესიის გარდა. სამაგიეროდ, მე ვერ ვასწრებ ვერაფერს და არც არაფერი მაინტერესებს საკუთარი პროფესიის და სპორტის გარდა.

— კი მაგრამ, ბავშვი სად არის? — გამიმეორა ოთახში შემობრუნებულმა და თან თვალებით ეძებდა პატარას.

— სძინავს, ნახევარ საათში გაიღვიძებს — ეუთხარი და სავარძელზე ისე დავეშვი, თითქოს დიდიდან ყანას ვთოხნიდი.

— სად არის ჩემი ჩუსტები, აქ რომ დავტოვე? — იკითხა დედა — არ მინდა ხალიჩებზე ფეხსაცმელებით სიარული, ისევ ჩემი გასაწმენდი ვახლე — მოისაწყლა თავი; მერე ჩუსტებით ისევ ოთახში შემობრუნდა და ისიც სავარძელზე ჩამოჯდა.

— რომ შევიხელო საძინებელში, ბავშუს ხომ არ გავაღვიძებ? — მკითხა და შემომხედდა.

— დედა, რაღაცა მიჭირს და უნდა ვითხრა, ძალიან ენერვეულობ, არ ვიცი როგორ დავიწყო — ამიკანკალდა ხმა.

— რა მოხდა, შვილო? არ გამაჯივო, დროზე მითხარი — მუდარაშერეული ხმით მკითხა და სავარძლიდან წამოიწია.

— ლალის ქმარზე მინდოდა მეთქვა — დავიწვე მე.

— ვისზე? — დაიბნა დედა.

— შენი დეიდაშვილის ქმარზე — გავიმეორე ჩუმად.

— ჰო, რა იყო, რამე გაიგე? — მკითხა ისევ.

— კი არ გავიგე, ვიცი — ვთქვი და ხმადაბლა გავვარძელე — თქვენ გუმინ რომ შეიკრიბეთ ლალისთან და ლაპარაკობდით, მე თან ენერვეულობდი, თან მეცინებოდა თქვენს სულელურ ნაფიქრალზე, თან არ ვიცოდი რა მექნა... ყველაფერი დაწვრილებით ვიცი.

— მომიყვი, რა იცი, ნუ გადამრიე! — თითქმის შეჰკვივლა დედა.

— ეგ კაცო, სახლიდან კი წავიდა, მაგრამ არავისთან ერთად არ ცხოვრობს, თავისთვის არის ნაქირავებ ბინაში; მე მითხრა ჩემთვის ეცხოვრობ, იმდენად დიდი ჩემი სიყვარული, საკუთარი ცოლის დანახვა არ შემიძლია, მარტო ყოფნა მსიამოვნებსო. მგონი, სახლის ყიდვასაც აპირებს. ის კი ზუსტად ვიცი, რომ არავისთან არ არის — ეუთხარი დედას.

— შენ საიდან იცი, ხატია?! — გაუკვირდა დედას.

— ჩვენ ხომ ვმეგობრობდით? — ვთქვი მე.

— კი მეგობრობდით, შვილო, მაგრამ ახლა იმას საკუთარი ცოლ-შვილი აღარ ახსოვს და შენ ემანსოვრები?! —

— დედა, თავის სახლში რომ იყო კიო და ლალი მირეკავდა, ყოველთვის გამართმევდა ხოლმე ყურმილს და დიდხანს მესაუბრებოდა, მეც მეგონა, საუკეთესო მეგობარი მყავდა... ერთხელ, შემთხვევით, ქუჩაში შემხვდა, სამსახურიდან გამოვდიოდი. დამიძახა და მანქანაში ჩამისვა. იმ დღეს, საპროექტოში ნერვები ამიშალეს, თითქმის ვტიროდი. ჩემი პროექტი ყველაზე უკეთესი იყო, მაგრამ არ იმჩნევდნენ... ყველაფერი მოუწყვეი. გააცინა.

— კი მაგრამ, არ იცი, რომ ეს ბუნებრივი ამბავია? — მითხრა თბილი ღმილით — თუ სხვების პროექტს შენი სჯობს, რა თქმა უნდა, არავის არ გაუხარდება; ასეთია, ხატია, ხალხი, თუ ამას ვერ შეეგუები, მაშინ როგორ გააგრძელებ შენს საქმეს?! მე ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ გამოვცადე. მერე ჩემს წამოწყებას

ზურგი შევაქციე და ფულის შონას მივყავი ხელი; მომერინ, მტრობას და ბოროტებას გავექცი, მაგრამ შენ ვერ მოგერევიან, იცოდლე!  
- რატომ? - ვკითხე მე.

- იმიტომ, რომ შენ შენი საქმე ძალიან ვიყვარს, არ თმობ, მე კი დავთმე. პოდა, ვისაც და რასაც დათმობ, ისიც დავთმობს, აბა? - გაიღმა და გააგრძელა - სამაგიეროდ, სიყვარული არ დამითმია არასდროს, სიყვარულისთვის ყოველთვის ყველაფერს ვაკეთებდი, ძალიან ადრე მივხვდი, რომ ეს ერთადერთი რამ იყო, რისი დათმობაც არაფრით არ შეიძლებოდა.

- ორივე რომ გქონდეს, არ შეიძლება? - ბრივევით ვკითხე მე.

- კი, როგორ არა, აი, შენ ჩემზე კარგი ხარ და ორივე გექნება.

- რომ მიჭირს? - ვკითხე ისევ.

- როგორ თუ გიჭირს, მე მაგათ უუჩვენებ სერიას - გაეცინა და როგორც იცოდა, ცხვირზე ჩამომკრა ხელი. ჯერ ერთი, შენ კი არა, მაგათ უჭირთ და თანაც ძალიან. ბოროტ კაცს თავისი ბოროტება ამოხუთავს, ამგვარი მაგალითები მინახავს - თქვა შედარებით უფრო სერიოზული სახით.

- საინტერესოა, დავაკვირდები ცხოვრებას, იქნებ მეც ენახო დამარცხებული ბოროტება - ვინატრე რატომღაც.

- ხატია, ამაზე ფიქრებს სჯობს, ჩვენი პატარა საიდუმლო გავიხსენოთ და ჩოგბურთის კორტებზე შევიაროთ, არ გინდა? - შემომთავაზა კიომ - ეკ, ჩემს შეილებსაც ვატარებდი ერთ დროს იქ, მაგრამ რად გინდა?! ვერ შეეყვარეს სპორტი ჩემსავით, რალაცნაირად, მოდუნებულები არიან; თორემ რა უნდა მამასთან ერთად კვირაში ერთხელ ჰაერზე ვარჯიშს, შენ კი არ გგვანან?

- როდის წავიდეთ? - გავხალისდი მე.

- აი, დღეს პარასკევია, ზეგ უკვე შეგვიძლია წავიდეთ. იცი, ხატია, ვარჯიში როგორ შევლის ცულ ხასიათს? - მკითხა მან.

მე თავი დაუეჭნე და სარკეში ჩაიხედე.

- შენ სარკე რად გინდა? ისედაც ლამაზი ხარ - მითხრა კიომ.



ჩოგბურთის კორტებიდან მართლაც გაზაღისებული ვბრუნდებოდი. ერთ დღეს ფეხით

გამოვეყვით ქუჩას. მე ჩემი საპროექტოს უფროსზე ვბრაზობდი: არავის არაფრად გვაგლებსოქო.

- მერე?! შენ ხომ იცი, თვითონ იქნება არარაობა და იმიტომ - დაუსვა დიაგნოზი მშვიდად.

- რა ვიცი? - ვთქვი დაღონებულმა.

- ანტონიო გაუდი ხომ იცი?

- კი - გამეღმა მე.

- შენს უფროსზე ფიქრს არ ჯობია, იმაზე იფიქრო? - მკითხა კიომ.

- ჰო, დიდი მოვლენა იყო არქიტექტურაში - ეუპასუხე მე.

- თან რა დროს, ხატია. ამ დროს ცხოვრობდნენ ღომენიკ ი მინტენერი, პიუჯი კადაფალიკო... მაგრამ ესენი ვერაუღლ მოდერნს მიჰყვებიან, გაუდი კი სულ სხვაა - თქვა რალაცნაირი მეოცნებე სახით - ის მხოლოდ საკუთარ ტექნიკურ მიღწევებს ეწოდნობა, არ იცის ამ დროს რა ხდება პოლანდიაში, საფრანგეთში, ბელგიაში... ამიტომ, და კიდევ ერთი დიდი რამის გამოც, მისი არაჩვეულებრივი ხელოვნება ორიგინალურია, არავისას არ ჰგავს - თქვა სადღეგრძელოსავით.

- მხოლოდ საკუთარი შთაგონებით იკვებება, რამხელა ენერგია აქვს არა? - დავეთანხმე მე.

- ჰო. მოკლედ, ბარსელონაში უნდა წახვიდე. აი, რა იქნება ძალიან სასიამოვნო. იქ ნახავ, რას ნიშნავს არქიტექტორისთვის ბუნების სიყვარული.

- ბუნების?

- ჰო, აბა? მისი შთაგონების სათავე ბუნება იყო. მის შენობებს ეტყობა მცენარეთა და ცხოველთა ანარეკლები. შენ, შენ არ გინდა ახლა შუა ტყეში ამოჰყო თავი? - მკითხა უცებ.

- რომც მინდოდეს... - დავიწყე მე.

- შენ მითხარი, გინდა თუ არა? აი, წარმოიდგინე გარშემო ხასხასა ფოთლები, ცეცხლზე შიშხინა მწვადები, გარშემო ჩიტების ჭიკჭიკი და მუსიკა.

- მუსიკა საიდან? - ვკითხე კიოს.

- მუსიკა ჩემი მანქანის მაგნიტოფონიდან, ღორის ხორცი ბაზრიდან... ჰა, გადაწყვიტე და ერთ საათში იქ ვიქნებით - მხარი წამკრა მეგობრულად.

- შეიძლება ლიაც წავეყვანო? - ვკითხე მე.

- ლია ვინ არის? - გაუკვირდა რატომღაც.

- ჩემი მეგობარია და ამ ბოლო დროს სულ ცუდ ხასიათზეა - ვუპასუხე მაშინვე.

- კი ბატონო, წავეყვანო, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ შეგვინახავს საიდუმლოს; თორემ ხომ იცი, ჩვენების ხასიათი?! ყველაფრის ეშინიათ - დაიზღვია თავი.

- პო, გვეტყვიან, რამე რომ დამართოდა ამ უცხო ბავშვსო, არა? - გამეცინა მე.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ლია კოცონის გარშემო ენებივრობდით. მანქანიდან მუსიკის ხმა ისმოდა. კიო მწვანებს წვაავდა. ჩვენ ყველი და თინის პურები დავჭყრით. „ერთჯერად“, ქალაქის თევზებზე დაეაწყვეთ და სასიამოვნო საღამო გავატარეთ.

მე და კიო თითქმის ყოველ საღამოს ტელეფონით ვსაუბრობდით. ის ძალიან მიფრთხილდებოდა. ასეთი მეგობარი არასოდეს მყოლია და არც არავისთან მიგრძენია თავი ასე მშვიდად. ხანდახან, კვირაობით, ქალაქართ მგვდიოდი სასიეროდ და ეკლესიებს ვათვალიერებდით. მერე შემოდგომამ სუსხი გვაგრძობინა...

- დედა, ერთ დღეს დამირეკა და მთხოვა, სამსახურთან დაგხედებო; მეც გამიხარდა. მოვიდა. სედიანი ჩანდა. მანქანაში ჩაუჯექი და მივაშტერდი. ნერვიულობდა, ქურთუკის საყვდის აწვავდა.

- მერე? - ვეღარ ითმენდა დედა.

მე ისევ გაკრუმი და ყველაფერი თვალწინ დამიდგა: იმ დღეს კიო ჭარხალივით იყო გაწითლებული.

- ხატია, საუბედუროდ შემეყვარდი. ჩემი ცხოვრება საშინელ ტანჯვად იქცა. შენზე უკეთესი არავინ მეგულება ქვეყანაზე, სულ შენზე ვფიქრობ, ვერაფერს ვაკეთებ - არ გამიბრუნდეს რა? - ისეთი მუდარით მთხოვა, ხმა ვერ ამოვიღე - ვიცი რომ ძალიან მოულოდნელი და საძაგელიც კი შეიძლება გჩვენოს ეს ყველაფერი, მაგრამ ერთი რამის გამო მაინც. შეიძლება ჩემი გამართლება - გააგრძელა მან - სიყვარულს ყველაფერი ეპატიება. გაიგე, თუ არ გეტყვოდი ერთხელ მაინც სათქმელს, ჩემთვის ცხოვრება აუტანელი გახდებოდა. ხატია, შენ ჩემს გვერდზე

კარგად გრძნობ თავს? - მომიძიროუნდა და დამაკვირდა.

- როგორ შეიძლება ამის გაფიქრება? - ეთქვი ნერვიულობით ღონებხილდამ.

- არ შეიძლება, მაგრამ თუ შენს გარდა არავინ მინდა, თუ ჭკუა დაეკარგე, თუ გადავირიე და მაინც შენთან ერთად მინდა სადმე გადავიკარგო შორს, ამ ხალხისგან ძალიან შორს... არ ვითხრა? მოგატყუო? უფრო ცუდი არ იქნება?! - მითხრა უფრო გაბეღული ხმით.

ძალიან ღელავდა, მაგრამ მაინცდამაინც ვერ შეუამჩნიე, რომ სინდისი ქნეჯნიდა. გადაწყვეტილება მიელო და სხვა რამისთვის სრულიად არ ეცალა. სიყვარულის გამო მართლა შეეძლო ყველაფერი დაევიწყებინა. მე მანქანიდან ჩამოვხტი და სირბილით წავედი ტაქსისკენ. ნერვიულობისაგან სულ გავიყინე, ცრემლები ღაპა-ღუპით მომდიოდა. გული დიდხანს მტკიოდა, საუკეთესო მეგობარი დაეკარგე. ხან მენატრებოდა მასთან საუბარი, ხან ძალიან მძულდა.

- ხატია, რა მოგივიდა? შემომხედე შვილო! - მითხრა დედა და თავზე დამაღვა.

ფიქრებიდან გამოვერკევი და ყველაფერი უკამბე.

დედა ერთ ადგილზე გაქვავდა და სახეზე ფერი შეეცვალა. მაზოხისტი არ ვარ და დაწვრილებით არ მოვიგონებ მის მღვდმარეობას.

- ილიოტი, ილიოტი! შენ მოგიკვდეს დედა! - შესძახა ბოლოს და სავარძელზე დაეშვა.

- კი მაგრამ, მერე აღარ გამოჩენილა? - მკითხა ცოტა დაწინარებულმა.

- კი, როგორ არა? - შევხედე დედას - დარეკა. მეხვეწებოდა, მემუდარებოდა, ბავშვიანად წავეყვანა და ცივ ნიავს არ მოგაკარებო. თან ამბობდა: რა მჭირს, მე თვითონ არ ვიცი, მაგრამ სხენაირად მოქცევა არც მინდა და არც შემიძლიაო.

- მერე, შენ რა უპასუხე? - მკითხა დედა.

- რას უპასუხებდი?! - ხმას ავუწიე, შენც ხომ არ გავიყდი?! - ვუფერე დედაჩემს - თავიდან მოვიშორე, მისი ხმის გავონებაზე ტელეფონის ყურმილს უხმოდ კვიდებდი. სამსახურშიც შეგებულბა გავაფორმე, აღარ დავდივარ და მიხვდა ალბათ. თუმცა, ეს ორი კვირაა აღარც გამოჩენილა. ეს არის და ეს -

ვუთხარი დედას და ამ გაუცნობიერებელი შიშისგან გაეთავისუფლდი.

— ღმერთო, ნუ გადამრევ! მე ეგ ცოტა სერიოზული კაცი მეგონა. რა სისულელეებს ვფიქრობდით, მაგრამ ამ უმსგავსობას რა წარმომადგენინებდა?! — ხმას აუწია დედამ.

მე ეტიროდი, რალაცნაირად მეცოდებოდა კიდევ კიო, ჩემი თავი უფრო მეცოდებოდა.

— შენ რა გატირებს? — მკითხა დედამ.

— არ გაგიყვება ლალი, ამას რომ გაიგებს? — ვთქვი, რაც იმ წუთას ნამდვილად შენაღვლელია.

— გაჩუმდი. ხმა არ ამოიღო. ამას ლალის როგორ ვეტყვი? იმ იდიოტმა თავისი საქმე როგორც უნდა ისე მოაგვაროს. ასეთი ბრიყვი როგორ ხარ, შეილო? — მომიბრუნდა დედა.

— შენ, შენ მიხვდებიოდი? — ვკითხე მე.

— ვერა, მაგრამ მე, შენგან განსხვავებით, დედა არ მიზრდიდა შეილს და არც აქეთიქით ბოღილის დრო მქონდა! — ხმას აუწია მან — იცოდე, ერთი სიტყვაც არ აღირსო. საერთოდ, ვიკრძალავ კიოსთან საუბარს, გასაგებია? — მოთხრა დედაჩემმა ისეთი ტონით, რომ ნებისმიერი ჯარის გენერალს შემურდებოდა. მას ძალიან უყვარს დირექტივები.

— არც ველაპარაკები — ვუთხარი გაბრაზებულმა — რას გადამეკიდეთ შენ და შენი ნათესავები, დამანებეთ რა თავი?! — ამეშალა ნერვები.



ერთი წლის შემდეგ კიომ თავის სახლში დარკვა: ავად ვიყავი, ცუდი დიაგნოზი დამისვეს, რომ არ შემეწუხებინეთ, არ გამეწვალებინეთ, სამკურნალოდ წავედი(რომელი ქვეყანა თქვა აღარ მახსოვს), ხეალ ჩამოვდივარ, თან რაზეც ვოცნებობდი, ის მომყავსო. აეროპორტში დახვედრაც იუარა თურმე; ამიტომაც არ შეატყობინა ოჯახს, რომელი ქალაქიდან მოფრინავდა.

კიოს დანახვა საერთოდ არ მინდოდა. სხვადასხვა მიზეზის გამო მეწყინა, მისი დაბრუნების ამბავი რომ შევიტყვე... ისიც კი არ ყოფილა, ვინც თვითონ უნდოდა რომ ყოფილიყო... დედაჩემის გარდა, მთელი ნათესაობა სიყვარულით ელოდებოდა. ჩვენი შინ დარჩენა არაბუნებრივი რომ არ ყოფილიყო, დედამ დიდი თხოვნა-მუღარით, თითქმის ძალით, მეც თან წამიყვანა.

— რა უცნაური კაცია, რა მორიდებული, ლალი, შენ მოსაკლავი ხარ... უნდა წავიდე... გრძელი მონოლოგი მედიკომ. *გენერალისთვისაა*

— ბავშვები როგორ ელოდებიან, მაღლობა გვაქვს ყველას სათქმელი, რომ მამა გადაურჩათ — გამოაცხადა ბიძაჩემმა.

— ლალი, მოსალამოვდა, ახლა ალბათ მალე მოვა. შენ შეგვებე, პირველმა კარი შენ გაუღე — დაარიგა და ეკამ.

შეიღ სათზე კიომ თავისი გასალებით სახლის კარი ვარედან გააღო.

— ახლოს არ მოხვიდეთ, ახლავე მიუწერენ ადგილს, — დაიძხა შეშოსვლისთანავე — ნახეთ, რა ჩამოვიყვანე? აქ ვერ იშოვი, ადრე თბილისის ზოოპარკთანაც მქონდა მოლაპარაკება, მაგრამ ვერაფერი გამიბრკვიეს. ეს ამსტერდამის საშუალებით მოვიძიე, იშვიათობაა, ბევრი ფული კი დამიჯდა. იქ, საგურამოში, აგარაკზე მეყოლება — თქვა და პანდას დახედა. საცვარული, უზარმაზარი, ფუფუნულა, შვეთური, სათამაშოსავით ლამაზი ცხოველი ტყავის სარტყელით ეჭირა.

ლალიმ და ეკამ ერთმანეთს გადახედეს.

— რას დავებებთ, რაკი დაბრუნდა — გადაურჩიულა მედიკომ დედას.

— ვა, ხატია, შენც აქ ხარ? იცი, რომელია ამ ბამბუკის დათვის სამშობლო? — მკითხა სასხვათაშორისოდ და არც გაჩერებულა, თავისი ოთახისკენ ისე გასწვია ცხოველიანად.

— ჩინეთი! — ვთქვი თითქმის ჩურჩულით, მაინც არავის აინტერესებდა.

— მსოფლიოს კარგად მოედუნენ, არც აქ ვუჩივით მაგათ ნაკლებობას და ახლა დათვი-ლა გვაკლდა ჩინური — თქვა დედამ. თმა თავმომწონედ შეისწორა და მივხვდი, რომ ჩემს გამო ცოცხლად შეჭამდა კიოს.

— აბა, გოგო? — შარშანწინ, ჩვენს მეზობლად ბინა იქირავა ორმა წყვილმა და უკვე რვანი არიან — კვერი დაუკრა მედიკომ.

მე ავდექი და სახლში წამოვედი, ისე, რომ არავისთვის არაფერი მითქვამს და არც არავისი „ნებართვა“ არ მჭირდებოდა.

ძლივს არ ვისწავლე, მარტივად, როგორ უნდა წახვიდე იმ ადგილიდან, სადაც არ გაინტერესებს ყოფნა?!



## მომხრობები

ასაკილის ყვავილი

თუ მთის პატარა სოფლებში გივლიათ, უსათუოდ დაგაფიქრებდათ უცნაური, აწრიაბულე-ბული მყვდროება, ხმებით საესე სიჩუმე; ჩქარი მდინარის ღელვა, საღლაც შორს... შორიდანვე – ექოსავით ყრუდ – ძაღლების დავლაეი. ხმელი ფოთოლი რა არის, ისიც კი დიდის შრიალით სწყდება ხეს.

წვიმაც სხვანაირი შხაპუნით მოდის აქ და ქარიც უფრო გულმოცემული უხუხუნებს. ის უთაბოლო ქალაქური გრიგალი კი არა – ნამდვილი, მინდორში განალაღები ქარი, ტყე-ტყე ნაწიანწალვეი, ბრძენი...

ოქტომბრის დამლევს, ერთ ასეთ პატარა სოფელში დავიდეთ ბინა მე და ჩემმა ამხანაგმა. სულ ათი თუ თორმეტი ოჯახი ცხოვრობდა აქ. მიტოვებული სახლები კი, იცოცხლეთ, ბევრი იყო.

მშენიერია შუა შემოდგომა. ყველაზე კარგიც სწორედ ამ დროს არის მთა და არა თაკარა ზაფხულში: აჭრელეებული ფერებით, თავბრულამხვევი.

ახლა კი, სიმკაცრე შევწოდა აქაურობას.

პირველად, ცოტა გაგვიჭირდა: უგზობობა, ტალახი ნაწიმიარზე, წყალი შორიდან სატარებელი... მაგრამ ერთ კვირაში ყველაფერი გაგვიიოლდა და მტკიცედ გადაეწყვიტეთ – აქ უნდა გვეცხოვრა ერთ თვეს მაინც, ჩაზამთრებამდე. აღარ მოეძებნა დიდი ბინას სხვაგან, სხვა სოფელში.

რა გვიზიდავდა ორ ახალგაზრდა ქალს ამ თითქმის უკაცრიელ ადგილას? რა და სწორედ ეს უკაცრიელობა. გათენდებოდა დილა საქონლის ზმულით, სასიამოვნოდ შემამცივნებელი ნისლით, ისე უბრალოდ... მერე მოდიო-

და საღამო – მშვიდი, სინოტივის სურნე-ლიანი და კვლავ ზანზალაკები წკარუნებდა მოლურჯო-ნაცრისფერ მკვრივ ბინდბუნდში. ხან მეჩვენებოდა, რომ რაღაცეები ბზინავდა ამ ბურუსში, მაგრამ ციციანათელები ამ დროს აღარ იყო უკვე.

ხოლო დილასა და დამეს შორის რას ვაკეთებდით? არაფერს, სრულიად არაფერს და ეს იყო სწორედ, ბედნიერების შეგრძნებით რომ გვათრობდა თითქოს.

ხან (თუ უამინდობა იყო) თბილად ჩაცმული ჩამოვსხდებოდით სახლის წინ, გადახურულში და შევეცქეროდით ფარდასავით ჩამოშვებულ წვიმას, ან გვეთო პატარა თუნუქის ღუმელი. ზედ ვწვავდით კარტოფილს... ვადლებდით ჩაის (გაუთავებლად)... არც კი ვმუსაიფობდით თითქმის, არ ვაფრთხოვდით ამ ძლივს მოხელთებულ მყვდროებას.

შიგადაშიგ, რა თქმა უნდა, გამოერეოდა მშენიერი მზიანი დღე. დავიჭერდით ჯოხს და სანამ კარვად არ შელამდებოდა, სახლში არ ვბრუნდებოდით. დავივლიდით მთელ სოფელს. იქ მდინარის სათავანაო... უფრო შორს, დღევით წამოყვებულ კლდეში, რაღაც ქვაბული იყო. არაფერი დავტოვეთ უნახავი.

ერთი ასეთი გასეირნების დროს შევხვდი სწორედ ნუკრის – ყველაზე უცნაურს, ყველაზე მშენიერსა და დამაფიქრებელს. ის კი მხოლოდ გამოუცვლელი სოფელი გოგო იყო, მაგრამ, აბა, ყური დამივდეთ...

ვისხედით მე და ჩემი ამხანაგი კლდის პატარა შეერილზე. არც კი ვიცო, კლდე დავარქვა თუ უბრალოდ ქვინი გორაკი. მაგრამ აქედან ხელისგულივით მოჩანდა სოფელიცა



და მისკენ მომავალი რამდენიმე შარავნა. ჩვენს თავზე თეთრი ღრუბლები მიცურავდნენ ნება-ნება. ამან ზაფხული გაგვახსენა. თითქოს ცხელოდა კიდეც — ქურთუკი გადავიღე. რაღაც უნდა მეთქვა და აქ ჩემმა ამხანაგმა ხელი მტაცა ხელში: სუ, ჩუმალო... და ქვეით გადამახელა. დაბლა, ბილიკზე ორნი მოდიოდნენ — ქალი და ვაჟი. ქალი მზიარულად იცი-ნოდა. ზარივით ხმაზე მივხვდით, სულ ახალ-გაზრდა იყო, თითქმის ბავშვი. მერე ის დაწინ-აურდა, ხელი აუქნია ვაჟს.

— შენს ცოლს მიხედ, ფრიდონავ, ის გერ-ჩივოს! — გავიფონეთ კვლავ მზიარული სი-ცილი და ქალი გაიქცა. ვაჟმა თვალიდა გააღვე-ნა. მგონი, ერთი მაგრად ამოიხრა, ისე, რომ გულიც თან ამოატანა.

მთელ ამ დროს ჩამიჩუმიც არ გავეილია, მაგრამ ვაჟმა უცებ ამოგვხედა, სახე შეეცვა-ლა, შერცხვნილი მიტრიალდა და წავიდა. ჩვენც შეგვრცხვა: ვიცნობდით ამ ბიჭს. მეზო-ბლად ცხოვრობდა. სულ ზრდილობით გვე-სალმებოდა. აი, ცოლი კი მხოლოდ ორიოდ-ჯერ გვინახა. თითქმის არ გამოდიოდა მინიდან. ორ პატარა გოგოს ზრდიდნენ.

რატომღაც გუნება წავვიხდა.

— ნამდვილ კინოკადრს არ ჰგავდა? — თქვა ჩემმა ამხანაგმა, — ოღონდ შუაში გაწყდა ჩვენება, როგორც სოფლის კლუბში.

წამოკრიფეთ საუზმის ნარჩენები და ჩავ-ირბინეთ ჩვენც ბილიკზე. შორიახლოს ძალიან გემრიელი, ცივი წყალი გვეგულეობდა. იქით, საითაც ქალი გაიქცა... და დავინახეთ, რომ ისიც წყაროსთან იყო ჩამუხლული და სვამ-და. შეგვაძინია თუ არა, ფიცხლად წამოიძარ-თა. წყალი კაბაზე ჩამოეწუწა. მერე ეტყობა, ამისიც მოერიდა და რაღაც აბნეულად შე-მოგვლიდა.

მივესალმეთ.

ისიც მოგვესალმა, მაგრამ დარცხვნილი იდგა. აქამდე არასოდეს მენახა ეს გოგო. შავთავშლიანი, შავი კაბით. უსათუოდ მგლო-ვიარედ იყო, მაგრამ ვისზე? წუთის წინ ისე უდარდელად იცინოდა...

— როგორ ჩამოცხა. — თქვა ჩემმა ამხ-ანაგმა, რომ გაუფანტა ეს უხერხულობა.

— დიან... ძალიან. — მიუვო გოგომ. თავსა-ფარს ისწორებდა თხელი თითებით.

— რა გქვია? — კვითხე ახლა მე. აღტაცე-

ბული თვალს ვერ ვაშორებდი.

— ნუკრი.

როგორი იყო იცით? უნაკლვდა უბრალო, როგორც ბალახის ღეროზე სხვივით მოციავე ნამის წვეთი. ყელზე შეხებული თავშალი მოიხსნა და შავ სვიტერზე ჩამოეშალა ღია-ღია ოქროსფერი თმა. მონაცრისფრო მრგვალ თვალებს ხან მე მომაპყრობდა, ხან ჩემს ამხ-ანაგს.

— რა მშვენიერი სახელი გქვია, ძალიან შეგვეფერება.

— რა ვიცი... ნუკრი კაცის სახელია და როგორღა შემეფერება, აბა? — მხრები აიჩქა.

მერე სამივე ერთად მივდიოდით სოფლისკენ. ის, ჩვენს შორის, როგორც ცირცელის ნაყოფი ფერშეცვლილ ფოთლებში, ისე ღვიოდა.

თურამეტი წლისა აღმოჩნდა. არასოდეს გამოვბოდიხართ თავის სოფელს. სულ შინ ვიჯექ, ხან ბებოს ეუვლიდი, ხან პაპას. ახლა კი მთლად მარტო ვარ, ბუკიორცივიო.

— თქვენ კი, ალბათ, თბილისში ცხოვრობთ.

— გვითხრა ბბლოს რადით.

— არა, ჩვენც სოფლებში ვართ.

— რა ვი... რომ არ გეტყობათ? — მორცხ-ვად შემოგვლიდა.

— კი, კი, სოფლებში ვართ. ოღონდ ბარის სოფელიდან.

მანაც უნდობლად შეგვაკვებდა თვალს.

მეორე დღეს, თავი დავიჭირე, რომ უჩვეუ-ლო ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი მოპირდაპირე ეზოში მოტრიალე ფრიდონს: საქონელი გამოიყვანა, გაუშვა შარაზე. მერე შემას ჩეხავდა კარგა ხანს. მისი გოგოებიც იქვე დაცუნტულდნენ, მთლად შებუღრულე-ბი თბილ ტანისამოსში. მამა ხან დაუტყვედა: ნაპობი არ მოგვხედეთ, იქით გაიწიეთ. თვი-თონ ჭრელი ნაქსოვი სვიტერის ამარა იყო. ძლიერი და ლამაზი აღნაგობა ჰქონდა. გან-საკუთრებით, დაკაპიწებული ღონიერი მკლავე-ბი გვეცემოდათ თვალში.

უცებ ჩემსკენ გამოიხედა. დამნაშავესავით შემტბარმა სასწრაფოდ დაეუშვი ფარდა.

სალამოს ნუკრის ეწევიეთ. უკვე ვიცოდით მისი სახლი — პატარა, სულ სამი ოთახისგან შემდგარი, ისიც შეუღესავ-შეუღესავი. აი, სად ცხოვრობდა ნუკრი. მაგრამ აქაურობა მანაც სისუფთავით ბზინავდა. მორეცხილი ფიცრის იატაკი რომ არ დაგვესვარა, ფეხსაცმელები

კართან დავტოვეთ, თუმცა შეწუხებულმა მასპინძელმა ამაზე თავი მოიკლა.

არ ვანებდით და მაინც ისე მარდად დატრიალდა. გამოალაგა თუკი რაიმე საუკეთესო და ნუგბარი გააჩნდა. ჩვენც მოტანილი გვქონდა ყავა, ქალაქური ნამცხვარი...

შუკი ჩაქრა და სანთლებს მოუკიდა. ამ სანთლების შუქზე ვისხედით თითქმის შუალამემდეგ. ამ სანთლების შუქზე, ჩვენი მასპინძელი, ხელეზე ნიკაპდაყრდნობილი, მოუცილებელი ღიმილით, თვალგებარწყინებული შემოგვეტროდა.

- სულ მარტო როგორ ცხოვრობ, ნუკრი?

- ეჰ, არც კი ვიცი... - ამოიხრა და მერე ისევ გულიანად შემოგვიღმა. - არაფერი მყავს ქვეყნის გულზე და აბა, სხვაგან სადღა წავალ?

ძალიან მინდოდა, ისე მინდოდა მეთქვა, მე წაგიყვან, ჩემთან ვიცხოვროთ-მეთქი, ნუკრი, მაგრამ ეს ზომ ტყუილი დაპირება იქნებოდა ან რა უნდა მიმეცა მისთვის, როცა სიზმარშიაც კი თავს ქანცაწყვეტილ მოხეტიალედ ვხედავდი, უდაბნოს მტვერში რომ ეცემა... მიდის, მიდის და ძირს ეცემა, ღონე აღარ აქვს...

მაინც ვუთხარი: - შენ აუცილებლად უნდა ნახო ქალაქი, ნუკრი... კინოში გადაგიღებენ. - და იქვე ვიკბინე ენაზე - სადღა იღებენ ახლა ჩვენში კინოს...

- ქალაქი, - გაიმეორა ნუკრიმ, - ქალაქი... სულ არ ვოცნებობ სადმე წასვლაზე, მაგრამ აქაც რომ სული მეხუთება? - ამოგვხედა თავისი სააგდრო და მაინც წმინდა ცასავით თვალებით, გრძნეული ქალივით იდუმალმა და მომხიბვლელმა - ვერა, ვერსად წავალ... - თქვა ისევ ფიქრით.

გვეხვეწა, დარჩით, დარჩითო, მაგრამ მაინც წამოვედით სახლში. ფარნით ვინათებდით გზას. რაღა შუალამე... სადაცაა, მამლები იყვილებდნენ.

- ლამისაა, შეენატრო ამ გოგოს, - მითხრა უცებ თეომ, - ჯერ მაგას ნამდვილი იმედგაცრეება არ უნახავს. სიღარიბეც, ამ მიგდებულ ადგილას ცხოვრებაცა და ისიც, რომ ცოლ-შვილიან კაცს უყვარს... ყველაფერი მაინც კარგია... ან არც ისე ცუდი. მართლაც, არც ისე ცუდი...

ცოტა ხანში სანანებლად გავვიხდა, რომ ნუკრი ჩვენთან მოვიპატივეთ. ეჰ, გვეთხრა, ფრიდონის ცოლს არ ესაიძოვნება, თუ რაიმე ნახავს, მაგრამ რას ვიფიქრებდით, ასეთ ამბავს თუ დააწვედა ეს საცოდავი, ვითომ უერო ქალი.

ახლაც თვალწინ მიდვას. ნაწვიმარია. ჩვენი სახლის წინ, ატალახებულ გზაზე ჩაივლიან შეხნიერებული გლეხები. ერთს მხარზე ცული გაუდევს. ამით ძუნძულით მოჰყვება ბებერი, ნაცრისფერი ნაგავი. ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება ნუკრი, შავი თავსაფრით. უმკლავებო ცხვრის ტყაუჭიცი ვერ ფარავს იმის შოლტივით ტანის ნაკეთებს. ჩვენ აქედან შევლიდით. აბა, უნდა გამოსცდეს ჩვენი მეზობლის სახლს, რომ გამოვარდება შარაზე მალაღლი, ხმელი ქალი, სწყველის ნუკრის. მერე ქვასა და ტალახს დაადევნებს.

ნუკრი კი არ გაიქცევა, თითქმის წყველისგან ქვადქვეული იყინება ერთ ადგილას. ჩვენ გავრბივართ, მაგრამ ქალი უკვე ჩქარი ნაბიჯით მიბრუნდება და შემთავლება სახლში.

ნუკრი ცეცხლთან დავსვით, გავუწმინდეთ კაბა, მოვბანეთ შავი ლაფის წინწკლებით მოსერილი სახე. არ ტიროდა, არც გაჯავრებული ჩანდა. გაოცებული უფრო იყო, პატარა ბავშვივით გაოგნებით თვალგადაიდებული.

- ღმერთმა ზომ იცის, რომ უცოდველი ვარ ამ საქმეში. - გვითხრა ბოლოს.

მამინ გავიგეთ, რომ ფრიდონი აქაური კი არ იყო, ჩამოსიძებინათ. ცოლიც ლამაზი, ისიც-თორმეტი წლის ნუკრიმ ბევრი იცეკვა მათ ქორწილში.

მერე რა მოხდა? სულ ცოტა დრომ განვლო, მაგრამ ამ მოკლე ხანში მთელი ცხოვრება შეტრიალდა - ნუკრიმ ტანი აიყვარა, ნამდვილ ქალს დაემსგავსა. თან გამოსცადა ობლობა, სრული მარტობა... სანამ ფრიდონის ცოლი კარგად იყო, ვათისგან არაფერი უგრძენია. მაგრამ მერე ქალი თვალდახელშეა ჩამოდნა, დაუშწოვდა. სულ ეჭვიანობდა, სიცოცხლეს უწამლავდა ჩხუბით ქმარს. ბავშვებსაც არ ზოგავდა თურმე.

აი, მამინ კი...

- მებრალეობოდა... კაცი არ უნდა შეიბრალო? არ ვიცი, რა იფიქრა. აგერ, მერე წელია, რაც ლანდივით სულ თან დამდევს. მე კი



არაფერს შეეპირებოვარ. ხომ გვერათ ჩემი?

- შენ ის არ გიყვარს, ნუკერი?

- არა, არა, - წამოდგა და აღელვებულმა გაიარ-გამოიარა ოთახში. თვალბეჭდით უცხო რამ ცეცხლი გაუკრთა - სიამაყის, აღშფოთების, მაგრამ მალევე შეეცვალა გამომეტყველება, ჩვენსკენ მოაბრუნა აღელვებული სახე. ტუჩები უწყურად უთრთოდა: - ასე უფრო ძნელია, გვეცებით... მაინც როგორღა ვიცხოვრო? რაიმე აზრი უპოვეთ ჩემს საწყალ ყოფას... თქვენ ხომ უფრო იცით...

ჩვენ კი მხოლოდ უხმოდ ავარიდეთ თვალს.

აბა, სადაცაა მიიღოდა ნოემბერიც, უფრო მეტი მღუშარება შემოადგა სოფელს. მიიღო დაკმინდა სული ვიწრო და კლაკნილ კალაპოტში მომაგალმა წყალწმინდა მდინარემ. მონუკებისგან გაეფრთხილა, რომ ასეთი სიჩუმე დიდ ზამთარს მოასწავებდა.

ისევ გამიხსენა უძილობა.

გამთენიისას, ისე, რომ ჯერ კიდევ ბნელოდა, ფრთხილად წამოვდგებოდი, ვანთებდი ღუმელს. თეოს ამ დროს მშვიდად ეძინა.

ერთ დღეც - რაღაცნაირად, ცუდად ჩამოსტროდა ცას პირი - ფრთხილად გამოვიხურე კარი, ჩამოვიარე სამსაფეხურიანი კბე, ფრთხილადვე მომქონდა წყლის ჭურჭელი.

ციოდა.

შარაზე გამოვიდი თუ არა, პირისპირ შემომეფეთა ჩვენი მეზობლის ხუთი წლის გოგო - გულამომჯდარი, ტირილით. ძლივს გამაგებინა, რომ დედამისი იყო ცუდად.

ასე მეგონა, გასული საუკუნის რომელიმე გულისმომკვლელი წიგნის გვერდებს ვეფურცლავედი, როცა გადავაბიჯე ფრიდონის სახლის ზღურბლს. ბნელოდა, ბნელოდა. ქეის კედლებზე აქა-იქ გაყვითლებული გაზოთები იყო გაკრული. ერთი რაღაც საცოდავი რკინის საწოლი ედგათ. შავი კარადა, მთლად დაფუტრული. დიდი მრგვალი მაგიდა - დახეული, ძველი სუფრით...

არც ღუმელი დაენტოთ ჯერ... პერანგისმარა უმცროსი გოგო ხმაგაქმნიდა იდგა კედელთან. ფრიდონის ცოლი მკვდარივით უძრავად იწვა. შუბლზე დავადე ხელი. გაყინული სახე ოფლით დაცვაროდა. თვალი გაახილა.

ახლა არაფერი აღარ მიჭირს. დავაშინებ ბალები. - თქვა წყნარად.

არ ვიცოდი, რით დავხმარებულა.

აქ სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. შემას წამოვავლე ხელი. ძებნა დავუწყე ასანთს. დიდი წვალებით მოვუკიდე ცეცხლი.

ქალმა ლოგინში წამოიწია. შეწუხებული მადვენებდა თვალს.

ჩაი მივაწოდე. უსიტყვოდ დამემორჩილა, მაგრამ ხელები უკანკალებდა.

ჩემი ტოლი თუ იქნებოდა - ოცდახუთი ან ოცდაექვსი წლის. უმოწყალოდ გათელილ გარეგნობაში მაინც რაღაც შემორჩენოდა ყმაწვილური.

- თქვენ აღბათ გგონიათ, ერთი ბოროტი დედაკაცი ვარ, - მითხრა საცოდავი ხმით, - ქვებით დავდექ ხალხს... მეც მქონდა ჩემი საოცნებო... სულ ასეთი კი არ ვიყავი... ავადმყოფობამ გამტეხა.

- უნდა როგორმე მიმართოთ ექიმს... ასე არ შეიძლება.

- არა... აბა სადღა გვაქვს მაგის საშუალება. მოვკვდები და მოვკვდე... დავისვენებ მაინც... - და ფართოდ გახელილი შავი თვალებიდან ღვარად დაედინა ცრემლი.

კედელთან ატუზული გოგოებიც ჩუმად აზუზუნდნენ.

- დედა მოგიკვდეთ, ჩემო საწყლავო...

აღარ შემეძლო აქ გაჩერება. გარეთ გამოვიდი, მივეყრდენი კარს და უცებ ისეთი ამბარბენი მჭყენა ყოველივე: საჭინლის სუნით გაჯერებული ეს მოუვლელი ეზო, ეზოს გადაღმა - ატალახებული შარა. სოფლის თავზე შავად ჩამოღუშული საავდრო ღრუბლები...

- წავიდეთ აქედან, - ეუთხარი ჩემს ამხანაგს, - სადაცაა თოვლის ჩამოპყრის. მერე, ვაითუ, გზები ჩაიკეტოს და ჩავრჩეთ ამ დიღვში.

მან გაოცებით შემომხედა.

- რა დავემართა? ხომ კარგად ვვრძნობდით თავს აქ?

იმავე საღამოს შეგკარით ბარგი. წინ კიდევ გვექონდა მთელი ორი დღე, მაგრამ ახლა იმ მოლაშქრეებს ვგავდით, დასასვენებლად რომ დასცეს კარავი, ხოლო გონება და თვალი ახალი დასაპყრობი სიმაღლისკენ მიუძობთ უკვე.

ნელა კეთხოვებოლით კეთილ მასპინძლებს. მთელ ამ პატარა სოფელს ვიცნობდით თურმე. გულისამაჩუყებელი იყო, როგორ გამოხატავდნენ სინანულს — მოგვეჩატრებოთ... არ დაგვიფიცოთ... უნებურად სიამაყით და სიხარულით გვესებოდა გული და აცრემლებულ თვალებს უშალავდით ერთმანეთს.

როცა მანქანამ ამოგვაკითხა, რაღაც უცნაური ამინდი იდგა. გაბრუებული ვიყავი უძილობით, ამ არეული დღითაც... თითქმის ფიზიკურად შევიგრძენი, რომ უსათუოდ გათოვდებოდა.

მსუბუქი ნისლის ნაფერთალში გავხედეთ სოფელს. ნუკრი ჩვენთან იყო. მომაგონდა მისი მუდარა: „როგორ ვიცხოვრო?.. თქვენ ხომ უფრო იცით...“

არაფერიც არ ვიცოდით... მხოლოდ უსიტყვოდ ვეხვეოდით. და კვლავ მინდოდა მეთქვა: ჩვენთან წამოდი-მეთქი... ესეც ამაო იყო...

— შენც უძილო ხარ, ნუკრი? — ესღა კეთხე, რადგან სახე მთლად ჩატეტკოდა.

თავი გადაიქნია, გაღიმება სცადა.

— მომეწყინება უთქვენოდ...

მის მიღმა, შორს, ლანდით ვხედავდი თავის ეზოში გაშეშებულ ფრიდონს. ვიცი, რა ძალაც აჩერებდა ასე უძრავად. თითქოს დავიანახე მისი მზერაც.

მთლად განაცრისფერებული ცა მაინც ისეთი გამჭვირვალე იყო... უნებურად დავაკვირდი ნუკრის და გამეღიმა: მისი თვალებიდან

ზუსტად ისე იღვრებოდა იდუმალი სინათლე, თითქოს ძალიან შორიდან, სიღრმედან... მთლად მოსახელთებელი და მაინც დაამატებდნენ ბელი.

უკან დარჩა მოხვეული ვიწრო გზა. დავეშვით ქვევით. თანდათან გვშორდებოდა მძიმე და წმინდა მწვერვალი. გაჩუმებულები გავცქეროდით საქარე მინაში გამალებით მბოლავ ხეტებს, გადმოშვრილ ფლატებს, აქა-იქ ფოთლებშერჩენილი ტყის კიდეებს. და უცებ ისევ ვიგრძენი, რომ გათოვდებოდა. ეს უკვე ნამდვილად ჰკავდა ზამთარს.

მუსიკა ჩართეს... სრულიად სხვა, შეუსაბამო... და ფიქრებმაც სხვა მხრივ დაიწყო დენა... მხოლოდ ცოტა ხანს. მერე კი ისევ დავუბრუნდი ძველ მოტივს...

მეჩვენებოდა, რომ ტყის ნაპირებში, ხან აქ, ხან იქ, ალივით გამოანათებდა და მერე ისევ ქრებოდა ტანკენარი ქალის ლანდი, მხრებზე დაფენილი ოქროსფერი თმით.

ნუკრი მართლაც რაღაცით წააგავდა გამოგონილი სამყაროს მკვიდრს.

მაგრამ ყოველთვის, როცა მასზე ვფიქრობ, თვალწინ წარმომიდგება ასკილის ნაზი, ვარდისფერი ყვავილი, სვიარა, ეკლიან ბუჩქზე უკაცრიელი, უდაბური ველის შუაგულში, სადაც არაეინ ხედავს მის ფრთხილ სუნთქვას (სუნთქვის დანახვაც შეიძლება) და მხოლოდ ქარი აძრწოლებს, ნელა აცლის უნახეს ფურცლებს...

### მონადირის უკანასკნელი ფრენა

ეს მდინარე აქამდე არასოდეს მენახა. კუპრით შავი, მღოვრე, როგორც წვიმის მერე გაჩენილი გუბე და ამ სიმღოვრით უფრო შემზარავი... თანაც, ისეთი ფართო, რომ იმის გადაღმა ნაპირს ძლივს ვაწვდენდი მზერას.

სად იყო ჩემი ვიწრო, სიბი ქვებით ამოვსებული, რძესავით თეთრი და თავქვე გამალებით

მიმქოლავი სწრაფი მდინარე? ზოგჯერ, დიდი წვიმების მერე, გველუშაბით ღონივრად იჩქვდა ტანს და მძვინვარედ ჰყეფდა... მაშინ მე კიდევ მეტად ვტკბებოდი მისი ცქერით. ჩვენ ძმები ვიყავით — თანშეზრდილები. რამდენჯერ გამიგრძობებია ნასიცხარი სხეული კალმახებიან ჩქერებში და მერე წყლიდან ამოშვრილ

ბრტყელ, ნაცრისფერ ლოდზე ხელიკეთით მიმ-  
იღულაეს თვალი, ორიოდ წუთით...

ახლა აქ უცხო სიჩუმე იდგა. და თუმცა  
გულაძებრებული, დიდი ყლუპებით ენთქავდი  
პერს, ვერ ვგრძობდი იმის ჩვეულ, მაღლიან  
გემოს. თავი მიწაზე მდლო — მიწა არ იყო.  
მაღლიდან ცა დაბურებდა და ცას არა  
ჰკავდა. იქნებ უკვე საიქიოს უფსკრულში  
ვედღე?

ამ მწარე ფიქრებში რომ ვიყავი, უეცრად  
ფრთების ავი ტყლაშუნი გაისმა და ჩემს  
თავზევით ბუზისტოლა წერტილებმა საშინე-  
ლი სისწრაფით იწყო ზრდა, მერე კი შავი  
ჩრდილები გადამიფარა. სვაკები იყვნენ.  
მოტიტვლებულ საზიზღარ კისრებს იწვდიდ-  
ნენ ჩემკენ. მათი ბებური წინამძღოლი მკერ-  
დზე დამაჯდა და შიგ თვალში ჩამინისკარ-  
ტა..

შეგვირე და თვალი გაეახილე... სიზმარი  
ყოფილა. მაღლობა, ჩვენი შემქმნელო, რომ  
ბინძური სვაკების წერა არ გამზადე. სიზმარი  
როგორ არ მინახავს, მაგრამ ასეთი ცხადზე  
ცხადი — არასდროს. ნეტავ, რას უნდა ნიშ-  
ნავდეს...

ძლივს წამოვდექი ბარბაცით. ფლატზე ვწო-  
ლილვარ. თანაც, ისე განაპირას, რომ ქარის  
ძლიერი წამოქროლება და ხრამში მოვადენდი  
ზღართანს. აი, იქ კი გამართადენენ დღეობას  
ნადირ-ფრინველნი, ვისზეც აქამდე მინადირია  
და სინსილა გამიფლიტავს. ვინ იცის, შმიშარა  
არჩეიც ჩამოსულიყო და ხაოიანი დრუნით  
ფიქრიანად დავესუნე... ან, ისეთი ჭრელი, დიდი  
გველი, მე რომ წელში გავეწყვიტე ორიოდ  
კვირის წინ — მოცურდება და შხამიან ენას  
გასასვსავეს სიხარულის ნიშნად.

ახლა ეხვდები — ბევრს ვჟულდი. ვინ რას  
მიშავებდა, მე კი ყველას ვემტერებოდი: ზოგს  
შესაჭმელად, ზოგს მონადირული ფინის გამო,  
ზოგიც ისე, გასართობად გამომისალმებდა სი-  
ცოცხლეს... მეგონა ყველას თავგანი უნდა  
ეცა ჩემთვის. მე ვიყავ ერთადერთი მბრძანებე-  
ლი და სხვა დანარჩენი — მიწაზე მხოზავი  
არარობანი... მაგრამ აჰა, დადგა დღე, როცა  
თვითონაც ისეთი უმწეო ვარ, როგორც მტრე-  
დის შეუპოვებლავი ხუნდი. გოროზი მთების  
პირისპირ, მარტოდმარტო...

სადღაც შორს დამჩნა საცხოვრებელი. შინ

ვერ მივალწვე. იქამდე ძალიან ძნელი გზაა —  
ოდესღაც ერთი ამოსუნთქვით გადასვალაზი.  
ახლა მთავარია, ცოტა უხიფხაფად წადგინდე  
შეგარჩიო მოსასვენებლად. აი, იმ მხარეს, პირ-  
ით თოვლიან მწვერვალისკენ, ღრმა, მყუდრო  
ნიშანია. იქ თუ მივალწვე, უშიშრად შევის-  
ვენებ, მოვითქვამ სულს. იქედან ქარიც ვეღარ  
გამომაძებებს და გვებ თვალი ისევ მივულლო.  
ძილი წამალია ჭრილობების დროს. ოღონდ  
უსიზმრო, მშვიდი... კიდევ კარგი, რომ ჩემი  
ღონიერი ფეხები უწვებლად შემჩრა... წონას-  
წორობას ძლივს ვიცავ, ზურგით ვეგრძნობი  
ციე კლდეს — პირველად, პირველად სიცოცხ-  
ლეში, მეშინია ძირს გადახედვის — გაუფრთხ-  
ილებული მოძრაობა და ფეხქვეშ თითქოს  
იშლება საყრდენი, წვრილი ღორღი ცვივა  
ქვევით, უფსკრულში. ზვეიდანაც ქვების წვიმა  
წამოვიდა ერთი-ორჯერ და მტკიან მხარზე  
მომხვდა. თვალები ამეწყვა, მაგრამ მე ხომ  
ცრემლი არ ვიცი რაა და მხოლოდ სწრაფად  
დავახამხამე. იმათ რა უშავთ, ვისაც ტირილი  
შეუძლია. აი, ის შუნი, ჩემი ბოლო ნანადირე-  
ვი... სულთმობრძავს თვალი თვალში გავუ-  
ყარე. ცრემლები ყვლზე ესკვნებოდა. მერე ენაზე  
მაკედ ყოფილიყო. ამიტომ ჰქონდა ცხელი და  
წებოვანი სისხლი... გამახსენდა ეს და ნაცრო-  
ბი სიმლაშით ამევსო პირი. ოღონდ ეს ჩემი  
საკუთარი სისხლის ვემო იყო.

არა, ამისთანა რამებზე არ უნდა ვიფიქრო.  
რა საჭიროა ახლა ფიქრი — ტკივილზე, სისხ-  
ლზე, მარტოობაზე... მთავარია, მივალწო ჩემს  
უკანასკნელ თავშესაფარს. თუმცა, რატომ  
უკანასკნელს? განა უფრო დიდი განსაცდელის-  
განაც არ დამიღწევია. თავი?... ამ მოვონებით  
გამხნევებული მიეფროთხავ ციცაბოზე. ერთ-  
გან ძლიერად შევქანდი და სიმწრით ჩამოე-  
გაზე კლდე. მეგონა, რომ საზე დაეკარგე და  
რალაც უცნაურ ქმნილებად გადავიქციე. ნე-  
ტავ რად? ალბათ, ერთიანად ბასრ ბრჭყალე-  
ბად... მაგრამ დაე, ასე იყოს. ოღონდ ნუ მოეწ-  
ყდები საყრდენს და მეც ქვასავით ნუ წავალ  
ძირს. ოღონდ მივალწო...

იქ, ნიშის პიტალო კედელზე, ცრემლივით  
წანწკარით ჩამოდის წვრილი ნაკადი ვანმკურ-  
ნავი, გემრიელი წყლისა. გრილი, მსუბუქი...  
მისი ერთი ყლუპისთვისაც კი ღირს პირდაღე-  
ბული ნაპრალების არად ჩაგდება.

გუმინ ამ დროს საღი და უენებელი, ნელა დავაბიჯებდი გაშლილ ველზე. მწყემსებს ცხვარი გამოელაღათ. ერთმა მწყემსმა შუბლი მოიწრდილა და შორიდან დამაკვირდა. მისი ვეება ქოფაკი კი ტუნძულით წამოვიდა ჩემკენ. ნელადვე, აუღელვებლად გავცილდი იჭაურობას. ძაღლების არ მეშინოდა. მეგლმა რა მიყო, ძაღლმა რა უნდა დამაკლოს, მაგრამ აქ შეჩერება და ახალი ნაცნობობის გაბბა არ მსურდა — ნადირობის დაუწერელი კანონი მიკრძალავდა ფუჭად მფულანგა დრო. მე ვნადირობდი ნადირობისთვის. მუდამ ასე იყო...

რამდენიმე ნაბიჯიც და გამოჩნდა კლდის „ფულური“... ერთხელ აქ ორი ღამე გავატარე თოვლიან ზამთარში. ახლაც მიმელის ამორმავებული გულით. საღი მხარით მივეყრდენი შესასვლელს და წამით თვალი მოვაველე უფსკრულიდან ამოწვილ მყინვარს, მერე კი ტორტმანით შევედი გამოქვაბულში. მოულოდნელმა სანახაობამ გამაშეშა. ადამიანი! აქ, ამ ადგილას!... მგონი, შევეცვირე.

თვალები გაახილა და შემომხედა. არ ვიცი, რამდენი დრო გავიდა, რაც ერთმანეთს შევეცქეროდით.

— დაჭრილი ხარ? — მკითხა ტკბილი ხმით. ასეთი არაფერი გამიგონია. თითქოს გამდნარი ცვილი მელვრება ყურებში. — როგორ მებრალები.

ქალი ყოფილა.

— რა გქვია?  
რა უნდა მეთქვა? ვლუმდი, როგორც სიპის ნატეხი. გული გამაღლებით მიცემდა და საფეთქლებთან თითქოს ზარი რეკდა: „იქნებ ის არის?!“. ხომ მიახმობდნენ, რომ ის არსებობს. მწვერვლებში ცხოვრობს და მარტოხელა მონადირეებს მასპინძლობს, კერასთან ათობს, აპურებს, რომ მერე ჯადოთი შეკრას, შებოჭოს... მისი აღერსი ცეცხლზე უფრო სახიფათოა, მისი თმები — აღზე უფრო მანათობელი...“

მაგრამ აქ ნალვერდალიც კი არსად ბეუტავს. ცოცხალი ნახევრად ბნელ წიაღში კედელს მიყრდნობილი ზის ეს ქალი. მოკლედ შეჭრილი თმაც ბნელი აქვს — ყონნის ბოლოსავით. და მიყურებს, მიყურებს...

— გშა? გწყურია? — აღერსით დაბუჭა თვალები. — მეც... იცი, როგორ? მესამე დღეა,

აქ ვარ, ფეხმოუცვლელად, თიხის თოჯინასავით. ასეთ აკლდამაზე ვერავინ იოცნებდა. მიწისგან ასე შორს...

ნელა გაიღმა და თავი ჩააკიდა.

— რა კარგია, რომ მოხვედი... მე არ გელოდი. შენ არა... იმით ველოდი, სხვებს. ჩემს ამხანაგებს. მაგრამ არ ჩანან. — ხელისგული ჩამოუსვა ნესტიან კედელს. — ქვებს ვლოკავ, მაგრამ მათი სისველე წყურვილს არ მიკლავს. მტყვენება, რომ ცრემლების ვემო აქვს... ანდა, ნამდვილ წყაროს რა გააჩენდა ამ სიმაღლეზე... შენ რამ მოგიყვანა აქ?

გაცინება რომ შემძლებოდა, გავიცინებდი.

— ჰოო, — თვითონვე ჩაეცინა. — ალბათ, ფიქრობ, მე საიდანაა გაეჩნდი, არა? რატომ გამოიშწია გულმა ამ მწვერვალისკენ... მაგრამ არ შემიძლია მოყოლა, ხმა მალაატობს... მოდი, შენზე მითხარი რამე.

მინდოდა მომეყოლა ჩემი ამბავი, მაგრამ პირი სისხლით მვესებოდა. თავი გვერდზე მივაბრუნე და ამოვახველე.

— არ ვინდა, რომ გამომხილო... კარგი, შენი ნებაა. — მსუბუქად ამოიოხრა. — იცი, სულ არ მეშინია შენი... წელან, ხმაური რომ შემომესმა, ჩემს ამხანაგებზე არ მიფიქრია, რაღაც უცნაურ არსებას ველოდი, თოვლის კაცს, ან... — ისევ გაიღმა, — მერე კი შენ დაგინახე და ჩემი მარტოობაც დამთავრდა.

მე კი ჭრილობა მეწვოდა და ძილი მსურდა...

ისევ ვნახე სიზმარი. ჩემი შვილები, ჩემი პატარა შვილები მეხვეოდნენ თავს, შეწუხებულნი... მისინჯავდნენ წყლულს... ცა იყო ძალიან ნათელი. თეთრი ღრუბლები წეროებივით მიკურავდნენ. მერე კი ჩემი შვილებიც ღრუბლებივით განიმქრნენ ცაზე. და ვითომ ვიცოდი, რომ სამუდამოდ ვეთხოვებოდი.

ღილით ბასრი ნისკარტივით მკორტნავდა ტკივილმა გამომაღვიდა.

ქალი ისევ ისე მომწერებოდა და შემგრცხვა ჩემი უძლეური ძილის. მწყუროდა. გამშრალი პირით დავკებდი წყლის წვეთებს კედელზე.

— ჩვენ ორივეს ერთი ბედი დავგვეწერა ალბათ, — ჩილიაპარაკა ქალმა დაბალი ხმით. — მთელი ღამე შენს სუნთქვას ვუსმენდი. მეშინოდა, არ მომკვდარიყავი... მაპატიე, სასიკვდილო რა გჭირს... უბრალოდ, აღარ

მინდა, რომ ისევ მარტო დავრჩე. შენთან კარგად ვგრძნობ თავს. თითქოს მგარველად მომვლინე და თანაც, უნდა მოვიარო... იცი, ყოველთვის მსურდა ამ მწვერვალის დაყვრობა... შენ ამას ვერ გაიგებ. არ გეწყინოს, მაგრამ ეხვედები, რომ სულ სხვა ჯურის ხარ — მონადირე — ხომ მართალია? მე კი მთებისკენ რაღაც ძალა მეწეოდა. ისე ღონივრად, რომ წინააღმდეგობას ვერ ეუწევდი...

უნდა მეთქვა, რომ კლდეზე ცოცხა, თანაც ქალისთვის, ნამდვილი უგუნურებაა, მაგრამ დაინდევ, შეშვარალა.

საღამოსთვის ტკივილი მიბუნდოვნდა, როგორც ის ჩამავალი სხივები, ნელ-ნელა რომ გაიცრიცა შემოსასვლელ თაღთან... ახლა მე ცოტა უკეთ ვგრძნობდი თავს. არც შიმშილი მაწუხებდა, არც ჯავრი იმისა; თუ როგორ დავაღწედი თავს აჭაურობას. მშვიდი სევდით ეფიქრობდი სიზმარზე — შეილებზე. და ეს ერთადერთი იყო, რომ მათ მომგონს საშინელი ყვირილი არ აღმომხდენია... რისხვად არ დავტყუებარ ყველას, ვინც კი თვალში მომხედებოდა ამ გაუსაძლის წუთებში.

აქ ვისთვის უნდა ვადმოძინებოდა მრისხანება? ეს ქალი ჩემზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. ძველ ადგილას ერთგულად მჯდარი — ფეხი ჰქონდა მოტეხილი და ოდნავი მოძრაობაც კი ტკივილს აყენებდა — მიყურებდა და კვლავ მელღუნებოდა ბალახის შრიალივით სასიამოვნო ხმით. ოღონდ ხმა თანდათან უსუსტდებოდა... და მე ვუწუხდი, რომ ასეთი უმწეო ვიყავი — ვერ ვუშველიდი. მაშველები კი არსად ჩანდნენ.

არავითარი ხმაური არ არღვევდა მყუდროებას. ბუნებაც დუმდა. ქალს კი ეჩვენებოდა, რომ ვერტმფრენის გუგუნის მოახლოვდა, ან ვიღაც იძახდა მის სახელს: — „გემის? გემის?... მეძახიან!“

მე ვიცოდი, ახლა ნისლი ჩამოწვა და ასეთ დროს შეუძლებელია, ადამიანი რამეს გახედეს მწვერვალთან. რა თქმა უნდა, მისთვის არაფერი მითქვამს. მთასვლელის წრიაპიანი ფეხსაცმელი გაეხადა და სქელ, ნაქსოვ წინდებშიც კი ეტყობოდა, ცალი წვივი როგორ შესიებოდა. წინდებზე ფიფქები იყო ამოქარგული.

მე მის ფეხსაცმელებზე ვბრაზობდი, როგორც ცოცხალ არსებებზე.

მეორე დღეც ჩაიდრა ნისლი. მაგრამ ქალი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, იმდენად მოულოადა ვილაცას.

— ყველამ შეიძლება მიმატოვოს, გემის? — მითხრა მინც აცრემლებულმა. — ყველამ შეიძლება იმედი დაკარგოს, მაგრამ ის... ის მარტო წამოვა, ფეხით წამოვა, ყოველგვარი თოკებისა და წერაყინის გარეშე. და ვიცი, მიპოვის. ის არ დაიჯერებს, რომ შეიძლება ნაპრალებში ჩავევარდი და გაუწინარდი.

მორიდებით ჩავახველე. მაშინვე მოიწმინდა ცრემლი.

— განა შენ არ გელიან? შენზე არ ფიქრობენ? ოჯახი ხომ გყავს... ისინი, ვისაც უყვარხარ, ვინც გიყვარს!

ალბათ, თვალები ამწიო, რაღვან შეცბუნებული უფრო მიეკრო კედელს.

— მაპატიე... არ ვიცი შენი ამბავი. იქნებ მარტოხელა ხარ... მაგრამ შენ სულ არაფერს მტყუები... — და ცოტა ხნის დუმის შემდეგ, ისევ, — მართლა არავინ გყავს?

მყავს... მყავდა... მაგრამ რა საჭიროა, ამ ქალს, თითქმის სულ ბავშვს, ვუამბო რამე. ვითომ გამიგებს? ანდა, რატომ გამოვადვიდო დიდი ტკივილი, სამარესავით მიწა და ბალახ-ბულახი რომ მიეყარე კარგა ხნის წინათ.

სამი დღე გასტანა ნისლმა. ჩვენ უმოქმედოდ, დადუმებულები ველოდით... ნეტავი რას? და როგორც იქნა, გამოთენისას, თვალწინ ავეფრიალდა მოკრიალებული ცის ნაკვერი.

— მოდი, გარეთ გავიდეთ, — მომესმა ქალის ნაწვეტ-ნაწვეტი ზურჩული.

ჰმ, გარეთ!.. არც გაუნძრეულვარ. კარგა ხანს ვდუმდით. შევამჩნიე, რომ სახეზე თანდათან უცნაური ფერი დაედო, არამიწიერი.

— იქ, ქვემოთ თვალუწვედნელი უფსკრულია, ხომ? — ძლივს დააშორიშორა შეწეებული ტურები. — იმ უფსკრულამდე კარგა ხნის საფრენია... მასწავლე ფრენა, რაც იქნება, იქნება.

გაოცებით შევხედე.

— შენ ხომ კლდეების შვილი ხარ.

მუქი თვალები მთლად ნაცრისფერი გაუხდა და უცებ გამახსენდა ჩემი ცოლის თვალუ-

ბი... აზრებული ბუდე და ჩემი ერთგული თანამგზავრი, ჩემი მეუღლე... ახლა ის ფიტულია და მონადირის კართან არის გაკრული გაშლილი ფრთებით, შუშის თვალებით... მე თვითონ ვნახე.

— მასწავლე ფრენა... ვითომ შენი მართვე ვარ, კარგი?

მხარზევით დაეხედე მოტეხილ ფრთაზე. მზერა შეშეყინა.

— ეგ არაფერი. დაივიწყე. მეც დაივიწყებ, რომ ფრთები არ მაქვს. ნახე, რა ცაა. არ მოგენტრა?

ნიშიდან გარეთ გავედი. ცა მართლა დაუსაბამო იყო და ცის გარდა აღარაფერი ჩანდა. ქალი მძიმედ, კოჭლობით გამომყვა. ზედ

უფსკრულის პირას ვიდევით. ქალმა ცას გაუღი-  
მა და მერე მე შემომხედა. თავი დაკეუქნივ და  
ფრთები გავშალე...  
გინჯიროთქა



მეორე დღეს მაშველები მოვიდნენ. ვერტმ-  
ფრენი დიდხანს გუგუნებდა მწვერვალეში.  
ქალის კვალს ვერსად მიაგნეს. რა იცოდნენ,  
რომ ის იქვე, გამჭვირვალე და წმინდა ჰაერით  
მთვრალი, უჩინარი ფრთებით ევლებოდა მთებს  
თავზე. მას, როგორც მართევს, ყვილით, ყე-  
ფით ამხეცებდა კლდის მარტოხელა, ღონიერი  
ლურჯი არწივი.



## „მოგონება შორისა“

(1947 წელი)

პიესა

ერთსართულიანი სახლის მოხრდილი სახაღი-  
ლო ოთახი, წინ აივანი, და იქვე, ეზოში აფეხვებული  
კარდნარი. ნატ(ო), ასე 43 წლის ქალი, ბაღის ხე-  
ლოთმანებითა და ბაღის მკარტლით ხელში, კარდ-  
ებს შორის მიდი-მოდის, ზოგს შემკნარ ფოთლებსა  
და დაფურცლულ ვარდებს აცლის, ზოგს შემხმარ  
შტოს, ... ბუტონებსა და გაშლილ ვარდებს სიამით  
აველებს თვალს, წამიერად ვიველ მათგანთან ჩერდება  
და იღიმის, მერე იღებს თუნუქის სარწყავს და  
იწყებს ვარდების რწყვას... სახლის რომელიღაც  
ოთახიდან ისმის ვილინოს მკეთრი ხმა, ეტობა  
მეცადინეობენ, ზოგჯერ პასაჟი რამდენჯერმე მფორ-  
დება... ბაღის სიღრმეში სამეზობლო კარი გარახუნ-  
დება, ბილიკზე გაჩქარებით მიდის ბაბ(ო), ასე 73  
წლის თმაშვერცხლილი, სიმპატური, ჯოხზე დაფრ-  
ნობილი მანდილოსანი, მას საშინაო ხალაო აცვია  
ჩითისა; ამკარად ეტყობა, რომ შემფოთებულია, მოუს-  
ვენრად იყურება აქეთ-იქით და ერთხელაც ისე ჩა-  
ციებით აკვირდება ბაღის სიღრმეში რომელიღაც  
ხეს, თითქოს ვიღაც უნდა დაინახოს ... ნატო თვალს  
გააყოლებს ბაბოს და წამიერად შეიკრავს შუბლს,  
მერე კი გაიღიმებს და ხალისიანად დაუძახებს:

ნატ(ო): მობრძანდით, ბაბო, მობრძანდით, უკვე  
გაისტუმრეთ პაციენტები?

ბაბ(ო): (ცილიობს, არ შეიშინოს შემფოთება, ვით-  
ომ გულის ვარეთ) მე შენთან საქმე არა მაქვს,  
ქალი, მე რუსუდანითან შეველა...

ნატ(ო): სახლში არ არის, დეიდა ელიჩკ-  
ასთან გადავიდა, სამურაბე ვარდის ფურცელი  
გადაუტანა, აი, ეს არის, ახლა წავიდა, თქვენ  
რა ქებით, მოხარმეთ მურაბა?

ბაბ(ო): არა, არა, ჯერ არ მომიხარმავს,  
მაგრამ აუცილებლად მოვხარმა! (როგორღაც  
მტკიცად: ჯიუტად დაამატებს) აუცილებლად!

ნატ(ო): დედას ძალიან კარგი გამოუვიდა.

ბაბ(ო): მაშ არა და?! მეც ვიცი, მეც ვიცი  
კარგი მურაბის მოხარმვა...

ნატ(ო): შეხედეთ, ბაბო, რა დღეშია ჩვენი  
ვარდები!?

ბაბ(ო): ოჰ, შენა და შენი ვარდები... (არც  
უყურებს ვარდებს, სახეს უხამოვნოდ შეიჭმუნის)  
რუსიკო უკრავს და უკრავს?

ნატ(ო): უკრავს, უკრავს, ჩვენ კი დავლით  
ჩაი ვარდის მურაბით, ხომ იცით, გულისთვისაც  
სარგოა.

ბაბ(ო): რაღაც ძალიან აგრესიულს  
უკრავს...

ნატ(ო): გამოცდისთვის ემზადება, ღია კონ-  
ცერტზე უნდა დაუკრას... [თან ისევ რწყავს]  
უყვართ ვარდებს წყალი... და თურმე მოფერ-  
ება და დავაგვებაც ჰყვარებიათ...

ბაბ(ო): ოპოპოპო, რა შეუპოვრად უკრავს...  
ნატ(ო): არა, ბაბო, რას ამბობთ, უბრალოდ  
ენერგიული ნაწარმოებია, პუნიანი-კრეისლერის  
ინტროდუქცია და ალევრო.

ბაბ(ო): ვის როგორ ... ვის როგორ ...  
მახსოვს, შენც არ გინდოდა ვილინოზე შეგ-  
ვევანა.

ნატ(ო): პო, მე ფორტეპიანოზე ვფიქრობ-  
დი... ახლა კი მიხარია... ვანოს საჩუქრად  
დარჩა... (გულდაწყვეთი) მაშინ სულ უბრალო,  
რიდინგის კონცერტს უკრავდა და ახლა ასეთ  
როულ ნაწარმოებს ამზადებს...

ბაბ(ო): მაგრამ მეტად შემტვევი რაღაცაა,  
ნუთუ მუშაობაში ხელს არ გიშლის?

ნატ(ო): არა, რას ამბობთ, მე ისე ვარ მიჩვეუ-  
ლი რუსიკოს მეცადინეობას, მეწისჭვილესაგე-  
თ, სინემე უფრო შემიშლიდა ხელს, (დაღამს  
სარწყავს, მოაჯირთან მიდის და იძახის) რუსიკო,  
გადი ფანჩატურში და იქ იმეცადინე! (ვილი-  
ნოს ხმა წყდება, ნატო ისევ სარწყავს დაავლებს ხელს,  
ბაბო თავის ქნევით გააყოლებს თვალს ნატოს... ახლა  
უკვე სიღრმიდან მოისმის ვილინოს შედარებით ხმა-  
აალი დაკრის ხმა).

ბაბ(ო): (ვითომ ზუმრობით) ამდენი რწყვაც  
რა ამბავია?! ნუ გადაწყვე ეს ახალგაზრდა

ქალი ამ ვარდებს... (მიბრუნდება და განზე წყავს, სახეობლო კარისკენ, გაუცაცულებით იყურება იქითკენ... შერე ისევ ბრუნდება ნატოსთან და ზათიანად, თითქოს საწყლად ამბობს) იქნებ ოთახში შევსულიყავით...

**ნატო:** ახლავე, ბაბო, ახლავე, ცოტაოდენი წყალიც დამრჩა... ახლახანს გამოვედი, ვუბნე-ქი, ვუბნობდი და... (შეხედავს ბაბოს, რომელიც თავიწვლილი საღვაც გაიფურება) საით იყურებით, ბაბო, ნახეთ აქ რა ხდება, შეხედეთ, (უთითებს ერთით ვარდზე) მართლა ნამდვილი პრეზიდენ-ტია, ტყუილად კი არ ჰქვია ეს სახელი... ახლა კი ამას შეხედეთ, ეს ჩემი სიამაყეა, გლორია! დაწნოსეთ, თუ ზათი გაქვთ, რაღაც არაჩვეულებრივი, მქრქალი სურნელი, ჯოკონ-დას ღიძილივით, (ნატო ცდილობს, გაუგანტოს ბაბოს შემოთვალოს და გაართოს ვარდებით) ან იმას, იმას, ვარდისფერად რომაა აფეთქებული, ელიზაბეთს... (ბაბო უნდობლად, მაშინაღურად ატრიალებს თავს აქეთ-იქეთ, ცდილობს, აყვეს ნატოს, შერე უსიამოვნოდ გაიჭყვს თავს და ლამის წყრომით ამბობს):

**ბაბო:** ოოჰ, აწყურში ჩვენი სახლი ხვი-არა ვარდების ვირლიანდებით იყო მოფენილი, ლამის სახურავამდე უწევდა, თან რა სურნე-ლი, რა სურნელი, დაიბნიდებოდა კაცი, ასე კი არა, ამ შენს ვარდებს არავითარი სურნელი არ გააჩნია...

**ნატო:** (წვეწოთ) რას ამბობთ, ბაბო, მართა-ლია, გლორიასა და ელიზაბეთს ნაზი სურნე-ლი აქვთ, მაგრამ ნახეთ ეს წითელი მოსკოვი რა სურნელს აფრქვევს!

**ბაბო:** (შეხედავს წითელი ვარდის აწვილ ბუ-ტონებს, უსიამოვნოდ შეიჭმუნის შუბლს) უჰ, როგორ თავხედურად აუწვლიათ ბუტონები ამ წითელ ვარდებს!

**ნატო:** თავხედურად კი არა, თავმომწონედ, გთხოვრებ, ჩემი თვალთ შეხედოთ და დატკ-ბეთ! შერთმან კისლოვოდსკიდან რომ ჩამოვი-ტანე, ნახეთ, როგორ აიყარა ტანი, და თან ისეთი მძაფრი სურნელი აქვს, ხვიარა ვარდ-ებს არც მოელანდებათ...

**ბაბო:** (მწყრალად) ბედნიერი ადამიანი ხარ, ბედნიერი, ასე შეგხარი ამ სიწითლეს!

**ნატო:** აბა, აბა, ჩემი ბედნიერება აღარსად ეტყვა, (იყინის) თქვენ კიდევ ნუ ურევთ წითელ ვარდს წითელ დროშასთან, ყვავილებისნაირ სინაზეს ხომ არაფერი არ აღძრავს... Как не любить мне вас, цветы, я с вами выпил бы на ты...

**ბაბო:** (მოულოდნელად დაინტერესდება) ეგ ვისი სიტყვებია?

**ნატო:** ეხენინის ... ვანოს ხომ ჩაღბან უყვარდა პოეზია, და ამ ლექსსაც ამბობდა ხოლმე, Шуми левкой и резеда, С моей душой стряслась беда, Стряслась беда с моей душой, Шуми левкой и резеда... (ერთბამად სიტყვას გადაიტანს, თითქოს იმისთვის, რომ მოგონება ჩაახშოს) თანაც რომ იცოდეთ, ყვავილები რამ-დენი რამის სიმბოლოს გამოხატავენ?! (დაღ-ვამს სარწმუნო, ხელთათმანებს წაიბრობს, მკრატლეს ხალათის ჯიბეში ჩაიღებს) დრო რომ მჭონდეს საქმარისი, დავედებოდი და დავაკვირდებოდი, როგორ იშლება ვარდები...

**ბაბო:** მე კი წითელი ვარდებიც კი მაფო-რიაქებს, მაფორიაქებს და რა ვქნა!? (ჯერ წყ-რომით, მაშინვე კი შვიცლის კეღოს, უწყლად აღმბუნ-ბა) ოჰ, დღერთო, არსად წასასვლელი აღარა ვარ... არსად... და რა ვქნა?

**ნატო:** კარგით რაა, ბაბო, ჩვენი და თქვე-ნი სახლი რამ გაყო? ჩვენა ვართ სხვაა, ჩვე-ნაა? (ხელს მოჰკიდებს, აიენისკენ მიჰყავს) გან-საკუთრებით ბავშვობაში ხომ თქვენს კაბი-ნეტში ყოფნას არაფერი მერჩია, ჩამოვედებო-დი და გატაცებით შემოგყურებდით, და ასე მეგონა, რაღაც ჯადოსნურ ილეთებში იყავით ჩართული, როგორ გქონდათ ხელები გაწვილი, როგორ ატრიალებდით ბორ-მანქანას, როგორ სცვლიდით ბურდებს, როგორ უღებდით კბილ-ში პაკიეტს ბუნეს... და თან ისეთი სერიო-ზული, ჩაღრმავებული და ლამაზი იყავით, რაღაც გაფურჩქული, თვალს ვერ გამოვრე-ბდით...

**ბაბო:** (დამცინადად) გაფურჩქული ვარდი-ვით? ჰოო, სიმბოლოებით? ვითომ რა სიმ-ბოლოებია, რაო?

**ნატო:** ქრისტიანულ სიმბოლოებში წითე-ლი ვარდი ქრისტეს გოლგოთაზე დანთხეულ სისხლს გამოხატავს.

**ბაბო:** აი, ხედავ? ტყუილად არ მაფორი-აქებს ესე იგი...

**ნატო:** (სიცილით) ოოჰ, თქვენთან არაფრის თქმა არ შეიძლება, დამშვიდდით, სხვაგან კიდევ სიყვარულს გამოხატავს, და საერთოდ, ვარდ-ების ბალი სამოთხის სიმბოლოა, ახლა რაღას იტყვიან?

**ბაბო:** რა კარგია, რომ თქვენს ბალს ქუ-ჩასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ჩემი ეზო ხომ ქუჩის გასწვრივ არის, ჩემი ოთახე-ბიც ქუჩაზე გადაღის, მაინცადამაინც მათ გასწვრივ და მათ პირდაპირ, და მე ვასოს შემდეგ სულ აღარ ჩავდივარ ბაღჩაში, სულ აღარ.



**ნატო:** კო, გუშინ გადმოვიხედე და ვიფიქრე კიდევ, ყაზარა ხომ არ გავუგზავნო მეთქი, ცოტა მოხელოს იქაურობას, ძია ვასოს ოლქანდრები მთლად ჩამომტკნარია, ფოთლუბზეც უანგი აქვს მოღებული.

**ბაბო:** თუ ღმერთი გვამს, ნუ მისაყვედურებ, რაც ასე გადამეკიდნენ, აღარაფრის ხალისი არა მაქვს! იყო სახლი, მშვენიერი სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... სადღაა, სადა...

**ნატო:** მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი, ბაბო, ჩვენ აქ დავიბადეთ და აქ ვცხოვრობთ, ამას არაფერი ეშუელება... (შეღანთთან, ნატო ფანჯარას სავარძელზე მთითებს ბაბოს, თვითონ სამზარეულოში გადის და სანამ შუბოვ, ბაბო სწრაფად კეტავს ფანჯარას, მიღის დარბაზში გამავალ კართან, გაფაციცებით გაიხედავს და დარბაზის კარსაც მიკეტავს, მერე სწრაფად ედგება საყარძელში, გახედავს ნატოს, რომელსაც სამზარეულოდან სამოვარი გამოაქვს, ბუხარში დგამს).

**ნატო:** მართლა, თქვენ ნასადილევი ხართ? (სამოვარში წყალს ახხამს ტოლიდან და ბუხრიდან ნახშირს ყრის.)

**ბაბო:** რუსუდანს შეინდის შეჭამანდი და ისპანახი გამოტანებინა რუსიკოსთვის. ხომ იცი, შეინდის შეჭამანდი გულს მაპოვინებს ხოლმე... თან ჩაისაც დავლევთ და...

**ნატო:** რა თქმა უნდა, ცოტა გვიან დუღდება ჩვენი სამოვარი, მაგრამ არაფერია, ჰოდა, ერთი კარგად ვინაიოთ. (ნატო მაგიდასთან მიღის, სადაც წიგნია გადაშლილი, ცალი თვალით ჩახედავს და დახურავს წიგნს, დგას და თითქოს არ იცის რა გააკეთოს).

**ბაბო:** (უცებ, აშკარა სასოწარკვეთით) მე რომ არა, შენ ახლა იმუშავებდი, რა საშინელებაა, იყო სახლი, მშვენიერი ხალხით დასახლებული... რა თქმა უნდა, იმუშავებდი.

**ნატო:** ხვალ ოპერაცია მაქვს, ვიფიქრე ჩავიხედავ წიგნში მეთქი, მაგრამ არაფერია, წელანაც კვითხულობდი, მოგვიანებითაც გადავხედავ, მართლა, მართლა, ბაბო, არაფერია...

**ბაბო:** როდემდე, როდემდე, გეკითხები, როდემდე?! რას გადამეკიდნენ, ნატო, რა უნდათ ჩემგან.

**ნატო:** (მკაცრად) თქვენგან პირველ რიგში თქვენს პაციენტებს უნდათ, ბაბო, თქვენს პაციენტებს, მთელი სიცოცხლე ბუხივით რომ გეხეკოდნენ!

**ბაბო:** მერე ასეთი ძნელი პროფესია მაინც არა მქონდეს, ძნელი და რთული, (ხუმრობით) შენსავით ჭრა-კერვა კი არ არის.

**ნატო:** რა თქმა უნდა, ქირურგობა ჭრა-კერვა და კბილები კიდევ ძნელზე ძნელია. (გულანად იცინის).

**ბაბო:** იციან, იცინე და ორმოცდაათი წელია აი, ასე მიჭირავს ხელები, (წინ გაიწვიოს ხელებს) ისე დამოლია, ისე, დამე სად წამელო აღარ ვიცოდი ხოლმე, და ორმოცდაათი წელი პირის ღრუში ყურება, როგორია? მერე ფესვები? თუ მითუმეტეს გამრუდებული ფესვები და ნერვები? სხვათა შორის, ადამიანის ორგანიზმში ყველაზე მგრძობიარე კბილის პულპაა აბაა! და კარონკების მორგება? და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვივადლო?! ზოგს მაინც ისეთი პირის ღრუ აქვს, ბუხრის მშემენდითან უნდა მიდიოდეს, და არა ჩემთან ... და შეიძლება ჩემი აფორიაქება და აღშფოთება, გეკითხები, ნატო, შეიძლება?!

**ნატო:** დამიჯერეთ, სულ ტყუილებრად-ოდ იშფოთებთ თავს, ძალიან ვთხოვთ, იფიქრეთ თქვენს პაციენტებზე, თავის საქმეზე ფიქრი, საკუთარ საქმეებში ჩართვა ყოველთვის აწწარებს ადამიანს.

**ბაბო:** კარგი ერთი დაა! ჩავედი მალაზიაში სულ ცოტა ხნით, დავბრუნდი და ვველაფერი არეულ-დარეული დამხვდა, ლოგინი აშლილი, შიფონერის კარი გამოფრიალებული, ვასოსეული ის დიდი ფინჯანი გარდნებისა იარაღების კარადის თავზე შემოდებული ... რა არის ესა, გეკითხები, რაა, რაა!!

**ნატო:** ბაბო, ბაბო, მალაზია ხომ აქვია, და წასვლა-წამოსვლაშიც დაინახავდით თქვენთან ვინმე რომ შესულიყო.

**ბაბო:** ვერ დავინახავდი, ვერაფრით ვერ დავინახავდი! უკან-უკან ხო არ დავიწვებდი ყურებას, კისერი მომეღრიალა?

**ნატო:** განა არა, კლავა ძალიან წუხდა, მორიგეობა მქონდა დამატებითი და ბაბილინა მერაბოენასთან დღესაც ვერ მივდივარო, ხვალ კი ყოველ მიზეზ გარეშე მივალ და დავუწკრივალბ იქაურობასო.

**ბაბო:** ვიცი, ვიცი, იყო და გამაფრთხილა, მაგრამ რაა, კლავა დაალაგებს, ისინი ისევ მოვლენ და ყველაფერს აურდაურევენ, გაგონილია ამოდენა ჩხრეკა, გაგონილია!!

**ნატო:** ნულარ მიაქცევთ ყურადღებას, მოვა ხვალ კლავა და ძირისძირობამდე დაგილაგებთ სახლს, უთხარით ბაღჩასაც მიხედოს, ცოლია ოლქანდრები...

**ბაბო:** (მწყურვალად) შენ მგონი ადამიანზე მეტად ყვაილები გეცოდება! ვულარაფრისთვის

გემო რო ვეღარ ჩამიტანებია, მიდი და ნუ მაქცევ ყურადღებას...

**ნატ(ო):** მტრების ჯიბრზე, ვარდისმურაბიან ჩაის კარგად უნდა ჩაატანოთ გემო, ვიცი კიდევ რომ ძალიან გიყვართ!

**ბაბ(ო):** კარგი ერთი შენცაა! მოვლენ, სახლს ძირს დასცემენ და შენს ნიფხებში იქეჭებიან, ეს არის საქმე?

**ნატ(ო):** (მოუსვენრად) ვის რად უნდა თქვენი ნიფხები, ბაბო, გეხვეწებით, დაფიქრდით. (წამოღრუბა, სამოვართან მიდის, სამზარეულოდან ფაფურის ჩაიდანი გამოაქვს და ჩაის კოლოფი.)

**ბაბ(ო):** მე არ ვამბობ, ნიფხები უნდათ მეთქი, თუმცა მე ძვირფასი ნიფხები მაქვს, წმინდა ბატისტისა, ბრიუსელის მაქმანებიანი.

**ნატ(ო):** ვიცი, ვიცი, რომ თქვენი სუსტი ადგილი ნიფხები იყო. (იციხის)

**ბაბ(ო):** (ომახანად) სუსტი კი არა, ძლიერი, ქალო, ძლიერი. (ერთბაზად ისევ სასოწარკვეთით) მაგრამ ახლა აღარც ფლავია და აღარც ფსტანი.

**ნატ(ო):** ჰო, ძლიერი, ეს ერთი და იგივეა. ფსტანი კი ის არის, ბაბო, რომ კლავა ვერ მოვიდა, სახლი დასალაგებელია, თქვენ ბაცი-ენტი გყავდათ, წყალი მოგწყურდათ, ძია ვასოსეულ გარდნერის ფინჯანს არასდროს არ იშორებთ, დალიეთ წყალი და კარადაზე შემოღებთ იქვე, დამოჯერეთ, ეს არის და ესა, ამიტომ დამშვიდდით, გთხოვთ, (ცდილობს, როგორმე დაარწმუნოს, მიდის მასთან, ხელს გაუწვდის, ღამის ძალი აიღებს ბაბოს ხელს და მაგრად ართმევს) გეფიცებით რაც მეფიცება, ხომ იცით, მე ტყუილად არ ვბტყვით.

**ბაბ(ო):** (ძალიად გამოართმევს ხელს და გაიქვებს) ბევრიც რომ მეფიცო, ვერ დაგიჯერებ, პირველად ხომ არ მჩხრეკენ, შენ დაგიჯერო და საკუთარ თავს არაა!?

**ნატ(ო):** (ძლივს იკავებს გაღიზიანებას) ბოლოს-ბოლოს აღეკით და ჩაიჭიეთ ხელი, გჩხრიკონ და გჩხრიკონ, თქვენ ხომ არაფერი მოგიხაკ-ლისებიათ, არაა? რას ნახავენ? პლომბების ფხენილს? დარიშხანს? მიხაკის ზეთს? სპირტს? ნახონ და ნახონ, ისედაც ეცოდინებათ თქვენი ავლადიდების შესახებ... პროკლამაციებს ვერ ნახავენ და თოფი-იარაღს! დარწმუნებული ვარ, ღენთის საწყობიც, შინსაკომს აფეთქებას რომ უპირებთ, მოუკლველ ადგილას გექნებათ გადაძალულები, ჰოდა, დამშვიდდით!

**ბაბ(ო):** შენი მიკვირს და გამკვირვება, თქვენ გჭონდათ პროკლამაციები და ღენთის საწყო-

ბი, სახლი რომ ძირს დასცეს და ის მშვენიერი კაცი წაიფანეს, თან მთელი ყუთი ობლიგაციებისა გააყოლეს და მაშაშქნის ნძალი და ხანჯალიც...

**ნატ(ო):** მაშინ 37 წელი იყო, ბაბო, (მოუსვენრად მიდის სამოვართან), რა არის, არც კი შიშინებს...

**ბაბ(ო):** ვიცოდი, ვიცოდი, რომ ამას მეტყვოდი! გაეიწყდება, რომ ჩვენ მუდმივ ტერორში ვართ, ივრთწოდებულ პერმანენტულ ტერორში, იმბიტომ, რომ ჩვენ ვართ ყანალების ხელში და ყანალი ხან მეტად იყანალებს, ხან ნაკლებად, მაგრამ შეუძლებელია არ იყანალოს! შეუძლებელი!

**ნატ(ო):** (გაწამებული აჭოჩიით იყურება. აღარ იცის რა დღონოს) ბაბო, ვე იგივეა, სტიქიურ უბედურებაზე წინაწარ გავიხეთქით გული, აი, ვიცი, რომ კავკასიონი ახალი მთებია, და ჩვენ სეისმურ ზონაში ვიმყოფებით, მიწისძვრაზე ხომ არ ვიხეთქავთ გულს, არაა?! იაპონიაშიც კი, მიწისძვრების ქვეყანაში ხალხი მუშაობას აკლავს თავს, თქვენ კიდევ ბაცი-ენტებს უშვებთ, უშვებთ უწამლებლად, გთხოვთ, გეხვეწებით, ამოიღეთ თავიდან ეს ჩხრეკა, ამოიღეთ და მოისვენეთ, დაწყნარდით...

**ბაბ(ო):** ჰო, ჰო, ვუშვებ, ვუშვებ და რა ვქნაა, რა წყალში გადავკარდე?!

**ნატ(ო):** (ვითომ გახარებული) ბაბო, ბაბო, კინალამ დამავიწყდა, გუშინ ჩვენთან გადაწყვიტულმა კაბა მოიტანა, რუსიკოსთვის წამოვიღე, მაგრამ პატარა მოვიკადა, მაშინვე ის თქვა რუსიკომ, ეს დეიდა ბაბოს ექნება შესანიშნავად.

**ბაბ(ო):** (გამოცოცხლებლა) რა კაბაა?

**ნატ(ო):** ახლავე, ახლავე (მარბის მორე ოთახში და გამოიტანს ძალიან ღამაშ, ჭრული აბრეშუმის კაბას, რომელიც ვაშლით უჭირავს ორივე ხელში).

**ბაბ(ო):** (გაოგნებული უყურებს კაბას, ხელებს გაშლის) დიქტორო დიდებულო, (წამოღრუბა, ვეგონათ აღმახანს ეგვებათ) ვარშავაში რომ ვსწავლობდი... ასეთი, ზუსტად ასე მოჩითული... ფერები, ვველაფერი... თანაც წმინდა აბრეშუმი... რა დამთხვევაა... პოლონელი კავალერი მყავდა, კენრიკ ზრფანოვსკი, გიყვებოდა, ისე მოეწონდი ამ კაბაში, ირგველივ დაკეცილი იყო, სახელოებიც დაპლესილი ჰქონდა!

**ნატ(ო):** (მაღებს ბაბოს კაბას) ზუსტად მოგივიათ, მოდიტ ჩაიცოთ, ენახოთ ერთი!

**ბაბ(ო):** (იხდის ხალათს, ახალ კაბას გადაიცვამს, ნატო შველის, თურმე უკან დიდი გახახხნელი იყო და თავი არ ჩამოსდის) აფსუს, ვიწროა, ვიწრო!

**ნატო:** არა, არა, გასახსნელი ყოფილა, ნუ დღეღათ, აბა, ახლა ნახეთ!

**ბაბო:** (ჩაიკვამს, ხელს ისვამს, ისწორებს, იღიმება) გვერნებათ ჩემზე შეუკერიათო, (ხელებს ასწვეს-დასწვეს) სახელომბი მშვენიერად მაქვს, არსად არ მაჭერს, ჩემო ნატო, ჩემთვის მოგიტანია და ვე არის, აბა, შემომხედე უკან როგორ მადგას, ძალიან ხომ არა ვარ გამოკვალთული? (ტრიალებს)

**ნატო:** ვერ წარმოიდგენთ, რა კონტად გაქვთ, უკანიდან სულ შეღერებულ ახალგაზრდას ვავხართ, ისეთი ტანი გაქვთ...

**ბაბო:** პო, პო, უკანიდან პიონერი, წინიდან პენსიონერი. (იციან)

**ნატო:** პოო, მასხოვს მე ეს პენრიკი, თქვენ ხომ სურათი გაქვთ, რამდენჯერ გინჯვებით ჩემთვის, რაღაც ისეთ კოსტიუმშია გამოწვობილი, და ფუნჯიანი მაღალი ქუდი ახურავს.

**ბაბო:** რა თქმა უნდა, მეგლისზე ვიყავით და იმის შემდეგ არის გადაღებული, არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ და იმდენი ვიცეკვეთ, იმდენი...

**ნატო:** ვიცი, ვიცი, კრაკოვიაკს ცეკვავდით, ყოველთვის ისე მაინტერესებდა, როგორი ცეკვაა, მე და ვინო ხომ გატაცებული ვიყავით ცეკვით და რამდენს ვცეკვავდით, ტანგოს... ფოქს-ტროტს... ვალსს... რუმბას, და ასე განსაკუთრებული, პოლკასაც კი, კრაკოვიაკი კი არასდროს გვიცეკვია, არც ვიცოდით, არადა ფირფიტა გვაქვს, გინდათ დაექოქო პატეფონი?

**ბაბო:** ოო, კრაკოვიაკი დიდებული ცეკვაა, როგორც პოლონელები ამბობენ "ტანკე ვილეკი", ესეი იგი დიდი ცეკვა... ოპ, რა მშვენიერი ბიჭი იყო ეს პენრიკი?

**ნატო:** (მიიბრუნს კუთხეში პატარა მრგვალ მაგიდასთან, რომელზეც პატეფონი დგას, გვერდით დახვეებული ფირფიტებით) ახლავე, ახლავე ვიპოვი ფირფიტას, გეხვეწებით, ბაბო, მარჯვენთ როგორი ცეკვაა, ისე მაინტერესებს...

**ბაბო:** სულ არ არის ძნელი, ორ თვლახეა, აი, უყურე... (იწყებს ცეკვას, თანდათანობით ეშში შდის, მერე ხელს მაიკიდებს ნატოს, ვერ ნელა აქვება ნატო, მერე კი მართლა გაახურებენ ცეკვას) ყოჩაღ, ყოჩაღ, ტყუილად ამბობდი, არ ვიცით... აი, ასე... აი, ასე...

**ნატო:** (ცეკვა-ცეკვით მიდის ბუხრისკენ) აი, ჩვენი სამოვარიც შიშინებს...

**ბაბო:** (გაჩერდება შუა ოთახში, ხელებს ვაშლის) ოპ, ღმერთო, წარსული ყოველთვის დამუხტულია... ნატო, გენაცვა, წავალ, ჩემს დიდ სარკე-

ში ჩაიხედავ და ფულსაც გამოგიტან, რამდენად ჰყვინან?

**ნატო:** ოთხს მინეთად, <sup>გაგრაპე სულ</sup> მარტო არის საჩქარო, ხვალაც ამ თვისაა...

**ბაბო:** არა, არა, დოღვ პლატევიმ კრასენ, ახლავე გავალ და გამოვალ... (ჯოხს კი დაიჭერს, მაგრამ ჩქარჩქარა, ხუსხუსით მიდის.)

**ნატო:** (მარტოდ დარჩენილი უსასოოდ გაყოლებს თვალს ბაბოს) როდემდე... როდემდე... (თავისი ჩანთიდან, რომელიც ფანჯრის რაფაზე იდო, კოლოფს ამოიღებს, ეტყობა წამალია, ფხვნილს კაპსულაში ჰჭრის, თან უსიამოვნოდ დასცქერის, წყალს ჩამოისხამს და დაღვს, ისევ ინახავს წამლიან კოლოფს, მერე სასრფოოდ გადაშლის წიფს და კითხულობს, თავს აიღებს, შორიდან ისმის ვოილანის ხმა, ყურს მიუდგებს) რა სასოებით მომიტანეს, რუსიკოსთვის აიღეო... კიდევ კარგი, ვერ მოვასწარი მეჩვენებინა... ამ უშოვნელობაში... მაგრამ რაკი ბაბოს მოეხსნა ეს შიში, აღარაფერს ეჩივი... ჯანდაბას... თუმცა რატომ ჯანდაბას, როგორ მოუხდებოდა რუსიკოს...

**ბაბო:** (ისმის ჯოხის კაკენი, შუბლის ბაბო, წარბ-შერული და ლამის განრისხებული) ნეტავი კი ვიცოდე, რა შეკაბება! სად არის ჩემი ხალათი, ჩაიცივა და ჩაიოხრო! ახლავე უნდა გადავიცვა, ახლავე, დაგებრდი და გამოეტვინდი, იმ დროს როცა ის მშვენიერი სახლი... რა სახლი... ჯორჯაძეებისა, ჩვენიანებისა... მაინცდამაინც უნდა ჩამოერთმიათ და ვგენი ჩასახლებულიყვნენ, ეგ საშინელი დაწესებულება, გავვდი, თუ არა, შემომეჭვიტა თვალებში... ქვეყანას რომ თავზარს სცემენ (თან იხდის კაბას და ვერ გაუხდა) ნატო, მიშველე, ქალო, ნეტა, რა შეკაბებოდა, რაა, რაა!! (ბრაზობს და წვალობს, უცებ ვერ ხდის კაბას, ბაბომ ლამის მოიგლოჯოს, მთელი ძალით შუაგულზე)

**ნატო:** დაცადეთ, გაეხსნა ღილები, (როგორც იყო გახდის კაბას, მაწვედის ხალათს) თქვენზე ნაკლებად ჩვენ არ ეწუხდით, ლიტა და გიუნა ჩვენი მეგობრები იყვნენ, ერთად შეზრდილები ვიყავით, ერთადაც დახვრიტეს გიგი და გიუნა... რა გადავიტანეთ ჩვენ მაშინ, არ მინდა გახსენება, არა, თქვენ კიდევ აგიჩეუებით სახლი და სახლი...

**ბაბო:** ოპ, ღმერთო, სარკეში ჩახვედაც ვერ მოვასწარი, ... პაციენტი მიცდიდა, ისიც გავისტუმრე, მაშ რა უნდა მექნა, რაა...

**ნატო:** (აღშოფითებით) ოოპ, თქვენ მე გამაგიყებთ! აპა, ჩაიხედეთ სარკეში და თმა გაისწორეთ... როგორ გაისტუმრეთ პაციენტი, როგორ, რა უფლება გაქვთ? ვინოს შემდეგ, ხომ გახ-

სოთ, მაგათი უფროსი რომ ჩაგვისახლეს თავისი ცოლ-შვილით, და მე ხელები უნდა ჩამომეშვა და თავზე ნაცარი წამეყარა?! ჩირად არ ვთვლიდი და ზედაც არ ვუყურებდი, ისიც ხომ გახსოვთ, ფული რომ მიხოვა აქედან წასვლისას, მამაჩემის ამწებულ სახლში... არც შეეპუე და კაპიციც არ მივეცი! მართლაც და მართლაც, პროტესტიც ხომ არსებობს, აღმფრთხილებს ხომ შეგიპყრობს და შიშს დაგვიწყებს?!

ბაბ(ო): (დაცინით ჩაიჭიქლებს) ოპოპოპო, რა გმირთგმირი ხარ, და არ ეპუები მათ შინდასამოქმედო კანონებს, თითო ბავშვიდან დაწყებული მიხრწინდი მოხუცამდე ყველა რომ შეუძლიათ შარში გახვიონ და დაადანაშაულონ... დარწმუნებული ვარ, ფიქრობენ, რომ ჩვენ გულში გველი გვიზის, არადა, სწორედაც გველი მიზის და ოპ, რა სიამოვნებით გავაცურებდი მაგათკენ, რომ ერთი კარგად დაეკინა და დაეგესლა ყველანი.

ნატ(ო): კოლასი და მიტროს გამოკლებით... თქვენ ხომ იცით ჩემი დამოკიდებულება მაგ დაწესებულების მიმართ, მაგრამ ათასჯერაც შინსახკომელები რომ იყვნენ, მაინც შეზობლები არიან და სულ იციან, ჩვენთან ვინ მოდის, ვინ მიდის, რა მოაქვთ, რა მიაქვთ... მიტრო და კოლა კიდევ ისე გყავთ გაშინაურებული, ვანა თქვენ არ გაუკეთეთ ერთსაც და მეორესაც კბილები, ლამის უფასოდ?! გაგვზავენიან ხოლმე ხან პურზე, ხან აფთიაქში. იმ დღეს კოლა დაზურგული მოდიოდა, ვტყობდა ბაზრიდან, რა სწორედ თქვენთან შემოვიდა... კრამიტების გასწორება იყო და, ყაზარას წელკავი რომ ჰქონდა, ავიდა მიტრო და გაგისწორათ კრამიტები, და არაერთხელაც!...

ბაბ(ო): (დაცინით და თავის ჭვეთი) ნატო, უბრალოდ გულუბრყვილო ხარ და თავსდატეხილმა აძღენმა უსამართლობამა და უბედურებამ ჭკუა ვერ გასწავლა! მთელი ჭკუა შენს ავადმჯობეებში და ოპერაციებში გაქვს წასული.

ნატ(ო): (აწვეტივნის სიტყვას) ძალიანაც კარგი, ადამიანს ჭკუა თავის საქმეში უნდა ჰქონდეს წასული, და არა... და არა...

ბაბ(ო): მათქმევინე, ქალო! თუ ის ეშმაკის ვეჯეტორი უბრძანებს, კოლა საკუთარ შვილს, დილოს, არ დაინდობს, ასეთია მაგათი კანონები. ჰოდა, თუ დილოსაც არ დაინდობს, მე ვინა ვარ და ვისი ტიტიტომარა?!

ნატ(ო): ჰო, ჰო, მე გულუბრყვილო ვარ, მაშინ ასე შევთანხმდეთ, როცა ეშმაკის ვეჯეტორი უბრძანებს და მიტრო და კოლა თავს დაგვესხმიან, გავგებანარავე, უბედურებას დაგვატეხენ თავს, ჩვენც მაშინ ვივაგლახოთ, მაშინ ჩავეკვიდეთ სასოწარკვეთაში, მაშინ არ გვეყოფა!? რომ წინასწარვე გული არ გავიხეთქით და თავი არ დავივადებოთ?! ჰოდა, ახლა თქვენი განგაში და შიში ყოვლად უსაფუძვლოა, ამაში მინდა დაგარწმუნო!

ბაბ(ო): შენ ამბობ ამას, შენაა? ჩვენს ქვეყანაში შიში თუ უსაფუძვლოა, რაღაა მაშინ საფუძვლიანი? იმ დროს, როცა ქვეყანა შიშზე დგას და ყველაზე საფუძვლიანი სწორედ შიშია! შიში, შიში, და ისევ და ისევ შიში! და ძრწოლაც, სხვათა შორის!

ნატ(ო): მაპატიეთ, ბაბო, და კიდევ კარგი, მომაგონეთ, თორემ არ ვიცოდი?! მე სხვა რამეს გუებნებით და თქვენ სხვა რამეს ამბობთ...

ბაბ(ო): და თუ იცი, რაღატომ მამშვიდებ? რაღატომ გინდა დამარწმუნო, რომ არ უნდა მეშინოდეს? რატომ? როცა ვხედავ ჩემი ორი თვალით, როგორ მითვალთვალებს, რომ იცოდეს ეს გაბაწკრაზე უარესია, საშინელებაა, საშინელება, იცი, როგორ მითვალთვალებს ის ეშმაკის ვეჯეტორი? თვალს არ მაცილებს, წელანაც ისე ჩამტერებით მითვალთვალებდა, ავი გუებნები, სარკში ჩახედავ ვერ მოვასწარი და ჰაციენტიც გავისტუმრე, და იმავ წამს გამოეთქეცო.

ნატ(ო): შეაქცევდით ზურგს იმ ფანჯრებს, დაუწყებდით მკურნალობას და მაშინვე ჩაერთობოდით საქმეში, თქვენთვისაც კარგი იყო და ჰაციენტისთვისაც!

ბაბ(ო): კარგი ერთი დაა, რა უნდა მექნა. როცა თვალებით მპურდავდა... ჩემისთანა სტომატოლოგს ეპატიება, ვანა ღრძილში ატაკოს ჰაციენტს ბორმანქანა და ღრძილი გადაუსეროს, ეპატიება? შენ არ იცი, რა საზიზღარი მზერა აქვს!

ნატ(ო): (ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მოსკოვიდან ვითვალთვალებდათ? თქვენ ამბობთ, რომ მოსკოვიდან აქ, თელავში ვითვალთვალებდათ?

ბაბ(ო): აი, სწორედ მოსკოვიდან მითვალთვალებს, და არ მესმის, ნატო, რა არის ამაში საკვირველი?!

ნატ(ო): და მანცდამაინც თქვენ ამოვინე მათ? რომ იქედან აქ ვითვალთვალოთ!

**ბაბო(**: ოპ, როგორ არ მიყვარს ულოგიკო მსჯელობა! ამომიჩემა, ამომიჩემა! მთელი ქვეყანა ჰყავს ამოჩეხებული და მე რაა, ამ ქვეყანას არ ვეკუთვნი? და ახლა გაიგე, რომ ეს ქვეყანა თვალთვალისა და დასმენის ქვეყანაა?

**ნატო(**: და აქ გხედავთ? თანაც პენსნეთი! პენსნე მაინც არ ვკუთვნი?!

**ბაბო(**: აი, სწორედ პენსნეთი! რა გულუბრველო ხარ, ნატო, შენ გგონია პენსნე იმითომ უკეთია, რომ თვალთ აკლია, ან ბეცია? სრულებითაც არა! მე მივხვდი, ეს ერთგვარი ჭოგრითია, რაღაც უჩვეულო ჭოგრითი, მთელ ქვეყანაზე უნდა დაინახოს, სად რა ხდება, ვინ რითი სუნთქავს!

**ნატო(**: (ღამის ვადაფინდეს) და ზის თავის კაბინეტში, ლუბიანკაზე და იქიდან გითვალთვალე?

**ბაბო(**: (უპირატესობის ღიმილით) რა თქმა უნდა, ნატო, ლუბიანკაზე კი არა, მთვარეზე რომ იჯდეს, ისეთი მანქანა აქვს, იქიდანაც დავეინახავს! ჩემი ორი თვალით მაინც არ ვხედავდი იმ საზიზღარ პენსნეს.

**ნატო(**: (გაგებრებული წამოხტება და შესახებას) ჯანდაბას იმისი თავი და ტანი, გვითვალთვალოს! რამდენიც უნდა და საიდანაც უნდა! (ბუფეტთან ასის და კვერცხები გამოაქვს, საშარეულიდან სათქვეფი მოაქვს) დაინახავს, რომ მე აი, აღადებისათვის კვერცხებს ვთქვეფავ! (კვერცხებს სულ ლაწალუს აუწუნებს) ჩვენ ვერზადებით სურნელოვანი ჩაის დასალევად, ებრაელის ანდერძის მიხედვით! (ხსართი თქვეფავს კვერცხებს) გვითვალთვალოს! ბოლოს-ბოლოს ის კაცი ამ საქმეს დაადგა! (თქვეფავს, მაწონს ამატებს და რაც ძალი და ღონე აქვს თქვეფავს) აი, თქვენ შესანიშნავი სტომატოლოგი ხართ!

**ბაბო(**: ნუ გაწუწუე ქალო, აქაურობა! (შხეფებს იმხრალებს)

**ნატო(**: (გაგულისხმობ) ჩვენ ყველა ჩვენს საქმეს ვადგავართ, ის კაცი კიდევ მოთვალთვალე! ჩვენ ხომ ვერ ჩამოვაშორებთ ამ დიდ საქმეს! ჩვენ რა ძალგვიძღს, რა შვევიძლია! ორი აგურიც რომ დავიჭიროთ და აქეთ-იქიდან თავში ვიკეთო, ჩვენ იმას თვალთვალს ვერ მოვაშლევინებთ, ვერა, ვერა!! (ამატებს ფეხებს და ისევ თქვეფავს) ჩვენ კი არა, მთელმა ქვეყანამ რომ შეჭლადლოს!

**ბაბო(**: (ნატოს ვაგულისება ჩააცხრობს, ღამის ამოიკენებს) ოპ, ღმერთო, ადამიანი ვერსად ვერ მიპყვდებს თავს... არ გიფიქრია, ჩემო

ნატო, რომ პავიანის სახე აქვს?

**ნატო(**: მე უფრო შიშობანხვს... მაგონებს, თავისი ახლოახლოს ჩამჯდარი თვალებით... აი, ასე, ვლანძლით, რაც ძალი და ღონე გვაქვს, მაღლობა ღმერთის, ერთმანეთს ვენდობით, ჩვენს სახლს სქელი კედლები აქვს, თან რუსიკოც უკრავს, იმან კიდევ, სანამ არ მოსწყინდება, გითვალთვალეთ და გაკვირვებას იყოს, ეს რა მშვენიერი ხნიერი მანდილოსანიაო, ეს რა დიდებული ვინმეაო...

**ბაბო(**: (ერთხელად გაიკისკისებს, კომპლიმენტი ესაიძინება) როგორ გამაცინე, ჩემო ნატო, (იცი-ნის ისევ) რაც მე კომპლიმენტები მომიხმენია, და არა მხოლოდ კომპლიმენტები, ფეხეღის ნულარ დაყარი, აღადებისათვის საკმარისია, უფრო ფუმფულა გამოვა.

**ნატო(**: (აიღებს ფეხელის პარკს, მაგრამ, რა თქმა უნდა, აღადების კეთებაც და ცხობაც პანტოშით უნდა მიმდინარეობდეს) მაშ, არადა?! თქვენ რომ იყავით, ტყუილია, (უხარია, რომ ბაბოს განწყობილება ისევ გამოუსწორა) ყველამ იცის თქვენი წარმტკაცო გიგნაფიონის ამბები! ალაზნის პირად ჰკინებები და ღუნებები... იმ პავიანს კიდევ, ამბობენ, ქალები ძალიან უყვარსო... მეტიმეტალო...

**ბაბო(**: (დაქანებით) დავებრდი თორევემ, თუ მომეწონებოდა, მე ვიცი, როგორც მოუვრებხდი კისერს, მაგრამ არ მომეწონებოდა, არავითარ შემთხვევაში, მე ვინც მომწონდნენ, ყველა ღამაში და მშვენიერი იყო, ყველა ისინი გეროი რომანა, თავბრუს რომ დაგახვევდნენ, ავაფთქებდნენ, ცაში ავაფრენდნენ... ღმერთო ჩემო, სად მიმოიფანტნენ, სად წავიდა ის სივთე-მაფე...

**ნატო(**: რას ვიხამთ, ბაბო, მუდმივი და უცვლელი არაფერია ამ ცისქვეშ...

**ბაბო(**: (დანანებით) და, და мужичины или умирают, или уходят... (და ისევ მოიღრუბლება და გაღიზიანდება) ნუ ვადაძვე, ქალო მაგ თქვეფავს, დაამატე სოდა, დაგაიწყდა, მარტო ფეხელი რო დაყარე?!

**ნატო(**: ახლავე, ბაბო, ახლავე, მაგრამ თქვენთან პაექრობაში ვადაყვრუვდი, სოდა სულ დამაიწყდა.

**ბაბო(**: (მწყრალად) პო და, დაამატე ეხლა და მორჩი! ის პავიანი კიდევ, იმას კი არ იფიქრებს, ეს რა მშვენიერი მანდილოსანიაო, რა შუშპარა იყოო, ხელებს რომ გაშლიდა და ღვეკურს ჩამოუვლიდა, ყველა მის ფერხთით ეცემოდაო, პირველ რიგში იმას გაიხსენებს, თავადაზნაურობას რომ ვეკუთვნოდი,

ჩემი ბიძაშვილი საშა, ქაქუცას უახლოესი მეფიცული, ქაქუცასვე გაჰყვა საზღვარგარეთ! და სხვათაშორის, ეხლაც ცოცხალია! (ისე გიროზად შესახებ, თითქოს საშას სიცოცხლე უზედურების ერთ-ერთი მიზეზთაგანი იყოს), და იმასაც, ჩემი დედ-მამა ისე უსინდისოდ, ისე თვითნებურად და სასტიკად რომ გამოდევნეს აწყურადან, ჩვენი მშვენიერი სახლ-კარიდან, ჩვენი შესანიშნავი კარ-მიდამოდან, და ჩემი ძმა დათა, ჩემი ბიძაშვილის ვაჟი ვახტანგი, წინააღმდეგობის განწყევლის რაზმელებმა შეიპყრეს და, როგორც მერე გამოირკვა, მეტეხში გადაგზავნეს... და შერ იცი, რა ბედიც ეწიათ... გადადგი ეხლა ვეცოში ალაღებისა, ცოტა გაფუდეს და სამოვარი დულილს რო დაიწყებს, მაშინ გამოაცხე, ვერ ვიტან გალელქებულ ალაღებს.

ნატო (ხუმრობით) ოჰ, რა ხართ, ვინც არ გიციოთ?! (გადავამს თასს) საშინელება მოხდა... და მე რომ მკითხოთ, არანაკლებ გლეხობისთვის... თავადაზნაურობის გვერდით გლეხობაც სხვანაირი იყო, ადამიანი ხომ კარგი მაგალითით იზრდება და სხვა სიღარბისლე, სხვა სიტყვა-პასუხი, სხვა ზრდილობა ჰქონდა ჩვენს გლეხობას, შორს რომ არ წავიდე, ჩემი დედამთელი, თქვენ რომ ასე მოვწონთ, ინგლისის დედოფალთან რომ მიიფვანოთ, არც სიტყვა შეეშლება, არც დაიბნევა, როგორი ღირსებათაც არის სასე, ასეთივე დარჩება... და მთელი სიცოცხლე ის იფალოდან მაყაშვილების განდევნას მისტირის.

ბაბო (რა უცნაურად არის მოწყობილი ადამიანი, თავის დამკარგავი ხშირად თმას რომ დასტირის; ნიფხავ-პერანგიანები რომ მოგაჯდუნენ ჩვენები აქ, მე და ჩემს და ლიზას, პირველ რიგში დედამ ის შემოგვტირა: ტყლაპები, ჩირები, მურაბები სულ ისე გაშლილი დაგვრჩაო... დაუკრფევაი ვენახისა და სახლ-კარის დამკარგავმა... მაშინ დათასა და ვახტანგის ამბავი ვერ ვარკვეული არ იყო.

ნატო (ჰო, ტყლაპები და მურაბები, დაუკრფევაი ვენახები და საერთოდ ყველაფერი... რომ დაესაჯათ ჩვენი თავადაზნაურობა ვითომ აჯანყების თანადგომისათვის. ხომ ჩვენს თვალწინ იყო უღანაშუალოთა დახვერტა ვიგოს-გორაზე, მეტეხში და სხვაგან და სხვაგან... და ჩვენი განადგურებული ოჯახები.

ბაბო (ოჰ, ჩემო ნატო, არ ღირს, ჩაუღრმავდეთ გმირად შერაცხულთა ზნესა და საქციელს, კაცმა არ იცის ხელთ რა შეგრჩე-

ბა... მე ისევ ჩვენს გამოდევნას მინდა მკერბრუნდე და ჩვენი ვოიატის ამბავი ვითხრა...

ნატო (გაბრწყინებული, რომ ბაბოს საბოლოოდ მოუხსნა შიშისა და თვალთვალის შეტევა) როგორ მაინტერესებს, რომელ ვოიატეს გულისხმობთ.

ბაბო (რომელსა და ამასწინად ნინული რომ იყო, ჩემი ბიძაშვილის ლადოს შვილი, ცამეტი წლის ნანათი, მომენტარაო, მომენტარაო აწყურით... სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარო... ოცდასამი წელია ჩვენი გამოდევნიდან, არ მინახავს იქაურობა და იქით მიხედვაც არ შემეძლოვო, ეხლა კი მომენტარაო... ნანასაც მინდა ვაჩვენო, ხომ უნდა იცოდეს საიდანა ვართო... აქაც შემოვიდნენ, დეიდა რუსუდანის უნახავი არ წავალო, ნინულიმა თქვა.

ნატო (რას მელაპარაკებთ, პირველად მესმის, მე რატომ ვერ ვნახე?)

ბაბო (ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, რა მოსაკლავი ხარ, რომ წახვედი თბილისში ოპერაციის გასაკეთებლად და ჩვენ არაფერი ვიცოდით, გვერინა, სემინარზე იფავი წასული...

ნატო (დედამ ახლაც არ იცის და თუ ხათრი გაქვთ, არ წამოგვდეთ, არც რუსიკომ იცის... არ მინდა გაიგონ... (ბუფტიდან ჩაის ჭურჭლი გამოაქვს)

ბაბო (რა არის ასე მალევა და ჩქმალევა, ქალო, ვინ აღარ იკეთებს ოპერაციას?! მთავარია, რომ დროულად გაიკეთე, მორჩა და გათავდა!

ნატო (წამიზრად მიიღებუბა, მერე კი ისევ ხალხიანად) მეც ასე მინდა ვითქორო (ისევ ჩვეული ინტრეციით) მერე, მერე, რაო ნინული? ისევ სწერს მშვენიერ ლექსებს ბედკრულ სამშობლოზე?

სინათლე ჭრება, ერთი სხივით არის შუა სცენა განათებული, ახლოს რამასთან დგას ნინული, მას უკლიანი შლიაბა ზურავს, აფურული ზღვათმანები აცია, ვრძელფოჩიანები კრჭისფერი აბრეშუმის შარფი აქვს მხრებზე მოდებული, როგორც წინად ამობდნენ, პატეს ყურნალიდან გადმოსულს ჰკავს, მას გულზე აქვს მიჭდიობილი აფურულზელითამანეიანი ხელები და მღელვარე კითხულობს თავის საკეთარ ლექსს:

*„ჩემო სამშობლო, ჩემო მამულო, შენი კენტყე კი ჩემთვის განძია, შენს სადიდებლად მე მოვილოცე წმინდა გარეჯი, წმინდა ვარძია. მე ვვედრები ჭალარა ტაძრებს, ასე ნაკეთი და ნაწყალეობი, გამოვარდონ ხარბი მტრის კლანჭებს, და მჯერა, მჯერა, რომ აყვავდები.“*

დაცობრუნდება ძველი სილაღე,  
დაცობრუნდება ძველი ღიღება,  
შენი ვარსკვლავი, ბევრჯერ ჩამჭრალი,  
ახალი ძლით ამობრუნდება.”

ბაბო და გეორგა ნანა ტაშს უკრავენ, ნინული, როგორც შუქურის ვეგამოსილ ქალბატონს, ნახად ხრის თავს, შერე კი ვლს მოიღერებს, ხელებს გაშლის და ომბი-ანად ბოწონებს ქალებს...

**606შლი:** ახლა კი ვაგწიოთ შშობლი-ური აწყურისაკენ, სადაც ბავშვობა, სიყმაწვილე გადავიმღერე.

(ისმის ზანზალაკების ხმა, სამივე მიპქრის ვითომ ეტლით, გალაპის მსგავსი სტილიზებული ნაბიჯებით... სცნა ტრიონებს...)

**ბობო:** ახლა ნანა: თუმც არ მინახავს, ასე გეონია თვალდაბუჯული მივაგნებდი იქაურობას.

**606შლი:** (ალტაკებით) აქ ყველაფერი შშობ-ლიურია, ალანხნის ველი, კაკკასიონი, და ჩვენი თურდო, რომელსაც ახსოვს შემოსეული ლე-კების ურდო.

**ბაბო:** ავერ იყალთო, განდევნილი მაყაშ-ვილების კობტა სოფელი.

**606შლი:** ო, როგორც წერდა ჩვენი პოე-ტი! ვეითხარი ნანა, გენაცვალოს შენი ღეიდა.

**ნანა:** საქართველო აივსო მაყაშვილთა ვოდებით.

**606შლი:** აწყურს არ ჰყავდა ასეთი პო-ეტი, თორემ... ჩვენი ვოდებაც კარგი რამ იყო... ოპ, ლმერთო, არ მახსოვს, თეთრგვირგვინში მი-მაგალი მლოცველები არ გაჩერებულყვენენ ჩვენს აყვაკებულ კარმიდამოსთან და არ ვეითხ-ათ: ვისიაო... არა მინდა რა, ჩვენს მობიბინე მწყანებუ გამატარა...

**ნანა:** წალკოტი იყო, წალკოტი, ჩვენების ეზო-ურე.

**ბაბო:** აი, ჩვენი ასახვევიც... დათა და ვახტანგი დოღში რომ მონაწილეობდნენ... ვახ-ტანგი პირველი მოვიდა...

**ნანა:** სულ თქარა-თქურით ამოათავეს ეს აღმართი.

**606შლი:** ფრთიანს ებახდნენ ჩემს ძმა ვახტანგს.

**ნანა:** მე და ლელა სულ ძია ვახტანგის ხსოვნას ვიფიკავთ.

**ბაბო** და **606შლი:** (სიხარულით შესახე-ბენ) ავერ ჩვენი თეთრი გვირგვინი.

უშუალოდ მათ წინ კი გამოჩნდება მაღალი და გრ-ძელი ძეხვის ღობე. ბაბო და ნინული დახმუნული აქო-იქით იყრებიან, მიდი-მიდიან, რომ თავისი ოდინდელი სახლები და ეზო-ურე იპოვონ, მაგრამ ამაოდ... ისმის ღობის აქიდან კრუხწიწილის კრიახი, ღორების ღრუ-

ტიკა, ძროხების ზეული, თხების კიკინი, ცხვრების ლაღლი, - ქალები კისრებს წაიგრძელებენ, ხელავენ ღობის მუხრით მიწყობილ სახლებს.

**ბაბო:** რა დადგოვებია, რას ეძებ? (ამ-ბობს მწუხარე სახით)

**606შლი:** (დაღონებული და გაწიბლებული) ნუთუ ეს ჩვენი ადგილია? ვერაფერი მიცენია... სად გაქრა ის ყველაფერი... რას დაუმსგავსე-ბით აქაურობა...

ღობეში დატანებული პატარა კარიდან გამოდის ოციოდე წლის ჯანმგარი, სქელკისერა ბიჭი, უწურებს ქალებს ჰაკატგამოკრული, უტიფარი შხერით და ხმას არ იღებს. ... შერე კი რიყოლ კთიხულობს:

**მუტრუპი:** რაო, რა ვინდათ?

**606შლი:** (ენის ბორძიკით) გამარჯვობა, ყმაწვილო... ჩვენ... იცით... აქ ვცხოვრობდით... (აფრულხელთათმანიან ხელს ღამაზად მოატარებს) ეს ადგილები... აქაურობა... ჩვენი იყო... ჩვენ ძალიან...

**მუტრუპი:** (გაწყვეტინებს, რიფოდ) როდის იყო? როდინობის კვირაში? ჩვენა დიდი ხანია გაკდევეთ სოფლიდან შჩაგვრელები და სისხ-ლის მწოვლები... (გორიზად ხელის წვეთი) ექს-პლუატატორები! სოფლის წურბელები! (მუტრუკი შხრების ქანაობით აუღლ-ჩაუვლის ქალებს და მალაყზე გადავა).

**606შლი:** (მტკავებული ხმით) ჩვენა ვართ... წურბელები? რა საინტერესოა...

**ნანა:** (შეშინებული) წავიდეთ, წავიდეთ, გეხ-ვეწყებით...

**ბაბო:** (წყრობით) უპ, შე უზრდელი, შენა!! მადლობის მაგვირიაა, დაეპატრონეთ ჩვენს ავლადიდეებს და კიდევ აქეთ გეტტევი!!

**მუტრუპი:** (მუჭარით) პოდა, აუსეთ ეხლა აქედანა და აღარ წამოაოროთქლოთ ჩვენი იე-ოეო!! (შეხტება ისევ და მალაყზე გადავა).

**ბაბო:** ბიჭო, მუტრუკო, სახლში რო შე-ბრუნდება, დედაშენს ერთი სილა გაულაწუნე, ვეეთი მუტრუკის განჩინსა და გაზრდისათვის! ქალები გაჩქარებული გაღობით მოქპიან... ნინული შეწერდება, წინ წამოვა.

**606შლი:** საღამო ხანი იყო, რომ შე-მოგვიცვიდნენ და დაგვაწიოკეს... ვენახში გაიქცეით, შეშინდა დედას, ვითუ ღამით გზაში ხიფათს გადაეყვაროთ, თან მამაც ახალი გარ-დაცვლილი იყო, ვახტანგი და დათა წაყვა-ნილები. არადა, აწყურში გაუპატურების შემთხ-ვევას ჰქონდა ადგილი, და დედას ძალიან ეშინოდა, ჩემ გოგოებს არავინ შეურაცხყოფა არ მიაყენოსო, პოდა მთელი ღამე ვახუების კვლებში ჩაწოლილებმა გავატარეთ, რიფარ-

ვამდე... და ერთი კუფხალი, წამლად ერთი კუფხალი არ შეგვიწვევია მტკვინისათვის და არ შეგვიჭამია... წარმოგიდგენიათ?

ნანა: არადა, ბუდეშური კი, თურმე უკვე მწიფდა...

ქალები კვლავ მოქირან...

ნინო: (ცნესით) ოო, რა უზრდელობა დამკვიდრდა... რა საყოველთაო უზრდელობა-წუხელაც, მატარებელში, ისე უხამსად ჩხუბობდნენ, რაღას არ ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ერთმა მეორეს ის სიტყვაც კი წამოაძახა „ა-“ ხე რომ იწყება... თან ისეთი რიხით!

ბაბო: (ჩაიჭრქვება) ჩემო ნინო, რა სიტყვა ასეთი გამოუთქმელი, „გავნო“?

ნინო: (ხელს გასავსებს) უი, რას ამბობ, ბაბო, ვე რა თქვი, ქალო!

ბაბო: (გამოწვევად) მაშ რაა, „გოთვერა-ნო“?

ნინო: (შერაღად გაიჭვს თავს) ეს რა ცუდი სიტყვების თქმა გისწავლია, ბაბო! ნანა, გენაცალოს დედა, ჩასწორებ, ჩასწორებულე ფრთში, რაკი ასე აინტერესებს.

ნანა და ბაბო სცნებდნენ გადიან, ნინო კი ისევ წინ წამოვება, ხელს გაიწვდის და შთაგონებით ამბობს:

ნინო:

*აგერ, ჩვენი სალოცავი თეთრი ვიორჯი...  
გებულარები, ყოვლისშემძლეო,  
შთაგებურე ძღოა,  
გადაფარე საქართველოს წყალობის  
კალთა,  
ავიესოთ რწმენით, ათი მცნება  
გავითავისოთ,  
განვიწმინდოთ და ზრდილობით, სიკეთით  
და გონიერებით  
კვლავაც აღვიესოთ (სინათლე ქრება).*

ისევ ნატოს სასადლო ოთახი, ნატო აღადებს აღავებს იფიქრებზე, სამოიარი მოაქვს, მაგიდაზე ღვამს...

ნატო: და ჩავგორწრულა ნანამ ის ცუდი სიტყვა?

ბაბო: (გაიცინებს) ჩამწურწრულა, ჩამწურწრულა... და ეს სიტყვა იყო „გათახსირებული“ (აღლდება) გათახსირებული, გათახსირებული, და მე ვიცი, ვინც არის გათახსირებულიც და იმაზე მეტიც, (აღლბს ალაღს და შეჭამს) კარგი გამოვსკვლია, ფუმფულაა (წამოვება, ფრთხილად მოუხლოვება დარბაზში გამავალ კარს, გაიხედავს და მანძივ მიზურავს კარს).

ნატო: (არ შეიძინებს ბაბოს აღლვებას, ჩიხს ასხამს) მობრძანდით, ბაბო, ნახეთ რა სურნელოვანი ჩაი დავაყენე, აი, ეს ვარდის მურაბაც, აღლვებს როგორ მოუხნდება...

ბაბო: აშკარად გავიგონე ნაბიჯების ხმა (აურადებს), ნუთუ შენ არ გავიგონა?

ნატო: ვერაინ შემოვიდოდა ბაბო, ვერაინ ავინ, სადარბაზოს კარი დაკეტულია, დედა ეხოლან მოვა. ახლა კი მაგიდასთან მობრძანდით, ნახეთ, რა სურნელოვანი მურაბაა (ეთომ ვერ ამჩნევს ბაბოს ამგვილ სახეს), აბა, მიირთვით, ხომ იცით, ჩაი ხშირად მაგიურად მოქმედებს, სტრესის მოხსნის საუკეთესო საშუალებაა... ნახეთ, როგორ გესიამოვნებათ!? მართლა მშვენიერი გამოუვიდა დედას ვარდის მურაბა...

ბაბო: (აურადებს, თანდათან შემოთება ვაჭრება) არ არის ეს, ნატო, რა არის, წამიწუთს მეცვლება გუნება, ერთბაშად მომიცია აფორიაქება, ნინულის მოგონებამ თითქოს გამომიკეთა განწყობილება და ახლა ისევ... ისევ... წელან სახლში რო გავედი, შეგონა ერთ-ორ პაციენტს მაინც რაღაცას გავუკეთებდი და აბა!? (ცოტას მოხვამს და იჭვე ციფლ დაღვამს).

ნატო: (შეწუხებით, დაყვებით) ბაბო, იცით, მე რა მოვიფიქრე, პაციენტების მიღების დროს, თუ მე შეცვლება, მე გადმოვალ თქვენთან, თუ არადა დღღაჩემს უუთხრათ, გადმოვა და თქვენთან იქნება, მარტო რო არ იყოთ...

ბაბო: (შემაწვული) ესე იგი, მე არ მოვიდე თქვენთან? აღარ მოვიდე? აღარ?

ნატო: როგორ არ უნდა მოხვიდეთ, მე ვამბობ მიღების დროს, პაციენტები რომ არ დაკარგოთ... თქვენისთანა ექიმმა! ყველაზე უარესი ხომ ეს არის, კაცი მოწყდეს თავის საქმეს...

ბაბო: (ამაყად) ჩემი ფასი ყველამ იცის, ჩემო ნატო, მე არავის დავკარგავ!

ნატო: ძალიან კარგი, მეც ვე მინდა, მაგრამ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და აბა, რას იზამენ? მე თქვენ გეტყვით, ცოტა სტომატოლოგია ამ ჩვენს ქალაქში?! კენჭი რომ გადააგლოთ, სტომატოლოგს მოხვდება... თქვენ კიდევ გუშინაც გაუშვით, იმდღესაც გაუშვით... ვინდათ დისკვალიფიკაცია განიცადოთ, ეს ვინდათ? ყველაზე უარესი, რაც შეიძლება კაცს დაემართოს!

ბაბო: (დამღერულივით წამოხტება, შემოხვევით ფინჯანს კრავს ხელს და გადააბრუნებს) მე განვიცადო დისკვალიფიკაცია, მეც, მეც?! ვარშავაში საუკეთესო პროფესორებთან მაქვს ნახწავლი! ვინ არის აქ ჩემისთანა, ვინა! (ნატოს მოუხლოვება, ხელს წაყვებას) გააღე პირი! გუებნები, გააღე პირი! (ნატო თავს გადასწვებს, უნდა მოიგერიოს ბაბო, მაგრამ ამაღ, ბაბო ნიკამში ჩააფორინდება და



ძალად აღვიბნებს პირს) ჩავიხედო შენი პირის ღრუში, შევამოწმო ჩემი გაკეთებული ხიდები და პლომბები! ოპოპოპო, საყურებლად ღირს! აი, უყურე, სტუდენტი იყავი, შეგქვსე კბილი რომ დაგიმუშავე და ოქრო გადაგაკარი, ან ამ მუთხზე, მეზუთე კბილების ბეჭენებს შეხედე, ქვა და კლდე! იცი, რა ძნელი კბილებია, რა წინდა, ნემსივით არხები აქვს... ან ეს ხიდი, ზედა ვაზზე! რამდენი წლის წინ! მე უნდა განვიცადო დისკალიფიკაცია? მე? მე? კაცს გაუზარდება შენს პირის ღრუში ჩახედვა, ნამდვილი ინტელიგენტის პირის ღრუ, და თურმე უნდა განვიცადო!

**ნატ(ო):** (როგორც იყო მოიშორებს ბაბოს ჩაფრენილ ხელს, აიღებს ფინჯანს, ტილოთი წმენდავს მაგიდას) კარგი, ბაბო, გეხევევებით, დამშვიდდით! (უწყოდ) არ უნდა განვიცადოთ, თქვენ ეგ არ გემუქრებათ... მე... ისე ვითხარით... რომ გულისხმაში ჩამგდეთ... თქვენ... უბრალოდ პაციენტები... არ უნდა... გაუშვით... ჯერ დღე და ღამეა ვასწორებთ და რა გვაქვს, რა გვაზადია, და თუ ვერ ვიმუშავეთ, მაშინ გამოვიცხვება კვერია... (მოხვამს ჩაის, ხელს მოითქვამს) ხომ არ გინდათ, არაა, თქვენს მძისშვილ ღიას დააწვეთ, როცა ასეთი ოქროს ხელები გაქვთ... (არ უნდა შეიშინოს, რომ ფინჯანის გაბზარვა ეწყონა).

**ბაბ(ო):** უკ, კრიჭა შემეკვრება ხოლმე... ღმერთო, რა სკროპულოზურად ვიცი საქმის კეთება! მარადი? ან ის ვირკამეზა შალიკო! ან თუნდაც ის ნაქები ვარია... არხებში არ ჩადიან, არა! მიაფიშფიშებენ და ეგ არის იმათი მკურნალობა! რამდენი იმათი გაფუჭებული საქმე გამომისწორებია, მაშინვე ჩემთან გამოვბიან... და ბავშვები? პირს რომ არაუვის უღებენ, სხვან მომუწული პირით, კრიჭაგაკრულები, მე ერთი გადაუვსვამ თავზე ხელს, ერთს გავაცილებ, მაშინვე მიღებენ პირს, მაშინვე! უბრალო ამოკენსაც კი ჩემს კაბინეტში არაუვის გაუვია, ვანა თავმდაბალი ადამიანი რომა ვარ, ჩემი ფასი არ ვიცი?! ნურას უკაცრავად!

**ნატ(ო):** თქვენი ფასი ყველამ იცის... თან მიირთვით, ბაბო, ჩაის ნუ გააციებთ, თქვენ ხომ ქაფქაფა ვივართ...

**ბაბ(ო):** (შემრწუნებით ხელს გადააკრულებს) ვილაც გვიახლოვდება... ვილაც კი არა, ის კაცო... ის... (სწრაფად აიღებს ალას და უცებ შეჭამს).

**ნატ(ო):** (უკლერესად შეწუხებული) ბაბო, რას გეტყვით, იცით, მე ონკოცენტრში მითხრეს,

ერთი ათი დღე მაინც აუცილებლად უნდა დაისვენოთო, იქნებ წავსულიყავით სადმე, ან ბორჯომში, ან ზღვაზე, დარწმუნებული ვარ, გადავივლით ეს აფორიაქება, არადა ერთად გაუემკლავდებით ცრუსა და მავნეს, ვინც თქვენ გაფორიაქებთ! აი, ნახათ თუ არა!

**ბაბ(ო):** რას იტყვი, ნატო, რომელი ყარამან ყანთელი შენა ხარ! (გაბრაზებით) ცრუ მამაცი ხარ და მეტი არაფერი, სინამდვილეში კი შიშისაგან ქვეშ იფსამ, ჩვენ ყველა ჩაფხმულები ვართ და...

**ნატ(ო):** გეხევევებით, არ განაგრძოთ, ვერ ვიტან უხეშობას!

**ბაბ(ო):** (დაცინვით) ოკ, მეორე ნინული, პამპლაუქობ და მეტი არაფერი!

**ნატ(ო):** (გაწაილებით) ეს შეურაცხყოფა რაღაა ვითომ...

**ბაბ(ო):** იმიტომ, რომ შენისთანა მშიშარა მეორე არც კი ვიცი!

**ნატ(ო):** (უწყოდ) მართალია, მე მშიშარა ვარ, მაგრამ არცერთი დღე არ დამიკრეფია გულხელი, არცერთი! მხოლოდ შრომით შეიძლება შეეჭიდო შიშს, აი, ეს არის ჩემი დევიზი!

**ბაბ(ო):** (ნიშნის მოკებით) აქამდე ვერ მიპატიებია შენთვის! ამდენი ხანი გავიდა და ვერ მიპატიებია!

**ნატ(ო):** (შეგბარა) რას გულისხმობთ, ბაბო, რას, გამაგებინეთ ერთი...

**ბაბ(ო):** (ხელს აღმართავს და მაკრად შესახებს) მიტრო! მე რომ მიკიეინებ მიტრო მეზობელია! მაშინ არ იყო მეზობელი? საწყალმა ვანომ ციხიდან თავისი ქურჭი რომ გამოვიგზავნათ მიტროს ხელით, დამიკრეთო, და არაფერი დასაკრებელიც არ იყო, და ვანო, ცხადია, ფულის დაკრებას გულისხმობდა! და შენ! შეგეშინდა! ასეთი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვი! რომ არ გიცნობდე, ჩემს ხელში და ჩემს თვალწინა ხარ გაზრდილი, მეგონებოდა ფული დაგენანა ციხეში გამომწყვედელი საკუთარი ქმისთვის! შენ კი შეგეშინდა, და შიშმა გამოუსწორებელი შეცდომა ჩაგადენინა, აი, თუ სიმატლე გინდა, ეს არის, ვინ იცის, ის ფული წაადგებოდა საწყალ კაცს...

**ნატ(ო):** (შეტუხებული, თანდათან ეპატება სასწრაფო, ბოლოს კი ცრმელები ახრბობს) რატომ მომაგონეთ, ბაბო, რატომ... მე ისედაც ვერ ეპატიობ ჩემს თავს... რომ წარმოვიდგენ გამაღა თავისი ქურჭი და არც ჯიბეებში, არც სარჩულზე ვერაფერი ნახა, ვიტანჯები... არ შემ-

იძლია ამისი მოგონება... მართალია, მაინც ვერ ვნდუ მითროს, რომ გაიგონ მეთქი, მეც ხელი მტაცონ, დარჩნენ დედა და რუსიკო უჩემოდ, უწუგეშოდ, მე შემომყურებენ, მე... მაგრამ ვანოს თილისმაც ვერაფერი შევუგზავნეთ, ეს მიკლავდა გულს... მთელი ღამე ზინგერს ატრიალებდა დედა მარუსა, ნინუცა კიდევ უხვევდა, თბილ საცვლებს უკვრავდნენ ვანოს შესაგზავნად... მარუსა და ნინუცა, მაყაშვილები, სტუდენტობისას ვანო ხომ მათთან ცხოვრობდა ვერაზე და ძალიან უყვარდათ... ჩვენ კიდევ, მე, ანეტა და ლალო რიგში ვიდექით ორთაჭალაში. ერთმანეთს ვენაცვლებოდით, მაგრამ გავიფიჩხეთ, საშინლად ჰყვინავდა... და დლილი... ვერაფერი შევუგზავნეთ... არ მიიღეს... ჩვენ მაშინ არ ვიცოდით... არა... რომ (სიტყვა უწყვეტა, ცრულზე ახრბობს) ოპერაციის წინა ღამეს არ შეძინა... გათენებისას ერთი წუთით ჩავთვლიძე და ვანო ვნახე... ისე ცოცხლად... ისეთი ღამაში იყო... ნუ გეშინიაო, ყველაფერი კარგად იქნებაო... (ცდილობს, გაიღმოს).

ბაბ(7): (უნდა გააქარწლოს, ახეთი ტკივილი რომ მათენა ნატოს) ჩემი პატარა გოგო, არა, არა, ეს წარმოდგენელია, ჩვენ რომ დავკვიძალე და არაფერი გვითხარი, ხომ ჩამოვიდოდით, აუცილებლად ჩამოვიდოდით და თავზეც დავადგებოდით... დიდი გულდახსურული ვინძე ხარ, ვინც არ გიცნობს...

ნატ(7): არა, ყურადღება არ მომკლებია, ყველაზე მეტად კი ჩემი დედამთილის ყოფნა მსიამოვნებდა, ვუბნებოდი კიდევ: თქვენ მოწოდებით მოწყალების და ხართ მეთქი... თქვენ რაღატომ უნდა შემეწუხებინეთ...

ბაბ(7): (აღლევებით) ოპ, ნატო, ნეტაც მე ვინც მაწუხებს, ის არ მაწუხებდეს, რა უნდათ ჩემგან, რა... (ერთბამდ თითქოს პროსტრაციამე ჩავარდა) მე ვიცი რაც უნდა... საითაც მიბიძგებს... ოოო, ის მზაკვარი ისა... იმას უნდა გამოვლო ჩემი წამლების კარადა... ავიღო...

ნატ(7): (შემინებული გააწვევინებს ბაბოს, სულ დააწყვება თავისი ამაგი) ბაბო, თქვენ დღესვე უნდა წახვიდეთ გაიოხთან! მე მზად ვარ გამოვკვე! აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე! არ უნდა გადავლოთ! ან აქამდეც სად ვიყავით და რატომ არ წაყვდით?! ხომ ხედავთ, მე ვედარაფერი გამიწყვია, ჩემი სიტყვისა ჯღარ გვერათ.

ბაბ(7): (შეპროთილი და შეურაცყოფილი) რა მინდა, ჭალო გაიოხთან! რა შუაშია გაიოხი! გამავებინე! შენ გგონია მე არაადექვატურად

ვამბობ რაიმეს, ან არაადექვატურად ვიქცევი? ნატ(7): (წყნით) როგორ, სამარცხენოდ მიგაჩნიათ გაიოხთან წასვლა? ექიმო, მაინც არ იყოთ, მიკვირს სწორედაც თქვენგან!

ბაბ(7): (გოროხად შესასხებს) შენ წადი, შენ წადი, თუ კარგია!

ნატ(7): მე როცა გამიჭირდა, წავედი კიდევ! და სხვათაშორის არაერთხელაც! მაშინ... მაშინ... აკვატებულად უდაბურ მინდორს ვხედავდი... და სულ სროლის ხმა მესმოდა... როგორც ოცდაოთხში, გიგი რომ დახვრიტეს, გიგოსგორიდან რომ ისმოდა გარიყრაყზე სროლის ხმა... (ისბას სროლის ხმა...) ღმერთო ჩემო, არც ვიცი, გაიოხი რომ არ ყოფილიყო, რა მეშველებოდა, სწორედ იმის შემდეგ ვერ წარმომიდგენია, გამიჭირდეს რამე და გაიოხს არ მიემართო... ეს უნდა გწყნოდათ? კულტურულ ადამიანს, ესა? თანაც ისეთი პიროვნება, როგორიც გაიოხია!

ბაბ(7): არავითარი გაიოხი მე არ მჭირდება! ჩემი წარმოდგენები უფრო ადექვატურია ვიდრე ჩემი მეზობლებისა და ნაცნობებისა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შიშს დესპოტურ სახელმწიფოში საფუძველი არა აქვს!

ნატ(7): საბოლოოდ ვრწმუნდები, რომ თქვენ დემაგოგი ხართ.

ბაბ(7): მე ვარ თუ შენ, გიყვების ექიმთან რომ მაგზავნი!

ნატ(7): არ გეკადრებათ, ბაბო, არ გეკადრებათ, სულთ ავადმყოფს „გოტი“ უწოდოთ, ისე კი ჩვენ ყველა, ვინ ამდენად, ვინ იმდენად, სწორედაც გიყვით ვართ, შეუძლებელია, ათუელი წლობით თრგუნვამა და პრესის ქვე ყოფნამ არ გამოიწვიოს ფსიქიკის დეფორმაცია, ტვინი რკინისა კი არ არის! ისე რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი დროდადრო სწორედაც უნდა დადიოდეს გაიოხთან!

ბაბ(7): (გაბრწყინებული შესცქერის ნატოს) მივხვდი, მივხვდი! შენ გატაცებული ხარ გაიოხით, იქნებ რომანიცა გაქვს და ვინდა ავადმყოფები მოუმრავლო, მითუმეტეს, ჩემისთანა შეძლებული ავადმყოფები! ესლა ყველაფერი გასაგებია, და არც გამტყუნებ!

ნატ(7): (გამტყნარებული, მშრლად) მადლობთ, ბაბო, დიდი მადლობა...

ბაბ(7): ვითომ რას იტკიცე? ვარდებს უნდა შესტრფოდე და კაცებს არა?! წარმოდგენელია განა, ახალგაზრდა, მშენიერ ჭაღს რომანი ჰქონდეს? დაუშვებელი სწორედ ის არის, რომ არა ჰქონდეს!

**ნატ(ო):** კარგით რაა, ბაბო, არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი!

**ბაბ(ო):** ხომ ვთქვი კიდევ, შენ ყოველთვის გულდახურული იყავი! და თუ იმასა ფიქრობ, რომ ლილი შენი მეგობარია, რა მნიშვნელობა აქვს ამას? რაა მერე...

**ნატ(ო):** (ძლივს იკავებს აღშფოთებას) იცით თქვენ ძალიან კარგად, რომ ჩემთვის ეს გამორიცხულია! ჯერ საერთოდ და მითუმეტეს, ჩემი მეგობრების ქმრებთან!

**ბაბ(ო):** (თითის ჭრებით და ანკი ღიმილით) თუ ეს ასეა, ძალიანაც ვწუხვარ! რატომ უნდა იყო მარტო, რატომ უნდა გაანიორწყლო შენი ახალგაზრდობა?!

**ნატ(ო):** (ცოვად) ეგ იმათ ჰკითხეთ, ვინც ვანო წაიყვანა ისე უსამართლოდ, ტყუილუბრალოდ... უსინდისო მკვლელები...

**ბაბ(ო):** ხომ იცი, როგორ მიყვარდა ვანო, რა შესანიშნავი პიროვნება იყო, მაგრამ ათი წელი გავიდა... ათი წელი... მაშინ ამიხსენი, როგორ ძღვე, გენაცვა, უსიყვარულოდ? როგორ?

**ნატ(ო):** ვინ ვითხრათ, რომ უსიყვარულოდ! თქვენ სიყვარული ფლობის გარეშე ვერ წარმოიდგენიათ... ჩემი ცხოვრება კი ასე აეწყო... ვანო ხომ გიგის მეგობარი იყო და გიგის დახვერტის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო შევევით ერთმანეთს, გამსჭვალული ვიყავით გიგის ხსოვნით და არცერთი წუთი არ შეგვეძლო გაძლება უერთმანეთოდ, მაშინ სტუდენტები ვიყავით და დრო თუ ვაკონდა, ერთმანეთის ლექციებსაც ვესწრებოდით... ვანო ხომ ძალადი იყო და ხუმრობით მეუბნებოდა ხოლმე, ასეთი ტანმომცრო რომ ხარ, კიდევ მეტად მიყვარხარო, და სიცილით დაამატებდა, არასდროს დაბერდები. მე არცერთი დღე არ ვყოფილვარ უსიყვარულოდ, ბაბო, მთელი სიცოცხლე საგზლად გამეყვება ეს სიყვარული.

**ბაბ(ო):** კი, ბატონო, სიყვარული, სიყვარული, მაგრამ როგორ დაეიჯერო, რომ კაცი არ გენატრება. ეს ხომ წარმოუდგენელია! (ღამის აღშფოთება).

**ნატ(ო):** კაცი? რას ქვია კაცი? მე, მე ჩემი ქმარი მენატრება... ძალიან მენატრება... ცოცხალი რომ ყოფილიყო... უფლება რომ მოეცათ... ქვეყნის დასაღიერამდე ვივლიდი, ოღონდ კი მენახა... ოღონდ კი ერთად ვყოფილიყავით...

**ბაბ(ო):** ოჰ, ნატო, ოჰ, ნატო, გამოდის, რომ მთელი სიცოცხლე შენ ერთმანეთში ურვედი

სიყვარულსა და სექსს... და ძალიანაც სცდები...

**ნატ(ო):** (იღინის) მე ვურვედი, თუ თქვენ ურვედით, ჩემთვის სული და ხორცი განუყოფელია. მოდით, ნუ ვიკამათებთ, ჩვენი შეხედულებები სიყვარულზე და ერთგულებაზე გამორკვეულია.

**ბაბ(ო):** და რა თქმა უნდა, გულში მძრახავ და მამტყუნებ ჩემი შეხედულებებისა და ჩემი გავლილი ცხოვრების გამო... ეჭვი არ შეპარება, რომ მამტყუნებ!

**ნატ(ო):** არავითარ შემთხვევაში! ყველა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ, თვალი რომ გაგახილეთ, თქვენ დაგინახეთ და თქვენს წინ ვარ გაზრდილი.

**ბაბ(ო):** არა, არა, შენ ვასო გიყვარდა, ვასო იყო შენი ნათლია, და რა თქმა უნდა, მოგაჩნდა, რომ მე ვასოს ვლალატობდი, არადა, ვასო მთელი სიცოცხლე, ბოლომდე მიყვარდა, და მე ვასოსთვის არ მიღალატია, რადგან გატაცებუბი მე ღალატად არ მიმაჩნია! და საერთოდ, რა არის ღალატი? რა შუამია ღალატი?

**ნატ(ო):** (სიცილი აუტყდება, უნდა რაღაც თქვას და ვერ უთქვამს, ახველებს განგებ, ვთომ კელჩის ნამცეცი ვაღსცდა) პოდა... ნუ ვიკამათებთ...

**ბაბ(ო):** (იქედნურად) რა დასანანია, რომ შენისთანა ნიჭიერი ადამიანი, ასე არასწორად აზროვნებ, მეოცე საუკუნეში განა წარმოსადგენია ასეთი დახავსებული, ასეთი პროვინციული შეხედულებები გქონდეს? და რუსიკოსაც ასეთი შეხედულებებით ზრდიდე! ანუ ფარისევლურად!

**ნატ(ო):** ვთხოვთ, ბაბო, ნუ გალიზიანდებით, მე „ვეფხისტყაოსნის“ კულტურაზე ვარ გაზრდილი და არცა ვნანობ, თქვენ კიდევ ევროპაში გაქვთ სწავლა მიღებული და სთვლით, რომ კაცობრიობა თავისუფალი სიყვარულისკენა და ლოგინიდან ლოგინში ზტომისკენ მიაბიჯებს ადლიანი ნაბიჯებით.

**ბაბ(ო):** და ძალიანაც კარგი! ვასოც კი, რომელიც რამდენჯერ შენზე უფროსი იყო, და თანაც კაცი, — და კაცები ხომ საერთოდ რეტროგრადები არიან, — თანამედროვე შეხედულებებით იყო გამსჭვალული... როგორი ფართე პორიზონტი ჰქონდა! აფსუსს, აფსუსს, არ გამოძვლოდა ხელიდან?!

**ნატ(ო):** თქვენი ჩიჩინით, ბაბო, მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ჩიჩინით და ისიც თეორიულად... პრაქტიკულად კი, მტკოვებით, მაგრამ უნდა ვითხრათ, ნეტავ გენახათ, თქვენ რომ

ვინმე გულის ვარდი მოგივიდოდათ, ვითომ პაციენტად, მია ვასო გამოვიდოდა ჩვენთან, ჩემს ნათლულთან ნარდი მომენტარაო... თქვენ იცით, მე ვერ ვიტან ნარდს, და ვერც კარტს, მე ვერ ვიტან ასეთ გართობას, მაგრამ ისე წავიდა მია ვასო, არასდროს მიგრძობინებია, რომ არ მინდოდა ნარდის თამაში, ... ისეთი შეკბუნებული იყო, ისეთი გამტკნარებული, ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ თქვენ მორიგი განცდების მორევში იყავით ჩაძირული, და რა ვქნა, მთელი ჩემი არსებით ეუთანგრძობოდი მია ვასოს...

**ბაბო:** ტყუილი, ტყუილი, ტყუილი, ვასო ისე შემოძვიცივნებდა, ისეთი ბედნიერი იყო ჩემს ვეერდით, ასე შენი შეხედულებების გამო გეჩვენებოდა! და საერთოდ, ქალისა და კაცის ურთიერთობიდან სიტყვა „აღალატი“ ამოსაღები და გასაუქმებელი სიტყვაა, ხან ერთს შემოაწყდებდა საფანელი, ხან მეორეს, განა ეს ღალატია? და ვიდრე ვგრეთწოდებულ პატროსან ქალებს შურდეთ სხვისი ვნებებისა, სჯობს, ამოძვრენ დახავსებული ნაჭუჭიდან და ბედს ეწიონ! მე ეჭვი მეპარება, ნატო, რომ შენმა არაადექატურმა შეხედულებებმა მიგიფანა მაგ ოპერაციამდე, თუ სიძარითლე გინდა ეს არის!

**ნატო:** თქვენა, ბაბო, თქვენ რამ მიგიყვანათ?

**ბაბო:** (აღღეჭული მაშტრდება ნატოს) ნუთუ არ გესმის? ხან აქედან ისმის, ხან იქიდან... დაფრუდო, ნატო?

**ნატო:** ეხლა თითქოს მეც გავიგონე... ნაბიჯები ახლა უკვე მკაფიოდ ისმის...

**ბაბო:** (ფანჯარაში გაიხედავს და სიცილი აუტყდება, იცინის, იცინის, ხელს ფანჯრისკენ იშვერს, ვარდნარისკენ და ღამის ისტეროლად იცინის) ავერ, ავერ! ნატოც გაიხედავს ფანჯრისკენ და გაშეშდება: ვარდნარში, თითქოს მაწიდან ამოიზარდაო, პენსიანი კაცი. მის შავი, ვიწრო პალტო თუ პლაშში აცვია, შავი შლამა ზურავს, მაღალია და ელევანტური, ბაღების მოცეკვავესაო, და სწორედ მოცეკვავესაო, იღეთუბით მოძრაობს ვარდებს შორის, ხელებით თითქოს პასები გამოჰყავს... შუზე პენსე ელვარებს... კაცი მრწუსხულივით ჩერდება ხან ერთ ვარდთან, ხან მეორეთთან, ხან შესამესთან. მოხიბლული დაჰყურებს, თითქოს ესეყარულება და ფროსავს... ნშირად სახეზე რაღაც უენაური დიმილდ დასთამაშებს...

ნატო და ბაბო ერთმანეთისკენ მიდიან, ხელებს ჩახჭილბენ ერთმანეთს, უტყვალ მიხურებთან პენსიანს... ბაბო ნიშნის მოგებით გადახედავს ნატოს, აი, თუ არაადექატური წარმოღვენიბი მქონდაო.

**ნატო:** (ღამის წურხლით) წარმოიღვენიბით, რომ ასე ჰყვარება ვარდები? უყურეთ, უყურეთ, ცისფერ ვარდთან რამდენი ხანი გაჩერდა ეს ხომ მიუწვდომლობის სიმბოლოა...

**ბაბო:** მე ეგენი ყველაზე პრიმიტიულები მეგონნენ.

**ნატო:** (შეფქიანებული) რა ვქნათ, ბაბო, ჩაიზე ხომ არ მოგვეწვია?

**ბაბო:** უყურე, უყურე, როგორ მოსწონს თეთრი ვარდი... თავი დაუკრა... ჰკოცინის...

**ნატო:** უცოდველობის სიმბოლოა თეთრი ვარდი...

პენსიანი კაცი მართლაც ნახად და საუთად ჰკოცინის თორ ვარდს და იჭეკ, სახეზე სარკასტული სიცილი გადაჰფინება, სახელდახელოდ, ელევანტური მოძრაობით იხსნის შავ პალტოს, იხსნის შარავს... აღტყნებული იცინის, პენსნეს აღევარებს და ვარდებს ცეკვა-ცეკვით აუსამს...

**ნატო:** (სასწორკეთილი) დემერტო ჩემო; რა საშინელებაა... (თალებზე ხელს ათფარებს).

პენსიანი კაცი კი კამარას შეტრავს, პერში შეითამაშებს, დატრიალებს და ქრება. ქალები ერთ წუთს გამეშვებლები დგანან, მერე ნატო თავში შემოიკრავს.

**ნატო:** ახლავე, ახლავე უნდა წყლით გაგებანო ჩემი ვარდები!

**ბაბო:** (გაოგნებული) მეც წავალ... მეც წავალ...

**ნატო:** მამატეთ, ბაბო, არ შეიძლება ვარდების ასე დატოვება, მეშინია საზიზღარი სუნი არ გაუჯდეს (გაღის გარეო, მას ბაბო მისდევს).

**ბაბო:** (აღრსიანად, თან სევდიანად) ნატო, გენაცვალე, თავს გაუფრთხილდე... (ისე უყურებს, თითქოს ეთხოვებაო) გითხოვ, თავს გაუფრთხილდე...

**ნატო:** (კატეგორიულად) არა, არა, არცერთ ვარდს არ გაუშვებ, რომ არ გაგებანო!

ბაბო ერთხანს ნატოს უყურებს, რომელმაც ეს არის დასტავა ხელი სარწყავს, მერე მიბრუნდება, სამეზობლო კარისკენ მიდის, ცოტას გაიჯღის, ხალათის ჯიბიდან პატარა შუშას ამოიღებს, ხელის გულზე გადმოიყრის ფხენილს და ის არის, პირში უნდა ჩაიფაროს, ნატო თვალს შესაწირებს, გამოიქცევა, ხელს აუკრავს და დაბნევიანებს.

**ბაბო:** არ მინდა სიცოცხლე, არა. სწორედ-დაც უნდა მოგკდე! (ისევ იღებს ჯიბიდან შუშას, მიბეილაობენ ქალები, ნატო გამოვლევს დარიშხანია შუშას).

**ნატო:** (უფერის) მართლაც და მართლაც გყვით თავს გასვლა! ახლავე მიშველით ვარდების გაბანვას. ახლავე! ვალდებული ხართ.



იმდენი ქენით, სანამ ის ეშმაკი არ გამოიხშეთ!  
სანამ ჩემი ვარდები არ შეაბილწინეთ! თან,  
სხვათა შორის კუხნეცოვის ფინჯანიც გადა-  
აგდეთ და გაბზარეთ! ახლა კიდევ უნდა  
დაგიტიროთ არაა! არავითარ შემთხვევაში! გა-  
მომართვით ეს სარწყავი!

**ბაბო:** (მზრებს ჩამოფრის, ნატოს ყვირილზე მოი-  
ბღუნება, დაემორჩილება, გამომართმევს სარწყავს, დაფ-  
ვავებით უბნება) პოო... კარგი... კარგი... ნუ ნერვ-  
იულობ... შენთვის ნერვიულობა არ შეიძლე-  
ბა...

**ნატო:** მადლობთ ზრუნვისათვის... (თვი-

თონ მორე სარწყავს აიღებს).

**ბაბო:** (ჯერ აბუზული ამოუდგება მზარში ნატოს,  
თანდათან გაიმართება წელში) ოპ, ნატო, რააა ნატო,  
რა აუტანელი ხარ...

**ნატო:** (სიცილით) თქვენა? ბლის კუნწუ-  
ლა! (განზე გავა და ეძახის თავის შვილს) რუსიკოო,  
რუსიკოო, ცოტა ხნით მეცადინეობას მოეშვი  
და ბრამსის მეზუთე ცეკვა დაგვიკარი მე და  
ბაბოს, გესმის, ვთხოვთ!

ახლა უკვე ხამაღლა ისმის ვილინოს ხმა და  
ბრამსის „უნგრული ცეკვა...“ და სწორედ ამ რიტმზე  
ქალები იწყებენ სარწყავებს.





# აფრინდა ჭილყვაპი, გადაიხრანტალა

კომედია ოთხ სურათად

## მოქმედი პირები:

1. რეზო
2. მზია
3. ფიქსულტურელი ბობო
4. ფიქსულტურელი ბიზი

მოქმედების ადგილი: სვერი პოსტსაბჭოურ სივრცეში.  
 სურათი პირველი: რამდენიმე ზე. მრგვალი  
 მაგიდა. ორიოდე სკამი. სცენის ცენტრში კვარცხლბეკი.  
 კვარცხლბეკზე ქანდაკებული, ტრიკოამოცხელი ქალ-  
 ვაჟი. გოგოს ნაშთი უკორავს, ბიჭს - ურო, ცალი ფეხი  
 მოუხრიათ, მეორე უკან გაუზიდაეთ. სხეულები წინ  
 წაუხრიათ, გასაფრნად გამზადებულ რაკეტებს გეანან.  
 სცენის სიღრმეში მზია ჩამომჯდარა სკამზე.  
 /სანამ ფიქსულტურელები კვარცხლბეკიდან ჩამოვლენ,  
 ისინი საუბრობენ გადაწურულებით, მიმოიხსნებიან, ერთ  
 მდგომარეობაში გაქვავებულნი.  
 ფიქსულტურელი ბობო - მოფრინავს...  
 ჩვენსკენ მოფრინავს... დაგვტრიალებს  
 რატომ? ფუჰ, შენი!... დამასკლინტა...  
 ფიქსულტურელი ბიზი - ვინ?..  
 ფიქსულტურელი ბობო - ვინ დამასკლინტა?  
 ჩიტ!... ჭილყვაჟია, მგონი - ეშვება...  
 კი, ჭილყვაჟია... ქმა! ქმა! დაფრინდა -  
 ვილაცამ თოკი შემოაგდო... მარწყუყიანი...  
 ვერ ხედავ?  
 ფიქსულტურელი ბიზი - აქედან ვერა... სად  
 არის?  
 ფიქსულტურელი ბობო - ჭილყვაჟი? დადის  
 მიწაზე... თოკთან... ჩაღი, რა!  
 ფიქსულტურელი ბიზი - სად ჩაივდე?  
 ფიქსულტურელი ბობო - სად უნდა ჩახვიდე,  
 ქვემოთ...  
 ფიქსულტურელი ბიზი - არ შეიძლება...  
 ალღუმი!..

ფიქსულტურელი ბობო - გადაიდო, ეტყობა,  
 ალღუმი... ჩაიშალა ალღუმი...  
 ფიქსულტურელი ბიზი - შეუძლებელია!..  
 ფიქსულტურელი ბობო - გეხვეწები, ჩაღი!..  
 ფიქსულტურელი ბიზი - ჩუ!..  
 ფიქსულტურელი ბობო /პაუზის შემდეგ/ -  
 ჩაღი და ბუტერბროდებს გაქმევე ცვლით,  
 მეხვითაც... თერმოსში ჩაი მაქვს...  
 ფიქსულტურელი ბიზი - მერე ეგ... მერე!..  
 ფიქსულტურელი ბობო - დამასკლინტა  
 მეთქი, გეხმის თუ არა?!  
 ფიქსულტურელი ბიზი - მაინც ვერ გხვდავ  
 აქედან.  
 ფიქსულტურელი ბობო - მართლა ვერ  
 მხვდავ?  
 ფიქსულტურელი ბიზი - ვერა.  
 ფიქსულტურელი ბობო /პაუზის შემდეგ/ -  
 დაევიწყდით, ეტყობა, ჩაღი! /ტრიკოამოცხე  
 მისული ხმით/ - ჩა-ღი!..  
 ფიქსულტურელი ბიზი - ჩუ!..  
 ფიქსულტურელი ბობო - ჩაღი, იქ მინდა!..  
 ფიქსულტურელი ბიზი - მოითმინე ცოტაც...  
 მოვა!  
 ფიქსულტურელი ბობო - ვინ მივევარდა,  
 თურმე...  
 ფიქსულტურელი ბიზი - ვინ?!  
 ფიქსულტურელი ბობო - შენ, მაგრამ აღარა



აქვს მნიშვნელობა... ჩადი, თორემ შხის  
დარტყმას მივიღებ... /პაუზის შემდეგ/ -  
ჩა-დი!  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - თვითონ შენ...  
*/ჩუმდება/*  
 ფიზიკულტურაში ბოზო - რა? მე რატომ  
არ ჩავდივარ?!  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - პო...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - გრცხვეწოდეს!  
 ჩავალ კიდევ!...  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - პოდა, ჩადი!  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ჩავდივარ  
*/აღვილიდან არ იძვრის!* პაუზა.  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ააა!  
 ფიზიკულტურაში ბოზო - რა, ააა! დამასმენ  
 მერე...  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - არ დავასმენ, არა!  
 ფიზიკულტურაში ბოზო - აბა, რას იზამ?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - მეც ჩამოვალ...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - მაშინ ჩადი, რაღას  
 ელოდები!...  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ჯერ არა... ვერა...  
 თანაც, რამ გაფიქრა?...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - რა?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - დამასმენო... მე  
 ხომ მიყვარდი... ახლაც მიყვარხარ!  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ცუდ დროს  
 დამასკლინტა ჩიტმა... მართლა ვერ  
 მხედავ?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ვერა...  
 პაუზა.  
 ფიზიკულტურაში ბოზო - როგორ?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ჰა?  
 ფიზიკულტურაში ბოზო - როგორ გიყვარდი?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ტირილამდე...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ეგ რას ნიშნავს?  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ვსხვევართ ოთახში,  
 - შენ ფანჯარასთან, მე - ყრუ  
 კედელთან. შხის შუკი გადგება, გიცქერ.  
 კალმისტრის ბოლოს კენეტ, მერე  
 აძოქნარებ. მე გიცქერ და მეტირება.  
 პაუზა.  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ...მადლობთ.  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - პირიქით.  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ახლა ჩადი, ფეხი  
 გაძიშეშა.  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ცოტაც...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - ოოო...  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - მეც უნდა მეთქვა.  
 ფიზიკულტურაში ბოზო - რა?

ფიზიკულტურაში ბიჭი - ოოო...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - იდიოტებო-ჩარო  
 - შენც, ისიც!  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - არ ავიწყდება  
 რეზოს არაფერი!...  
 მზია /სკამიდანვე/ - უკაცრავად, რეზო ახსენეთ!  
*/წამოდგება, მათვე გამოუძრთება/*  
 ფიზიკულტურაში ბიჭი /გოგოს გასაგონად/ -  
 პროუკატორია, ჩუ!...  
 ფიზიკულტურაში ბოზო - გამიშეშა ფე-  
 ფიზიკულტურაში ბიჭი - ჩუ მეთქი!  
 მზია /კვბოდან მიცქერილი/ - მე ამ უზნის  
 სახლმმართველი ვახლავართ, შხია. რეზო  
 ახსენეთ, არა?! ხმას რატომ არ მცემთ?!  
 მე ხომ მესმოდა... გავიგე - რეზო...  
 ყმაწვილო, თქვენ თქვით, რომ... რა ხდება,  
 მართლაც ქანდაკებები ხომ არა ხართ,  
 რამ გაგიქვავათ გული?! /პაუზის შემდეგ/  
 - გინქმეტ ახლა, იცოდეთ, ორივეს  
 გინქმეტ! /ჩქვტს, თუმცა ფიზიკულტურელები  
 არაფერს იმჩვენენ/. მასულელებთ, არა,  
 ხორცი მაინც არ მეგრძობო თქვენი... ქალი-  
 შვილო, წესით, თქვენ მაინც უნდა გესმო-  
 დეთ! /ხანმოკლე პაუზის შემდეგ ხმაძალა/  
 მოვითხოვ ბოლოს და ბოლოს! მაქვს  
 კიდევ ამის უფლება! იცით კი, რას  
 ნიშნავს იყო სახლმმართველი?! სა-  
 ნგარიშო ჩოთქი, მელნით დასვრილი  
 თითები, გაყვითლებული ქაღალდები...  
 საშინელი კაბინეტი, სადაც შენი  
 ცხოვრება უკვალოდ ქრება... ეს ყვე-  
 ლაფერი გფიტავს, იცით, გაშრობს,  
 გაბორტებს კიდევ... არაფერს აღგიქვამს  
 ქაღალ! გერიდებან... ფულის გადახდა  
 არ უნდათ. ძალაუნებურად ხმაში რაღაც  
 გინდლება ისეთი, - ცუდი, შემპარავი,  
 დაეთრევი სართულიდან სართულზე: -  
 ბინის ქირა გადაიხადეთ! წყლის ფული  
 გადაიხადეთ! სინამდვილეში კი იმის  
 იმედი გმართავს, რომ ერთ-ერთ ბინაში  
 გადაწყდები მას! არა, არა, ვერა და  
 ვერა!... და აი, ძლივს და ისიც არ მოვიდა!  
*/თავჩარგული რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს  
 სკამისკენ. შემოტრიალდება, იცნებაში წასული  
 მზრით/, სწორედ ასეთ რეზოზე ვო-  
 ცნებობდით მუდამ! მილიციონერი,  
 გამჭოლი მზრით... გველნება, გბურღავსო  
 თვალებით. გბურღავსო... სად ან როგორ  
 მოქმედებო ის სიტყვები, ჩემი გულის-  
 ნადები რომ გადმოგცეთ, სად!..*

ჳიჳკულტურაჳი ბიზი /*ჩუჩილით, ვაჳნრეღად* /  
- საღ?

მზია /*სწრაფი ნაბიჯით, იმეღანად* / - რაო, რა  
მკითხეთ?!

ჳიჳკულტურაჳი ბიზი /*ვოგოს მისაპართით,*  
*გაჳფრთხილებღად* / - ...ჩუ!

მზია /*ავრებით ბიჳს* / - რას ჳქია - ჩუ! რატომ,  
ჩუ! თჳქენ - ჩუ! სწორადაც  
თჳქენ - ჩუ!.. არც კი გრცხვენიათ,  
ფიზკულტურელი მაინც არ იყოთ! /*ვო-*  
*გოსცნ, ვოგონა, ჳკლიშვილო, ნუ მაჳქვეთ*  
*წრაღლებას!* თუ კი რამ იცით რეზოზე,  
გჳმუღარებით! რა მკითხეთ, რაო, საღაო?!

ჳიჳკულტურაჳი ბიზი /*ვაჳნრეღად, ჩუჩილით* /  
- საღ გაიცანით რეზო?

მზია - ა, რეზო?! /*აუზის შუღღ ოცნებაში წასული*  
*მზრით,* / რეზო ცხედრის ამოცნობაზე  
გაიციანი. აჳვე, სკვერის გაღაღმა, 18-  
ე კორპუსის 31 ბინაში ერთი მარტოხელა  
კაცი ცხოვრობდა, კარლო ბაგარი. დიდი  
უცნაური ვინმე იყო; წარმოიდგინეთ,  
ჳილყვათ მიიჩნია... დიას, არც ძალი,  
არც კატა, არამედ ჳილყვათ... არ  
გამოჩნდა ეს კაცი ერთი დღე, ორი დღე,  
სამი დღე... გამოვიძახეთ მილიცია.  
მოვიდა რეზო. და თანაც ისე მოვიდა,  
იცით, აი, რასაც ჳქვია მოვიდა!..  
შეგანვრეთ კარი. საზარელი სანახავი  
იყო საბრალო კარლო... და სუნი, სუნი,  
სუნი, მოგეხსენებათ... მაგრამ მე რეზოს  
ეუცჳრდი და სრულებით არ მეშინოდა...  
მე მამინაც კი არ შეშინებია, როცა  
საიდგადაც ჳილყვათი გამოჩნდა და  
მოხურული ფანჯრის მინას შეასკდა...  
- მერე რეზომ რაღაცნაირად ძალიან  
დამაჳერებლად, აი, ასე, ძალიან  
მოხდენილად გააღო ფანჯარა და  
ჳილყვათი ფრით, და გაფრინდა! ჩვენ  
შეგადგინეთ აჳტი, რეზო კი ღია  
ფანჯარასთან იღგა და უკიდევანო  
სიფრცეს გასჳქროდა, და აი, ეღლიე ჩემს  
რიღსა და სიმორცხვეს, მიუჯახლოვდი  
რეზოს და აჳ, სკვერში ვთხოვე შე-  
ხვეღა... /*ტრიღამღე მისული ხმით,* / დიასაც,  
მე ვადავდგი პირველი ნაბიჯი, მე  
ღავითანხმე პაემანზე, ის კი, ის... როგორ  
გადმოჳცე რა უბრალო სახლმ-  
მაროველმა სიტყვებით, თუ რას ვგრძნობ  
ახლა!..

ჳიჳკულტურაჳი ბიზი - ჳილყვათ.

მზია - ბატონო?! რომელი ჳილყვათი?  
ჳიჳკულტურაჳი ბიზი - თოკთან... იქით,  
იქით! ჳილყვათი თოკთან...

მზია /*ღანეული* / - ჳილყვათი, თოკი... თოკი? ა,  
თოკი... /*უფრო ღანეული,* / თოკი რა შუაშია?!  
თოქი, რომელიც მზიას ეჭირა, გაიშრება, დაიბარება, მზიას მათარვეს საღდაც...

მზია - რეზო, რეზო, ბებიკო... რეზო!!!

აღამიანებად დავრჩეთ, რეზო, გავწმინდოთ და თან ადამიანებად დავრჩეთ, ბებიკო... მე...

რმზ(ო) /პაუზის შემდეგ/ - ...სამწუხაროდ, არ გამოდის... /პაუზა/ ბიცოლა...

რეზო კვარცხლბეკს მუახლოვდება, ვეტერანს დააკვირდება. შემდეგ ჩამოვლევს სადენს. შემოდის ფიზკულტურული გოგო ფუთი. შორიდან უცქერის რეზოს. რეზო კვარცხლბეკზე ადის. მძინარე ფიზკულტურულ ბიჭს ეხება მხარზე. ბინას ათვლიერებს.

ფიზკულტურშილი ბიჭი /თვლების ფშვებით/ - რეზო?... როდის?..

რმზ(ო) - დღეს...

ფიზკულტურშილი ბიჭი - მოდი, გაკაცოო, შე...

რმზ(ო) - არ შემეხალო, უწყებით ვარ მოსული!

ფიზკულტურშილი ბიჭი /წამოუდება/ - რა უწყებით?

რმზ(ო) - ალღუმისთვის კვარცხლბეკი უნდა გაათავისუფლო...

ფიზკულტურშილი ბიჭი - აბა, კვარცხლბეკი?

რმზ(ო) /მღი-მღიღი, ათვლიერებს/ - აი, კვარცხლბეკი!

ფიზკულტურშილი ბიჭი /წამოძმარება/ - შეი-შაღე?! თუ ხუმრობ...

რმზ(ო) - იცოდე, არ შემეხალო!

ფიზკულტურშილი ბიჭი - ვერ გავიგე, რა ხდება?!

რმზ(ო) - რა უნდა ხდებოდეს... თქვენს გამო მენაკვედ ვიქციო... ვის უხარია მენაკვეობა... ვერ ვგრძნობ, როგორ ყარს აქაურობა... ვილაცას ხომ უნდა გავწმინდა... მეც ვწმენდ... რა ვქნა...

ფიზკულტურშილი ბიჭი /ზელი წაიღო რეზოსკენ/ - მანახე ერთი, შენი შუბლი...

რმზ(ო) - ...არ შემეხალო!

ფიზკულტურშილი ბიჭი - შუბლი მანახე, შე, ლაწირაკო, ხომ უნდა ვიცოდე, რით გიწამლო!

რეზო ბეისბოლის ვიზს ურტყამს გამოწვილ ხელზე. ფიზკულტურშილი ბიჭი - ოხ, შე... /გაიწვევს/. რეზო მალან უცებ, პროფესიონალურად იღებს იარაღს და ერთი გასროლით კლავს ფიზკულტურულ ბიჭს. გასროლასთან ერთად ფიზკულტურულ გოგოს ფუთა უფარდება ხელიდან.

ნული ნაბიჯით გამოეშროება კვარცხლბეკსკენ. შემდეგ კვარცხლბეკზე ააბიჯებს.

ფიზკულტურშილი ბ(ო)ბ(ო) - მოკვდა? მოკალი? მამა მოკალი?

რმზ(ო) - ვაფრთხილებდი... ის შემეხალო...

ფიზკულტურშილი ბ(ო)ბ(ო) /მთელი ხმით, მხოლოდ ცრემლის გარეშე/ - მამა მოკალი!!!

რმზ(ო) /შვიდი ხმით, პაუზის შემდეგ/ - ალბათ,



მოკვდა... მე არ ვაცდენ...  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) /ჩაეარდნილი ხმით/ -  
 ნუთუ ძველისძველი ამბავი მუო-რდება...  
 რეზ(ო) /გაცხარებით ისერის ნიუთებს კვარცხ-  
 ლბეკიდან/ - და თანაც, რაო, ვინ  
 მოკალიო?  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) - მამა მოკალი, მა-  
 მაშენი?!.  
 რეზ(ო) /იგივე გაცხარებით მოქმედებს/ - ვინო,  
 მამაო?  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) /უფრო ჩაეარდნილი ხმით/  
 - ჰო, მამა...  
 რეზ(ო) /თითქმის მიასუფთავა კვარცხლბეკი/ - მამა  
 ესეიგი, არა?!.  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) /თითქმის წურწულით/ -  
 ...ჰო!  
 რეზ(ო) - მამაჩემი რეზო ბაგარი იყო და არა  
 ეს ვილაც ფიზკულტურული - შენ თუ  
 არა, ვინ უნდა იცოდეს...  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) - ის ღვრიდა სისხლს  
 და ოფლსაც ღვრიდა შენთვის, და ის  
 მამაშენი იყო...  
 რეზ(ო) - მე გავაფრთხილე... ეს შექმნალა...

ანდა, რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს,  
 როცა სულით ბაგარი ზარკ, მატლევებში  
 კი ახალი სისხლი ვიჩუხნუხებებს...  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) - შენ კვარცხლბეკზე  
 იჭერ მის ადგილს... თვალები უნდა  
 დაეთხარო წესით და რიგით, მაგრამ  
 ყველაზე საზარელი ისაა, ბედისწერის  
 სისასტიკეს რომ მივეჩვიეთ... ჩვენს  
 დროში თვალებს აღარ ითხრიან, შავი  
 ნაჭრის აფარებაც საკმარისია...  
 /დაიხრება, კვარცხლბეკის იატაკიდან შვე ნაჭურს  
 აიღებს და თვალებზე აიხვევს/.  
 რეზო ვანზე გადადგამს ფეხებს, ისე, როგორც ეს  
 სამხედროებმა იციან. ცერებს ქამარში ჩაიწყობს.  
 დასასრულაშვე უძრავად დგანან.  
 - კარ! კარ! - გაისმება ორჯერ.  
 რეზ(ო) - ჭილვევაემა დამასკლინტა...  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) - ...ბედი გქონია!  
 რეზ(ო) /გაილიმებს/ - ნახე, შეხედე, ორდენივით  
 მოაქვს...  
 შიზოპულტურული ბ(ო)ბ(ო) /ძველებურად თვალა-  
 ხვეული/ - ეხედავ...  
 თანდათან ქრება შუქი.

## შარდა





რეპეზ ინანიშვილი

## სტრიქონები „სამაგიდლო რვეულეზიდან“

1966 წ. რვეული I

ბედნიერება სულის თავისუფლებას უნდა ნიშნავდეს.

ო, როგორ მინდა შემცივდეს, შემცივდეს ძალიან. დაებრუნდე თბილ სახლში ასე შეცივებული, დაღლილი, ჩაეწვე ლოგინში და ვიგრძნო ის სიმშვიდე, რაც ბავშვობაში მიგრძენია... როცა თბილ, მზის სურნელებით გაჟღერებულ საბანში გაქვს თავი ჩარგული და გარეთაა წვივის გამთოშავი ქარი.

ჩვენი სული ბავშვების მიერ კუბიკებით აგებულ ხუხულას ჰგავს, ყველა, ვინც კი გეხვდება, თითო კუბიკს მაინც ადებს ზედ, ანდა, პირიქით, მიაკვს. და ვაი, რომ ამ ადამიანთა შორის არიან ისეთები, რომლებიც ორი ხელით, უბით, მთელი კალთით იტაცებენ იმას, რასაც თითო-თითოდ დებდნენ სხვები.

როგორც მუსლიმანი შედის მეჩეთში — ფეხგანბანილი, განწმენდილი, — ისე მე შევიღივარ ფერებისა და სახეების სამყაროში, რომლებიც სადღაც მადლიდან უნდა ჩამოეკრიფო და წინ დაეუწყო სხვებს. ვგრძნობ, ეს ყველაფერი ძველია, თანამედროვეობას ჩამორჩენილი, მაგრამ იმედი მაქვს, ხელოვნებაც აიტანს ერთ ცრუმორწმუნეს, და უდრტვინველად განვგაგრძობ ამ გზას.

კვლავ ქარი! რა საოცრებაა, ყოველი ხე რომ თავისებურ ხმას გამოსცემს. დაუდღეთ ყური: სისინებენ კვიპაროსები,

შრიალებენ აკაციები, შხრიალებენ ვერხვები — პო, შხრიალებენ. ასე მგონია, ზღვის გრძელი, სუფთა ტალღა ნაპირისაკენ მოაჩხრიალებს ფერად-ფერად კენჭებს.

კაცობრიობა ათასეული წლების მანძილზე ცხოვრობდა ღმერთის გვერდით. მრავალნაირი იყო ეს ღმერთი, მაგრამ სულ ერთია, ის მაინც იყო, უპირველეს ყოვლისა, ყოვლისმხილველი, მოძულე სისხლის, პარვის, მრუშობის, ორპირობის და სხვა. ვინ, რა უფლებით, რომელ უღმერთო საზოგადოების გამოცდილებაზე დაყრდნობით წაართვეს ადამიანებს იგი? სად ნახეს, როგორ ცხოვრობდნენ უიმისოდ! და თუ ნახეს, რით იყო ეს ცხოვრება ღმერთიანთა ცხოვრებაზე უკეთესი?!

ყოველი ცალკეული ადამიანის ცხოვრება განიზომება არა იმით — რას აშენებს, რას იცვამს და რას ჭამს, არამედ იმით — როგორ აშენებს, როგორ იცვამს და როგორ ჭამს.

ასევეა სახელმწიფოც. ყოველ მის ქმედებას უნდა დაესვას კითხვა: რ ო გ ო რ? ეს კითხვა მიანდათ ჭეშმარიტების გასაღებად იმ თავით — ამ თავამდე. ჭეშმარიტებისაკენ სწრაფვა კი იდეალი უნდა იყოს ყველა ეპოქის სახელმწიფო მოღვაწისათვის — თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ეს დაუსრულებელი გზაა. მის გვერდით, ვიცით, არის უგზოობაც. ამ უგზო-

ბის ამბავი მატერიალურად ყოველმხრივ უსრუვნელყოფილთ კითხეთ.

... ქვემოთ, წისკილის არხის პირას, ჩემი კომში დგას. მე როცა პატარა ვიყავი, ის კომშიც პატარა იყო — ოდნავ გადახრილი არხისკენ, სამად გადატოტილი. ავიდოდი ზედ, მოვიკალათებდი იმ სამ ტოტშორის, ლოყას რომელიმე გრილ, გრილ ტოტს მივადებდი და ვვოცნებობდი ბავშვურ საოცნებარზე — შორეულ ქვეყნებზე, ღრუბლებზე, პლანეტებზე, მიწის შუაგულზე. ქვეშ კი წყნარად მიდიოდა წმიდა წყალი. ახლა მეც სიბერისკენ ვარ მიხრილი და ჩემი კომშიც, მაგრამ ჩემი კომში, მიუხედავად იმისა, რომ ტანი უამრავი მოშუშებული თუ მოუშუშებელი ჭრილობით აქვს აჭრელებული, მაინც ძალიან ყოჩაღად გამოიყურება, შეპხარის ღურჯცასა და მუხს. და მე შემრცხვა მისი — რადგან მე გული, ნერვები და რაღაც ეშმაკობა მაწუხებს... მივედი და გადავაწეკი ზედ. შიშველ მკლავებსა და ლოყებს ამბოროთ ვადებდი ღონიერ, გრილ, ძლიერი სიცოცხლით აღსავსე ტოტებზე და მომეჩვენა, რომ ისიც მეფერებოდა, იმედს მაძლევდა — ვიქნებოდი კარგად, ღონიერად, ისე, როგორც მე და იმას გაგვეხარდებდა, ისე, როგორც ეს საჭიროა ჩვენი საყვარელი მზის ქვეშ... ო, რა საოცარი ძალის გრილი სიცოცხლე იყო დაგუბებული მის ტოტებში!

ისტორიამ ათასობით გამართა სახელი შემოგვინახა. ეს გამრები უმთავრესად ამარცხებდნენ ე.წ. „მტრებს“. მაგრამ ისტორიამ თითქმის არაფერი იცის უფრო დიდ გამრებზე — ადამიანებზე, რომლებიც თრუნავდნენ მანკიერებებს საკუთარ სულში.

ჯერ ერთი დირექტორი მპირდებოდა, ახლა მეორე მპირდება: — აი, საქმეები მოვითავოთ და მერე კვირაში ერთ შემოქმედებით დღეს მოგვემ ჩემი პასუხისმგებლობითო.

ვაი, რა ცუდად მიცნობენ ერთიც და

მეორეც! გვონიათ, რომ რომელიმე კერძო პირის (ისიც საკუთარ უფროსის) ხელიდან მივიღებ ასეთ მოწყალებას.

ლიტერატურამ მკითხველი არ უნდა მოწყვიტოს თავის თავს. პირიქით, მან უნდა ასწავლოს, ვინ არის ის, რა ადგილი უკავია ამ დედამიწაზე და რა მისია აქვს შესასრულებელი. ნუ გვგონია, ბევრმა იცოდეს ეს.

როდესაც „განათლებულ ადამიანთა“ ერთი ჯგუფი მიმტკიცებს, თითქოს საჭირო არ იყოს ჩვენი, საკუთარი პატარა ლიტერატურის ქონა მსოფლიოს დიდი ლიტერატურის გვერდით, თითქოს თარგმნილი წიგნები უკეთესად გააკეთებდეს ჩვენი ლიტერატურის გასაკეთებელ საქმეს, მე მათ ერთერთ კითხვად ყოველთვის ამას ვაძლევ: ხომ არ მოსწყვეტს თარგმნილი ლიტერატურა ჩვენს მკითხველებს თავის ადგილს, ხომ არ დააბნევს, რადგან მე ასე ვიცი: რამდენი მთაც არსებობს, იმდენიანიონ ხასიათი აქვს ამ მთებს, იმდენიანიონ კონკრეტული ხერხია საჭირო ამ მთის ძირას საცხოვრებლად: ძნელად, რომ ამერიკის პრერიების მცხოვრებთა სულისკვეთება მთარგოთ ჩვენი ფიცხი მთების შეილთა ხასიათს.

ჩემს ქვეყანაში უკვე ქურდობის წინააღმდეგ კაცი აღარ იმადლებს ხმას, ვინ არ მეთანხმებით, ეს ამბავი შაჰ აბასის შემოსევაზე უარესი რომ მგონია მე?!

პროფესიონალიზმი... რაღაც უნდა დაგვიჯდეს, ქართველებმა უნდა ვისწავლოთ ამ სიტყვის პატივისცემა. ჩვენ ისეთივე ოსტატები გვჭირდება ყველა საქმეში, როგორც კახელი ვაზის მსხველმეები და რაჭველი პურისმცხობლები გვყავს. მაშინ სრული უფლება გვექნება, მოვითხოვოთ კარგი მწერლები და მეცნიერებიც.

ოდესმე ადამიანი უთუოდ გაუა ჩვენი პლანეტიდან სადღაც სხვაგან. შეიძლება სამოთხედ წარმოადგენილ სამყაროშიც კი. მაშინ ჩვენი დედამიწა გადაიქცევა... მე არ ვიცი, რად გადაიქცევა ჩვენი პატარა

დედამიწა, მაგრამ ეს კი შემძლია ვთქვა: აქ მობრუნებულ ადამიანს, როგორც უძლებ შვილს, ცრემლები წასკდება მისი ხრიო-კი მთებისა და დაგვალული ბალახების დანახვისას.

მე მეუბნებიან: განა შენ გორჩენია, ალამაზებდე ადამიანებს, ილუზიებით ცხოვრობდე და მერე გიცრუვდებოდე იმედი? რატომ ილუზიებით? განა არ შეიძლება, სწორად ვხედავდე და მაინც მივიღო ისინი – შეშინებულნი, თავიანთი მანკიერებითურთ?! ადამიანი კარგია. თუ იგი ცუდს ამჟღავნებს ჩვენს წინაშე, ამაში ჩვენ თვითონვე ვართ დამნაშავენი. ჩვენ ვერ მოვახერხეთ მოყვასთათვის გამოგვემღაენებინებინა საგულდაგულოდ დაფარული და დამალული რაღაც (სიკარგე), რასაც ისინი მხოლოდ უახლოეს ადამიანებთან ამხელენ.

ყველაფერი ნანახია, ყველაფერი აღნუსხულია, ყველაფერი განაწილებულია. ხომ არ განაგრძობს შეუპოვარ პირატთა და კონკრეტადორთა ძლიერი სული თანამედროვე საქმოსანთა და მიმთვისებლების სხეულებში სვლას.

ადამიანო, ნურასოდეს დაგავიწყდება, რომ შენ მარტო ხარ. ნურავის დაუცდი, იმედი ნურავისი გექნება, რაც შეიძლება ჩქარა დაიწყე და ააგე შენი ასაგები კოშკი.

ადამიანის ცხოვრება ყველაზე მეტად ცეცხლის ალს წააგავს. ის ხომ გამუდმებულ სწრაფვაშია. თანაც მიისწრაფვის მხოლოდდამხოლოდ მალდა, მიისწრაფვის და... თავდება არარაობაში, როგორც თვით ალი, ისევე მისი კვამლიც...

ნამდვილი მწერალი არასოდეს „ასახავს სინამდვილეს“, ის თავის საკუთარ სამყაროს ქმნის. ამ სამყაროში არის მთები, ხეები, სახლები და ადამიანები. ისინი პგვანან ჩვენს ირგვლივ არსებულ მთებს, ხეებს, სახლებს და ადამიანებს, მაგრამ მაინც განსხვავდებიან მათგან. მკითხველი გაეცნობა ამ სამყაროს; ზოგი (თავისი სულიერი ცხოვრებით) შევა და დისად-

გურებს შიგ, ზოგი დაათვალიერებს და სხვა სამყაროსკენ გასწევს. ზოგი უღრმადან შეხედვით დაკმაყოფილდება! მხოლოდ არც შეხედავს და ისე ჩაუვლის გვერდზე. იქნება ეს სამყარო გარკვეულ ხანს და მერე...

მერე რა, განა მატერიალური სამყაროები კი არ ქრება?!

სიკვდილის არ მეშინია (ამას თუნდაც იმით დავამტკიცებ, როგორ მოვექცევი უზარმაზარი კაკლის კენწეროზე დასაბერტყად). მე მეშინია შიშის, რომელსაც ჩემი სხეული წარმოშობს შუა ქალაქის გაკრიალებულ ოთახში...

აზროვნება ჭიდილია, ყოველშემთხვევაში, არსებულის შემოწმება მაინც. შენ თუ არცერთის საშუალებას არ მომცემ, რა უფლებითაა მთხვე მის გაფურჩქვნას ჩემს ნაწერებში?

კაცო, ასწავლეთ ღაპარაკი ძაღლებს. სულ მალე თქვენ სრულიად მარტონი დარჩებით. მაშინ ერთადერთი ისინიდა გეყოლებათ, ვისთანაც აღარ მოგჩოთიერებათ საუბარი. მხოლოდ მათ შერჩებათ მოყვარული გული.

სანამ გავიცინებდე თავაწყვეტილი კაცის სიცილით, მაცალეთ, ცოტა წაიტირო, მეგობრებო.

ერთი საათი, თუნდაც ერთი საათი მაინც მაცხოვრა ისე, რომ არ მაწუხებდეს დროის უღმობელი სვლა. საათებმა გამოიბეს ადამიანების ნერვები და ეწვეიან და ეწვეიან დაწყლომამდე.

ჩემს მიერ გამოვლილი დღეებიდან მხოლოდ ისინი მახსოვს კარგად (ზოგი განუშორებლადაც კი მდევს თან), რომელთაც რაღაც უტკენინებიათ. თუ შევეცდები და მათ შორის სასიხარულო ინტერვალებს დაეუწყებ ძებნას, თითქმის მთლიანად ამაოდ ჩამივლის ვარჯა. ეტყობა, სიხარულს, უბრალოდ, არ შეუძლია ტკივილით ძლიერი დაღის დასმა. აქედან გამომდინარე ასკნიან ხოლმე ადამიანე-

ბი: ცხოვრება ტანჯვააო.

იმ ორმოცი წლიდან, რომელიც მე მიცხოვრია ამ ქვეყანაზე, დიდი-დიდი მხოლოდ თორმეტი წელიწადი მქონდეს გატარებული ჩემს სოფელში, მაგრამ როდესაც სულის ტკივილებს ვეღარ ვუძლებ და ვნატრობ, დავემხო მიწაზე და მოგკვდე ასე ზედდახუტებული, ამ დასახუტებულ ადგილად ყოველთვის ჩემი სოფლის მიწა მაქვს წარმოდგენილი. იქნებ მართლაც რაღაცით ვაბივართ მიწას, იქნებ მასში მართლაც რაღაც არის მშობლიური, თვით ჩვენს აღმოცენებასთან დაკავშირებულიც კი.

ხელოვანისთვის მეტად სახიფათოა აკვატებული სიყვარული ერთი რამისა (იქნება ეს სტილი, განწყობილება თუ მოტივი). ამ დროს იგი ემსგავსება ჭაბუკ მიჯნურს, რომლისთვისაც თავისი სატრფო უღამაზუნისა ქვეყანაზე, და კარგავს განზომილებების საქვეყნოდ მიღებულ ნორმებს.

სულ მალე ვერავითარი, დღემდე არსებული სახელმწიფო წყობილება ვეღარ შეიძლება პიროვნების დაცვას. ყოველ ჩვენგანს ცალ-ცალკე დაგვჭირდება ბრძოლა მტაცებლობის, ძალადობის და მპყრობელობის წინააღმდეგ.

„ჩემი ბავშვობის ეზოები“ ესაა პაწაწინა მითი ჩვენს წარსულზე. პატარებმა უნდა შეიყვარონ წინაპრები, გარემო, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი გაიზრდებიან გულდრონი, ინკუბატორში გამომჩეკილთა შეხედულებისანი მშობლებზე, სამშობლოზე.

ყოველკვირა მოდის უხარმაზარი გაზეთი „Литературная газета“. ეს არის სახელმწიფო ორგანო, სადაც უმთავრესად ქვეყნდება ის პუბლიცისტური მასალა, რაიც უხერხულია გამოცხადდეს მმართველობის აზრად.

თითქმის ყოველ ნომერში მთელი გვერდი ეძღვნება საკითხს, რა მდგომარეობა-

შია დედამიწა, რა მოელის მას. უცხოელ მეცნიერთა პესიმისტურ აზრებს აქვეყნობისპირდება ჩვენი მეცნიერების: რბილობისპირადი აზრები. რაღაც ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, „თვით საბჭოთა ავადმყოფიც კი ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფია მსოფლიოში“, ამიტომ კარგად არის დედამიწის საქმეც. მეცნიერებს ავიწყლებათ „ერთი პაწაწინა რამ“, რომ დედამიწა მარტო აღამაინების საკუთრება არ არის, დედამიწა ამდენადვე ეკუთვნით ცხოველებს და მცენარეებს. და თუ დავეშვებით, რომ ანტროპოცენტრიზმის თვალსაზრისით სანუგეშოადაა მისი საქმე, როგორ შეიძლება იგივე ითქვას ცხოველთა და მცენარეთა თვალსაზრისით: სადაა ათეულ მილიონიანი არმია ბიზონებისა, ამერიკის ტერიტორიაზე რომ ბინადრობდა, სადაა წყალში თევზი და ცაში ფრინველი, სადაა დიდი ტყეები და ბალახოვანი მდელოები. ნუთუ ამაზე ფიქრმა მაინც არ უნდა შეგვაწუხოს, რომ აღამაინი თრგუნავს და ნთქავს ყველაფერს, ოღონდ თვითონ იყოს კარგად. მე ღმერთს არ ვამუქრებ მას. მე შევასხენებ საკუთარ მოდგმას, რომელთა აუკარგად ყოფნა ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს მისთვის.

ხელოვნების ყოველი ნაწარმოები თავისებური ზემო უნდა იყოს აზრის, განწყობილების, ფერების... შეადარეთ პარიზის ფერადი ფოტოები და უტრილო ერთმანეთს.

ღამის ორ საათზე ვიღაც უკრავს შოპენს, იგი მაღალაა, მესამე ხართულზე, მე დაბლა, ჩაბნელებულ, უკაცრიელ ქუჩაში, და მეჩვენება, რომ თავზე მაყრის ძველებური, ბროლივით გამჭვირვალე და წკრიალა პოეტური სულის ნამსხვრევებს.

უკანასკნელი ოცდაათი-ორმოცი წლის ყველა ქართული ლიტერატურული მოვლენიდან ყველაზე საინტერესოდ მამანია ჭაბუკ ამირჯიბის „დათა თუთაშხია“. ეს ნამდვილად სახალხო წიგნი — თავისი დიდი ენერჯით, მძაფრი სოუჟეტით და, რაც მთავარია, გაბედული კონცეფციებით —

დიდხანს იყოლებს ტყვეობაში ქართველ მკითხველის აზრს.

არც ილია, არც კლდიაშვილი, არც ნინოშვილი საგანთან, გამორჩევით — უსულაო საგანთან, ისე ახლოს არ მისულა, როგორც მივლივართ ჩვენ. ჩვენში მეტია ნიშნები მიკროსკოპთან მჯღადარი მუშაკისა, მათში — მქადაგებელი მოძღვრისა.

აქებენ ჩემი მოთხრობის ენას. ფიქრობენ, რომ მე ბევრი სიტყვა და მათი ხმარება ვისწავლე. ეს არ არის სწორი. მე ჯერ ვხედავ საგანს, მოვლენას, აბსოლუტური სიცხადით, შემდეგ ვიწყებ ჩვენებას, რაც შეიძლება, მცირე და ზუსტი სიტყვების მეშვეობით, რაც შეიძლება, ნათლად. ესაა და ეს.

### 1985 წლის შემდეგ

ორმოცდათვრამეტის გაგზავნი. ასე მეჩვენება, არაფერი შეცვლილა ჩემს სისხლ-ძარღვებში. მხოლოდ სულში დგას ბინდი. ჩამუქდება ეს ბინდი, ჩამუქდება და... ერთ დღეს დადგება სამუდამო ღამე, დამამშვიდებელი ყოველგვარი შფოთისა. სამუდამო ღამე თუ, პირიქით, სამუდამო ნათელი?... რა ვიცით.

1984 წელიც დამთავრდა. იგი ჩემთვის ჰგავდა აქეთ-იქიდან ჩამომავალ ზეავს, რომელიც დატანას მიპირებდა, მაგრამ მე მარჯვედ ვუსხლტებოდი ხან აქეთ, ხან იქით და გადავრჩი. კვლავაც მზად ვარ სახტუნაოდ.

წერის მხრივ — უფრო და უფრო ზუსტად გამოვხატავ ჩემს სათქმელს — სულზე კირთებდადებული ადამიანის სათქმელს.

თოვს, თანაც ხეაერიელად, მაგრამ ამ ქალაქის ქუჩებში ვერ იკიდებს ფეხს, შემოგარენი კი გადაბარდნილია უკვე.

დამირეკეს მთარგმნელობითი კოლეგიიდან. უნერული ჟურნალისთვის სათარგმნ მოთხრობებს ვარჩევთ და თქვენ რომელს შემოგვათავაზებთ თქვენსასო. მე ვუთხ-

არი: თავი რომ შევიკავო, ე.ი. უარი ვთქვა ჩემი მოთხრობების შეტანაზე. ხომ შეიძლება-მეთქი. კი, როგორც-მართა მამინ შევთანხმდით, ჩემი მოთხრობების გარეშე წასულიყვნენ უნგრელები იოლას. მე ისე მეზიზღება ქედმალდურად წარმოთქმული სიტყვები — „საქართველოს საზღვრებს ვასცდა“ — სულ რომ არაფერი თარგმნინ არცერთ ენაზე არსად, ეგ მიჩვენია.

მე მაინც ვფიქრობ, — როცა სათქმელი ელეოდა პიკასოს, მაშინ იწყებდა უკვე თქმულის მსხერევას.

მეკითხებიან, რატომ არავინ იხსენებს მშვენიერ მწერალს რაქდენ გვერტაძეს? მე კითხვითვე მივუვებ: ჭოლა ლომთათიძეს? უიარალოს? ჯაბაჯო ჯორჯიკიას? ვალერიან გაფრინდაშვილს? ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებას სად შესწევს იმდენი ძალა, იმდენი სიყვარულის უნარი, ამ რანგის წასულებსაც მიავოს პატივი! არადა, დარწმუნებული ვარ, თითო კრებული მაინც რომ გამოიცეს ბიოგრაფიით, მწერლის ჩანაწერებით, შენიშვნებით, მოგონებებით, ყოველგვარ ძეგლზე უკეთესად უკვდავყოფენ მათ სახელებს ეს კრებულები.

ახალგაზრდობაში მთელი სისრულით ვერ ვგრძნობდი ადამიანის მიერ გასაგულელ ტანჯვის გზას. ახლა, ხანში შესულს, ისე აშკარად მიდგას თვალწინ ეს გზა, — მზარავს. რამდენ საკუთარ და სხვათა ტკივილს, რამდენ საწუხარს უნდა გაუძლო, ღმერთო!...

მე ღარიბი ვარ. კიდევ უფრო ღარიბი ვიქნებოდი, კარგ ადამიანებს რომ არ შევხვედროდი ცხოვრებაში.

მტანჯავს ერთი ის, რით გადავუხადო ამავი ამ ადამიანებს.

კვლავ და კვლავ... მაკითხებენ ახალგაზრდების, მთლად ბავშვების ნაწერებსაც, მეკითხებიან, რას ვფიქრობ, გამოვა თუ არა მათგან რაიმე, ე.ი. მწერალი... მე მინდა, ყველას გასაგონად ვიყვირო,

— ქალბატონებო და ბატონებო, თქვენც გახდებით მწერლები, ყველაზე ტანჯული ხალხი ქვეყანაზე, წამით რომ არ მიგატოვებთ სულის ტკივილი არსად. თქვენც ივლით ფეხებდამძიმებულები რედაქციებში და გამომცემლობებში. თქვენც მოგიწევთ უკანასკნელი მათხოვრის განწყობილებით შესვლა მათ ბულაღტერიებში, თქვენც ჩაერეეთ კალეჯათა საუბრებში, სადაც იგრძნობთ, რომ ყველას ყველა ეჯავრება, თქვენც ირბენთ რაღაც ქალაქებში ხელში, რომ ბეჭდის დარტყმით დაგიდასტურონ ღვაწლი, თქვენს პატრონებსაც ჩაკედემათ გული, როცა იქ არ დაგმარხავენ, სადაც თქვენზე ნაკლებნი მარხიან... მოდით, თუ ასეთი ცხოვრება გინდათ, მოდით, ქალბატონებო და ბატონებო!...

იხე მტკივა მხარიც, სულიც, გულიც — გულს ვთხოვ — გაიღოს და ნუღარ დაიკმობა... დროა.

1983 წ.

ჩვენი, ლირიკოსების, ბოლო უდროო კატასტროფაა. სიყვარული, რომელსაც ვეყრდნობით ფიზიკური არსებობით, იმსხვრევა მძულვარებით აღსავსე სამყაროში, ვიმსხვრევით ჩვენ.

ყველაზე აუცილებელი, რაც ჩემი საბავშვო მოთხრობებით უნდა გავაკეთო, ესაა — ჩავეუნერო სიბრალელის გრძნობა პატარებს. მათ უნდა ებრალუბოდეთ: დედა, მამა, და-ძმა, საზოგადოდ, ადამიანი, ცხოველები, მცენარეები. ათეულობით წლების განმავლობაში რევოლუციური პათოსით აღზრდამ ყველაზე მეტად ეს გრძნობა დაუქლუნვა ჩვენს ხალხს. სხვა რამეები — შემდეგ, დიდობისას.

რატომ არიან ესოდენ შეწყობილნი ახალგაზრდობა და თოვლი, როგორი საშინელი განხეთქილება ხდება შემდეგ.

კარგია ნაყოფით დატვირთული ხეხილი, კარგია მსხმოიარე ვენახი, კარგია ჯანსაღი ბოსტნეული, მაგრამ კარგ პურის ყანას არაფერი სჯობს. პურის ყანაც არ არის მთავარი. მთავარია მიწა, მოხნული შავი მიწა, ღამაზე ზოდებად აქსელილი ფერდობზე, და იმ ფერდობში — მარტოხენი: თელეები, ბერტყენები და პანტები.

უბერავს ქარი. ხან აქ, ხან იქ თოვლით გადაგლეჯებული გორაკებიდან აპგლეჯს ნამქერს და წაიღებს, გაშლის მზით გაბრწყინებულ პაეროვან მარაოსავით. ამ მარაოში, როგორც ეკრანზე გამონჩნდება გადიმებული კაცი. ეს შე ვარ, შენი თვალუბისთვის ჩემგან დანახული.

— ვაი, — ამოიგმინებს შეიღმკვდარი ქართველი დედაბერი, და უცებ აშკარა ხდება, როგორ შეიქმნა მითი ექოზე. შავი სამოსის ქვეშ აღარაფერია დარჩენილი, გარდა ამ გმინვისა.

— რა ცოდვაა, არა? — სადღაც უდაბურ ადგილას მარტოობაში რომ კვდებიან ყვაილები და თოვლის ფიფქები.

— რას ამბობ, ისინი ხომ სწორედ იმ უმშვენიერეს მარტოობას ამკობენ.

არსად მინახავს ისეთი ტრაგიკული მთვარე, როგორც თბილისის აღმოსავლეთით, მახათის გორაზე და ორხევის თავზე იცის — ხშირად მთლად წითელი — ბრძოლაგადატანილი, ჩამოსისხლიანებული ხარის შუბლივით.

ღამეულა ტყეში გამუდმებით ისმის რაღაც კრუსუნი, კენესა და გმინვა. ძალიან კარგად უნდა იცნობდე ფლორასაც და ფაუნასაც, რომ მიხვდე, რანი კრუსუნებენ, კენესიან და გმინავენ, მაგრამ ამგვარი ცოდნის გარეშეც აღვილი მისახვედრია ერთი რამ: წუხილი ყველგანაა. შესაძლებელია თვით დედამიწასაც უჭირს, სახსრებში სტეხს და ისიც გმინავს, გმინავს...



დიდი მწერალი რეზოს კარგა ხნის წინ ვუწოდეთ და ეს ახლახან, მსახურბილკო დღეებში კიდევ და კიდევ გავიმეორეთ. ისიც უკვე ითქვა, რომ ის მომავლის მწერალია. რატომ არის მომავლის მწერალი — მარტო იმიტომ არა, რა თქმა უნდა, მისი წიგნები „სულის პურად“ მომავალშიც რომ დასჭირდებოდა და მომავალშიც წაიკითხავენ, რომ ის ქართული ხალხის სულთან და გულთან დარჩება, როგორც სულისა და გულის საღებუნი, ქართველობას მუდამ თავის ქართველობას გაახსენებს, ესე იგი, იმას, რაც მასში საუკეთესო და ღირსეულია და რაც ამ ხალხს უმძიმესი კატაკლიზმების ხანაშიც ხელს შეაშველებს და გადაარჩენს. რევაზ ინანიშვილი მომავლის მწერალი (უფრო ზუსტად, მომავლის პოეტი) იმიტომ არის, რომ მისი კმნილებების სიღრმენი და სივრცენი ამოუწურავია და მომავალში კიდევ და კიდევ აღმოსაჩენი, წინ არის მის სტრატეგიაში ჩასხივებული ახალაღმოჩენათა და ახალნაპოვნთაგან მკითხველისთვის მოგვირეცი სიხარული. დიდი მწერალიც იგი იმიტომ არის. და აქ სიტყვა „დიდი“ ჩვეულებრივად ნათქვამი სიტყვა არ არის, უკვე ფერსა და სურნელს მოკლებული სიტყვა...

და კიდევ: გარდა იმისა, რომ რეზომ ძვირფასი წიგნები დაგვიტოვა ჩვენც და მომავალ საქართველოსაც, ის თითონ იყო წიგნი, ამოუწურავი სიბრძნისა და სილამაზის მაღლით აღვსილი საინტერესო წიგნი... და ამ წიგნს მოუწყვენლად კვითხულობდით მისი თანამედროვენი, მის სიახლოვეს მყოფნი.

ამიტომ ის, რაც ამ მეორე წიგნში წავიკითხეთ, ყველას უნდა მოვუთხროთ... მოვუთხროთ კალმით და მოვუთხროთ ზეპირად, რათა მომავალი ამ მეორე წიგნსაც იცნობდეს...

ბევრი რამ უკვე დაიწერა. დაიწერა წერილების სახით. დაიწერება, ალბათ, წიგნებიც. და ამ მომავლის წიგნებს გაახსივონებს მისი „სამაგილო რვეულები“ — „დოკუმენტაცია“ მისი სულისა, მისი ბიოგრაფიისა.

რევაზ ინანიშვილის სამაგილო ჩანაწერების არსებობა დიდი ხანია ცნობილია. თითონვე აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებშიც და წიგნებშიც, ჭერ ერთი, იმიტომ, რომ იცოდა ამ ჩანაწერების ლიტერატურული ღირებულება, მეორეც, ალბათ, გრძობდა, რომ ამ ჩანაწერების მოთხრობებდა ჰქცევას ველარ ასწრებდა. თუმც, ზოგიერთი რამდენიმესტრატეგონიანი ჩანაწერი უკვე მოთხრობაა, უკვე შედგება:

**მარიამი**

ეს ფარდაგი, შვილო, ჩემი ძმა დათიკა რომ ომში იყო, მაშინ მოვესოვე. ვოჯექი, ვტიროდი და სულ ზუსუნ-ზუსუნითა და შავი ფერებით ვკსოვდი. მოვრჩი მოქსოვას და ჩამოვიდა კიდევ დათიკა სალსაღამათი. აი, ეს მხიარული ფონები იმის ჩამოსვლის მერე გავუკეთე სიცილ-სიცილითა.

მეხი კი დავათხლიშე სიკვდილს. მე რომ წამოყვანს, ვილა რჩება, რომ ასეთი პურები დააკრას ან ცოცხლებისთვის, ან მკვდრებისთვის, ესებები, არა, თუნდაც დაჯლანულები — თონეში... ევე, სიკვდილსა აქვს ჰქუა?!

საბრალო სონა ძალო! მინც წაიყვანა სიკვდილმა სამიოდე თვეში.

**სონა ძალო**

ხდის სონა ძალო თონიდან პურებს და თან ლაპარაკობს თავისთვის: — მაშ, ჩემისთანა ქალი უნდა მოკვდეს? მაშ, ესეთი კოხტა, დაბრაწული პურების გამომცხოხიელი ქალი უნდა მოკვდეს? აი,

**ვაზი**

ტყე. დიდი ცეცხლი. ცეცხლთან მელორეები, ტყის მცველები და ჩვენ. ერთი ტყის მცველი ყვება ჭიქით ხელში: — სპარსელებმა, თათრებმა რა... ვაზს

ხო სპობდნენ, მთლიანად უნდა მოესპო-  
თო, საცა კი ვაზს დაინახავდნენ, პა-  
ტრონებს თავებს სჭრიდნენ. დაადებინებდ-  
ნენ თავს კუნძზე და, მიდი!.. გააქრეს  
მიწის პირიდან ეს ღვთის მცენარე, ჩვენი  
გამხარებელი, კაცებისა. ბოლოს ერთ კაც-  
სღა უპოვეს. იმასაც დაადებინეს კუნძზე  
თავი, შავრამა... სანამ თავს მოსჭრიდნენ,  
იმ კაცმა ერთი გრძელი ვაზის რქა

ქამრად შემოირტყა შარვალზედა და, რო-  
დამარხეს, როგორც დამარხავდნენ, ხო-  
რცით... ორ ბარისპირზე წააყრიდნენ, მიწას  
დამარხეს, რქამ გაიხარა მიწაში და ისევ  
ამოვიდა ქვეყანაზე დალოცვილი ვაზი,  
ისევ დაისხა დიდ-დიდი მტევნები ჩვენი  
მტრების ჯიბრზე. ძალიან ჯიბრობა იცის,  
ვენაცვალე დაბრეცილ ძირზე ვაზსა,  
ძალიან...

ამ ჩანაწერების მნიშვნელოვანი ნაწილი რეზოს გამოუქვეყნებელი დარჩა და ნაწილ-  
ნაწილ ახლა ქვეყნდება.

ჭალბატონმა როზა ინანიშვილმა (რეზოს მეუღლემ) ერთი ნაწილი ამჟერად ეურნალ  
„მნათობის“ მკითხველებისთვის გადასცა რედაქციას.

ლამარა კიკილაშვილი





## მიკროსკოპი

### ამონხრომა

სატუსაღოს ჩარკინულ სარკმლიდან ცა ჩვეულებრივზე ღორჯი ჩანს. სარკმელი მაღლაა ამოჭრილი, სკამიც რომ მიადგა — ვერ შეწვდები. ტუსადებს უყვართ ცის ამ პატარა, ღორჯი ნაფლეთის ცქერა. ამიტომაც იყო, რომ სარკმლის პირდაპირ მდგარ საწოლისთვის ჩვენს საკანში ჩხუბი ატყდა. სადაო საწოლის, ან როგორც აქ ეძახიან — „კოიკის“ პატრონი ძია დათო მორიგი ეტაპით გაისტუმრეს. როცა მას გამოუძახეს და თავის ბარგი-ბარხანით ტალანში გავიდა, ყველანი თან გავეყვით. ვეშვიდობებოდით, ვამხნივებდით. დათო ტანდაბალი კაცი იყო, ცხვირჩაჭკეცილი, პატარა სახეზე ახალგაზოვნიებული ბავშვის გამომეტყველება პქონდა, სიტყვას ისე არ იტყოდა, თან „ბიჭებოჯან“ არ დაეყოლებია. ეხლა, ყურებიან ქუდითა და დაბამული პალტოთი, ის კიდევ უფრო მეტად გავდა ახალგაზოვნიებულ ბავშვს. ცრემლებს ყლაპავდა, მხარზე ხელს გვიცაცუნებდა ყველას და ბუტბუტებდა:

- კარგად იყავით, ბიჭებოჯან, წერილს მოგწერთ, ბიჭებოჯან, ალბათ სხვაგანაც შევხვდებით ერთმანეთს, ბიჭებოჯან...
- ჩვენ თავს დაეტრიალებდით და მეთათხევერ უმეორებდით:
- გულს ნუ გაიტყვ, ძია დათო...
- სამი წლით გადასახლება არაფერია...
- კიდევ კარგი, რომ ტაშკენტს გავზავნიან, იქ თბილა...
- ყოჩაღად იმუშავე, ძია დათო და ერთი წლის შემდეგ სახლში იქნები...

დათო თვალებს ახამხამებდა, ხელს გვართმევდა და საცოდავად იღიმებოდა.

სანამ ყველანი ამ ამბით ვიყავით გართულნი, ქიზიყელი მახარა გამოგვეყო და საკანში დაბრუნდა. ცოტახნის შემდეგ ისევ გამოვიდა გარედ, მაგრამ ახლა მიკროსკოპი რუსი შევიდა საკანში და მახარაც გამოუდგა და თან შეაყვია.

ზედამხედველ ჩოფურა დარჩოს მობეზრდა ტალანის ბოლოში ცდა და შემოგვიტია:

- პა, კარგი, გეყოფათ, გამოუშვით ეგ კაცი... სულერთია, ყველას გადაგასახლებენ და იქ ნახავთ ერთმანეთს...
- შენმა მზემ!
- ელოდე, დარჩო!
- მანამ არაფერი ჭამე!

ერთხელ კიდევ გამოვეშვიდობეთ დათოს, მივეცით ხელში თავის ჩემოდნები; და გამფლანგველი ძია დათო ცრემლების ყლაპვით გააყვია რუხფერაჯიან ზედამხედველს. ვიწრო და ცივი ტალანის მოსახვევში უკანასკნელად მოგვიბრუნდა და დაგვიძახა:

- გამარჯვებით, ბიჭებოჯან, კარგად იყავით...

ყველანი დალონებული დაებრუნდით საკანში. და იქ ვნახეთ, რომ მახარას და მიკროსკოპს საქმე უკვე დარტყმაზე ქონდათ. თურმე, მახარას, წელან რომ მიგვატოვა და საკანში შევიდა, თავის ლოგინი აულია და ძია დათოს დაცარიელებულ საწოლზე გაუშლია. მიკროსკოპს კი აულია მახარას ლოგინი და მაზუთიან იატაკზე გადაუგდია (ცემენტის იატაკს მაზუთით ვწმენდდით, უებარი საშუალებაა რწყილთა და მისთანათა საწინააღმდეგოდ). მახარა ამ ამბავს ზედ წამოესწრო.

და ახლა აგინებდნენ ერთმანეთს, ერთი ქართულად, და მეორე რუსულად. ორივეს უნდოდა დასაკუთრებოდა ამ საწოლს, იგი სარკმლის პირდაპირ იდგა. და სატუსალოს ჩარკინულ სარკმლიდან კი, ცა არაჩვეულებრივად ლურჯი ჩანს.

ხმელსმელ, შავვერემან მახარას თავზე ტუტყიანი, წითელი ჩითის ნაჭერი კქონდა წაკრული და ნაბდის კახური ქუდი ეხურა. ცეცხლთან ახლო ჯდომით კალთებ-გამომწვარ ფარაჯის ჯიბეებში ხელები ჩაეწყო (ფარაჯაზე ქამრად ბაწრის ნაწყვეტი ერტყა), ქალამნებში შემოსილი ფეხებით ფართოდ გადააჯული იდგა და დინჯად, ქიზიჯურად აგინებდა რუსს. ხანდახან, როცა მოხდენილად რამოდენიმე სართულს ერთმანეთს გადააბამდა ხოლმე, თვალეები გაუბრწყინდებოდა და რუსულადც დააყოლებდა სამსიტყვიან ტრადარეტს:

— ...ТВОЮ МАТЬ, РУСО!..

რუსი მხოლოდ დედას, პირსა და რჯულს აგინებდა, მაგრამ, ეტყობოდა, მინც კმაყოფილი იყო, საწოლზე იჯდა და გაზეთის ნახევში გულმოდგინეთ ახვევდა წეკოს. მახუთიან იატაკზე ჯერ კიდევ ეყარა დაგლეჯილი საბანი და წვირიანი მუთაქა, მახარამ უთუოდ განგებ არ აკრიფა ისინი, რომ ანექსიის ფაქტი ყველასათვის ნათელი გამხდარიყო.

მათი პექრობა ალბათ ტალანშიც ისმოდა, კარი გაიღო და კორპუსის მამასახლისმა შემოჰყო თავი.

— რა ამბავი გაქვთ, კაცო, მორიგე კომენდანტი მეორე საკანშია და ხომ არ გინდათ „ტრიუმში“ ჩაგყარონ...

— აბა, რანა უნდა უთხრა ამ რუსს, — მახარამ გადააპურტყა და ქალამნით გაგლისა მახუთიან ცემენტზე, — ერთი აქ უყურო, მამასახლისო, ჩემი ლოგინი სად გადმოუყრია!..

მამასახლისი საკანში შემოვიდა. სანამ სატუსალოში მოხედებოდა იგი უთუოდ პროფომოშავე იყო სადმე, დიდ დაწესებულებაში, წადები მუდამ უპრიალებს, სამხედრო ქუდი ახურავს (ქუდს ისევე ამჩნევია აგლეჯილი ვარსკვლავის კვადლი) და უშუალოდ არიდეს იმუქრება.

— რაშია საქმე.

— ეს საწოლი დათომ მე დამიტოვდა, — ამბობს მიკროშკა, — ამ რვევენს კი აქვდა და თავისი ტილიანი ძონძები აქ დაუწყია.

— დაგიტოვა, თორე მისმა ყველაყისამ ამ „გუბერსკის“ ქონება იარმუკაში ქონდა ნაყიდი!.. დათო წავიდა თუ არა მე პირველმა გავშალე ლოგინი, მაგას კიდნა, აულია და ძირს გადმოუყრია...

— მაგისთვის რა განხუბებთ, — სიტყვა მამასახლისმა და კარებისკენ გაბრუნდა, — თქვენთქვენს საწოლებზე დაეტიეთ. დღეს პროფესორ ვოლკოვს ამოიყვანენ კარანტინიდან და მაგ კოიკაზე ის დაწვება.

მამასახლისი ჩექმების ტრიალით გავიდა და მძიმე, დარკინული კარი გაიჯახუნა.

— გაიგეთ რა თქვა?... — ამბობს სარდიონი, — ვოლკოვი პოლიტსამმართველოდან აქ გადმოუგზავნიან.

— ექ ვინ ვოლკოვი?

— პროფესორი ვოლკოვი, რაღაც დიდი მავნებლობისთვის ზის.

— ეტყობა უკვე მოუსჯიათ, რაკი აქ გადმოგზავნეს.

სატუსალო ხმაურობა მიწყნარდა, სავტაპო ხალხი უკვე წაიყვანეს, ნახვა და სადილეების გადაცემა შეწყდა, სამუშაო დღეც დამთავრდა და ეხლა მთელი სატუსალო ისვენებდა.

— მაამ, ათი წელიწადი ჯიბეში ექნება.

მე ლოგინზე წამოვწეკი და „ჟანკრისტოლი“ გადავფურცლე, მაგრამ, კთხვას ვერ ვახერხებდი. ნახევრად თვალდახუტული შევეცქეროდი რკინის ბადეში ჩასმული ლურჯი ცის ნაფლეთს. გარედ უკვე მარტი იდგა. უფრო გარკვევით ისმოდა თოვლისდნობით მოდილებული მტკვრის ხმაური. ორთაჭაღის ბაღებში ხეები უთუოდ შეიფოთლა უკვე. სოლოლაკში კოჯრიდან ჩამოტანილი პირველი იის კონებსაც იყიდის კაცი წავეკლი გლეხის ბიჭისგან. დიად, გახაფხული იდგა გარედ, და უწვეულოდ მიმზიდველი და შორეული იყო ცის ლურჯი ნაფლეთი ჩარკინულ სარკმლის იქით.

ჩემი საკანი შედარებით პატარაა. საწოლებს შუა ვიწრო მაგიდა დგას. მაგი-

დის ერთს თავში გიგო და პეტო სხედან, განუწყვეტლად არჩევენ რაღაც ქალაღლებს და ანგარიშობენ, ეს ორი თვეა სასამართლოს პროცესისთვის ემზადება ეს ორი ახალგაზრდა კომბინატორი და მათმა ჭიჭყინმა ტვინი წაიღო. მაგიდის ბოლოში საიდუმლო მეყასბე ავეტიკა წერილსა სწერს. ის ყოველ ჭამის შემდეგ წერს ბარათებს და ყოველი ბარათი დაახლოებით ასე იწყება: „პირველ ყოვლისა მოგიკითხავთ პირზე კოცინთა და ხელის ჩამორთმევეთ ჩემო ძვირფასო ცოლო ბაიწარ და საყვარელო შეილებო არტუშა და ასთხიკ თქვენი ერთგული მამა ავეტიკა სარქისიანი. სხვა ჩემ ამბავს თუ იკითხავ, ჩემზე ნუ იდარდებთ, კარგად ვარ. გუშინ მივიღე თქვენგანთ გამოგზავნილი თორნის ორი წითელი პური, კატლეტი მცალი თაგის შემწვარი კართოფლით, მონპასეს კანფეტი 224 ცალი და ერთი ქვედა საცვალი. კალათი წერილით იმწამვე დავაბრუნე უკან“... და ა.შ.

სარდიონი წამოწოლილია და ჩუმიდ კითხულობს გაზეთს. მახარა თავის საწოლზე ზის და შეცქერის. საერთოდ, როდესაც გაზეთს კითხულობენ მახარა გაფაციკვებით ადევნებს ხოლმე თვალყურს — მანიფესტს ელოდება. წერა-კითხვის შესწავლაც კი გადაწყვიტა, რომ მანიფესტი არ გამოჰპარვოდა, დიკსკოლაში დადის. ჯერჯერობით მხოლოდ სათაურებს კითხულობს, მოვა ხოლმე და ჩუმიდ შემეკითხება სწორედ თუ ამოვიკითხო. მალე შეისწავლა ანბანი, ესაა მხოლოდ — „ძ“ და „ხ“ ერევა ერთმანეთში. მახარა კამეჩის ქურდია, თუმცა, რომ პკითხო, მეზობლებმა მოუგონეს. და საერთოდ — ჩვენს საკანში მიკროშკასა და ჩემს მეტი თავის დანაშაულს არავინ აღიარებს.

— Подлецы! — მოკლედ იტყვის ხოლმე მათზე მიკროშკა.

მიკროშკა ქურდია, მაგრამ ყველაფერს იფიცებს, რაც კი წმინდად მიაჩნია, რომ თავის სიცოცხლეში მიკროსკოპის გარდა არა მოუპარავს რა.

— საქმე რომ იყოს და ოქროებით სავსე სხვისი ჯიბე თითონ ხელზე წამომეცვას,

— ამბობდა ხოლმე რუსი, — პატროსან სიტყვას გაძღვეთ — ხელს მოეჭრეთ. შიგ ჩავტოვებ და ოქროს კი ატარებდებ. მაგრამ, მიკროსკოპი, ჩემი მიკროშკა...

ქურდი ქუთუთოდასიებულ თვალებს მინაბავდა და მარჯვენა, ქერა წარბი აუთრთოდებოდა, საჩვენებელ თითსა და ცერს ფრთხილად ამოძრავებდა, თითქო ინსტრუმენტის პატარა, სათუთ ხრახნს ატრიალებდნო.

— მიკროსკოპი რომ ენახო და არ წავიღო — უთუოდ ბნედა მომიგლის, ეპილეპტიკი ვარ. სანამ მოვიპარავდე მარჯვენა თვალის კონველსიები მაქვს ხოლმე, მჩვენება, რომ თვალზე მიკროსკოპის ობიექტივი მეხება.

მოპარულ მიკროსკოპს დაშლიდა, გულმოდგინედ გასწმენდა, იშვიათი სიუსუსტით ააწყობდა და ნახევარ ფასში გააყიდა. იგი უთუოდ კლექტომანი იყო.

— მიკროსკოპი რომ არ გამოეგონებინათ, — იტყოდა ხოლმე მიკროშკა და მეტი სერიოზულობისათვის წარბებს ზევით ახწევდა და ხელებს უკანალზე დაიწყობდა, — მთელი ჩვენი მეცნიერება ბეცი იქნებოდა, ვერ გაარჩევდა უახლოეს სამყაროს. ყმაწვილო, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ მიკროსკოპში ადამიანის სულის საიდუმლოებათა დანახვაც შეიძლებოდა, მიკროსკოპში, ისე, როგორც შეუარადლებელი თვალთ უხილავ ბაქტერიებს ვხედავთ...

— საშინელება იქნებოდა, ჩემო კარგო, საშინელება...

— მართალია, მაგრამ აშკარა საშინელება უფრო საინტერესოა, ვიდრე გაურკვეველი ბუნდოვანება...

ეს გამოთქმები მიკროშკა რუსს უთუოდ გინაზიიდან გამოჰყვა, საიდანაც იგი, როგორც თვითონ მიაჩნო, მიკროსკოპის ქურდობისთვის გამოაგდეს.

მიკროშკა ეხლა მაგადასთან მუშაობს, პატარა კოლოფს აკეთებს ფანერისგან. კოლოფზე ტუშით გამოსახულია აბგიანი მონადირე, ჭრელი ძაღლი და გაფრენილი იხვი. ქვევით, პატარა ასოებით წერია: „სახსოვრად ჩემს ნათელიკოს სარდიონისგან. ტფილისის შრომა-გასწორების სამრეწვე-

ლო კოლონია. 1934 წ. მიკროშკას მთელი სახე წამოსივებული აქვს, დაბიუჯინებულ წყალში ნამყოფ ღობიოს კაკალს მოუგავს. თმები მხოლოდ კეფაზე შერჩენია, უკანიდან გადმოუვარცხნია და მოხერხებულად მთელი თავი დაუფარავს. დღისით მიკროშკა სათუთუროების სახელოსნოში მუშაობს, საღამოობით კი საკანში აკეთებს კოლოფებს, ძვლის ბეჭდებსა და კამათლებს.

- ერთი ე რადიოს შეურჯოთ, - ამბობს მახარა, - იქნებ სიმღერა გაგვაგონონ...

დარკინული კარი მიძიმედ გაიღო და მამასახლისის პრიალა ჩექმები და ვარსკვლავაგლეჯილი ქუდი გამოჩნდა. მის უკან ჩემოდნითა და შეხვეული ლოგინით ხელში იდგა რქის სათვალეებიანი, ჭადარაწვერიანი კაცი.

- აი, თქვენი ადგილი, - მამასახლისმა ხელი გაიშვირა სარკმლის პირდაპირ ცარიელი საწოლისკენ, - აქ მოეწვეეთ.

- ძალიან კარგი... - სათვალეებიანმა კაცმა საკანში შემოაბიჯა და ხმამაღლა წარმოესთქვა, - გამარჯვებათ!..

- გამარჯვებათ, გამარჯვებათ... - უპასუხეს იქით-აქიდან.

მან ჩემოდანი და ლოგინი საწოლზე დააწყო, ძვირფასი, კარგად შეკერილი შავი პალტო გაიძრო, უკან გადაევარცხინო ჭადარა თმაზე ხელი გადასვა და გაიღიმა.

Hy... მადლარი კაცის ტონით სთქვა მან, - ალექსანდრე სერგეის ძე ვოლკოვი, ზუსტი მექანიკის პროფესორი. მავნებლობისთვის მისჯილი მაქვს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა შორეულ ადგილებში გადასახლებით. Прошу любить и жаловать!...

მას ჯანსაღი ფერი ჰქონდა, სათვალეებს უკან სწრაფად მოძრავ თაფლისფერ თვალებს ეტყობოდათ მხოლოდ რაღაც ავადმყოფური, ხანგრძლივი კბილის ტკივილისას რომ აქვთ ხოლმე. მან ლოგინის ვახსნა დაიწყო, ჩემსკენ მოიხედა და გაოცება დაეტყო. მე უკვე მივეჩვიე ასეთ გაოცებულ შემოხედვას და კითხვას, თუ რამდენი წლისა ვარ, პროფესორმა თვალი მოავლო წიგნს, რომელიც ხელში მეჭირა.

- რომენ როლანს კითხულობთ?  
- დიალ. - მე ლოგინზე წამოვწყვიტე.  
- იწყით, გეთაყვა, იწყებთ...  
ლოგინი გაშალა, საწოლზე ჩამოვდდა და სათვალეები მოიხსნა.

- მართალი გითხრათ, არ მიყვარს მე ეგ თქვენი რომენ როლანი, - ისეთი ტონით დაიწყო მან თითქო უკვე რამოდენიმე საათი ლიტერატურაზე გვექნოდეს საუბარი, - როცა მაგის რომანებს კითხულობ, გგონია, რომ ინტელიგენტობა თავისთავად საკმარისია პიროვნების ტრადიციისათვის. და მერე კიდევ, როლანის ფრანგული, ეს... თქვენ იცით ფრანგული?

- არა, არ ვიცი.  
- დოსტოვესკის რუსული ხომ იცით რაც არის, და როლანის ფრანგულს მაინც ჯობია. წინადადებები აქვს, იმ სიგრძე, გესმით, რომ თავსა და ბოლოს ვერ მოინახავთ. რიტორიკა, რიტორიკა...

მან ცხვირსახოციტო გაწმინდა სათვალე.

- თქვენ პოლიტიკური ხომ არა ხართ?

- არა, მე მკვლელი ვარ. - ვუპასუხე მე და ჩარკინული სარკმლისკენ გავიხედე. საღამოს ცა მუქი-ღურჯი ცის ოთხკუთხი ნაფლეით თითქმის დაეფარა ღრუბლის თეთრ ქულას.

- აა... ეგ არაფერი, - სთქვა პროფესორმა და ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეახოხა, - თუ ავადმყოფური ფანტაზია არა გაქვთ. რამდენი მითვისაჯვებს?

- ორი წელი.  
- საუცხოვოა.  
მე თვალები დაეხუჭე.  
- თქვენ გიყვართ დოსტოვესკი?... - შემეკითხა პროფესორი.

- მე მისი მხოლოდ „ძმები კარამაზოვები“ წამიკითხავს.

- უსათუოდ უნდა წაიკითხოთ მთელი დოსტოვესკი, ეხლა თქვენ მას ბევრგან დაიტყვრთ ტყუილში.

მიკროშკა ყურადღებით უსმენდა ჩვენს საუბარს.

- თქვენ ზუსტი ინსტრუმენტების სპეციალისტი ბრძანდებით არა, პროფესორ?

- მიმართა მან ვოლკოვს.  
- დიალ, ასეც შეიძლება ითქვას.

— მე ძლიერ მაინტერესებს ზუსტი ინსტრუმენტები, — მორცხვად სთქვა მიკროშკამ, — განსაკუთრებით მიკროსკოპი... და მოულოდნელად ისე გაწითლდა, თითქო საყვარელი გოგონა ეხსენებოდა.

— მე ვხელმძღვანელობდი უზუსტესი ინსტრუმენტების საკონტროლო ლაბორატორიას. — სთქვა ვოლკოვმა.

— ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენს ლაბორატორიაში მიკროსკოპებსაც ცდილობ?

— რასაკვირველია.

— ოო, რა საინტერესო სამუშაო იქნებოდა... — მიკროშკამ ფანერის კოლოფი მიატოვა, ხელები ხალათის კალთაზე შეიწმინდა და მაგიდას შემოუარა, — საზღვარგარეთელი მიკროსკოპებაც იყო თქვენთან, პროფესორო?

— არა, ჩვენ ვამოწმებდით, გესმით, მხოლოდ ადგილობრივი საბჭოთა პროდუქციის ინსტრუმენტებს. საზღვარგარეთიდან ახლა მიკროსკოპები, საერთოდ, იშვიათად შემოაქვთ.

— დიად, — მიკროშკამ ეშმაკურად ჩაიციინა, — ერთი გერმანიიდან ახალმიღებული ცეისის მიკროსკოპი იყო ფიზიოლოგიური ინსტიტუტის ლაბორატორიაში და ისიც მე ავწიე...

— ოო, თქვენ მეცნიერებასთან უშუალო კავშირი გქონიათ!

— მაშ, მაშ! ტფილისში ერთი მიკროსკოპი არ დაკარგულა რომ ჩემს ხელში არ გაეცვლოს. სხვებს არ მიაქვთ, შემთხვევით თუ მოხვედბათ ხელში თორემ... ფასი არ იცინა.

— პო, თურმე თქვენს საქმეშიც ყოფილან ვიწრო სპეციალისტები.

— თქვენ ხუმრობთ, პროფესორო, და მე ერთ ბრუკლინ ნახალოკელ გრიცის ვიცნობდი, წარმოიდგინეთ — კარის სახელწოდების მეტს არაფერს იპარავდა!.. სადმე კარებზე დააკაუნებდა, ვინმე ოხერის გვარს იკითხავდა, ბოდიშს მოიხდიდა და როცა კარებს მოუხურავდნენ — სახელური უკვე ჯიბეში ედო; ორ წამში ასწრებდა მოძრობას...

— ეშმაკმა უწყის, რაზედ ხარჯავს ეს ხალხი თავის ნიჭს...

— რას იხამთ... ქადაღლის თამაში, არაყი — ფულია საჭირო. მიკროშკამე წუკლოთი სავსე თუნუქის კოლოფი ამოიღო; და მაგიდაზე გადაფარებულ გაზეთს კუთხე მოახია.

— ერთი ეს მიბრძანეთ, პროფესორო, მე ვერ გამოვია, რაში გამოიხატებოდა, სახელდობრ, თქვენი მავნებლობა?

პროფესორმა ისევ მოიხსნა სათვალეები და ცხვირსახოცს დაუწყო ძებნა.

— თქვენ როგორ ფიქრობთ?

— თქვენ... აფუჭებული ინსტრუმენტებს?..

— რატომღაც ხმადაბლა იკითხა მიკროშკამ და წეკოს თავი დაანება.

— ახე ვთქვათ. — ვოლკოვმაც უნებურად დაუკლო ხმას, — ხელოვნურად ვზრდიდით წუნს და უშვებდით ბაზარზე. ეს უკვე საიდუმლოება აღარაა, გაზეთებშიც სწერდნენ.

— თქვენ... მიკროსკოპებსაც აფუჭებდით?..

— რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი გამონაკლისი?..

მე შევამჩნიე, რომ მიკროშკას ყვითელი, დასიებული სახე ჭარხალივით გაუწითლდა და მარჯვენა თვალი ნერვიულად აუხამხამდა.

— კი, მაგრამ... ეს როგორ, თქვენ ხომ თითონ პროფესორი ხართ, მეცნიერული მომუშავე... და აფუჭებთ მეცნიერულ ხელსაწყოებს...

პროფესორმა მხრები აიჩეჩა.

— გეთაყვა, — ოღნავ შესამჩნევი სიბრაზით სთქვა მან, — მე ეს პოლიტსამართველოს გამომძიებელმაც მითხრა!..

ტალანში, ჩვენი საკნის კარებთან, მამასახლისის ხმა გაისმა, ის ვიღაცას ელაპარაკებოდა. მიკროშკა უეცრად მიბრუნდა, კარები გამოაღო და დაუძახა:

— მამასახლისო!

— რა ამბავია, — ტალანში მამასახლისის ჩექმებმა გაიღვეს.

— მამასახლისო, — მიკროშკამ თითები ჩაავლო მამასახლისის ხალათზე მიკერებულ ღილს, — დღესვე უნდა გადამიყვანო ამ საკნიდან... მამასახლისმა გაოცებით შეხედა სახეგაწითლებულ მიკროშკას.

— რაშია საქმე?..

ქურდმა თავი გადაიქნია საწოლზე ჩამოხვდარ პროფესორისკენ:

— Не могу я жить в одной камере с этим подлецом!

პროფესორი დაუინებით ეძებდა ჯიბეში ცხვირსახოცს სათვალეების გასაწმენდად.

მე გავიხედე ჩარკინულ სარკმლისკენ, რომლის იქით ღრუბლის თეთრი მრეკვების მეტი არაფერი ჩანდა და გავფიქრე, რამე მგონი, ერთის წამით მაინც, ქურდი მიკროშკას სული მართლაც და მიკროსკოპით ქვეშ დაინახე.

1940 წ.

თუ ეს ასეა...

კოტე ხიმშიაშვილის პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა ეურნალ „ახალგაზრდა მწერალში“ 1934 წელს (1935 წლიდან ეს ეურნალი გამოდიოდა „ჩვენი თაობის“ სახელწოდებით), მეორე, ეურნალ „მნათობში“ ასევე 1934 წელს. „მნათობი“ უფროსი თაობის მწერალთა ასპარეზად ითვლებოდა და ახალგაზრდას იშვიათად თუ გაუღივებდა ბედი, იშვიათად თუ გახდიდნენ იქ დაბეჭდვის ღირსად. კოტე ხიმშიაშვილი ამისი ღირსი გახდა და ერთბაშად მიიქცია ყურადღებაც, მე ვიტყვოდი — სრულიად სამართლიანად. უნებლიე გაცივებას იწვევდა ის ამბავი, რომ ეს ახალგაზრდა ავტორი თავის პირველსავე მოთხრობებში გამოიყურებოდა დახვეწილ ოსტატად, რომელიც ფრახას ძერწავდა ოქრომჭედლის სინატრიფით. ამ დროს იგი ჩვიდმეტ-თვრამეტ წლის ჰქონდა იყო და ერთი შეხედვით მიუცარებლის შთაბეჭდილებას სტოვებდა. და, აი, ერთხელ ჩვენ შევხვდით ერთმანეთს მწერალთა სასახლის შესასვლელში, გაცნობისა და გასაუბრების შემდეგ მან ისე ბუნებრივად, უბრალოდ და თავაზიანად მთხოვა — მინ წავყოლოდი, რომ მისი ამ თვისებებით მოულოდნელად მოხიბლული, დაეთანხმდი.

ცხოვრობდა ვაკეში, უნივერსიტეტის იქით. ეზოში რომ შევდით, გამოაცა ათიოდე მწვეარ-მეძებრის არეულმა ყუფამ, ძაღლები მოშორებით, ეზოს კუთხეში ება. ორსართულიანი სახლის კიბეზე პირველი ჩამოვიდა და შეგვეგება კოტეს მამა — ბატონი ალექსანდრე — ტანსრული, ახალუხიანი ვაჟკაცი. დღემდე არ დამეოწყებია, ისე შემომხედა გამჟღავნებულ მხერვით, ცალთვალმოხუჭულმა, როგორც მონადირეს სჩვევია, როცა თოფის უმიზნებს (მისი ჰობი ზომ ნადირობა იყო), მერე კოტეს დედაც გამოჩნდა. წარმოსადგენი მეუღლისაგან განსხვავებით, გამხდარი და ნაზი ჭალბატონი. კოტეს მშობლებმა ძაღვ დაგტოვეს და ჩვენ განვაგრძეთ საუბარი. მე ყურადღებით და ინტერესით ვუსმენდი კოტეს საუბარს, შენიშვნებს ზოგიერთ ავტორსა და ნაწარმოებზე. არ მახსოვს, როცა ვლაპარაკობდი, სიტყვა შეეწყვეტინებინოს საკუთარი შენიშვნის ჩასართავად. მისმენდა ბოლომდე ყურადღებით, მოთმინებით და ღიმილიანი გამომეტყველებით. ერთი სიტყვით, ჰქონდა მოთმინების ნიჭი. აქ ჩანდა კულტურაც, არა იმდენად შექნილი, რამდენადაც თანდაყოლილი. არ მახსოვს, როდისმე ხმამაღლა ვთქვას სიტყვა, ან მოულოდნელად წამოუყვიროს. თავისი ღირსების და ზოგჯერ აშკარა უპირატესობის მდგომარეობა ვინმეს მიმართ არ ათამამებდა, ხელს არ უშლიდა ყოფილიყო თავმდაბალი და უაღრესად თავაზიანი, მაგრამ ამავე დროს ემარჯვებოდა თავისი ღირსების და შეხედულების დაცვა, ხათრით არაფერზე დაგეთანხმებოდა.

ბედნიერებაა, როცა სათქმელს სიტყვის დასრულებამდე მიგიხედებიან. ასეთი ბედნიერების მონიჭების არაერთი შემთხვევა მახსოვს, კოტეს ამ იშვიათ უნარს, მე, პირადად დიდად ვაფასებდი. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ მასავით ესოდენ ნაადრევად მომწიფებული მწერლობაში მერე არავინ მახსოვს. როგორც უკვე აღვნიშნე 17-18 წლისა იყო, როცა თავისი პირველი მოთხრობა გამოაქვეყნა, 22 წლის კი უკვე რომანის წერას შედგომია და 23 წლისამ მისი ბეჭდვა დაიწყო ეურნალ „ჩვენი თაობაში“. ამ რომანის — „ქონქა ხორნაბუღის“ უმტყინეულოდ ბეჭდვას უდავოდ ხელი შეუწყო ღიმილტრი ბენაშვილის ყოფნამ ეურნალის რედაქტორის პოსტზე; სხვა შემთხვევაში რომანი შეიძლება არ გამოქვეყნებულყო. ამ დროისათვის კოტეს უკვე გაღიზიანებული და გამოწყვეული ჰყავდა ბევრი ისეთი პიროვნება, რომელსაც ლიტერატურაში ბევრი არაფერი გაეგებოდა,

მაგრამ ბევრს ჩემულობდა. კოტესთვის კომპრომისი არ არსებობდა ლიტერატურაში. ის გაედა მხურვალე მლოცველს, და ყველაფერი მასში იყო ღვთით ბოძებული და მომადლებული. ასეთ ნიჭს, ასეთ პიროვნებას სჭირდებოდა მხოლოდ გაგება, შემდეგ თანადგომა და გაფრთხილება, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც უკვე ითქვა, კოტე ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდებოდა უაზრობით გაჭყრებულ წინააღმდეგობებს. დრო იყო ასეთი, და თითქმის ყველაფერი, ეჭვს ქვეშ დაყენებული. ზოგს, ალბათ, არ ესმოდა მისი, ზოგს შურდა.

არა თუ მაშინ, „ჯონჭა ხორნაული“ დღესაც სათანადოდ გარჩეული და შეფასებული არ არის; ის ისევ „ჩვენთაობელის“ დონის ნაწარმოებად ითვლება და არა დიდი ჭართული მწერლობის მონაპოვრად. ნიჭის უეცარი გამოსხივება გაპირობებულია ფრაზის კლასიკური სისადავით, ხატოვნებით და სიზუსტით, პერსონაჟის ტყვევასა თუ მერყველებაში ისეთი ნიუანსების გადმოცემით, იგი მხოლოდ დიდოსტატს რომ ხელეწიფება, და კოტე ხიმშიაშვილი აქ მართლაც დიდოსტატია. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ კოტე გვთავაზობს ხელუხლებელ თემას ქართული ლიტერატურისათვის; არც კოტემდე, არც კოტეს შემდეგ უნივერსიტეტის სტუდენტების ყოფა-ცხოვრება რომანის თემად არცერთ მწერალს არ გაუხდია. ამდენად, „ჯონჭა ხორნაული“ დღემდე რჩება ერთადერთ ნაწარმოებად, სადაც ოცდაათიანი წლების უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოფა არის წარმოჩენილი. მე მგონია, ეს ნაწარმოები გაუძლებს ეამთა სვლის სიმკაცრეს. ის არ მოხვედრება სწორედ ჯადოქრობამდე მისული ავტორის ნიჭისა და ოსტატობის წყალობით.

თუ ეს ასეა, ტრაგიკულად რომ არ დაღუპულიყო 25 წლის ასაკში, ვინ იცის, კიდევ რით გაამდიდრებდა იგი ქართულ ლიტერატურას. ისეთი ტალანტი როგორც კოტე ხიმშიაშვილი იყო, ლიტერატურის ასპარეზზე იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე; ამ გამოჩენას ზოგჯერ ერთი ასწლეულიც არ ყოფნის.

ლადო ავალიანი





დაეწიებული მახარი

მოთხრობა

მშრომელ მასაში სახელმწიფოს ორი წევრი ცხოვრობდა: ნორმალური გლეხკაცი მაკარ განუშკინი და უფრო გამოჩენილი — ამხანაგი ლევ ჩუმოვოი, მთელ სოფელში უჭკვიანესი კაცი, ჭკუის წყალობით, საყოველთაო სიკეთისკენ სწორი ხაზით ხალხის წინსვლას რომ ხელმძღვანელობდა. თუმცაღა, როცა ლევ ჩუმოვოი სადმე შორიანხლოს ჩაივლიდა, სოფლის მთელი მოსახლეობა ამბობდა:

— აი, ჩვენი ბელადი საითღაც მიიბიჯებს, მამ ხვალ რაიმე ღონისძიებას უნდა მოველოდეთ... ჭკვიანი თავის მქონეა, ოღონდ ხელეები ცარიელი აქვს. ჭკუის ამარა არსებობს...

ხოლო მაკარს, ყოველი გლეხკაცისნაირად, ზენა-თესვას ჩხირკვედილობა ერჩინა და სარჩოს მოპოვებაზე კი არა, სანახაობაზე ზრუნავდა, რადგან, ამხანაგ ჩუმოვოის დასკვნით, თავი ცარიელი ჰქონდა.

მაკარმა ერთხელ ამხანაგ ჩუმოვოისგან ნებართვის მიუღებლად მოაწყო სანახაობა — სახალხო კარუსელი, რომელსაც წრეზე ქარის ძალით უნდა ეტრიალა. მაკარის კარუსელის ირგვლივ თავი ზევა ხალხმა მოიყარა. ყველანი ქარიშხლის ამოვარდნას ელოდნენ, რაც კარუსელს ადგილიდან დაძრავდა. მაგრამ ქარიშხალი იგვიანებდა, ხალხი უქმად იდგა, ამასობაში კი ჩუმოვოის კვიცი მინდვრად გაიჭრა და ჭყანტობებში გადაიკარგა. ხალხი მოსვენებით რომ ყოფილიყო, ჩუმოვოის კვიცს უმალ დაიჭურდა და ჩუმოვოი არ იზარალებდა, მაგრამ მაკარმა ხალხი მოაცდინა და ჩუმოვოიმაც ამის გამო იზარალა.

ჩუმოვოი კვიცს თავად არ გაჰკიდებია, ქარის ნადვლიანად მომლოდინე, მდუმარე მაკართან მივიდა და უთხრა:

— შენ აქ ხალხი მოაცდინე და ჩემს კვიცს ვერაინ გამოეღევა...

მაკარი გამოერკვა, რადგან მიხვდა, ჭკვიანი ხელებისა და ცარიელი თავის მქონეს ფიქრი არ შეეძლო, მიხვედრით კი უმალ მიხვდებოდა ხოლმე.

— ჯავრი ნუ გაქვს, — უთხრა მაკარმა ამხანაგ ჩუმოვოის, — თვითმავალს გაგიკეთებ.

— რანაირად? — ჰკითხა ჩუმოვოიმ, რადგან ცარიელი ხელების პატრონი იყო და არ იცოდა, თვითმავალი როგორ გაეკეთებინა.

— სალტეებისა და თოკებისგან, — უპასუხა მაკარმა. მომავალ თოკებსა და სალტეებში გამწვევ ძალასა და ბრუნვას უფიქრალად გრძნობდა.

— მაშინ სწრაფად გამიკეთე, — უთხრა ჩუმოვოიმ, — თორემ უკანონო სანახაობის მოწყობისთვის კანონიერ პასუხისმგებლობას დაგაკისრებ.

ხოლო მაკარი ჯარიმაზე არ ფიქრობდა, — ფიქრი ხომ არ შეეძლო, ახლა იმას იხსენებდა, რკინა სად ნახა, მაგრამ ვერ გაეზსენებინა, რადგან მთელი სოფელი ზედაპირული მასალისგან: თიხისგან, ნამჯისგან, ხისგან და ქერელისგან იყო ნაშენები.

ქარიშხალი არ ამოვარდნილა, კარუსელი არ აძრულა და მაკარი შინ დაბრუნდა. დანაღვლიანებულმა წყალი დალია, ამ წყლის შემამჭიდროებელი ძალა იგრძნო და მიხვდა: „რკინა, ეტყობა, არსად იმიტომ არ არის, წყალთან ერთად რომ ვსვამთ“.

სალამოთი მაკარი ამოშრალ, გაუქმებულ ჭაში ჩაძვრა და მეორე სალამომდე ნოტიო სილის ქვეშ რკინას დაეძებდა. მთელ დღესა და ღამეს ჭაში ნამყოფი მაკარი გლეხებმა ჩუმოვოის წინამძღოლობით ამოიყვანეს. ჩუმოვოი შიშობდა, მოქალაქე სოციალისტური მშენებლობის ფრონტს მიღმა დამედუპებო. მაკარის ამოყვანა გაჭირდა, რადგან ხელებში რკინის მადნის ყავისფერი ნაბჭვრეკები





ეჭირა. გლეხებმა დამძიმებული მაკარი წყვე-  
ლა-კრულვით ამოათრირეს. ხოლო ჩუმოვოი  
შეჰპირდა, საზოგადოების აფორიაქებისთვის  
დამატებით დაგაჯარიმებო.

მაგრამ მაკარმა მის მუქარას ყური არ  
ათხოვა და ერთი კვირის შემდეგ მადნისგან  
ლუმელში რკინა გამოადნო მას მერე, რაც  
მისმა ცოლმა იქ პური გამოაცხა. არავინ  
რუყის, ლუმელში მადანი როგორ გამოადნო,  
რადგან მაკარი ჭკვიანი ხელებითა და უტყვი  
თავით მოქმედებდა. კიდევ ერთი დღის შემ-  
დეგ მაკარმა ჯერ რკინის ერთი ბორბალი  
გამოჰყვდა, მერე მეორე, მაგრამ არცერთი  
ბორბალი თავისით არ დაიძრა: ორივენი  
ხელით უნდა გეტრიალებინა.

ჩუმოვოი მაკართან მივიდა და ჰკითხა:

— კვიციის სანაცვლოდ თვითმავალი  
გამიკეთე?

— არა, — უთხრა მაკარმა, — ჩემი გუმან-  
ით ბორბლები თავისით უნდა გაგორებულიყო,  
მაგრამ გაგორებას არ წადინობენ.

— რატომ მომატყუე, სტიქიური თავის  
პატრონო, — სამსახურებრივად შეუძახა  
ჩუმოვოი. — მაშინ კვიცი გამიკეთე!

— ხორცი არა მაქვს, თორემ გაგიკეთებ-  
დი, — იუარა მაკარმა.

— მაშ რკინა თიხისგან რანაირად გა-  
აკეთე? — გაუხსენა ჩუმოვოი.

— არ ვიცი, — უპასუხა მაკარმა. — მახ-  
სოვრობა არა მაქვს.

ახლა კი ჩუმოვოის გული მართლა მოვიდა:

— რაო, სახალხომურწუნობრივი მნიშ-  
ვნელობის აღმოჩენას მალავ, ინდივიდ-სა-  
ტანავ? შენ ადამიანი კი არა, ერთპიროვნუ-  
ლი არსება ხარ! ახლა მართლა ერთიანად  
დაგაჯარიმებ, რათა იცოდე, რანაირად იფ-  
იქრო!

მაკარმა მორჩილად უთხრა:

— მე ხომ არა ვფიქრობ, ამხანაგო ჩუმო-  
ვოი, მე ხომ თავცარიელი ვარ.

— მაშინ ხელები დაიმოკლე, იმას ნუ აკეთებ,  
რაც არ მოგიფიქრებია, — უსაყველურა მაკარს  
ამხანაგმა ჩუმოვოი.

— ამხანაგო ჩუმოვოი, შენი თავი რომ  
მქონდეს, მაშინ ხომ მეც ვიფიქრებდი, —  
აღიარა მაკარმა.

— ნამდვილად! — დაუდასტურა ჩუმოვოი.  
— მაგრამ ასეთი თავი მართო მე მაქვს მთე-

ლი სოფლის სამყოფად, შენ კი უნდა მემო-  
რჩილებოდე.

ჰოდა, ჩუმოვოიმ მაკარი ერთიხანად დაა-  
ჯარიმა, რის გამოც მაკარმა მოსკოვისკენ  
გასწია საშოვრის საძებნელად, რათა ჯარი-  
მა გადაეხადა, ხოლო კარუსელი და მთელი  
თავისი ავლადიდება სამეურვეოდ გულისყური-  
ან ამხანაგ ჩუმოვოის დაუტოვა.

მაკარი მატარებლით ათი წლის წინ,  
ცხრაშვილ წელში იყო ნამეზავრი. მაშინ მუ-  
ქთად წაიყვანეს, რადგან მოჯამაგირეს ერთი  
შეხვედითვე ჩამოჰგავდა. საბუთებიც კი არავის  
მოუკითხავს. „გზა განაგრძე, — ეუბნებოდა  
პროლეტარული დაცვა, უქონელი ჩანხარ, მაშ  
ჩვენთან ხარ“.

მაკარი ახლაც, როგორც ათი წლის წინ,  
მატარებელში უკითხავად ჩაჯდა, მხოლოდ  
ხალხის სიმცირემ გააკვირვა, იმანაც, ყვე-  
ლა კარი ღია რომ იყო. მაგრამ მაინც შუა  
ვაგონში კი არა, გადასამბელთან დაჯდა, რათა  
თვალი ედევნებინა, ბორბლები სვლისას როგორ  
მოქმედებდა. ბორბლები ამოქმედდა და მა-  
ტარებელი სახელმწიფოს შუაგულისკენ —  
მოსკოვისკენ გაემართა.

მატარებელი ყოველგვარ ცხენზე უფრო  
სწრაფად მიუქანებოდა. ველი მატარებლისკენ  
გამორბოდა და ბოლო არ უჩანდა.

„მანქანას გატანჯავენ, — ბორბლები შეე-  
ბრადა მაკარს. — ნამდვილად, რაკი ქვეყ-  
ნიერება ასე ვრცელი და ცარიელია“.

მაკარს ხელები უქმად ჰქონდა. ამ ხელთა  
გათავისუფლებული, გონიერი ძალა მისი  
ცარიელი, ტყეადი თავისკენ დაიძრა და ფიქრი  
დააწყებინა. მაკარი გადასამბელთან იჯდა და,  
რაც კი შეეძლო, ფიქრობდა, მაგრამ ასე  
დიდხანს არ მჯდარა. უიარაღო მცველი მივი-  
და და ბილეთი მოსთხოვა. მაკარს ბილეთი  
არ ჰქონდა, რადგან მისი ვარაუდით, საბჭო-  
თა, მტკიცე ხელისუფლება არსებობდა, ვისაც  
ახლა ყველა გაჭირვებული საერთოდ მუ-  
ქთად უნდა ეტარებინა. მცველმა კონტრო-  
ლიორმა მაკარს უთხრა, პირველივე სად-  
გურში ჩახტი, იქ ბუფეტია, თორემ მერე  
ვრძელი გადასარბენია და დაიმშვილო. მაკარმა  
ნახა, რომ ხელისუფლება მასზე ზრუნავდა,  
რაკილა პირდაპირ გაგდებას კი არ უპირებ-  
და, ბუფეტს სთავაზობდა, ამიტომ მატარებ-  
ლის უფროსობას მადლობა გადაუხადა.

მაკარი სადგურში მინც არ ჩამხტარა, თუმცა მატარებელი საფოსტო ვაგონიდან წერილებისა და ღია ბარათების გადმოსატვირთად გაჩერდა. მას ერთი ტექნიკური მოსაზრება გაახსენდა და მატარებელში დარჩა, რათა წინსვლაში მიხმარებოდა.

„საგანი რაც უფრო მძიმეა, — მაკარმა შედარებისთვის ქვა და ბუმბული წარმოიღვინა, — მით უფრო შორს მიფრინავს, როცა გაისვრი. მაშ, მეც მატარებელს ზედმეტი აკურთხევი მივეყვები, რათა მატარებელმა მოსკოვში ჩააღწიოს“.

მატარებლის მცველი რომ არ გაენაწყინებინა, მაკარი მექანიზმის შიგნით, ვაგონქვეშ ჩაძვრა, დასასვენებლად დაწვა და ბორბლების ამაღლებულ სიჩქარეს მიაყურა. მოსვენებით ყოფნამ და რკინიგზაზე დაყრილი ქვიშის ცქერამ ღრმა ძილი მოჰკვარა და ესიზმრა, ვითომ მიწას მოსწყვდა და ცივ ქარში გაფრინდა. ამ საამურომა შეგრძნებამ დედამიწაზე დარჩენილი ადამიანები შეაბრალა.

— სერიოგა, გაცხელებული ლილეები ასე უნდა დატოვო?

მაკარს ძილში ეს სიტყვები ჩაესმა. თან გამოიღვიძა და ხელი მიისვ-მოისვა: სხეული და შიგანი უვნებელი თუ მაქვსო?

— არა უშავს! — შორიდან დაიძახა სერიოგამ. — მოსკოვი შორს აღარ არის: არ დაიწვება!

მატარებელი სადგურში იდგა. მუშები ვაგონების ღერძებს სინჯავდნენ და ხმადაბლა იგინებოდნენ.

მაკარი ვაგონქვეშოდან გამოძვრა და შორს მთელი სახელმწიფოს ცენტრი — დედაქალაქი მოსკოვი დაინახა.

„ახლა ფეხითაც ჩავალ! — მოისაზრა მაკარმა. — მატარებელმა იქნებ ზედმეტი ტვირთის უქონლადაც ჩააღწიოს!“.

იგი კოშკებისკენ, ეკლესიებისკენ და მრისხანე ნაგებობებისკენ — მეცნიერებისა და ტექნიკის სასწაულოთა ქალაქისკენ გაემართა, რათა არსებობის სახსარი ბელადთა და ეკლესიების მოოქრულ თავთა წიაღში მოეპოვებინა.



მატარებლიდან ჩამოსული მაკარი თვალწინ მდებარე მოსკოვისკენ, ცენტრალური

ქალაქისკენ ინტერესმომატებული გაემართა. გზა რომ არ ახნოდა, რელსების სიახლოვეს მიაბიჯებდა და სადგურთა ბაქნების სიხშირე აოცებდა. ბაქანთა ახლოს ფიჭვისა და ნაძვის ტყეები მოჩანდა, ხოლო ტყეებში ფიჭვული სახლები იდგა. გაქუცული ხეების ქვეშ კანფეტის ქაღალდები, ღვინის ბოთლები, ძეხვის ნაფუჭკენები და სხვა წამხდარი დოვლათი ეყარა. ადამიანის ფეხით გადათქერილი ბალახი არ იზრდებოდა, გატანჯულ ხეებსაც სიმაღლე აკლდა. მაკარი ასეთ ბუნებას გულნაკლული უყურებდა:

„აქ, ეტყობა, ისეთი არამზადები ცხოვრობენ, მცენარეებსაც კი მათგან სული ამოხდომიათ! ადამიანი თავისი საბინადროს სიახლოვეს უდაბნოს ბადებს! მაშ, მეცნიერება და ტექნიკა რილას მაქნისია?“.

მაკარმა სიბრაღეულით მკერდი მოისრისა და გზა განაგრძო. სადგურის ბაქანზე ცარიელი ბიღონები ჩამოქონდათ და ვაგონებს რძით სასვე ბიღონებით ტვირთავდნენ. მაკარი ფიქრმა შეაყოვნა:

— კვლავაც ტექნიკის უქონლობაა! — ხმადაბლა განსაზღვრა ეს გარემოება. — რძით სასვე ჭურჭელი რომ მიაქვთ, სწორია: ბავშვები ქალაქშიც ცხოვრობენ და რძეს ელიან. მაგრამ ცარიელ ბიღონებს რაღას დაათრევენ? ტექნიკას ხომ ტყუილად ცვეთენ, თანაც ჭურჭელი საკმაოდ ტკვადია!

მაკარი რძის გამგებელთან მივიდა, ვინც ბიღონების ჩატვირთვა-გადმოტვირთვას განაგებდა და ურჩია, აქედან მოსკოვამდე რძის მილი გაიყვანე, რომ ცარიელი ჭურჭლით სასვე ვაგონები არ ახრივიწილო.

რძის გამგებელმა მაკარს მოუსმინა — იგი ხალხის მასიდან გამოსულებს პატივს სცემდა — მაგრამ ურჩია, მოსკოვს მიმართე: იქ უჭკვიანესი ადამიანები სხედან და ყველა ცვლილებას ისინი განაგებენო.

მაკარი გაბრაზდა.

— რძეს ისინი კი არა, შენ ეზიდები! ისინი მხოლოდ სვამენ, ხოლო ტექნიკის ზედმეტ დანახარჯს ვერ ხედავენ!

გამგებელმა განუმარტა:

— ჩემი საქმე საქონლის დატვირთვაა: მე შემსრულებელი ვარ და არა მიღების გამოძიებელი.

მაკარმა მას თავი მიანება და მოსკოვამდე

დაექვევებულმა იარა.

მოსკოვში გვიანი დილა იყო. ქუჩებში ათი ათასობით ადამიანი სადღაც ისე მიიჩქაროდა, თითქოს გლეხები მოსავლის ასაღებად მიეშურებინათ.

„ამით რა უნდა აკეთონ? — ფიქრობდა უამრავ ადამიანთა შორის შეჩერებული მაკარი. — აქ ალბათ მძლავრი ფაბრიკებია, სადაც შორეული სოფლელი ხალხისთვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ამზადებენ!“.

მაკარმა ჩექმებზე დაიხედა და მოჩქარე ადამიანებს უთხრა: „გმადლობთო!“ . ესენი რომ არ იყვნენ, მაშინ ხომ ფეხშიშველი და ტანშიშველი დარჩებოდა. თითქმის ყველას ილღიაში ტყავის ტომარა ამოეჩარა, რითაც ალბათ ჩექმის ღურსმენები და გასანთლული ძაფი დაჰქონდათ.

„ნეტავი მითხრა, რატომ დარბიან, რად იქანცებიან? — საგონებელში ჩავარდა მაკარი. — ჯობია, შინ მუშაობდნენ, ხოლო საჭმელსასმელი საზიდრებით ჩამოურიგონ!“.

მაგრამ ადამიანები ვარბოდნენ, ტრამეაში ეტეებოდნენ და სასარგებლო შრომისთვის თავს არ იზოგავდნენ. ამან მაკარი სავსებით დააკმაყოფილა. „კარგი ხალხია, — ფიქრობდა იგი, — თავიანთ სახელოსნოებამდე მიღწევა უჭირთ, მაგრამ წადინობენ!“.

ტრამეაი მაკარს მოეწონა, რადგან თავისით დადიოდა, ხოლო მეძანქანე წინა ვაგონში ისე არხენიანდ იჯდა, თითქოს არაფერს ეხილებოდა. ვაგონში მაკარიც ძალის დაუხარჯავად ავიდა, იმიტომ რომ შიგნით უკანიდან მოშწოლმა მოჩქარებმა შეაგდეს. ვაგონი ნელა აიძრა, იატაკქვეშ მანქანის უხილავე ძალა ზმოუდა, მაკარი უსმენდა და თანაუგრძობდა.

„საბრალო მაშერალი! — ფიქრობდა მაკარი მანქანაზე. — როგორი დამაბულია. სამაგიეროდ, საქმიანი ხალხი თავის ადგილას მიჰყავს, — ფეხებს უზოგავს!“.

ქალი — ტრამეის დიასახლისი — მგზავრები ქვიითებს აძლევდა, ხოლო მაკარმა არ გამოართვა, რათა არ გაესარჯვა.

— მე არ მინდა! — უთხრა და გვერდით ჩაუარა. დიასახლისს უფვიროდნენ, მოთხოვნიით რაღაც მოგვეციო და ისიც ეთანხმებოდა: „კარგიო!“ . მაკარმა იფიქრა, შევიტყობ, რას არიგებენო და თავადაც თქვა:

— მოთხოვნიით რამე მეც მომეციო!

დიასახლისმა თოკი ჩამოწია და ტრამეაი მალე შეჩერდა.

ეროვნული

— ჩადი, შენი მოთხოვნით გაჩერდამა უთხრეს მაკარს მოქალაქეებმა, მიაწვნენ და გარეთ გატყორცნენ.

მაკარი ქუჩაში აღმოჩნდა.

დედაქალაქის ჰაერი მანქანების აღმზუნები იართი და ტრამეის მუნხრუჭთა თუჯის მტვერით იყო გაჯერებული.

— სახელმწიფოს ცენტრი სად არის? — ჰკითხა მაკარმა ვიღაც შემხვედრს.

შემხვედრმა ხელით მიუთითა და პაპიროსი ქუჩის სანაგვე ვედროში ჩააგდო. მაკარი ვედროსთან მივიდა და შიგ თავადაც ჩააფურთხა, რათა ქალაქში ყველაფრით სარგებლობის უფლება ჰქონოდა.

სახლები ისეთი მძიმე და მალალი იყო, რომ მაკარს საბჭოთა ხელისუფლება შეებრალა: ამოდენა საცხოვრებელ-საბინადროს შენახვა გაუჭირდებოდა.

გზაჯვარედინზე მილიციელმა წითელი ჯოხი ზეადმართა, ხოლო მარცხენა ხელი ჭკავის ფეხილის შესაზიდრის მიმართ მომუშტა.

— აქ ჭკავის ფეხილი პატივში არ ყოფილა, — დაასკვნა მაკარმა, — თეთრ თაფლაკვერებს მიირთმევენ!“.

— ცენტრი სად არის? — ჰკითხა მილიციელს.

მილიციელმა ქვემოთ მიუთითა და უთხრა:

— დიდ თეატრთან, მოედანზე.

მაკარი ქვემოთ ჩავიდა და ყვაილოვან მდელოთა შორის აღმოჩნდა. მოედნის ერთ მხარეს კედელი იყო აღმართული, მეორე მხარეს — ბოძებიანი სახლი. ბრინჯაოს ოთხი ცხენისთვის ამოშენებული ბოძები შეიძლება ცოტა წვრილი ყოფილიყო, რადგან ცხენები არცთუ ისე მძიმენი ჩანდნენ.

მაკარი მოედანზე წითელდროშიან ლატანს დაეძებდა, რაც ქალაქისა და სახელმწიფოს ცენტრის მიმანიშნებელი იქნებოდა, მაგრამ ასეთი რამ არსად ჩანდა და მხოლოდ წარწერაინი ქვა იყო. მაკარი ქვას დაეყრდნო, რათა ცენტრში მდგარიყო და საკუთარი თავისა და საკუთარი სახელმწიფოს მიმართ პატივისცემით გამსჭვალულიყო. მან ბედნიერად ამოისუნთქა და შიშველი იგრძნო. მერე მდინარისკენ გაემართა და უსაზომო სახლის მშენებლობა დაინახა.

— აქ რას აშენებენ? — ჰკითხა მან გამე-  
ლელს.

— რკინის, ბეტონის, ფოლადისა და მინ-  
ის სამუდამო სახლს! — უპასუხა გამეღელ-  
მა.

მაკარმა გადაწყვიტა, იქ მისულიყო, მშენე-  
ბლობაზე ემუშავა და საზრდო მოეპოვებინა.  
ჭიშკართან მცველი იდგა.

— რა გინდა, გლეხუჭავ? — შეეკითხა  
იგი მაკარს.

— მინდა, წავიშო, თორემ დაემჭვლე-  
დი, — უთხრა მაკარმა.

— აქ რანაირად იმუშავებ, როცა ტალონი  
არ მოგიტანია? — სევდიანად ჩაილაპარაკა  
მცველმა.

ამ დროს კალატრონი მოვიდა, რომელმაც  
მაკარის ნათქვამი გაიგონა.

— ჩვენს ბარაკში წადი. იქ საერთო ქვა-  
ბია. ბიჭები დაგაპურებენ, — მშველელად  
მოვედინა მაკარს კალატრონი. — ჩვენთან  
მუშაობის დაწყებას კი უცებ ვერ მოახერხ-  
ებ. შენ არავის ეკუთვნი, მაშ არავინ ხარ.  
ჯერ მუშათა კავშირში უნდა ჩაეწერო, კლა-  
სობრივი ზედამხედველობა გაიარო.

მაკარი ბარაკისკენ საჭმელად გაემართა,  
რათა შემდგომი უკეთესი ბედ-იღბლის მოსა-  
პოვებლად სასიცოცხლო ძალა მოეკრიბა.

მაკარს თვალ-გული მოსტაცა იმ სახლის  
მშენებლობამ, რომელსაც გამეღელმა მუდ-  
მივი უწოდა. ჯერ მუშათა ბარაკში შავი და  
ყუათიანი ფაფით დანაყრდა და მერე სამ-  
შენებლო შრომის დასათვალისწინებლად წავი-  
და. მიწა ყველგან დათხრილი გახლდათ,  
ხალხი ფუსფუსებდა, უცნობი სახელწოდებ-  
ის მანქანები გრუნტში ხიმინჯებს ასობდნენ.  
ბეტონის ფაფა ღარებში თავისით მიედინე-  
ბოდა. სხვა სამშენებლო ქმედებანი აგრეთვე  
თვალნათლივ ჩანდა. სახლი შენდებოდა, მა-  
გრამ ვისთვის შენდებოდა, ვერ შეატყობდი.  
მაკარს არც აინტერესებდა, ვის რა ურგებო-  
და — მას ყველა ადამიანისთვის მომავალში  
სიკეთის მომქმნელი ტექნიკა აინტერესებდა.  
მაკარის უფროსი მის შემობლიურ სოფელში  
— ამხანაგი ლევ ჩუმოვოი, რა თქმა უნდა,  
პირიქით, მომავალ სახლში საცხოვრებელი  
ფართობის განაწილებით დაინტერესდებოდა  
და არა თუჯის სახიმინჯე კუჭით, მაგრამ  
მაკარს ხომ მცოდნე თავი კი არა, ხელები

ჰქონდა. ამიტომ მისი საფიქრალი მხოლოდ  
ის გახლდათ, რა და როგორ ეკეთებინა.

მაკარმა მთელი მშენებლობა მინარ-მინარ  
არა და ნახა, რომ მუშაობა სწრაფად და  
რიგიანად მიმდინარეობდა. მაგრამ გულს  
შემაშფოთებლად ეღრღნიდა რაღაც, ჯერ  
გაუცნობიერებელი. იგი საშუაოთა შუაგულ-  
ში შედგა და შრომის საერთო სურათის  
თვალი მოავლო: მშენებლობას რაღაც  
ამკარად აკლდა, რაღაც გამორჩენილია,  
მაგრამ რა — ამას ვერ მიმხვდარიყო.  
მაკარს სინდისიერებით გაჯერებული მუ-  
შური სევდა გულს უვსებდა, დასვედიანბ-  
ულმა, თანაც მაძღრისად ნასადილევმა  
წყნარი ადგილი მონახა და თავი ძილს  
მისცა. ესინჯრა ტბა, ფრინველები, მივი-  
წყებული კორდი, მაგრამ რაც ესაჭიროე-  
ბოდა, რაც მშენებლობას აკლდა, ის კი  
არ უნახავს. მაშინ გაიღვიძა და მშენებლო-  
ბის ნაკლი უცებ აღმოაჩინა: რკინის  
კარკასებში ბეტონს მუშები ტნინდნენ, რათა  
კედლად ექციათ. მაგრამ ეს ხომ ტექნიკა  
კი არა, შავი სამუშაო გახლდათ! ტექნი-  
კის განსახორციელებლად ბეტონი მალე  
მიღებთ უნდა მიეწოდებინათ, ხოლო მუშა  
ძილს მხოლოდ ხელში დაიჭერდა და არ  
დაიღლებოდა, რითაც შავი სამუშაოს  
შემსრულებელ ხელებში ტნინის წითელი  
ძაღვის გადაქაჩვას დააბრკოლებდა.

მაკარი უმაღლ მოსკოვის მთავარი სამეც-  
ნიერო კანტორის საქმენებლად გაემუშრა. ეს  
კანტორა ქალაქის ერთ ღრმულში მდგარ  
მკვიდრ, უწყვეტ შინობაში იმყოფებოდა. მაკარმა  
იქ კართან მდგარი ახალგაზრდა ნახა და  
უთხრა, სამშენებლო მილი გამოვიგონეო. ახ-  
ალგაზრდამ მაკარს მოუსმინა და ისიც კი  
გამოჰკითხა, რაც თავად მაკარმა არ იცო-  
და, ხოლო შემდეგ მიასწავლა, მთავარ მწ-  
ერალთან კმით როგორ ასულიყო. ეს მწ-  
ერალი მეცნიერი ინჟინერი აღმოჩნდა, მა-  
გრამ რატომღაც მოესურვებინა, რომ ქალა-  
ლდზე ეწერა, ხოლო სამშენებლო საქმისთვის  
ხელი არ დაეკარებინა. მაკარი მილის თაობაზე  
იმასაც მოუყვა.

— სახლი კი არ უნდა ვაშენოთ, არამედ  
ჩამოვასხათ, — უთხრა მაკარმა მეცნიერ მწ-  
ერალს.

მწერალმა მოუსმინა და დაასკვნა:

— ამხანაგო გამოშგონებელო, რით დაამტკიცებთ, რომ თქვენი მილი ჩვეულებრივ დაბეტონებაზე იაფი იქნება?

— იმით, რომ ამას აშკარად ვგრძნობ, — დაუმტკიცა მაკარმა.

მწერალი დაფიქრდა და მაკარი დერეფნის ბოლოსკენ გაგზავნა.

— იქ უქონელ გამოშგონებებს საჭმლისთვის თითო მანეთს და რკინიგზით უკან დასაბრუნებელ ბილეთს აძლევენ.

მაკარმა მანეთი ჩაიჯიბა, ბილეთზე კი უარი თქვა, რადგან გადაწყვიტა, რომ შემდგომშიც უკანდაუბრუნებლად ეცხოვრა.

მეორე ოთახში მაკარს პროფკავშირში მისატანი ქალაღდი მისცეს, რათა იქ გაძლიერებული მხარდაჭერა მიეღო, როგორც მასიდან მოსულს და გამოშგონებელს. მაკარმა იფიქრა, მილის მოწყობილობისთვის პროფკავშირში ფულს დღესვე მომცემნო, და იქითკენ ხალისიანად გაემართა.

პროფკავშირი ბევრად უფრო დიდ შენობაში იყო განთავსებული, ვიდრე ტექნიკური კანტორა. მაკარი პროფკავშირების სახლის ხეობებში ქალაღდზე მითითებულ მასობრივ ადამიანთა უფროსის საძებნელად ორ საათს დაეხეტებოდა, მაგრამ უფროსი სამუშაო ადგილზე არ აღმოჩნდა. იგი სხვა მშრომელებზე საღღაც სხვაგან ზრუნავდა. უფროსი საღამო ხანს დაბრუნდა, ერობკვერცხი შეჭამა და ქალაღდი თავის თანაშემწეს — საკმაოდ სანდომიან, გრძელნაწნავებიან და მოწინავე ქალიშვილს წაკითხა. ქალიშვილმა საღაროში შეირბინა და მაკარს კიდევ ერთი მანეთიანი მოუტანა, ხოლო მაკარმა ხელი მოუწერა, რომ მანეთი მიიღო, როგორც უმუშევარმა მოჯამაგირემ. მაკარს ქალაღდი უკან დაუბრუნეს. ქალაღდზე ახლა მიმატებული იყო სიტყვები: „ამხანაგ ლოპინს. ჩვენი კავშირის წვერს დაეხმარე, რათა თავისი გამოშგონებული მილი სამრეწველო ხაზით დაწერგოს“.

მაკარი კმაყოფილი დარჩა და მეორე დღეს სამრეწველო ხაზის საძებნელად გაემართა, რათა იქ ამხანაგი ლოპინი ენახა. არც მილიციელმა და არც გამველუებმა ასეთი ხაზის თაობაზე არაფერი იცოდნენ და მაკარმა გადაწყვიტა, ხაზი თავად მოეძებნა. ქუჩებში პლაკატები ეკიდა და წითელ სატინზე ის დაწესებულებაც იყო დასახელებული, რაც

მაკარს ესაჭიროებოდა. პლაკატები მკაფიოდ მიუთითებდა, რომ მთელი პროლეტარიატი მრეწველობის განვითარების ხაზზე უნდა მდგარიყო. ამან მაკარს უმალ შთააგონა: თავდაპირველად პროლეტარიატი უნდა მოეძებნა, რომლის ფეხთა ქვეშ ხაზი იქნებოდა და იქვე საღმე ამხანაგი ლოპინიც აღმოჩნდებოდა.

— ამხანაგო მილიციელი, — მიმართა მაკარმა მილიციელს, — პროლეტარიატისკენ მიმავალი გზა მიმასწავლე.

მილიციელმა წიგნაკი ამოიღო, იქ პროლეტარიატის მისამართი მოძებნა და ეს მისამართი მაღლიერ მაკარს მისცა.

\*\*\*

მაკარი მოსკოვის ქუჩებში პროლეტარიატისკენ მიემართებოდა და აკვირვებდა ძალა ქალაქისა, ავტობუსებით, ტრამვაით თუ ხალხის ცოცხალი ფეხებით რომ მიექანებოდა.

„ამდენ მოძრავ სხეულს გამოსაყვებად ბევრი საზრდო დასჭირდება!“ — მსჯელობდა მაკარის თავი, რომელსაც ფიქრი მაშინ შეემძლო, როცა მაკარს ხელები უქმად ჰქონდა.

დამწუხრებულმა და დასევდიანებულმა მაკარმა ბოლოს მიაღწია იმ სახლს, რომლის ადგილმდებარეობაც პოსტზე მდგარი მილიციელისგან შეიტყო. ეს სახლი ღამის გასათევი თავშესაფარი აღმოჩნდა, საღაც ლატაკ კლასს ღამით დასაძინებლად თავის მიღება შეეძლო. ადრე, რევოლუციამდელ ხანაში, ლატაკი კლასი თავს ცარიელ მიწაზე მისდებდა ხოლმე. თავს ხან აწვიმდა, ხან მივარე დაჰნათოდა, ზემოდან ვარსკვლავები დასტრიალებდნენ, ქარი ქშულილით წამოუბერავდა. მიწაზე მიდებული თავი ითოშებოდა, მაგრამ მილს მაინც ეძლეოდა, რადგან დაქანცული გახლდათ. ამჟამად კი ლატაკ კლასს თავი მოსვენებით ედო ბალიშზე, რკინით გადახურულ ჭურჭვეშ, ხოლო ღამით წამოქროლილი ქარი ბუნებისა თავზე თმას აღარ უწეწავდა ლატაკს, ვინც ოდესღაც პირდაპირ დედამიწის ზედაპირზე იწვა.

მაკარმა რამდენიმე ახალი, დაკრიალებული სახლი დაინახა და საბჭოთა ხელისუფლებით კმაყოფილი დარჩა.

„გვარიანი ხელისუფლებაა! — შეაფასა მაკარმა. — მაგრამ საჭიროა, რომ არ

განებივრდეს, რადგან ჩვენია“.

ლამის გასათევ სახლში, ისევე, როგორც მოსკოვის ყველა საცხოვრებელ შენობაში, კანტორა ჰქონდათ. კანტორათა გარეშე როგორც ჩანს, უმაღ ყველგან ორომტრიალი ატყდებოდა, ხოლო მწერლები მთელ ცხოვრებას თუშვა ნელა, მაგრამ სწორად წარმართავდნენ. მაკარი მწერლებსაც პატივს სცემდა.

„დაე, იარსებონ! — გადაწყვიტა მაკარმა. — ისინი ხომ რაღაცას ფიქრობენ, რაკილა გასამრჯელოს იღებენ, მაგრამ რადგან თანამდებობრივად ფიქრობენ, მას უთუოდ დატყვიანდებიან და ჩვენ სწორედ ასეთნი გვესაჭიროება“.

— რა გინდა? — ჰკითხა მაკარს ლამის გასათევის კომენდანტმა.

— მე პროლეტარიატი მჭირდება, — ამცნო მაკარმა.

— რომელი ფენა? — ჩაკითხა კომენდანტი.

მაკარი არც დაფიქრებულა — წინასწარ იცოდა, რაც ესაჭიროებოდა.

— ქვედა, — უთხრა კომენდანტს, — იქ უფრო სიმჭიდროვეა. მეტი ხალხია, ნამდვილი მასა იქ არის!

— გასაგებია! — მიხვდა კომენდანტი. — მაშინ საღამომდე უნდა მოიცადო: ბევრნი როცა მოვლენ, ლამის გასათევად იმათთან წახვალ — ან დატაკებთან, ან სეზონურებთან...

— მე იმათთან მირჩევნია, ვინც სოციალისტს ყველაზე მეტად აშენებს, — სთხოვა მაკარმა.

— გასაგებია! — კვლავ მიხვდა კომენდანტი. — ისინი გჭირდება, ვინც ახალ სახლებს აშენებს?

მაკარი ამჯერად დაეჭვდა.

— სახლებს ხომ უწინაც აშენებდნენ, როცა ლენინი არ იყო. ცარიელ სახლში რანაირი სოციალისტნი იქნება?

კომენდანტიც ჩაფიქრდა, მით უმეტეს, რომ თავდაც არ იცოდა, სოციალისტნი რა სახით მოველინებოდათ — იქ გასაოცარი სიხარული იქნებოდა, თუ რანაირი?

— სახლებს უწინაც აშენებდნენ, — დაეთანხმა იგი მაკარს. — ოღონდ მაშინ იქ არაშხადები ცხოვრობდნენ, ახლა კი მე შენ ახალ სახლში ლამის გასათევ ტალონს გაძღვე.

— უეჭველია, — გაუსარდა მაკარს. — მაშინ

საღამე, შენ საბჭოთა ხელისუფლების რიგინი თანამემყვე ხარ.

მაკარმა ტალონი გამოართვა და აგურების გროვაზე ჩამოვდა, მშენებლობიდან რომ დარჩენოდათ და უპატრონოდ მიეტოვებინათ.

„თუნდაც ეს... — განსჯას მოჰყვა მაკარი, — ამ აგურის დამხადებაზე, ახლა ჩემ ქვეშ რომ ყრია, პროლეტარიატი გაისარჯა: საბჭოთა ხელისუფლება ჯერ უასაკოა — თავის საკუთრებას ვერ ხედავს!“.

მაკარი აგურებზე საღამომდე იჯდა. თვალი მორიგეობით მიადევნა, მზე როგორ ჩაესვენა, სინათლეები როგორ აინთო, ბელურებმა ნაკეღის ქვევა როგორ მიატოვეს და დასაძინებლად მიმოიფანტნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, პროლეტარებიც გამოჩნდნენ. ზოგი პური, ზოგი უპუროდ, ზოგი ავადმყოფი, ზოგი დაქანცული. მაგრამ ყველანი სანდომიანი შესახედავნი ხანგრძლივი შრომის შემდეგ და კეთილნი იმ სიკეთისგან, რასაც დაქანცულობა ბადებს.

მაკარმა შეიცადა, სანამ მთელ დღეს მშენებლობაზე მუშაობისგან დაქანცული პროლეტარიატი სახელმწიფო საწოლებზე მილაგებოდა და სულს მოითქამდა. მაშინ ლამის გასათევ დარბაზში თამამად შევიდა, შუა იატაკზე დადგა და განაცხადა:

— მშრომელი ამხანაგებო! თქვენ ცხოვრობთ მშობლიურ ქალაქ მოსკოვში, რომელიც სახელმწიფოს მთავარი ძალაა, იქ კი უწესრიგობა და ფასეულობათა დანაკარგებია.

პროლეტარიატი საწოლებზე შეირხა.

— მიტრი! — ყრუდ გაისმა ვილაცის ბოხი ხმა. — ცოტა წაუთაქე, რომ ნორმალური გახდეს.

მაკარს არ სწყენია, რადგან მის წინაშე მტრული ძალა კი არა, პროლეტარიატი იწვა.

— თქვენთან ყველაფერი არ გამოუგონიათ, — განაგრძო მაკარმა. — რძის ჭურჭელი ძვირფასი მანქანებით დააქეთ, ჭურჭელი კი ცარიელია, რადგან რძე დალიეს. აქ საკმარისი იქნებოდა მიღები და დგუშინი ტუმბო... ასევე სახლებისა და ფარდულების მშენებლობაზე — მილით უნდა ჩამოასხათ, თქვენ კი ნაწილ-ნაწილ აშენებთ: მე მილი გამოვიგონე და საწუქრად გაძღვეთ, რათა სოციალისტნი და სხვა კეთილმოწყობა მალე დადგეს...

— რა მილი? — გაისმა იგივე ყრუ ხმა უხილავი პროლეტარისა.

— ჩემი მილი, — მტკიცედ თქვა მაკარმა.

პროლეტარიატი ჯერ დუმდა, შემდეგ კი შორეული კუთხიდან ვილაცის მკაფიო ხმა გაისმა და მისი ნათქვამი მაკარს ქარივით დაეხერხა.

— ჩვენ ძალ-ღონე არაფრად გვიღირს — სახლებს ნაწილ-ნაწილადაც ავაშენებთ. ჩვენთვის ძვირფასი სულია. რაკი ადამიანი ხარ, მთავარი სახლი კი არა, მთავარი გულია, ჩვენ ყველანი აქ ანგარიშსწორებაზე ვმუშაობთ, შრომის დაცვით ვარსებობთ, პროფკავშირებს ვეფუძნებით, კლუბებით ვართ გატაცებულნი, ხოლო ერთმანეთს ყურადღებას არ ვაქცევთ. ერთიმეორე კანონს მივაანბრებთ... სული გვიბოძე, გამოგონებელი თუ ხარ!

მაკარი ერთბაშად გატყდა სულიერად. მრავალი რამ ჰქონდა გამოგონებული, სულს კი არ ვაჰკარებია, ხოლო ეს აქ მყოფი ადამიანებისთვის უმთავრესი გამოგონება აღმოჩნდა. იგი სახელმწიფო საწილზე დაწვა და მალე ჩაეძინა იმის გამო დაეჭვებულს, მთელი სიცოცხლე თურმე არაპროლეტარულ საქმიანობას რომ ეწეოდა.

მაკარს დიდხანს არ უძინია, რადგან ძილში იტანჯებოდა. მერე ტანჯვა სიზმრად ექცა: ესიზმრა მთა თუ შემადლება და იმ მთაზე მდგარი მეცნიერი კაცი. მაკარი მთის ძირას იწვა მთვლემარე ბრიყვივით, მეცნიერ კაცს შესცქეროდა და მისგან სიტყვას ან საქმეს მოელოდა. ხოლო კაცი მდუმარედ იდგა, დამწუხრებულ მაკარს ვერ ზედავდა, მხოლოდ ერთიან მასშტაბზე ფიქრობდა, კერძოდ მაკარზე კი არა, უგანათლებულესი კაცის სახე მის ქვემოთ განფენილი შორეული მასობრივი ცხოვრების დაფიონს გაენათებინა, ხოლო თვალები მაღლა ყოფნისა და ძალზე შორს მიმართული მზერისგან შემზარავი და ჩამკვდარი ჰქონდა. მეცნიერი დუმდა, ხოლო მაკარი სიზმარში სევდამორეული იწვა.

— რა უნდა ვაკეთო, რომ ჩემს თავსაც ვარგო და სხვებსაც ვესაჭიროებოდე? — ჰკითხა მაკარმა მეცნიერ კაცს და შემდგომეული გაიღურსა.

მეცნიერი კაცი კვლავ უპასუხოდ დუმდა და მის მკვდარ თვალბეჭდში მილიონობით არსებათა სიცოცხლე ირეკლებოდა.

მაშინ განცვიფრებული მაკარი მკვდარ, კლდოვან აღმართს ცოცვით აუყვავა. გაუნძრევლად მდგარი მეცნიერის წინაშე შიშმა სამჯერ მოიცვა და სამჯერვე შიში ცნობის-მოყვარეობამ დათრგუნა. მაკარი ჭკვიანი რომ ყოფილიყო, აღმართს არ აუყვებოდა, მაგრამ ჩამორჩენილ კაცს მხოლოდ ცნობისმოყვარე ხელები და შეუერძნობელი თავი ჰქონდა. სულელური ცნობისმოყვარეობით გამსჭვალული მაკარი უგანათლებულესთან აცოცდა და მის მსხვილ, უზარმაზარ სხეულს ოდნავ შეეხო. სხეული უცნობის შეხებისგან შეირხა და მაკარს ერთბაშად გადმოემხო, რადგან მკვდარი გახლდათ.

მაკარმა დარტყმისგან გამოიღვიძა და დაინახა, რომ თავს ღამის ზედამხედველი დასდგომოდა, რომელმაც მაკარს გასაღვიძებლად თავში ჩაიდანი ჩაჰკრა.

მაკარი საწილზე წამოვიდა და ჩოფურა პროლეტარი დაინახა, რომელიც ლამბაქზე დასხმული წყლით პირს ისე იბანდა, წვეთსაც არ ღვრიდა. მაკარი განაცვიფრა ერთი პეშვი წყლით პირის დაბანის ხერხმა და ჩოფურას შეეკითხა:

— ყველანი საბუშაოდ წაივინენ, მარტო რატომ დარჩენილხარ და პირს იბან?

— ჩოფურამ სახე ბალიშზე შეიმშრალა და მერე უპასუხა:

— მომუშავე პროლეტარები ბევრნი არიან, მოფიქრალნი კი ცოტანი, — მე ყველას მაგივრად ფიქრი ვივალდებულე. მიმიხვდი, თუ უგნურობამ და დაბეჩავებამ დაგადუმა?

— მწუხარებამ და დაეჭვებამ, — უპასუხა მაკარმა.

— კარგი, მაშ გამომეყვი და ყველას მაგიერ ერთად ვიფიქროთ, — მოისაზრა ჩოფურამ, და თავი გააცნო: პეტრე მქვიპო.

მაკარი წამოდგა, რომ ჩოფურას გაჰყოლოდა, რათა თავისი დანიშნულება მოეძიებინა.

მაკარი და პეტრე ვზად ბერსა და მრავალგვარ ქალს ზედავდნენ, რომელთაც შემოტმანხული ტანსაცმელი ემოსათ იმის ნიშნად, რომ ერჩივნათ, შიშველნი ყოფილიყვნენ. კაცებიც მრავლად იყვნენ, მაგრამ უფრო ხალვათად ჩაცმულნი. ხოლო მრავალი ათასი ქალი და კაცი ტან-ფეხის დაქანცვას გარიდებოდა და ავტომობილებითა და ფაეტონებით მგზა-

ვრობდა. ისხდნენ ტრამვაიშიც. ტრამვაი ნელა მილოდავდა, ადამიანებით დახუნძლულ-დაძმობილებული ღრჭიალებდა, მაგრამ გასაჭირს უძლებდა. მეზარეულები და ქვეითად მიმავლები წინ მიისწრაფოდნენ, მეცნიერული გამოძიებები ტყველებსა ჰქონდათ, რითაც სავესებით ემსგავსებოდნენ დიადსა და ძლიერ კაცს, რომელიც მაკარს ეისზმრა. ამდენი განსწავლულ-მეცნიერი პიროვნების ხილვისგან მაკარი შიშის ზარმა აიტანა. მერე თავის დასამშვიდებლად პეტრე შეათვალერა: ესეც ხომ შორეთისკენ მზერამიპყრობილი მეცნიერი არ არისო?

— შენ ალბათ ყველა მეცნიერება იცი და ძალიან შორს იცქირები? — მოკრძალებით ჰკითხა პეტრეს.

პეტრემ გონება მოიკრიბა.  
— მე-უ? მე ვიმედოვნებ, ილინ-ლენინის-ნაირად ვიარსებო. შორსაც ვიცქირები, ახლოსაც, განზეც, სიღრმეშიც და ძალდაც.

— ეგ კარგია! — დამშვიდდა მაკარი. — თორემ ახლახან უზარმაზარი მეცნიერი კაცი ენახე. ის მხოლოდ შორს იცქირება, მასთან ახლოს კი, ორ საყენზე, ერთი მარტოკაცი წვეს და უმწეობისგან იტანჯება.

— მაშ რა იქნება! — ჰკვიანურად თქვა პეტრემ. — ის გადამხრელია, ეჩვენება, რომ ყველაფერი შორსაა, ახლოს კი არავინ ჰჭაჭანებს. სხვა მხოლოდ ფეხქვეშ ჩაიციკირება, არ წაებორბიკედ, კისერი არ წავიტეხო, და თავი შემარჯვენედ მიანია. მასებს კი ნელი სვლა მობეზრდათ. ჩვენ, ძმობილო, წაბორბიკებისა არ გვეშინია.

— ჩვენი ხალხი ახლა ფეხებზემოსილია! — დაუბოწმა მაკარმა.

მაგრამ პეტრეს გონება წინ მიისწრაფოდა და ყოველივე სხვას უყურადღებოდ ტოვებდა.

— როდისმე კომუნისტური პარტია თუ გინახავს?

— არა, ამხანაგო პეტრე, ჩემთვის არ უჩვენებიათ! სოფელში ამხანაგი ჩუმოვით მყავს ნანახი!

— ჩუმოვითთანა ამხანაგები აქაც მრავლად არიან. მე ნამდვილ პარტიაზე გელაპარაკები, რომელსაც მკაფიო მზერა ზუსტი წერტილისკენ აქვს მიმართული. როცა პარტიის ყრილობაზე ვარ ხოლმე, ჩემი თავი სულელად მეჩვენება.

— რატომ, ამხანაგო პეტრე, შენ ხომ თითქმის მეცნიერული გარეგნობა გაქვს?

— იმიტომ, რომ სხეული ტყვეობაში მყოფია. მე ხორაგვეულობა მინდა, ხოლო პარტია გვეუბნება: წინ, ქარხნების ასაშენებლად! რკინის გარეშე პური დავგაღწეოთ. ზუსტ მიმართულებას თუ მიმიხვდი?!

— მივიხვდი, — უპასუხა მაკარმა.

განუსწავლელი კი იყო, მაგრამ მანქანებისა და ქარხნების მშენებლებს განწავლულივით უმაღლესად მიუხვდებოდა ხოლმე. დაბადებიდან თიხა-ნამჯით ნაშენ სოფლებს ხვდავდა და სრულებით არ სჯეროდა, რომ ცეცხლოვანი მანქანების გარეშე ეს სოფლები ბედს ეწვედნენ.

— ხომ ხვდავ, — უთხრა პეტრემ. — შენ კი ამბობ, ახლახან კაცი არ მომეწონაო! ის არც მე მომწონს და არც პარტიას: ის ხომ სულელი კაპიტალიზმის წარმოქმნილია და მისნაირებს ჩვენ თანდათან თავდაღმა ვფრით!

— მეც რაღაცას ვგრძნობ, არ კი ვიცი რას! — თქვა მაკარმა.

— რაკი არ იცი — რას, მაშ ჩემი ხელმძღვანელობით იარე, თორემ წერილი ხაზიდან უსათუდ ჩაყირავდები.

მაკარმა მოსკოველებს თვალი შეავლო და გაიფიქრა:

„აქ ხალხი მამდარია, ყველას სალუქი სახე აქვს, შეძლებულად ცხოვრობენ, — უნდა მრავლდებოდნენ, ბავშვები კი არ ჩანან“.

მაკარი პეტრეს ამის თაობაზეც გაესაუბრა.

— აქ ბუნება კი არა, კულტურაა, — განუმარტა პეტრემ. აქაური ოჯახები არ მრავლდებიან, აქ თავს შრომა-წარმოების გარეშე ირჩენენ...

— ეგ რანაირად? — გაუკვირდა მაკარს.

— ამნაირად, — უპასუხა მრავლისმცოდნე პეტრემ. — ვინმე ქვითარზე ერთ აზრს დაწეროს, რის მიწასურდაც მასაც და მის ოჯახსაც წელიწადნახევარს ასახრდობენ... ხოლო მეორე არც დაწერს რაიმეს — უბრალოდ, თავს სხვების დამრიგებლობით ირჩენს.

მაკარმა და პეტრემ საღამომდე იარეს. დაათვალერეს მდინარე მოსკოვი, ქუჩები, დუქნები, სადაც ტრიკოტაჟს ყიდდნენ. მერე მოშვიდათ.

— სასადილოდ მილიციაში წავიდეთ, — თქვა პეტრემ.





მაკარი ვაპყვა: იფიქრა, მილიცია ალბათ ხალხს უმასპინძლებდა.

— მე ვილაპარაკებ, შენ ჩუმად იყავი და დროდადრო გაიტანჯე, — წინასწარ გააფრთხილა პეტრემ მაკარი.

მილიციის განყოფილებაში ისხდნენ მძარცველები, უსახლკარონი, მხეცად ქცეულნი და გასაცოდავებულნი. ყველას პირისპირ მორიგე ზედამხედველი იჯდა და ხალხს ახარისხებდა. ზოგს საპატიმროში აგზავნიდა, ზოგს საავადმყოფოში, ზოგსაც ათავისუფლებდა და გარეთ უშვებდა.

როცა პეტრესა და მაკარის ჯერი დადგა, პეტრემ თქვა:

— ამხანაგო უფროსო, ამ ვიქს ქუჩაში გადავეყარე, ხელი ვტაცე და აქ მოვიყვანეთ.

— რანაირად ვიუბნდა? — შეეკითხა განყოფილების მორიგე. — საზოგადოებრივ ადგილას რამე ჩაიდინა?

— არაფერი, — გულახდილად უპასუხა პეტრემ. — აღუღებელი დადის და ერთხელაც ვინმეს მოკლავს. მაშინ რაღას უშველი. დანაშაულობასთან საუკეთესო ბრძოლა მისი თავიდან აცილებაა — ჰოდა, მეც დანაშაულობის თავიდან აცილება შევძელი.

— გონიერულია! — დაეთანხმა უფროსი. — ახლა ფსიქოპატთა ინსტიტუტში გაგზავნი ყოველმხრივ გამოკვლევაზე...

მილიციელმა ქაღალდი გამოწერა და ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი, ვინ გამოგაყოლოთ, ყველა წასულ-წამოსულია...

— მე წაიყვან, — შესთავაზა პეტრემ. — მე ხომ ნორმალური ვარ, გიყი ეს არის.

— გასწი! — გაუხარდა მილიციელს და ქაღალდი პეტრეს მისცა.

სულით ავადმყოფთა ინსტიტუტში პეტრე და მაკარი ერთი საათის შემდეგ მივიდნენ. პეტრემ იქ მოახსენა, მილიციამ სახელფაო სულელი ჩამაბარა, რომელსაც ერთი წუთითაც ვერ მივატოვებ, სულელს კი არაფერი უჭამია და ახლა გამძვინვარდებდა.

— სამზარეულოში წადით, იქ დაგანაყრებენ, — უთხრა მას კეთილმა მომვლელმა ქალმა.

— ეს ბევრსა ჭამს, — იუარა პეტრემ, — ერთი ქოთანნი წვნიანი და ორი ქოთანნი ფაფა დასჭირდება. აქ მოვიტანეთ, თორემ იქ იქნებ საერთო ჭკაბში ჩააფურთხოხს.

მომვლელმა ქალმა სამი ულუფა გემრიელი კერძი მოატანინა და მაკართან ერთად პეტრეც გამოძღა.

გენერალისთვის

მალე მაკარი ექიმთან მიიყვანეს. ექიმმა ისეთი საფუძვლიანი შეკითხვები მისცა, რომ უმეცარი მაკარი მართლა გიყვივით უპასუხებდა ზოლმე. მერე ექიმმა ხელით გასინჯა და დაადგინა, გულში ჭკარბი სისხლი უქექსო.

— შემოწმებისთვის უნდა დავიტოვოთ, — დაასკვნა ბოლოს.

მაკარი და პეტრე ღამის გასათევად სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში დარჩნენ. საღამოთი სამკითხველო ოთახში შევიდნენ და პეტრე მაკარის განსასწავლად ლენინის წიგნების ხმაბალა კითხვას შეუდგა.

— ჩვენი დაწესებულებები ნეხვია, — კითხულობდა პეტრე ლენინს, ზოლო მაკარი უსმენდა და ლენინის ზუსტი გონება აოცებდა — ჩვენი კანონები ნეხვია. ბრძანებათა გაცემა შეგვიძლია, შესრულება კი არა. ჩვენს დაწესებულებებში ჩვენდამი მტრულად განწყობილი სხედან, ზოლო ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი გადაეცადა და სულელურად მუშაობს...

ლენინის სიტყვებს სხვა სულით ავადმყოფნიც ისმენდნენ. მათ ადრე არ იცოდნენ, რომ ლენინმა ყველაფერი იცოდა.

— მართალია! — კვერს უკრავდნენ სულით ავადმყოფები, მუშები და გლეხები.

— ჩვენს დაწესებულებებში უფრო მეტი მუშა და გლეხი უნდა მოვიყვანოთ, — კითხვას განაგრძობდა ჩოფურა პეტრე. — სოციალიზმი მასობრივი ადამიანის ხელებით უნდა აშენდეს და არა ჩვენი დაწესებულებების მოხელეთა ქაღალდებით. იმედს არ ვკარგავ, რომ ამის გამო როდისმე ჩამოგვახრჩობენ და ჩვენზე ახიცი იქნება.

— ხომ გაიგონე? — ჰკითხა პეტრემ მაკარს. — დაწესებულებებს ლენინის გაწამებაც კი შეეძლოთ. ჩვენ კი დაუსერიწობოთ და ვკოტრიალობთ. ვეცე შენი რეველუცია. რა ცხადად არის დაწერილი... ამ წიგნს მოვიპარავ, იმიტომ რომ აქ დაწესებულებაა, ხვალ კი მე და შენ რომელ კანტორაშიც მოგვესურება, იქ შევალთ და ვიტყვი, რომ მუშები და გლეხები ჩვენ ვართ. დაწესებულებაში მე და შენ დავსხდებით და სახელმწიფოსთვის ვიფიქრებთ.



კითხვას როცა მორჩნენ, მაკარი და პეტრე დასაძინებლად დაწვნენ, რათა საგიეთოში გატარებული დამქანცველი დღის შემდეგ დაესვენათ. მით უმეტეს, რომ ხვალ ლენინისა და ლატაკთა საერთო საქმისთვის საბრძოლველად უნდა წასულიყვნენ.

❖ ❖ ❖

პეტრემ იცოდა, სადაც უნდა მისულიყო — მუშურ-გლეხურ ინსპექციაში: იქ მოძიებები და დანაგრულები უყვარდათ. მუშურ-გლეხური ინსპექციის ზედა დერეფანში პირველი კარი შეაღებს, მაგრამ ოთახში არავინ დახვდათ. მეორე კარს ზემოთ მოკლე პლაკატი ეკიდა — „ვინ ვის?“. პეტრე და მაკარი შიგნით შევიდნენ. იქ ამხანაგ ლევ ჩუმოვოის გარდა არავინ იყო. მას თავისი სოფელი ლატაკთა ანაბარას მიეტოვებინა, აქ მაგიდას უჯდა და რაღაცას განაგებდა.

მაკარს ჩუმოვოისა არ შეშინებია.

— რახან გვეუბნებიან „ვინ ვისო“, მოდი ჩვენ ამას... — უთხრა მან პეტრეს.

— არა, — უარყო გამოცდილმა პეტრემ, — ჩვენ დომხალი კი არა, სახელმწიფო გვაქვს. ზემოთ გავეწიოთ.

ზემოთ მიიღეს, იმიტომ რომ იქ ხალხსა და მდაბიორ, ნამდვილ ჭკუას იყენებ მონატრებულნი.

— ჩვენ კლასობრივი წევრები ვართ, — უთხრა პეტრემ უმაღლეს უფროსს. — ჭკუა დაგვიგროვდა. ძალა უფლებას მოგვცემა მნაგვრელ მწერალ მძორებზე...

— მიიღეთ. თქვენი კუთვნილია, — უთხრა მას უმაღლესმა და ძალაუფლება ხელი მისცა.

მას შემდეგ მაკარი და პეტრე ლევ ჩუმოვოის მოპირდაპირე მხარეს მაგიდებთან მსხდარნი ლატაკ მომსვლელებს ესაუბრებოდნენ და ყველა საქმეს გონებაში უჭონელთა თანაგრძობის საფუძველზე წვეტდნენ. მალე მაკარისა და პეტრეს დაწესებულებაში ხალხმა სიარული შეწყვიტა, რადგან მაკარიცა და პეტრეც ისე მარტივად ფიქრობდნენ, რომ ლატაკებს თავადაც შეეძლოთ, მათნაირად ეფიქრათ და გადაეწვევიათ. ამის გამო მშრომელებმა თავიანთ თავზე ფიქრი თავთავიანთ ბინებში თავადვე დაიწყეს.

ლევ ჩუმოვოი დაწესებულებაში მარტო დარჩა, რადგან წერილობით იქიდან არავის გამოუხმია. იქ მანამდე იმყოფებოდა, სანამ სახელმწიფოს სალიკვიდაციო საქმეთა კომისია არ დაინიშნა. ამ კომისიაში ჩუმოვოიმ ორმოცდაოთხ წელიწადს იმუშავა და მოკვდა მას შემდეგ, რაც საკანცელარო საქმეებს თავდავიწყებით მოახმარა თავისი ორგანიზაციული, სახელმწიფოებრივი გონება.

თარგმნა  
გივი კიკილაშვილმა

ანდრეი პლატონოვი — მწიგნობარი და მოქალაქე

გასული საუკუნის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაზიროსი მწერალი ანდრეი პლატონის ძე პლატონოვი (ნამდვილი გვარი კლიმენტოვი) დაიბადა 1899 წლის 1 სექტემბერს ვორონეჟში. გვარი პლატონოვი ლიტერატურული ფსევდონიმი კი არ არის, არამედ ახალი გვარია, წარმომდგარი მამის სახელისგან. მან ეს გვარი ოფიციალურად მიიღო 1920 წელს. მამა პლატონ კლიმენტოვი რკინიგზის სახელოსნოს ზეინკალი იყო. კლიმენტოვებს თერთმეტი შვილი ჰყავდათ, მამას დიდი ოჯახის რჩენა უჭირდა, ამიტომ უფროსმა შვილმა ანდრეიმ სწავლა მიატოვა და თოთხმეტი წლისამ მუშაობა დაიწყო, რათა მამას მხარში ამოსდგომოდა.

„ცხოვრებამ ბავშვიდან ერთბაშად ზრდასრულ კაცად მაქცია და ჭაბუკობა წამართვა“, — წერდა შემდგომში ანდრეი პლატონოვი.

მისი ცხოვრება და სამწერლო მოღვაწეობა რუსეთის ისტორიის ურთულეს პერიოდს დაემთხვა: რევოლუციას, სამოქალაქო ომს, ჭკვენიის ძალდატანებით კოლექტივიზაციას და დაჩქარებულ ინდუსტრიალიზაციას, მეორე მსოფლიო ომს.

ხუთ წელსწინადს მიღსაგლინავ ჭარბანაში მუშაობის შემდეგ 1918 წელს სწავლა დაიწყო რკინიგზის პოლიტექნიკუმში, მედიორატორისა და ელექტროტექნიკოსის პროფესიას დაეუფლა და 1926 წლამდე, მოსკოვში სამუშაოდ გადასვლამდე, ამ პროფესიით მუშაობდა. წერა ადრე დაიწყო. წერდა ლექსებს და ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. 1921 წელს კრასნოდარში გამოსცა ლექსების პირველი კრებული.

1926 წელს დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ეპიფანიის რაბები“.

ეს ის დრო იყო, როცა რუსეთში კომუნისტების იდეით შეპყრობილი ბოლშევიკური ხელისუფლება ყველასაგან, ყველაზე მეტად კი მწერლობისგან, აღფრთოვანებასა და ტანისცემას მოითხოვდა და ყოველგვარ კრიტიკულ აზრს კრძალავდა.

პროლეტარული წარმოშობისა და შრომითი საქმიანობის გამო პროლეტარულ მწერლად მიჩნეული ანდრეი პლატონოვი პირველ ხანებში შერისხულთა სიაში არ მოხვედრილა. ასე იყო 1929 წლამდე, როცა ჟურნალ „ოქტაბრში“ გამოქვეყნდა მისი მოთხრობა „დაექვევნი მაკარი“, სტალინმა ყურადღება მიაქცია ამ მოთხრობის ორაზროვნობას და მისი ავტორი პირად საუბარში იდეურ მოწინააღმდეგედ მიიჩნია. აი, რას წერდა ამის თაობაზე მაშინ ზემოხსენებული ჟურნალის რედაქტორი ა. ფადეევი: „მე გამეპარა ა. პლატონოვის იდეურად ორაზროვანი მოთხრობა „დაექვევნი მაკარი“, რის გამოც სტალინისგან მაგრად მომხვდა, მოთხრობა ანარქისტულია“.

უფრო მეტად წერდა კრიტიკოსი ლ. ავერბახი: „პლატონოვის მოთხრობა მოწინააღმდეგე წვრილბურჟუაზიული სტიქიის ანარეკლია. საბჭოთა მწერალთა რიგებში ყოფნის მსურველნი უნდა მიხვდნენ, რომ ნიჰილისტური აღვირაზნობა და ანარქონდვიდუალისტური ფრონდა ფაშისტური ლოზუნგებით პირდაპირ კონტრარევილუციულად არანაკლებ უცხოა პროლეტარული რევოლუციისთვის. ამას ა. პლატონოვიც უნდა მიხვდეს“.

მაგრამ ა. პლატონოვი მეხოტბედ ვერ გარდაქმნეს. იგი მწერლის ჭეშმარიტი მოვალეობის ერთგული დარჩა. ამის დასტურია უბრწყინვალესი მოთხრობები, რომლებიც მომდევნო წლებში დაწერა და არამარტო რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის შედევრებად არის მიჩნეული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რომანი „ჩევენგური“, რომლითაც მწერალმა წინასწარმეტყველურად განქვირტა, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა კომუნისტების მშენებლობის ბოლშევიკური მოდელის განხორციელებას.

ა. პლატონოვი მეორე მსოფლიო ომის დროს ფრონტზე იმყოფებოდა სახედრო კორესპონდენტად და აჭვევებდა მოთხრობებს, რომლებშიც უბრალო ადამიანების, რიგითი ჯარისკაცების თავგანწირვას აღწერდა. ომის დამთავრების შემდეგ კი გამოაჭვევია მოთხრობა „დაბრუნება“, რომელშიც იმდროინდელ ლიტერატურაში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებით გამოწვეული საზეიმო განწყობილება კი არ არის ასახული, არამედ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცის ბედი უშუალოდ, შეუღამაზებლად არის გადმოცემული.

ამ მოთხრობის გამო მწერალს კრიტიკის რისხვა დაატყდა და მისი ნაწარმოებების გამოჭვევნება ფაქტიურად აიკრძალა.

ფრონტზე ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული, უყურადღებოდ მიტოვებული ა. პლატონოვი 1951 წელს გარდაიცვალა.

მწერლის დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი მის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. მისი მოთხრობები უცხოეთში ჭვევდებოდა როგორც რუსულად, ასევე თარგმნილი უცხოურ ენებზე. რუსეთში მხოლოდ მწერლის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ დაიწყო მისი ნაწარმოებების ინტენსიური გამოქვეყნება და ა. პლატონოვმა ღირსეული ადგილი უცხოეთის შემდგომ მშობლიურ, რუსულ ლიტერატურაშიც დაიმკვიდრა.

მთარგმნელისაგან



# გელათი — 900 წელი

ცხრა საუკუნე შესრულდა გელათის სამონასტრო კომპლექსისა და გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის – გელათის აკადემიის დაარსებიდან. XII საუკუნის დასაწყისში, უკვე დამოუკიდებელი და ეკონომიკურად მომძლავრებული საქართველოს მეფემ დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) გადაწყვიტა დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის (მაშინდელი სატახტო ქალაქი) მახლობლად აეშენებინა გამორჩეული ქრისტიანული ტაძარი. ყოველად უნაკლო და მშვენიერ ადგილას, გელათში, 1106 წელს<sup>1</sup> დაიწყო ტაძრის მშენებლობა. მეფეს ამოცანად ქონდა დასახული, რომ ეს ტაძარი უნდა ყოფილიყო „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“<sup>2</sup>, გამორჩეული „სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმუნლობისა შეუსწორებლობითა“<sup>3</sup>. მეფემ ტაძარი, რომლის მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა და ცალკეულ სამშენებლო საქმიანობაში მონაწილეობდა კიდევ, წმიდა ღვთისმშობელს მიუძღვნა („ტაძარი ყოველად წმიდისა და უფროსად

კურთხეულისა დედისა ღმრთისა“).<sup>4</sup> ტაძარი დემეტრე I-ის ზეობისას, 1130 წელს გასრულდა.

არსებითი და უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა გელათის ტაძრის მშენებლობის დაწყების პარალელურად ამავე წლებში დააარსა უმაღლესი სკოლა, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება, რომელიც პირობითად სამეცნიერო ლიტერატურაში აკადემიად იწოდება. ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ უმაღლესი სკოლის (უნივერსიტეტის) დაფუძნებისათვის გატარებულ ღონისძიებებსა და ამ დაწესებულებაში ფართოდ გაშლილ სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას შევხებოდეთ, მოკლედ შევჩერდებით იმ წანამძღვრებზე, რომლებმაც შესაძლებელი გახადა (დავით აღმაშენებლის დიდ მცდელობასთან ერთად) ამ საქმის დაგვირგვინება.

პირველი მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრი საქართველოში III-IV საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. ეს იყო ქ. ფასისში დაარსებული კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა (კოლხე-

<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 330. თ. ჟორდანიას მოაქვს ცნობა გელათ-გარეჯის უდაბნოს ქრონიკიდან: „ქქსა სჳდ ამა ქორონიკონამდის გელათი რომ დაწყებულა ფ (ხუთასი) წელიწადი გჳრდასულიყო“! სჳდ – 1606 წელია. 1606-500=1106 წ. ამასვე ადასტურებს უმოქმედის გულანიც: „ქქსა ტჳჳ (1106-რ. შ.) აქა დავით გელათი დაიწყო“. იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, ტფ., 1893, გვ. 238-239. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1983, გვ. 216; რ. მეტრეველი, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 341-342.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329-330.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 330.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 329.



თის აკადემია) – უმაღლესი საფეხურის სასწავლებელი. ბერძენი ფილოსოფოსი თემისტოისი (317-388 წწ.) სიამაყით აღნიშნავს, რომ მან და მამამისმა ევგენიოსმა განათლება კოლხეთის რიტორიკულ სკოლაში მიიღეს. თემისტოისი აქებს სკოლის დამაარსებელს, „ბერძენსა“ და „სათნოს“ უწოდებს მას და ხაზს უსვამს, რომ სკოლაში, მეზობელ ბარბაროსთა წესების მსგავსად, ისრის ტყორცნას, ოროლის სროლასა და ჯირითს კი არ ასწავლიდნენ, არამედ რიტორიკულ ხელოვნებას. თემისტოისის ცნობით, კოლხეთის რიტორიკული სკოლა თავისი მიმართულებითა და სწავლების შინაარსით ბერძნული და რომაული სკოლებისაგან არ განსხვავდებოდა. აქ ფილოსოფიასა და ორატორულ ხელოვნებასთან ერთად ასწავლიდნენ ლიტერატურას, სამართლის საფუძვლებს, ასტრონომიას, მუსიკას, მათემატიკის ელემენტებს.<sup>5</sup> ამ სკოლის კურსდამთავრებულ კოლხებს ელინთა დღესასწაულებზეც გამოუჩენიათ თავი მკვერმეტყველებით.

ქრისტიანობის გავრცელებამ და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ ხელი შეუწყო ეკლესია-მონასტრებთან სასწავლო დაწესებულებების დაარსებასა და, შესაბამისად, განათლების სისტემის განვითარებას. V-VII საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები დაწყებითი იყო და მათ პრაქტიკულ დანიშნულებას ეკლესიის მსახურთა მომზადება შეადგენდა. აქ ძირითადად საღმრთო წერილს ასწავლიდნენ. ასე იყო შემდგომ საუკუნეებშიც.<sup>6</sup> არ არის შემთხვევითი, რომ ოპიზის, ოშის, შატბერდის, ბერთას, ხანძთისა და სხვ მონასტრებთან გვხვდება შენობები, რომლებიც, ალბათ,

აქვე არსებული სკოლებისათვის (სემინარიებისათვის) იყო განკუთვნილებული.

X-XI საუკუნეებში საქართველოში ფარგლებს გარეთ ფუძნდება ქართული საგანმანათლებლო ცენტრები. როგორც ჩანს, აქ მეტი საშუალება იყო (უპირატესად ინტელექტუალური პოტენციალი და გარანტირებული უსაფრთხოება კულტურული საქმიანობისათვის. მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მოღვაწეობა გაჩაღდა ათონის მთაზე, ივერთა მონასტერში X საუკუნის ბოლო ოცწლეულიდან (980-983 წწ.). საქართველოსთან სიშორე არ ქმნიდა დაბრკოლებას იმისათვის, რომ ეს ცენტრი თავისი საქმიანობით მჭიდრო კავშირში ყოფილიყო ქართულ სამყაროსთან. ეს, ფაქტობრივად, ათონის ქართული აკადემია იყო. სრულიად მართებულად მიუთითა აკად. კორნელი კეკელიძემ, რომ ათონის ივერთა მონასტერი და მასთან არსებული სკოლა ტაო-კლარჯეთის (გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული სკოლა) ნიადაგზე აღმოცენდა და მისივე ტრადიციით იყვებოდა. მონასტრის ასაგებად „წარსაგებელი“ თორნიკე ერისთავმა გაიღო, დამფუძნებელი იოანე და მისი შვილი ექვთიმე ათონელები იყვნენ. მონასტერს უდიდესი ამაგი დასდო გიორგი მთაწმინდელმა. კულტურულ თუ სამონასტრო ასპარეზზე ექვთიმეს მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელმა გააგრძელა. ათონის სკოლამ თავს იღო ქართული კულტურის, საქართველოს დაკავშირება უცხოეთის ქვეყნებთან და კულტურასთან. იგი გადაიქცა მკვიდრ სამწერლო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს იმდროინდელ კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებთან აკავშირებდა.

<sup>5</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, I, თბ., 1956, გვ 484-485; ს. ყაუხჩიშვილი, რიტორიკული განათლება ძველ კოლხეთში, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, 1940, ტ. X-B; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ., 1979, გვ 314. იხ. აგრეთვე, სვ. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975.

<sup>6</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ 80-81; სვ. გამსახურდია, სწავლა-განათლება ძველ საქართველოში, თბ., 1975, გვ 14-15.

ქართული განათლებისა და კულტურისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა მონასტერს ბულგარეთში - პეტრიწონში (ბახკოვო). იგი დაფუძნებულია XI საუკუნეში 1083 წელს, საბერძნეთის დასავლეთი მხარეების დიდი დომესტიკოსის (მთავარსარდალი) ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ. ჩვენამდე მოაღწია პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონმა, რომელიც დაწერილია ბერძნულად და ქართულად. მონასტერი განკუთვნილი იყო ქართველთათვის. სხვა ეროვნების ბერები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდნენ, თუ ქართული წერა-კითხვა იცოდნენ. პეტრიწონის საგანმანათლებლო ცენტრს სათავეში ჩაუდგა იმ დროის გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი (პეტრიწონელი), რომელმაც ქართული მეცნიერული აზრი ეროვნული განვითარების გზაზე დააყენა. საერთოდ პეტრიწონის სასწავლო ცენტრმა გარკვეული საფუძველი შეუქმნა საქართველოში უმაღლესი განათლების ახალ საფეხურზე აღმოცენებას.

მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველთა სამონასტრო კოლონია შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად, სვიმეონ საკეირველმოქმედის მონასტერში). მეთორმეტე საუკუნეში აქ სამოცამდე ქართველი მოღვაწეობდა. ამ მონასტერში ქართულ საქმიანობას თავისი ამაგი დასდო ეფრემ მცირემ, რომელიც იქვე, მახლობლად კასტანის ეკლესიის წინამძღვარი იყო. იქვე, სხვადასხვა საგანებში მოღვაწეობდნენ ანტონ ტბელი, საბა სულაძისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, გაბრიელ მღვდელ-

ლი, სტეფანე ჭუვეელი, იოანე ფარნაქელი, იოანე მთვარაისძე და სხვები. შავ მთაზე ეფრემ მცირისა და კლოანტე ფარნაქელის მცდელობით ჩამოყალიბდა ლიტერატურულ-გრამატიკული სკოლა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართულ მწერლობაში.

XI საუკუნეში ქართველებმა პალესტინაში, იერუსალიმის მახლობლად გააშენეს ჯვარის მონასტერი (მონასტრის მაშენებლად მოიხსენიება პროხორე შავშეთიდან), სადაც შემოიკრიბნენ ოთხმოცამდე ქართველი. მათ (საძმოს) ჰქონდათ „წესი და კანონი მონასტრისაჲ“, მსგავსად წმიდა საბას ლავრისა.<sup>7</sup> მონასტერს ნიუთიერ დახმარებას უწევდა საქართველოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) და დედამისი მარიამ დედოფალი. ჯვარის მონასტერში ფართო მასშტაბის ლიტერატურული საქმიანობა გაჩაღდა. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა. იგი გახდა ქართული მწერლობის ცენტრი პალესტინაში.

ნიშანდობლივია, რომ XI-XII სს-ში ქართველები პალესტინის სხვა მონასტრებშიც მოღვაწეობდნენ და ქართული კულტურის, ქართული ლიტერატურის განვითარების სამსახურში იდგნენ. ასე მაგალითად, წყაროებში მოიხსენიება მართა და ბორენა დედოფლების მიერ აშენებული მონასტერი კაპაპათა (XI ს.), დელტაველთა ქაღების მონასტერი, დედათა მონასტერი დერთუფა, კატამონის მონასტერი და სხვ.<sup>8</sup> ქართველებს პალესტინაში სულ ოცამდე მონასტერი ჰქონდათ.

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში უმაღლესი განათლების ცენტრები (უნივერსიტეტები) XI საუკუნიდან

<sup>7</sup> საბას ლავრა პალესტინაში იყო და მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. IX-X სს-ში მისი მკვიდრნი შუაიწროვეს არაბებმა. ამიტომ ქართველთა რიცხვი აქ შემცირდა. ქართველებმა უფრო მეტდრო, მიუვალი ადგილი აირჩიეს სინას მთაზე და X ს. მეორე ნახევრიდან იქ დაამკვიდრდნენ. ნიშანდობლივია, რომ მათ საბას ლავრის ტრადიციები (წიგნების თარგმნა, გადაწერა და სხვ.) თან გადაიტანეს.

<sup>8</sup> კ. კოსტლიძე, ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში, „ენიმკის მოამბე“, XIII, გვ. 107-118.

წარმოჩნდნენ. მათი აღმოცენება უშუალოდ იყო დაკავშირებული შუა საუკუნეების ქალაქების ზრდასა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურებასთან, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობასთან. ახალი ტიპის საერო უმაღლესი სკოლები იტალიაში გამოჩნდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბოლონიის სკოლა იყო, სადაც რომის სამართალი შეისწავლებოდა. მოგვიანებით (XII ს.) ამ სკოლამ უნივერსიტეტის სტატუსი მიიღო (პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც ამ უნივერსიტეტს ეხებოდა, იყო ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ 1158 წელს გამოცემული ქარტია). მნიშვნელოვანია პარიზის უნივერსიტეტის (სორბონა) დაარსება XIII ს. დასაწყისში (1215 წ.). ამავე პერიოდში დაფუძნდა (XII-XIII სს. მიჯნა) სალამანკის უნივერსიტეტი ესპანეთში. შუა საუკუნეების უნივერსიტეტებმა უდიდესი როლი შეასრულეს ფეოდალური საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. სწორედ აქ, ამ სასწავლო ცენტრებში ხდებოდა იმ დროის მეცნიერთა და, საერთოდ, მეცნიერების კონცენტრირება. სწორედ უნივერსიტეტების საშუალებით ხდებოდა იმ დროის მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის გავრცელება.

კავკასიური (ეგრძოდ, ქართული) სამყაროსათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო 1045 წელს მანგანის აკადემიის ბაზაზე კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის დაარსება. ეს იყო საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც მოწოდებული იყო ანტიკური აზროვნების განახლებისათვის. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბაღდადის აკადემია, რომლის შექმნასაც ხელი შეუწყო ნიზიბინის აკადემიამ. უცხოეთის უმაღლეს სასწავლო ცენტრებში ბევრი ქართველი ეუფლებოდა ცოდნას. ცხადია, საქართველოს სახელმწიფოს მესვეურებს ჰქონდათ სრული ინფორმაცია იმდროინდელი მსოფლიოს (განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის) საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. ბუნებრივია, სწრაფვა საქართველოში ახალი ტიპის საგანმანათლებლო და

სამეცნიერო ცენტრის შექმნისათვის, თანაც სხვა ქვეყნების გამოცდილებების გათვალისწინებით, დიდი ძალადონის, მსოფლიო სტანდარტების საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს ხელეწიფებოდა.

XI საუკუნის დასაწყისიდან ფეოდალური საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა, თუმცა ქვეყანას ბევრი სირთულე გააჩნდა. ეს იყო შინაური (სეპარატიზმის მოსურნე მსხვილი ფეოდალები, ეკლესიის რეაქციული ფრთა), თუ გარეშე (ბიზანტია, თურქ-სელჩუქები) მტრებთან ბრძოლა, რაც მთელი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ქვეყანა პოლიტიკურად და ეკონომიკურად XII საუკუნისათვის მომძლავრდა, 1099 წელს დაეით აღმაშენებელმა ხარკის მიცემა შეუწყვიტა სელჩუქებს და საქართველო სრულიად დამოუკიდებელი გახდა. ქართული სახელმწიფოს გააღვანა და ავტორიტეტი აშკარად გაიზარდა მთელ ახლო აღმოსავლეთში. პოლიტიკურად და ეკონომიკურად (გატარდა აგრარული, ფინანსური, სამხედრო, საეკლესიო, სასამართლო რეფორმები) ძლიერ ქვეყანას განათლება და კულტურაც შესაბამისი ესაჭიროებოდა. საქართველოში ძველიდან იყო მაღალი კულტურული (არქიტექტურა, ოქრომჭედლობა, მუსიკა, კიმნოგრაფია) და საგანმანათლებლო (ფაზისის რიტორიკული სკოლა, მონასტრებთან არსებული სკოლები) ტრადიციები, მაგრამ როცა ქვეყანას უჭირდა სხვადასხვა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის გამო, ამ ტრადიციების განვითარება ერთგვარად ფერხდებოდა.

XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სახელმწიფოში შეიქმნა კეთილნაყოფიერი გარემო ხალხის სულიერი განვითარებისათვის, ფართო გზა მიეცა კულტურულ აღმშენებლობას. ამასთან შეიქმნა რეალური წინამძღვრები მაღალი დონის უმაღლესი განათლების ცენტრის – უმაღლესი სკოლის დაარსებისათვის. ეს წინამძღვრები ასეული

წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. ტაო-კლარჯეთში გაშლილი კულტურული საქმიანობა, საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის კერები, მაღალგანათლებული ქართველი მოღვაწეები და საქართველოში შექმნილი მტკიცე ეკონომიკური, თუ პოლიტიკურად მდგრადი ვითარება რეალურ საფუძველს ქმნიდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახალი ეტაპის დაწყებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ ახალი ეტაპის დაწყება თავს იღო დავით IV აღმაშენებელმა, რომელიც სრულიად საქართველოს რეალური გამაერთიანებელი იყო („მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა“) და ქრისტიანობის დიდ ქომაგად ითვლებოდა („მახვილი მესიისა“) ახლო აღმოსავლეთში. დავით აღმაშენებელი თავად იყო ღრმად განსწავლული, უკანასკნელბუნესი პიროვნება.<sup>9</sup> მემკვიდრე („ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი“) განცვიფრებული ყველა მის მიერ წიგნის განსაკუთრებული სიყვარულის ამბებს. ბევრს კითხულობდა მშვიდობიან და, რაც ძნელად წარმოსადგენია, ბრძოლის დროსაც. მისი გადაადგილების შესაბამისად თან დაქონდათ წიგნები (ბიბლიოთეკა), რომელთაც დავით აღმაშენებელი შესაძლო შემთხვევაში გატაცებით კითხულობდა. იგი ზედმიწევნით იყო დაუფლებული ღვთისმეტყველებას. საგულისხმოა, რომ როცა ქართველ და სომეხ საეკლესიო მოღვაწეთა შორის გაიმართა პაექრობა ქრისტიანული დოგმატების თაობაზე და ეს კამათი დიდხანს გაგრძელდა („ცისკრითგან ვიდრე ცხრა ჟამამდე“), დავით აღმაშენებელი

(მასთან ერთად იყვნენ იოანე ქართველის კათალიკოსი, არსენ იყალთოელი, ეპისკოპოსნი და მეუდაბნოენი) თავად ჩაეხრია საქმეში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, მეფე „ესე ოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, აკსნათა საკრველთა მიერ წინადაუდგრომელთა და უცილობელთა“.<sup>10</sup> მეფის მჭევრმეტყველებამ და დებულებათა საბუთიანობამ გააოგნა მოწინააღმდეგენი („უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყველ“). სომეხმა საეკლესიო პირებმა თავი დამარცხებულად სცნეს და მეფეს მიმართეს: „ჩვენ, მეფო, მოწაფე გუეროგუნე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭალსა ვერ მიშუთარ არიან ევე მოძღუარი საგონებელი თქუენნი“.<sup>11</sup>

დავით აღმაშენებელი ავტორია შუა საუკუნეების ქართული კულტურული-ედიოლოგიური და ესთეტიკური მრწამსის გამომხატველი ნაწარმოებისა „გალობანი სინანულისანი“, რომელშიაც მთელი სიღრმითაა გავრცობილი სასულიერო ღირიკაში დამუშავებული (ეფრემ ასური, იოსებ და თეოდორე სტუდიტეები, ანდრია კრეტელი, იოანე დამასკელი და სხვ.) სინანულის მოტივი. დავით აღმაშენებელი თავს წარმოადგენს, როგორც უდიდეს ცოდვილს და ამბობს, რომ არ არსებობს დანაშაული, მის სულს არ ამძიმებდეს. თავის ასეთ დამდაბლებაში ვლინდება ზნესრული ადამიანის მაღალი ეთიკური მრწამსი.<sup>12</sup> „გალობანი სინანულისანი“-ში შეცოდებათა შეგნებით დაძლეულია ცოდვა და ადამიანის დაცემით გამოწვეულ სევდას ახლავს ნათელი სხივები ადამიანის სრულქმნის რწმენისა.<sup>13</sup>

<sup>9</sup> რ. მერტველი, დავით IV აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 339-365.

<sup>10</sup> ცხოვრება მეფეთმეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 357.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> დ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ კონცეფციისათვის. კრება: ქართული ლიტერატურის საკითხები, II, თბ., 1971, გვ. 45-113.

<sup>13</sup> საგულისხმოა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესის და უნეტარესის ილია II-ის საადგომო ეპისტოლეში (2006 წ.) მოცემული სახარების პრინციპებიდან გამომდინარე შეგონება: — თავმდაბლობა არის კიდევ ერთი უმთავრესი თვისება პიროვნებისა, იგი ერთი მხრივ იცავს ადამიანს ამპარტყენების ხენისაგან და მეორეს მხრივ უნარწუნებს მას ინდივიდუალიზმს, მეობასა და ღირსებას“.



და აი, ყოველმხრივ – ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დონით, თუ საკუთარი თეორიული ცოდნით – მზადყოფნა დაეით აღმაშენებელმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა“.<sup>14</sup> „აღშენება მონასტრისა“ გულისხმობდა, რომ სასულიერო ცენტრის გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო სასწავლო დაწესებულება – უმაღლესი სკოლა. მეფემ საგანგებოდ შეარჩია ადგილი სამონასტრო კომპლექსის ასაგებად – „ხოლო სახელი მისი გელათი“.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ხაზგასმით გადმოგვცემს იმ მიზანდასახულების შესახებ, რომელიც საქართველოს მეფემ ახალ სასწავლო ცენტრს დაუსახა – იგი უნდა გამხდარიყო „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა...“.<sup>15</sup> როგორც ეხედავთ, ამოცანა ძალზედ მნიშვნელოვანია: გელათში უნდა შერწყმულიყო ყველა ის მაღალი დირსება, რაც იერუსალიმსა (რწმენის – ქრისტიანობის საფუძველი და ცენტრი) და ათენს (სიბრძნის, საერო-ფილოსოფიური მეცნიერების, განათლების ცენტრი) გააჩნდა; აქვე იყო ცნობილი უმაღლესი სკოლები და გელათის აკადემია (უნივერსიტეტი) მათი შემკვიდრე უნდა გამხდარიყო და უფრო მაღალ საფეხურზე („უადრესსა მისსა“) ასულიყო.

ამგვარად, დავით აღმაშენებლის მიზანი ნათელი იყო – გადაექცია გელათი მაღალი დონის კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად. გელათის აკადემია დაარსებული უნდა იყოს 1106-1110 წლებ-

ში, ე. ი. დვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის გასრულებამდე.<sup>16</sup> სასწავლო ცენტრისთვის საჭიროებოდა ამ დროისათვის უკვე აგებული იყო.

უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო გელათის აკადემიის სათანადო კადრებით უზრუნველყოფა. საქართველოს მეფე სწავლულ-მეცნიერებს ეძებდა არა მარტო საქართველოში („თესთა ოდენ სამეფოთა შინა“), არამედ საზღვარგარეთაც („ქვეყნისა კიდეთად“). დავით აღმაშენებელი მაღალი კრიტერიუმებით უდგებოდა სწავლულთა შერჩევას. აუცილებელი პირობა იყო „სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა“.<sup>17</sup> მეფის მცდელობამ თავისი შედეგი გამოიღო – „შემოიკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა“.<sup>18</sup> ამგვარად, გელათის აკადემიაში (უნივერსიტეტი) შეიკრიბა ქართული მეცნიერებისა და კულტურის ყველაზე გამოჩენილი პირები, რამაც ამ უმაღლესი სკოლის, როგორც კულტურული და სასწავლო კერის, მნიშვნელობა უადრესად გაზარდა და ფრიად ავტორიტეტული გახადა.<sup>19</sup> გამოჩენილი ქართველი მოღვაწე, პოეტი იოანე შავთული ხოტბას ასხამს გელათს და რომსა და ელადას ადარებს მას (გავისხენოთ: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი იერუსალიმსა და ათენს ადარებდა):

*„ახალი რომო, შენთვის თქვეს, რომო უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა ენატრი ელადას, თუთ მას გელათსა, სად რომი დაკრახლდენ წმიდათ სხეულთა“.*

(„აბდულმეხიანი“)

<sup>14</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 329.

<sup>15</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330-331.

<sup>16</sup> ს. ეახნიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 14-15; ლ. მუნაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკ. II, თბ., 1962, გვ. 532; რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, თბ., 2002, გვ. 341.

<sup>17</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> რ. მეტრეველი, დავით აღმაშენებელი, მეფე თამარი, გვ. 340.

რომთან (გაეიხსენოთ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, რუსეთში მოსკოვი მიიჩნდათ „მესამე რომად“) და ელადასთან გელათის შედარება ნათლად წარმოაჩენდა იმ პრეტენზიას, რაც იმ დროის საქართველოს გააჩნდა. ზემომოტანილი შედარებები არ იყო იოანე შავთელის მხოლოდ პოეტური აღმაფრენის შედეგი. ეს ქვეყნის გარკვეულ ამბიციაც იყო. გელათის აკადემია, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უნივერსიტეტის ტიპის დაწესებულება იყო და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის პირველი უმაღლესი სასწავლო ცენტრი. იგი რეალური მოთხოვნილებების ნიადაგზე შეიქმნა და უწინარა იმ იდეოლოგიურ მოძრაობას, რომელიც გზას უკაფავდა ქართულ რენესანსს.<sup>20</sup> აკად. შ. ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ ბიზანტიაში რენესანსის მოახლოება მანგანის აკადემიის (როგორც ზემოთ აღვნიშნა, შეიქმნა კონსტანტინოპოლში XI საუკუნეში) აღდგენამ განსაზღვრა, რომელიც გადაიქცა ცენტრად ანტიკური აზროვნების განახლებისათვის, რენესანსი კი ანტიკური ტრადიციის აღდგენას წარმოადგენდა.<sup>21</sup> საქართველოშიც აღმოსავლური რენესანსის დასაწყისის ერთ-ერთი მაჩვენებელია გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის (აკადემია) დაარსება, რადგან ეს იყო ანტიკურ პერიოდში არსებული ქართული აკადემიების ტრადიციების განახლება.<sup>22</sup>

უმაღლესი სასწავლო ცენტრების – უნივერსიტეტის ტიპის აკადემიების დაარსება რენესანსული იდეების გზის გაკაფვას ნიშნავდა (ნიშანდობლივია, რომ ათინას გავლენა ყველგან აშკარ-

ად ჩანს). როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ძირითადი ფაქტი აღმოსავლეთიდან სარენესანსო მოძრაობის დასაწყისის უმაღლესი სკოლების დაარსებით დასტურდება. თანაც კულტურათა შეჯვარების არეალიდან (სირია-პალესტინა) ვრცელდება აღმოსავლეთში – ბაღდადამდე და დასავლეთში – ბიზანტიასა და იტალიამდეც კი (ფლორენციის აკადემია).<sup>23</sup>

გელათის აკადემიაც ეპოქის პირში იყო და იმ დროის კვალობაზე საზოგადოების წინაშე დასმულ პრობლემებს ემსახურებოდა. XII საუკუნის ათიან წლებში გელათის აკადემიაში მოღვაწეობას იწყებს იოანე პეტრიწი. იგი დავით აღმაშენებელმა საგანგებოდ მოიწვია. პეტრიწიც მიენდო მეფეს („დაფითის გამგონებისა და წყალობათა და თანადგომისა მინდობილმან“) და მთელი ძალით შეუდგა მოღვაწეობას („აწ შეძლებისაებრ და ძალისა ჩემისა აწცა ვიღონო“). იოანე პეტრიწი, ადრე შეიწირვრებული რეაქციული სასულიერო წრეების მიერ, დავით აღმაშენებლის თანადგომით, გელათში წარმატებით აგრძელებს მეცნიერულ-ფილოსოფიურ მოღვაწეობას.<sup>24</sup> იოანე პეტრიწი აშკარად გამოხატავს უკმაყოფილებას და ნაწყენობას ზოგიერთი გავლენიანი თანამემამულის მიმართ, რომელთაც, ნაცვლად ხელისშეწყობისა, დევნა დაუწყეს. მხოლოდ დავით აღმაშენებლის მფარველობის შემდეგ მიეცა პეტრიწს საშუალება, ფართოდ გაეშალა საქმიანობა. იგი ცდილობდა, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიის ნაცვლად წინა ხაზზე პროკლეს ნეოპლატონი-

<sup>20</sup> შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, გვ. 433.

<sup>21</sup> შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 438; შ. შ. ჯავახია, ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთი ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბ., 2005, გვ. 109.

<sup>22</sup> შ. ნუცუბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 438.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 440.

<sup>24</sup> შ. ხიდაშელი, იოანე პეტრიწი, თბ., 1956, გვ. 4; იგი ჯავახიაშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 298-300. იოანე პეტრიწი თავის შრომაში „განმარტებად პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ საგანგებოდ ამბობს: „... რაივე თანსიყვარული და შეწყენა მშენებლობა მათგან (თანამემამულეთაგან - რ. შ.) ... ვუწვავ სურვილსა, რომელ ენამცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისა მჟარისტოტელურა“.

კური ფილოსოფია წამოეწია.<sup>25</sup> „მატიანე ქართლისა“ საგანგებოდ აღნიშნავს: „მთარგმნელნი ამ ეამთა იყვნენ: იოანე პატრიკ ყოფილი, პეტრიწი ფილოსოფოსი...“<sup>26</sup> ესოდენ ღრმად განსწავლილი, ქვეყნისათვის თავდადებული, სულიერი და ხორციელი სათნოებით აღსავსე პიროვნება ხდება გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის – აკადემიის მესვეური. სტრუქტურულად აკადემიას რექტორი – მოძღვართმოძღვარი<sup>27</sup> განაგებდა. თავის მხრივ ამ ინსტიტუტის არსებობა, ამ თანამდებობის პირის მაღალი პატივი და რეალური მდგომარეობა ნათლად უჩვენებს თვით გელათის უმაღლესი სასწავლო ცენტრის – აკადემიის დიდ მნიშვნელობასა და გამორჩეულ დანიშნულებას საქართველოს სახელმწიფოში. მოძღვართმოძღვარის არსის შესახებ არაერთმა მეცნიერმა გამოთქვა თავისი მოსაზრება (ე. თაყაიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, კ. კეკელიძე, ვ. ჩაკვეტაძე, ბ. ლომინაძე, გ. მჭედლიძე და სხვ.). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ხელმწიფის კარის გარიგების“ აღმომჩენისა და გამომცემლის, მისი პირველი კომენტატორის ექვთიმე თაყაიშვილის მოსაზრებები აღნიშნული საკითხის შესახებ.<sup>28</sup> „ხელმწიფის კარის გარიგების“ 23-ე მუხლი გვაუწყებს:

„მოძღვართმოძღვარი დარბაზს აწვიონ, და შინაური დარბაზის ერი უნდა და ერთი ჯორი და სამი ცხენი, – მოძღვართმოძღვრისათვის და ორნი მისთა მოწაფეთათვის.

მოძღვართმოძღვრისა, კათალიკოზთა და ჭყონდიდლისა, რა დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამთა საბატოთა დარ-

ბაისელთა მართებთ“.<sup>29</sup> აქ მოძღვართმოძღვარი მასწავლებლებთან მასწავლებელს და მეცნიერთა მეცნიერსა ნიშნავს. ძველად მოძღვარი მასწავლებელს ეწოდებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მოძღვართ-მოძღვარი უფროსი წინამძღვარია, რომელიც სხვა სასულიერო პირთა (მღვდელთა) მოძღვართა და მათგან აღსარებას იღებს. „სახარებაში“ მოძღვარი მასწავლებლის ბადალი სიტყვაა. როგორც ვხედავთ, ამ ტერმინმა დროთა განმავლობაში გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა. ქართულ წყაროებში „მოძღვართმოძღვარი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა კონტექსტში მოიხსენიება. ეს საბუთები უპირატესად გელათის მონასტერთანა დაკავშირებული და მოძღვართმოძღვარი, ეპისკოპოსობასთან ერთად, გელათის აკადემიის რექტორია.<sup>30</sup> ნიშანდობლივია, რომ სამეფო დარბაზის სხდომაზე მას იწვევენ მოწაფეებთან ერთად (საფიქრებელია, რომ ეს მოწაფეებიც სწავლულები არიან). 24-ე მუხლი განსაზღვრავს: „მოძღვართმოძღვარი შევიდეს და ეთაყვანოს მეფესა, და მერმე მეფეცა ეთაყვანოს: ხელნი სრულად დასხნეს ნატაკსა ზედა და მომრგვალებით ეთაყვანოს, გინა დამრუდებით, მეფე ნოხთა პირსა მოეგებვის და მიესაღმოს...“<sup>31</sup> აქ ხაზგასმულია, რომ მეფე „ნოხთა პირსა მოეგებვის“. ამისგან განსხვავებით, მეფემ კათალიკოსის შემოსვლისას „ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“. მისალმების შემდეგ მოძღვართმოძღვარი მეფის გვერდით დგება მარჯვენა მხარეს („მარჯვენით გარდადგეს ახლო“). საგულისხმოა, რომ მოძღვართმოძღვარი უფრო წინ დგას, ვიდრე ჭყ-

<sup>25</sup> შ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 312.

<sup>27</sup> ნიშანდობლივია, რომ მიხანტიაშვიტ უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელს ეწოდებოდა „მბძთაკაოჯ თარ მბძთაკაოჯ“ („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ“).

<sup>28</sup> იხ. ექ. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920.

<sup>29</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 90.

<sup>30</sup> ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. XXXII.

<sup>31</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 90.

ონდიდელი, ქართლისა და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსები. შესაბამისად, მისი პატივიც სხვებზე მაღალია. „ხელმწიფის კარის გარეგებაში“ ყველგან პირველ ადგილზე მოძღვართმოდვართან დასახელებული ის ფაქტი, რომ მუვე მოძღვართმოდვართს<sup>2</sup> „ნოხის პირსა“ ეგებებოდა, ხოლო სხვა წარჩინებულებთან შეხვედრისას მხოლოდ „ნოხსა ზედა მესამედს“ გამოივლის, თავისთავად მეტყველებს მის უპირატესობაზე. ამასთან ხაზგასმით მიუთითებს იმ დაფასებას, ყურადღებასა და პატივისცემაზე, რომლითაც ქვეყანაში განათლებისა და მეცნიერების საქმე იყო მოსილი.

გელათში მოღვაწე მეცნიერთა შორის გამოირჩეოდა ფილოსოფოსი, მწერალი და პიწორგრაფი არსენ იყალთოელი. იგი 1114 წელს ჩამოსულა ბიზანტიიდან. არსენ იყალთოელი წყაროებში ვაჩქსძედანა მოხსენიებული. იგი წარმოშობით იყალთოდან იყო, განათლება ბიზანტიაში მიიღო. მისი მასწავლებლები იყვნენ მიქაელ ფსელოსი და იოანე ნომოფილაქსი. არსენი ერთხანს შავ მთაზე მოღვაწეობდა ეფრემ მცირის ხელმძღვანელობით. იგი თეოფილე ხუცესმონაზონთან და იოანე ტარიჭისძესთან ერთად ჩამოსულა საქართველოში და გელათის აკადემიაში დაუწყია მოღ-

ვაწეობა. აქვე უთარგმნია მას „დრდი სჯულისკანონი“.

გელათის აკადემიაში მწვედვებმა trivium-quadrivium-ის პრინციპზე იყო აგებული.<sup>3</sup> ვ. ი. აქ შეიდი ძირითადი საგანი ისწავლებოდა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. იოანე პეტრიწი თავისი თხზულების „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში აჯამებს საკუთარ შეხედულებებს საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე, მწერლობაზე და მსჯელობს სამეცნიერო დარგებზე. ჯერ ეხება „ტრივიუმის“ საგნებს და თვლის, რომ ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს: გეომეტრია („ქვეყნის სამზომლოდ“), არითმეტიკა („რიცხუნის“) და მუსიკა („სამოსოვ“, ანუ „სამუსოვ“ – მუსიკა). იოანე პეტრიწი აქ „სამების“ ცნებასთან აკავშირებს „ტრივიუმს“. მისი მტკიცებით, მამა ღმერთის ნათელი სულიწმინდის საშუალებით გამოისახა ძე ღმერთში („ნათელსა შორის შენსა ვიხილეთ ნათელი ძესა შორის სულისა მიერ წმიდისა“), ისე გეომეტრიაში სამი ძირითადი შემადგენელია: ზედაპირი, წრფე-წირი და წერტილი (წერტილიდან წრფე-წირის საშუალებით შეიქმნება ზედაპირი). იოანე პეტრიწი თვლის, რომ არითმე-

<sup>2</sup> ტერმინი „მოძღვართმოდვართ“ შემდეგ საუკუნეებშიც მოიხსენიება. ასე მაგალითად, XIII საუკუნის (დავით ნარინის დროის) ე. წ. საბანელას დავთარში („არცა ვისგან რა ეწინებოდეს, არცა მოძღვართ-მოძღვართა და წინამძღვართაგან და მათაგან“), იმავე დროის გელათის ერთ-ერთ სიგელში („და მოწმობითა დიდისა მოძღვართ-მოძღვართისა, დავითის მწირველისა ანტონისათა...“), XIV საუკუნის სიგელში გელათის მოძღვართმოდვართი საბა არის მოხსენიებული, XV საუკუნის (1495 წ.) გელათის გუჯარში („... ექესი მღვდელი და მოძღვართ-მოძღვართი ჯამსა გეოწირადეს“), 1502 წლის გელათის სიგელში მოიხსენიება „დიდისა მონასტრისა მოძღვართ-მოძღვართი ილარიონ...“ მოძღვართმოდვართი ილარიონი სხვა სიგელებშიცაა დამოწმებული. 1527 წლის გელათის სიგელში მოიხსენიება მოძღვართ-მოძღვართი მანასე („დიდისა ტაძრისა მოძღვართ-მოძღვართი მანასე და წინამძღვართი მაკრე“). მოგვიანებით, მოძღვართმოდვართმა დაკარგა პირვანდელი (რეპტორის – ხასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი) მნიშვნელობა და ამ სახელწოდებით რიგითი სამღვდლო პირებიც მოიხსენიებიან. მოძღვართმოდვართს გელათის გარდა, საქართველოს სხვა კუთხეებშიც ეხედავთ. საქართველოს დაშლის შემდეგ უოველ სამეფოს თუ სამთავროს თავისი მოძღვართმოდვართი უნდა აყოლოდა (ე. თაყაიშვილი). განათლებაშიღებული მთავარი წინამძღვართი მონასტრისა, სადაც სკოლა არსებობდა, როგორც ჩანს, მოძღვართმოდვართად იწოდებოდა.

<sup>3</sup> ს. ე. თაყაიშვილი, გელათის აკადემია, თბ., 1948, გვ. 15.

ტიკაც სამებაზე დაფუძნებული („... რიცხვნი ესთა ეთანაგებიან ჩუენსა ამას სამებისა ანგელოზსა წიგნსა“), რადგან რიცხვთა საფუძველია: ერთი, ორი, სამი; ამათგან იწარმოებიან დანარჩენი რიცხვები („ყოველი ერთისა მიერ იწარმოებვის ... ორი გზად არს ... ხოლო სამი დასაწყისი სხუათა რიცხვთა შობისა“). მუსიკაც სამ ხმაზეა დაფუძნებული. ესენია: მზახრი, ჟირი და ბამი. ამ სამი სხედასხევა, ასიმეტრიული ხმის ერთიანობა იძლევა კეთილხმოვანებას (სიმეტრიას). ასეთია იოანე პეტრიწის კონცეფციით „ტრივიუმი“ (გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა), რომელიც საღვთისმეტყველო განათლებისათვის აუცილებელ საწყის საფეხურს წარმოადგენს. იოანე პეტრიწის თვალსაზრისით, შემდგომ, უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს „quadrivium“-ი (კვადრივიუმი): რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია. მეცნიერი საგანგებოდ განმარტავს ამ მეცნიერებათა არსს. ძველი ბერძნული ტრადიციის საფუძველზე იოანე პეტრიწი რიტორიკის სამ სახეს ასახელებს: სათათბიროს, საპაექროსა და საზეიმოს („თანამზრახველობისა, მეპაექრობისა, დღესასწაულობისა“). გრამატიკის შინაარსი მას ასე ესახება: კითხვა-გამოთქმა, ტროპები, ენათმეტყველება, ეტიმოლოგია, ანალოგია, ნაწარმოებთა გარჩევა. ფილოსოფია სამი სახისაა: პრაქტიკული, თეორიული და დიალექტიკა (საქმითი, მხედველობითი, განმსიტყველობითი ხელოვნება). ასტრონომია კი არის „ვარსკვლავმრიცხველობა“.

უნდა ვიფიქროთ, რომ განათლების ამგვარი სისტემა იყო იმდროინდელ აღმოსავლეთში. ასე იყო ბიზანტიის უმაღლეს სასწავლო ცენტრებში და, როგორც ჩანს, საქართველოშიც.<sup>34</sup>

გამოთქმულია მოსაზრება და, ვფიქრობთ, იგი არ უნდა იყოს საფუძველმოკლებული, რომ გელათის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად უნდა ყოფილიყო აგებული ქსენონი (ავადმყოფთათვის განკუთვნილი დაწესებულება). არ არის შემთხვევითი, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გელათის დაფუძნების ამბის გადმოცემის უმაღლეს ქსენონის დაარსების შესახებ ლაპარაკობს: „და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებისა თუსისა“.<sup>35</sup> მეფემ „ადგილსა შემსგავსებულსა და შეუნიერსა“ ააშენა ქსენონი. აქ მკურნალობდნენ ავადმყოფებს („თუთოსახითა სენითა განცდილნი“). დავით აღმაშენებელმა ქსენონი უზრუნველყო სახმარით“ და ასევე მუდმივი შემოსავლით („განუჩინა შესავალი და საღუაწნი მათნი ყოვლადგე“). თვით მეფე მიდიოდა და მოინახულებდა ავადმყოფებს, ამხნეებდა თითოეულ მათგანს და მოთმინებისაკენ მოუწოდებდა. პირადად ამოწმებდა მათ ჩაცმულობას („სამოსლები“), საგებელს, ჭურჭელს, საკვებს; საჭირო შემთხვევაში ოქროს გასცემდა ავადმყოფთათვის, ყურადღებისაკენ მოუწოდებდა და აფრთხილებდა ავადმყოფთა ზედამდგომელებს („განკრძალნის ზედამდგომელნი მათნი“) და „განავოს ყოველი საქმე მათი (ავადმყოფთა - რ. მ.) დიდად შეუნიერად და ღვთისმსახურებით“.<sup>36</sup>

დავით აღმაშენებლის სამეფო რეზიდენცია 1122 წლამდე ქუთაისში იყო (თბილისი ჯერ კიდევ არ არის შემოერთებული) და, ამდენად, ქსენონი, რომელიც მეფემ ააგო და ხშირად მოიხილავდა კიდევ, სავარაუდოა, ქუთაისთან ახლოს იქნებოდა. ს. ყაუხჩიშვილი მიანიშნებს, რომ იმდროინდელ განვი-

<sup>34</sup> ს. ყაუხჩიშვილი, მასალები იოანე პეტრიწის „განმარტების“ წყაროთა შესწავლისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბ., 1941, №8; მისივე, გელათის აკადემია, გვ. 15-18.

<sup>35</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331.

<sup>36</sup> იქვე.

თარებულ სახელმწიფოებში (მაგალითად, ბიზანტიაში) ცნობილი იყო დაწესებულებათა სისტემა: სამონასტრო კომპლექსი, უმაღლესი სკოლა და ქსენონი (მაგალითად, პლანუდეს სკოლა კონსტანტინოპოლში).<sup>37</sup> ასე რომ, სრულიად დასაშვებია დავით აღმაშენებელს ქსენონი გელათში აეგო და ეს უკანასკნელი სამონასტრო და სასწავლო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად ქცეულიყო. არის ვარაუდი, რომ ქსენონი შემორჩენილი სოხასტერის ფარგლებში იყო. ქსენონის გელათში არსებობა იძლეოდა საფუძველს (ს. ყაუხჩიშვილი, მ. შენგელია) გელათის აკადემიაში მედიცინის სწავლების არსებობის ვარაუდისათვის. ამას ისიც ამბავს, რომ იოანე პეტრიწს დიდი სამედიცინო ცოდნა გააჩნდა.<sup>38</sup> მას თავისი შეხედულებები და დამოკიდებულება ჰქონდა სამედიცინო საქმესთან, ავადმყოფის მკურნალობასთან. ვასათვალისწინებელია ისიც, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა ნემესიოს ემესელის თხზულება „ბუნებისათვის კაცისა“, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო სახელმძღვანელოდ ითვლებოდა მედიცინის დაუფლებისათვის. ასე რომ, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს გელათის აკადემიაში მედიცინის (სამკურნალო საქმის) სწავლება,<sup>39</sup> რომელსაც სასწავლო-პრაქტიკულ ბაზად იქვე ქსენონი ექნებოდა.

ამგვარად, გელათის უმაღლესი სკოლა-აკადემია იმდროინდელი უნივერსიტეტის ბადალი სასწავლო დაწესებულება იყო, რომელიც მაშინდელ სტანდარტებს შეესაბამებოდა, როგორც სავალდებულო საგნების სწავლებით,

ისე ლექტორთა (მოდერატორთა) მადლი დონით აქ ჩვენ იოანე პეტრიწსა და არსენ იყალთოელთან ერთად ვხედავთ ეფრემ მცირეს, იოანე ტარიჭისძეს, თეოფილე ხუცესმონაზონს, იეზუკიელსა და სხვ („მთარგმანებელნი წიგნთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტარიჭისძე“).<sup>40</sup>

გელათის სკოლამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. თვით შოთა რუსთაველი, შუა საუკუნეების ეს უდიდესი მოღვაწე, თავისი მსოფლმხედველობით ორგანულ კავშირშია ამ სკოლასთან (დ. მელიქიშვილი).

როგორც ვხედავთ, გელათის აკადემიაში სასწავლო დისციპლინებთან ერთად ვითარდებოდა ლიტერატურა, ფართო გზა ჰქონდა ვახსნილი მთარგმნელობით საქმიანობას. თავისი ადგილი ჰქონდა ხელნაწერი წიგნების<sup>41</sup> გაფორმებას, მინიატურებს. დამახასიათებელია ლაშაზი კალიგრაფია, მრავალფეროვანი ორნამენტი და დახვეწილი მინიატურული მხატვრობა. აქვე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა სახვით ხელოვნებას. თუ XI საუკუნის პირველ ნახევარში შესამჩნევია სკულპტურულობისაკენ სწრაფვა, შემდგომ პერიოდში ეს ნაკლებად ჩანს. წინა პლანზე გამოდის დეკორატიულობა (ორნამენტი). ორნამენტულობის ნიმუშია ხახულის ხატი გელათიდან (XII საუკუნის პირველი ნახევარი), რომელიც მსოფლიო ოქრომჭედლობის ერთი უნიკალური ნაწარმოებია. გელათის საოქრომჭედლო სკოლამ (ტბეთისა და ოპიზის სკოლები-ის პარალელურად) გარკვეულად

<sup>37</sup> ს. ყაუხჩიშვილი, გელათის აკადემია, გვ. 34.

<sup>38</sup> მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, ნაწილი I, თბ., 1956, გვ. 57.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 58. შდრ. Г. Мчедлидзе, Гелатская академия наук, история и современность, гв. 47-49.

<sup>40</sup> თ. ჟორდანიანი, ქრონიკები, I, გვ. 241.

<sup>41</sup> წიგნების გადაწერის საქმეს განსაკუთრებული ამაგი დასდეს კათალიკოსებმა ეფემონ ჩხეტიძემ (1557-1578 წწ.) და ექვთიმე ხაყვარელიძემ (1578-1616 წწ.) („ჩხეტიძე ეფემონ... რომლისა ბრძანებითა გათავდა წა ესე თუე ოქრომჭერი ყოვლითურთ სრული დიდებულსა ხაყვარსა გელათს“...).

დამოუკიდებელი მონუმენტური სახე შეიმუშავა ხელოვნებაში. ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშები არაფრით ჩამოუვარდებოდა ბიზანტიურს, ბევრი მათგანი კი მნიშვნელოვან ადგილს იჭერს მსოფლიო მასშტაბითაც. სამაგალითოდ დავასახელებთ „ხახლის ღუთის მშობლის“ ხატს, რომლის სახელით გელათში გაიჭედა და რომელიც მხატვრული შესრულების, მინანქრის რაოდენობითა და დამუშავებით უნიკალურად ითვლება.

ცნობილი ხელოვნებათმცოდნე, თბილისის უნივერსიტეტის პირველი საპატიო პროფესორი ნიკოდიმ კონდაკოვი თვლიდა, რომ გელათის მონასტრის საუნჯეს (მინანქრის ნაკეთობები პქონდა მხედველობაში) მხოლოდ ვენეციის წმ. მარკოსის ტაძრის საგანძური თუ შეედრებოდა (ეს იყო აღმოსავლეთში ნაყიდი და დატაცებული ნაკეთობები).<sup>42</sup>

საგარაუდოა (ამგვარი შესაძლებლობა ადრეც იყო დაშვებული), რომ გელათში ოქრომჭედლობის სკოლასთან ერთად მონუმენტურ (ქედლის) მხატვრობაც დიდი ყურადღება ექცეოდა, საგანგებოდ შეისწავლებოდა იგი. გელათის ტაძრის გუმბათის ყელში, მხატვრული კომპოზიციების ქვემოთ არის წარწერა, რომელშიც მოიხსენიება სიმეონი და თეოდორი. ესენი, როგორც ჩანს, გელათელი მხატვრები არიან. თანაც სიმეონი „გამდელად“ მოიხსენიება. ცხადია, იგი მხატვრების აღმზრდელი (მოძღვარი) იყო. საერთოდ,

სამონასტრო ცენტრები ზრდიდნენ (ამზადებდნენ) სხვადასხვა დარგის რესტატებს. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ გელათის მონასტრის, მასთან არსებულ აკადემიას მხატვრები მოემზადებინა. ხე მოხსენებული თეოდორი-თეოდორე შემდგომ პერიოდში „მეფის მხატვრად“ მოიხსენიება. მან არაერთი ტაძარი მოხატა.<sup>43</sup>

ამგვარად, როგორც დაინახეთ, გელათში ცხოვრება დულდა, კონფესიურთან ერთად დიდი შემოქმედებითი საქმიანობა წარმოებდა. იგი XII-XIII საუკუნეებში ამართლებდა ათენისა და იერუსალიმის მემკვიდრის ფუნქციას. საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა (მონღოლების შემოსევები, თემურ-ლენგის შემოსევები, ქვეყნის შიგნით მიმდინარე რთული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები) თავის გაკლენს ახდენს გელათის აკადემიის საქმიანობაზე.

დავით აღმაშენებელმა, დაფუძნების უმაღლეს, გელათის მონასტრის შესწირა შემეკვიდრეოდ დარჩენილი „მამული ღიაპარტით“ (არგვეთისა და კაცხის მამულები), მრავალი სოფელი („მრავალთა და სამართლიანთა უსარჩლელ-მოუხუჭკელთა სოფელთა თანა“) და ამით გელათის მონასტრის მსახურნი უზრუნველყო მატერიალურად, „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა“<sup>44</sup> მათ. დავითი შემდგომ პერიოდშიც არ აკლებდა გელათს მზრუნველობას. „ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი“ გვაუწყებს, რომ დავით აღმაშენებელმა

<sup>42</sup> Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная по высоч. повел. проф. С.-Пб. университета Н. Кондаковым, С.-Пб., 1890, стр. 4.

<sup>43</sup> ბ. ლომინაძე, გელათი, გვ. 33-34; Н. А. Алалашвили, Г. В. Алибегашвили, А. И. Вольская, Живописная школа Сванети, тб., 1893. შემორჩენილია თეოდორეს მიერ მოხატული ტაძრების (იფრარის „თარნგ-ხელი“, კურიკისა და ივლიტეს ეკლესია (ლაგურკა) კალაში, წმ. გიორგისა - ნაკიფარში) კედლები. ეს მოხატულობა ნათლად წარმოაჩენს XII საუკუნის ქართველი მხატვრების სტილს, ფერწერის მანერასა და იკონოგრაფიას. თეოდორეს მიერ შესრულებულ ამ მხატვრობასთან ახლოს დგას სოფელ წვირმის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობა. აქ ფერდალები ხმაღს აბამენ (ე. ი. შუფელ აკრთხებენ) დემეტრე I-ს, ანგულონი კი გვირგვინს ადგამს თავზე. მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაშვებულია შესაძლებლობა თეოდორეს მონაწილეობისა (XII საუკუნის პირველი ნახევრის მხატვართან მიქაელ მაღლაკელთან ერთად) ამ ტაძრის მოხატვაში (გ. აღიბეგაშვილი).

<sup>44</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 330.

გაცა განკარგულება, თურქ-სელჩუკებთან ბრძოლაში ნადავლი ნივთები, რომლებიც არსენსა და ივანეს ჰქონდა მიბარებული, მის შვილს დემეტრეს გელათის მონასტრისათვის გადაეზაენა („... სხუად ჭურჭელი, ივარი სპარსთად, რომელი არსენისდა და იოვანესდა მიითუალავს, იგი, მისსა ჟამსა, ჩემსა მონასტერსა გაეზაენოს ძემან ჩემმან დემეტრე“).<sup>45</sup> არც სხვა მეფეები აკლავდნენ ყურადღებას გელათის მონასტერს და იგი. მსხვილ სამეურნეო ერთეულად გადაიქცა. მის დაქვემდებარებაში მოექცა მრავალი სოფელი (საბანელა, კვახჭირი, დერჩი, ნობარევი, ჩუნეში, საბუე, მუხალრუა, კვახხიეთი და სხვ), ასეულობით კომლი გლეხი (ფარცხანაყანეეში, ნოქალაქეეს, ჩხარში, თურჯოლაში, სორმონში, კურსებში, ჯვარისაში, შავრაში, ბოსლევში, სიმონეთში, პატრიკეთში, გეგუთში, ძვერში და სხვ), ევანახები, ზვრები, ტყეები, წისკვილები, სავაჭრო დუქნები და სხვ.

გელათი გათავისუფლებული იყო საეპისკოპოსო და საკათალიკოსო გადასახადისაგან. მართვა-გამგეობა ავტონომიური იყო.<sup>46</sup> იგი მხოლოდ მეფის ხელისუფლებას აღიარებდა. მეფე თავისი წარმომადგენლის საშუალებით ერეოდა აქაურ სასულიერო საქმეებში (დავით აღმაშენებლის დროს ასეთი იყო მისი პირადი მოძღვარი არსენი).

ქვეყნის პოლიტიკურ გართულებებთან ერთად ეკონომიკაც იწყებს დაქვეითებას. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა XV საუკუნიდან. საერთო მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენდა გელათის აკადემიაზეც. საქართველოს სამეფოს ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაშლამ (XV საუკუნის მეორე ნახევარი) აკადემიის დაქვეითება-დამცრობა დააჩქარა. 1510 წლის 23 ნოემბერს

ოსმალების მრავალრიცხოვანი ჯარი სელიმის მეთაურობით (მას შემდეგ ათაბაგიც მიემხრო) შემოესია იმერეთს; ააოხრა და გადაწვა ქუთაისი და გელათი. ხანძარმა დიდი ზიანი მიაყენა გელათის აკადემიის შენობას. ეს შენობა საბოლოოდ XVIII საუკუნეში განადგურდა ლეკთა მარბიელი რაზმის შემოჭრის შედეგად (1759 წლის 10 აგვისტოს).

XVI საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ გელათის აკადემიამ ფუნქციონირება შეწყვიტა. გაქრა მოძღვართ-მოძღვრის ინსტიტუტი. ისტორიამ ოთხი მათგანის სახელი შემოგვინახა. ესენია: ანტონი (XIII ს.), საბა (XIV ს.), ილარიონი (XVI საუკუნის ათიანი წლები) და მანასე (XVI საუკუნის ოციანი წლები). უმაღლესი სასწავლო ცენტრის გაუქმების მიუხედავად, გელათმა შეინარჩუნა ლიტერატურული საქმიანობის წარმმართველის ფუნქცია. ამ დროს ლიტერატურული ნაწარმოებები ნაკლები ინტენსივობით იქმნებოდა, ძირითადად ხელნაწერთა გადაწერა მიმდინარეობდა. სრულიად ბუნებრივია, რომ გელათში მრავალი ხელნაწერი ინახებოდა. მათი სიმრავლეთა და მინიატურული დამუშავებით, არაერთი უცხოელი სტუმარი განცვიფრებულია.

### \*\*\*

უდიდესია გელათის სასწავლო-სამეცნიერო კომპლექსის, როგორც პირველი საუნივერსიტეტო ტიპის დაწესებულების მნიშვნელობა. დავით აღმაშენებელი და მისი მომდევნო მეფეები, რამდენადაც შეეძლოთ, დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლებასა და კულტურას, ხელოვნების წინსვლას; პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდნენ სხვადასხვა ქვეყნებთან კულტურული კონ-

<sup>45</sup> ვ. ხილოვაკა, ანდრისი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი, თბ., 2003, გვ. 128 (მუხლი 85).  
<sup>46</sup> ზ. ლომინაძე, გელათი, გვ. 67.



ტაქტების დამყარებისათვის. გელათის აკადემიამ ამ ურთიერთობებზე კეთილსმყოფელი გაელენა მოახდინა. დავით აღმაშენებელმა ცალკე სახლიც აუშენა უცხო ქვეყნების მეცნიერებს, ფილოსოფოსებსა და პოეტებს. საქართველოს მეფე ნიეთიერადაც ეხმარებოდა და დარბაზობებსაც უმართავდა მათ.

გელათის აკადემია პოლიტიკურად დაწინაურებული, ეკონომიკურად ძლიერი და კულტურულად მაღალგანვითარებული ქვეყნის პირმშო იყო და ნათლად უჩვენებდა, რომ საქართველოში განათლება და კულტურა ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების სიმაღლეზე იდგა.

გელათის აკადემიის (შესაბამისად ქართული განათლებისა და მეცნიერების) ბედი საქართველოს სახელმწიფოს ბედის ანალოგიური იყო. სწორედ ისტორიულმა ქართველებმა განაპირობა საქართველოს დაღმასვლა. ამან კი, თავის მხრივ, დაამცრო მეცნიერებისა და კულტურის განვითარება და ერთ

დროს სახელოვანი უმაღლესი სასწავლო ცენტრის არსებობის შეწყვეტა განაპირობა.

გელათმა შეასრულა თავისი ისტორიული მისია – „სხვა ათინად“ და „მეორე იერუსალიმად“, სიბრძნისა და რწმენის ცენტრად მოველინა ქვეყანას. როცა გელათის აკადემიის არსებობის შეწყვეტიდან თითქმის ოთხასი წლის შემდეგ დაისვა უნივერსიტეტის დაარსების საკითხი, მისმა თაოსნებმა და, უწინარესად, ივანე ჯავახიშვილმა ამ ახალი ტაძრის გახსნის დღედ 26 იანვარი (ახალი სტილით 8 თებერვალი) დასახეს. ეს დავით აღმაშენებლის მოხსენიების დღეა. ამით ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ თბილისის უნივერსიტეტი მემკვიდრეა ძველი ქართული განათლებისა და კულტურის ტრადიციებისა, მემკვიდრეა გელათის აკადემიისა. ასე რომ, ქართული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ისტორია ათეულ საუკუნეზე მეტს შოითვლის.

P.S. გელათის აკადემიის სიცოცხლე განახლდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის თაოსნობით 1995 წლის 25 მაისს შეიქმნა გელათის სამეცნიერო აკადემია, რომელიც უაღრესად ნაყოფიერ და ინტენსიურ საქმიანობას ეწევა.





## უკვალასი იაკონური ლაქსი და „თარგმანის სირთულეები“

1. სიბჰვადდაწნული ომწნაბაბი...

...იმპერატორი კუშტ მზერას არ აც-  
ილებდა მწიფე ქლიავებით დახუნძლულ  
ტოტებში მოფრთხილე ჩიტს. ჩიტი მოუს-  
ვენრად ტკრციალებდა, შფოთავდა და  
დაუდევრად ისროდა ძირს სიმწიფისაგან  
დახეთქილ ნაყოფს... „გასდევნეთ!“ — ბრ-  
ძანა ბოლოს მოთმინებადა კარგულმა იმ-  
პერატორმა... საიმპერატორო ამაღლას მყ-  
ისვე გამოეყო სანდომიანი გარეგნობის  
ახალგაზრდა და, მეტი ერთგულების ნი-  
შნად, ადგილზევე განგმირა ანცი ფრინ-  
ველი... ეს ახალგაზრდა საიგიო ფუჯი-  
ვარა გახლდათ... იმავე საღამოს, შინ დაბ-  
რუნებულ საიგიოს უცნაური ამბავი დაახ-  
ვედრა მეუღლემ — სულისშემძვრელი  
სიზმარი უნახავს ქალს: ჩიტადქცეული,  
თითქოს ქლიავის ხეზე შემომჯდარიყო  
და მაღიანად შეექცეოდა მწიფე ნაყოფს.  
მოულოდნელად, რისხვასავით წასდგო-  
მია თავს უცხო მეომარი, მშვილდ-ისარი  
მოუმარჯვნია და უმონყალოდ მოუკლავს  
ჩიტი... სასნაულებრივი ზმანებით  
შეცბუნებულ და გაოგნებულ საიგიოს  
ალარაფერი უთქვამს, უსიტყვოდ შეუ-  
კრავს ბარგი და მდუმარედ შესდგომია  
ტაძრის გზას... იმ ღამით კეთილშობილი  
საიგიო ფუჯივარა განდევილ საიგიო ბე-  
რად იქცა და თავისი პოეზიით სიცოცხ-  
ლის უკანასკნელ წუთამდე ბუნების მშვე-  
ნიერებას ემსახურა...

...ფუჯის მთასავით მაღალი და მიუნ-  
დომელია იაკონური პოეზია...

ათასწლეულებისა და საუკუნეების  
ბორგენის წიაღში მას რუდუნებით შეუ-  
კრებია იაკონელთა უღრმესი ფიქრები და  
უნმინდესი ოცნებები — შეუკრებია, უს-  
აზრდობებია და ერთ გაბმულ, უნაზეს  
მელოდიად უქცევია... ეს მელოდია მწუხ-  
არეცაა და ღიმილიანიც, მიამიტიცა და  
ბრძენიც, რეალურიცა და ირეალურიც.  
ეს, მართლაც რომ, ბერუმხასავით ფეს-  
ვმაგარი პოეზიაა, ღვთისაგან შექმნილ  
სამყაროსთან უყოყმანოდ და უს-  
აზღვროდ ნაზიარები...

...ზღვის სანაპიროზე, აშოლტილი ფი-  
ჭვების ჩრდილქვეშ აუგია პატარა ქობი  
ძლევამოსილ სარდალს — ოტა დოკვანს.  
მის პოეტურსულს მეტისმეტად მოჰყირ-  
ჭვებია უზარმაზარი ციხე-სასახლე და ის-  
ლით დახურულ ქობში უპოვნია სავანე.  
როდესაც დოკვანის გაუჩინარებით  
გაკვირვებულ იმპერატორ გოცუნმიკა-  
დოს უკითხავს მისთვის — სად არის,  
სარდალო, თქვენი ახალი რეზიდენციო,  
ოტა დოკვანს მშვიდად მიუგია:

*„ზღვის ნაპირას,  
მაღალი ფიჭვების გასწვრივ,  
დგას ჩემი ქობი...  
და ფუჯის თეთრი, თვალუნვდენელი  
მწვერვალი  
ნაზად ეღვარებს ჩამავალი მზის  
ათინათებში“...“*

ოტა დოკვანი

\* იაკონური პოეზიის ნიმუშების თარგმანი ეკუთვნის სტატიის ავტორს — (რედაქცია).

...ჭეშმარიტად იაპონური პოეტური გენია შეიძლება განისაზღვროს, როგორც ბუნებასთან ჰარმონიულად შეთვისებული ფენომენი... იაპონურ პოეზიაში ბუნება აღიქმება მეტყველ, განცოცხლებულ და მფეთქავ მთლიანობად, იმ სრულყოფილ მთლიანობად, რომელსაც ადამიანის სულის შეფასება ძალუძს...

*„ვერ ვურიგდები ამ ცხოვრების  
პომპეზურობას,  
ვერ გამოვდექი უზნეობის  
კანონმდებლად,  
მიჯობს, მორჩილად გავეხვიო შავ  
მოსასხამში  
და, ვით შეჰფერის მოკრძალებულ  
ბერს, მიუსაფარს,  
ნათელი გულით მივაშურო მთის  
მაღალ კალთას“ ...*

არტივისკოპოსი ჭიუენი

განდეგილმა და პოეტმა რიუოკვანმა სულიერი სიმშვიდის ძიებაში იაპონიის ჩრდილოეთამდე მიაღწია. მისი ღარიბული, ცალ გვერდზე გადახრილი ქოხი იაპონიის ზღვასთან გაშენებულ ერთ ჩვეულებრივ, უმნიშვნელო სოფელში იდგა. ქოხის სიცარიელეს დღისით სარკმლიდან შემოფრენილი ჩიტების უღურტული, ღამით კი - მთვარის ბრწყინვალე ნათელი ავსებდა... ერთ დილით საოცარი რამ აღმოაჩინა ბერმა - მის ქოხში ბამბუკის ხის ნორჩ ყლორტს ამოეყო თავი! აღფთოვანებული რიუოკვანი თავს ევლებოდა მცენარეს და სიხარულით ადევნებდა თვალს მის ზრდას... დღე დღეს მისდევდა, თვე - თვეს, წელიწადი - წელიწადს და აი, ტანაყრილმა ბამბუკმა ქოხის ჭერს მიაღწია... არ უყოყმანია რიუოკვანს, ანთებული სანთლიდან შეუპოვრად მოუკიდა ცეცხლი ქოხის ჩალით დაფენილ სახურავს და გზა მისცა ბამბუკს...

ეს, ალბათ, პოეტური თავისუფლების ერთგვარი მანიფესტი იყო. თავისუფლებისა, რომელიც თამამად აქცევს ზურგს მოძველებულ ნორმებს, მომაბეზრებელ დოგმებს, უვარგის წესებს და უკალაპოტო, აზვირთებული დინებისაკ-

ენ მიაქანებს სულს... აქ არ არსებობს მიზეზი და არ არსებობს მიზეზი, არსებობს მხოლოდ მშვენიერების უზადლტ განცდა, თავისუფალი ყოველგვარი ჩარჩოებისგან...

*„თავანყვეტილო, გიჟმაჟო ქარო! ო,  
გვედრები!  
სწრაფად მოჰკრიბე ნაცრისფერი,  
კუშტი ღრუბლები!  
ვინძლო ამ წმინდა, გულთმისანმა  
ქალიშვილებმა  
ცას გამოჰფინონ ფრთაგაშლილი  
ანგელოზები  
და მათთან ერთად გამაქროლონ  
მორეთის გზებზე“ ...*

ეპისკოპოსი ჰენჯო

...ერთ საღამოს, ხეტილით დაღლილ საიგიოს თავშესაფარი უთხოვია მოხუცი ცოლ-ქმრისათვის. ცოლ-ქმარს სიამოვნებით შეუთავაზებია მგზავრისთვის ღამის გათევა, მხოლოდ... ბოდიში მოუხდია ქოხის არასახარბიელო მდგომარეობის გამო. მართლაცდა, უცნაურად გამოიყურებოდა ქოხი - სახურავი მხოლოდ სანახევროდ იყო გამართული... „რატომ მთლიანად არ გადახურავთ ქოხს?“ - დაინტერესებულა ბერი-პოეტი და სრულიად მოულოდნელი რამ შეუტყვიყვა: ერთმანეთთან ვერ მორიგებულან მოხუცები - ქალს თავდავიწყებით ჰყვარებია მთვარე და გადაუხურავი ქოხის მიღმა ყოველლამ ეალერსებოდა მთვარის ნათელს, კაცს კი ქოხის სახურავზე წვიმის წვეთების რანკა-რუნკი ხიბლავდა და შემოდგომის გრძელ ღამეებში სველი ფოთოლცვენის უნაზესი ჰანგებით ტკებოდა... განცვიფრებულ საიგიოს იქვე შეუთხზავს ლექსი:

*„რა სჯობს, ვინ იცის,  
შვეერცხლილი მთვარის ნათელი,  
თუ შემოდგომის სევდიანი წვიმის  
შხაპუნი?  
ჩვენი ფიქრები სხვადასხვა გზით  
მიედინება“ ...*

საიგიო



მთვარე და წვიმა, ქარი და ფოთოლ-  
ცვენა, ნეკერჩხლები და ქრიზანთემები...  
სწორედ მათი მაგიური მონაცვლეობა  
ქმნის მისტერიასა და იდუმალებას  
იაპონურ პოეზიაში... თუკი მთვარე მარ-  
ტობისა და სევდის სიმბოლოა, წვიმის  
ხმა დინამიურად აძლიერებს ძარღვების  
პულსაციას, თუკი ფოთოლცვენა შორს  
გაფრენილი, ნალვლიანი ოცნებების  
კივილს მიაგავს, თეთრად მოქათათე  
ქრიზანთემები მარადიული და უჭკნობი  
სიყვარულის აპოლოგიაა... ზღვასავით  
გამჭვირვალე იაპონურ პოეზიაში  
ლამაზ-ლამაზი, წერილ-წერილი კენჭე-  
ბივით მოსჩანს ბუნება...

*„გაახსენდებათ გაზაფხული  
ტურფა ყვავილებს  
და შექველად მალე მოვლენ  
ცოდვილ მიწაზე,  
ზურმუხტისფერად მოშრიალე  
ხეების ჩრდილქვეშ  
მე მოთმინებით ველოდები მათ  
პირველ ყლორტებს“...*

საიგიო

...ტყეში გზააბნეულ პოეტს და  
ფილოსოფოსს დოოგენს მალალი ნეკერ-  
ჩხლების წიაღში შემოჰლამებია ერთხელ.  
წრუანტელივით დაუვლია ტანში მიუსა-  
ფარი მარტობის შეგრძნებას. სა-  
სონარკვეთამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებო-  
და, რომ, უეცრად, წვიმის გაბერილი წვე-  
თი დასცემია ხელისგულზე, ერთს მეორე  
მოჰყოლია, მეორეს – მესამე, მესამეს –  
მეათე და სულ მალე, ტყე შეუძრავს  
კისრისტეხით მოშხაპუნე წვიმას...  
გასაოცარი შეება უგრძენია დოოგენს: ის  
ალარ იყო მარტო! ციდან წყალობასავით  
მოვლენილმა წვიმამ ტყის რიტმში  
სუნთქვის თანაზიარად აქცია პოეტი!

*„ჩვენ ღრუბლებივით ნელა  
დავცურავთ დაბადებას“*

*და სიკვდილს შორის!  
მთვარეულები მივუყვებოთ  
ცოდნისა და უმეტრების ვინაობას  
ბილიკებს!  
მაგრამ ძილშიც და ღვიძილშიაც  
მარადიულ ხსოვნად ქცეულა  
ჩემთვის  
ფუჟაკუსას ტყის სიჩუმეში  
გავგონილი წვიმის ხმაური“...*

დოოგენი

დაიგოჯის<sup>1</sup> ცენტრალური დარბაზის  
ვერანდაზე საათობით სხედან ხოლმე  
იაპონელები და თვალს არ აცილებენ მო-  
მცრო ქვებითა და მასიური ლოდებით  
ნაშენ ბაღს... პატარ-პატარა ნაცრისფერი  
ქვები აბობოქრებული ოკეანის ილუზიას  
ქმნიან, უტყვად დაყუდებული თლილი  
ლოდები კი მასში გაბნეული თავშესაფარ-  
ი კუნძულებია... ..ესაა ჩვენი ცხოვრება,  
– ამბობენ იაპონელები, – განუწყვეტილი  
ხეტიალი სიმშვიდესა და მღელვარებას  
შორის... ამაში ვხედავთ პოეზიას, ჩვენ,  
იაპონელები“...

იაპონელებს გენეტიკურად მოსდ-  
ვამთ ლტოლვა სიფაქიზისადმი,  
სიმკრთალისადმი, სინმინდისადმი. მი-  
ნისძერისაგან გაპარტახებულნი, აუჩ-  
ქარებლად სვამენ მწვანე ჩაის და დაუს-  
რულებლად უმზერენ დედოფალივით  
გაბრწყინებულ მთვარეს, წყალდიდობის-  
გან იავარქმნილნი, მოუღლეულად უსმე-  
ნენ ქარის შფოთვას და შემოდგომის  
ფოთლების ნალვლიან მესას, გვალვისა-  
გან ილაჯგანყვეტილნი, ბავშური სიხ-  
ალისით ეგებებიან მზეს და გატაცებით  
კრეფენ მინდვრის ყვავილების უმშვე-  
ნიერეს თაიგულებს... იაპონური ლექსის  
მაგიური ხიბლი იაპონელთა სულიერ სი-  
ძლიერეშია, იაპონური სულის ძლევა-  
მოსილება კი ღვთისაგან ბოძებული სამ-  
ყაროს უკიდევანო, უსაზღვრო, თავ-  
დავიწყებულ სიყვარულში ძევს...

<sup>1</sup> დაიგოს ტაძარი

„მწუხრი ბინდ-ბუნდი და ერთი ციდა  
მდინარე ნარას ფაქიზი სუნთქვა,  
შრაინის მაღალ კარიბჭესთან  
ან განბანილი მლოცველების ჩუმი  
ბუტბუტი...  
სიზმარს მიაგავს ყოველივე...  
უმშვენიერეს ზაფხულის  
სიზმარს“...

აიუტაჯა

## 2. თარგმანის სირთულეები....

1235 წელს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი იაპონური ლექსების საუნჯე ერთ ნიგნად შეუკრავს პოეტ სადაიიე ფუჯივარას და კრებულისათვის „შიაკუ ნინ იშუ“, ანუ „ასი უძველესი ლექსი“ უწოდებია, 97-ე ნომრად კრებულში მოკრძალებულად ჩაურთავს საკუთარი სალექსო ვერსია, ხოლო ათვლის წერტილად მე-7 საუკუნის იმპერატორის, ტენჩის პოეტური შედევი მიუჩნევია: როგორც ჩანს, განსაკუთრებული სიახლოვე იგრძნო ხუთსტრიქონიანი ტანკას ფიქრიან ავტორთან.... იმპერატორი ტენჩი მთელი ექვსი საუკუნით ადრე ცხოვრობდა, 668-671 წლებში მართავდა ქვეყანას, გულმოდგინედ და მონდომებულად (როგორც ამტკიცებენ მეისტორიენი), თუმცა შემოქმედებითა და პოეტურ უკვდავებაზე არანაკლებ იმედებს ამყარებდა, ვიდრე სახელმწიფოებრივზე. მისი ცხოვრება თითქოს ტაატიტ მიუსევებოდა რეალურსა და წარმოსახულს, ყოფითსა და პოეტურს შორის გადებულ ვინრო ბილიკს. გადმოცემის თანახმად, სადაიიე ფუჯივარას მიერ შერჩეული ტანკაც სახელდახელოდ შეუთხზავს იმპერატორს, როდესაც მოსალოდნელი ავდრის გამო, შესაძლებლობა მისცემია, შეენწყვიტა საიმპერატორო მიწების შემოვლა (ვინძლო ერთობ მოსაბეზრებელი საქმე) და, ნაუცბათევეად გამართული ფანჩატურიდან, პოეტის თვალით დაკვირვებოდა გლეხების გარჯას:

„შემოდგომის ამ ღრუბლიან დილით  
ოქროსფერ თავთავს შეიან გლეხები,  
ფანჩატურიდან გაცეკვნით-ყანასა და  
მაფრთხობს ფიქრი:  
ვერ დამიფარავს წვიმისაგან  
სადგომი ჩემი...“  
იმპერატორი ტენჩი

ამ მცირე სალექსო ვერსიის უჩვეულო ემოციურმა და აზრობრივმა სიღრმემ თუ განაპირობა სადაიიე ფუჯივარასა და ტენჩის – სხვადასხვა ეპოქის ორი პოეტის – შეხვედრა ტექსტში: ისინი, უცხონი, შეიყარნენ და გათანაბრდნენ. „მაღალი პოეზიის“ (ზოგადად, „დიდი ლიტერატურის“) პარადოქსი, ალბათ, დროის ფიზიკური იმპერატივების უგულვებელყოფაა: ტექსტი არღვევს დროის ქრონოლოგიური თანამიმდევრობის კანონს და სინქრონული ერთდროულობის ყალიბში განათავსებს ავტორსა და მკითხველს. შემთხვევით არ ვაწყდებით მე-12 საუკუნის იაპონურ თხზულებაში – „უსათაურო ჩანანერები“ – ამგვარ ფრაზას: „ადამიანები ქმნიან სიმღერებს, ლექსებს, შემდეგ ფურცლებზე გადააქვთ ტექსტები და აწერენ ხელს. გადის ასი, ხშირად ათასი წელიც. შთამომავლები კითხულობენ მათ ჩანანერებს და უნებურად ექმნებათ გენიალურ ავტორებთან პირადად შეხვედრის ილუზია“.

ცნება „ილუზია“ განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს იაპონურ პოეზიაში. ის ინერგება არა მხოლოდ კომპოზიციური ნიუანსის, არამედ შინაარსობრივი ელემენტისა და ტექსტის ინტერპრეტაციის მნიშვნელოვანი ბერკეტის ფუნქციით. „ილუზია“ არის „მირაჟი“, „გრძნობათა მოტყუება“, რომელიც ავტორისეული „ოპტიკური თამაშების“ მეშვეობით აღწევს პოეტური ხედვის გაზუნდოვანებას და იწვევს ტექსტის დატვირთვას ორაზროვან სიტყვათა წყებით. მკითხველი, თავის მხრივ, დაულალავად ცდილობს პოეტური რეზუსების ამოხსნას. იაპონურ პოეზიაში სიტყვის მნიშვნელობა იშვიათად არის ერთი და სწორხაზო-



სტრიქონისა, რომელსაც აქვს ყველაზე მჭიდრო შეხება ლექსის მთავარ იდეასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანის პროცესი იძენს უაღრესად ინდივიდუალურ ხასიათს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უზრუნველყოფს ავტორისა და ინტერპრეტატორის ინტიმურ ურთიერთობას ტექსტის დონეზე.

გარდა შინაარსობრივი კოდებისა, თარგმანის პროცესის მორიგ სირთულეს ენობრივი შეუსაბამობების დაძლევა წარმოადგენს. უილიამ კოლინზი წერდა: „როგორი დეტალებიც, მათი სიმრავლე კი ეჭვგარეშეა, არ უნდა აღმოაჩინოს მკითხველის დაკვირვებულმა თვალმა, იმედი მაქვს, ერთი რამ უდაოა: ორიენტალისტთა ნამუშევრები შეიცავს უამრავ ლინგვისტურ სირთულეს და მხოლოდ ენობრივ მაქინაციებში გამოცდილმა მთარგმნელმა შეიძლება დაძლიოს თარგმანის სირთულეები“.

განსაკუთრებულად დახვეწილია უძველესი იაპონური ლექსის ენა. ის სრულიად თავისუფალია ჩინური ენის ზეგავლენისაგან, რადგანაც ლექსის წერა ადრეული ეპოქების იაპონიაში ცალსახად არისტოკრატთა პრივილეგიაა. უძველესი ტანკას ენობრივი მოდელი წარმოადგენს პოეტური იდეებისა და მაღალმხატვრული ენის სინთეზს, გაჯერებულს სიტყვათა ელემენტური თამაშით, რაც დაცლილია ყოველგვარი ვულგარულობისაგან და განთავსებულია გარკვეული სალექსო საზომის ფარგლებში. სალექსო ვერსიების ავტორები დგვევლინიებიან იმპერატორები, პრინცები, ფეოდალები, მაღალი წრის ქალბატონები, განსწავლული ბერები — მათი სალიტერატურო ენა მეტაფორების, მხატვრული ეპითეტების, შედარებებისა და სხვა ტროპული კომპონენტების ჰარმონიულ ნაზავს წარმოადგენს. გამომდინარე აქედან, თარგმანის პროცესის დამატებით სირთულეს ქმნის სათარგმნი მასალის ენისა და თარგმანის ენის მოყვანა სტილისტურ შესაბამისობაში, სიტყვათგანლაგებისა და სიტყვათკომბინაციების ეთიკის დაცვა. სტილის

ადრევეა იწვევს ლექსის განწყობის რღვევასა და დაცლას იმეოციური მუხტისგან, რომელიც ჩადებულია ლექსში ავტორის მიერ. სტილი საჭიროებს დაცვას. ასე მაგალითად:

*„ო, რა გრძელია ქარვისფერი  
ხოხობის კუდი —  
ლერწმის ტოტივით იდრიკება  
მაღლა ფრენისას,  
მაგრამ, გარინდულს მიუსაფარ  
მარტობაში,  
მე მაკრთობს ფიქრი:  
მასზედ გრძელი და უსასრულო არის  
ეს ღამე...“*

ქაკი-ნო მოტო

„ქარვისფერი ხოხობის კუდი“ და „ლერწმის ტოტი“ არის ის მეტაფორული ლერძი, რომელზეც დაშენებულია მე-მ საუკუნის პოეტის ქაკი-ნო მოტოს ორიგინალური ტექსტისა და თარგმნილი ტექსტის ემოციური პირამიდა. სტილისტური შეუსაბამობა გამოიწვევს ამ პირამიდის რღვევას.

არანაკლებ სირთულეს გვთავაზობს უძველესი ტანკა თემატიკის თვალსაზრისით. შეუძლებელია ტანკას თემატიკის განსაზღვრა სტანდარტული პარამეტრების მიხედვით. ერთი შეხედვით, პრეტები თითქოს ჩვეულებრივ თემებზე წერენ — სიყვარულზე, სევდაზე, მარტობაზე, ფიქრებზე, ოცნებებზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ანუ, საერთოდ, სამყაროზე და ყველაფერზე, რაც შეადგენს სამყაროს. მხოლოდ განსხვავებულია წერის მანერა: ზოგან აზრი აქცენტირებულია, ზოგან — თითქოს ხელოვნურად არის განაპირებული, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, საძებნელია ემოციური მუხტისა და სტილისტიკური მანერების დაფარულ შრეებში. აზრის ძიება არის იაპონური პოეზიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კანონი. ძიების პროცესი ბუნვის ხიდზე სიარულს წააგავს, როდესაც მძიებელს მუდმივად უწევს სამყაროს გააზრების იაპონური მოდელის გათვალისწინება. სამყაროს



აღქმის იაპონური მოდელი არ ჰგავს ევროპულს. თუ ევროპული ცნობიერებისათვის სამყარო წარმოადგენს ერთგვარ „საცდელ კურდღელს“, იაპონური მსოფლმხედველობა მოიაზრებს მას როგორც მოცემულობას, რომლის კორექტირების უფლებაც მას არა აქვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იაპონური მსოფლალქმის პოზიციიდან ადამიანი არის ადაპტორი, რომლის ერთადერთ ფუნქციასაც შეადგენს სამყაროს მიღება იმგვარად, როგორადაც ის არის შემოქმედისგან მოცემული. „სუნიატა“ – ასე იწოდება ბუდიზმის ერთ-ერთი ძირითადი თეორია, რომელიც „სიცარიელეს“, ანუ „ვაკუუმს“ აღნიშნავს და საფუძვლად ედება სამყაროს აღქმის აღმოსავლურ მოდელს. იგი ასაზრდოებს იაპონელთა უმთავრეს რელიგიურ დოქტრინას – ძენ-ბუდიზმს და ფართოდ განივრცობა მთელი იაპონური კულტურის მასშტაბით. იქნება ეს მხატვრული ნაწარმოები, ფერწერული ტილო თუ მუსიკალური მქლოდია, ძენ-ბუდიზმის ამ უმთავრესი პრინციპით ნასაზრდოები იაპონელი ხელოვანის ქმნილებაში მუდმივად შეიგრძნობა უძირო სიცარიელე, როგორც აბსოლუტთან შერწყმის ქეშმარიტი გზა. აი მაგალითად, როგორი სიუჟეტი ჩაუხატავს მე-12 საუკუნის უცნობ იაპონელ მხატვარს: უკიდვანო ზღვაში ეულად მიცურავს პატარა სათევზაო ნავი. ფრაგმენტი თავისთავად ჰბადებს თვალუნედევილი სივრცის შეგრძნებას და, ამავე დროს, შეგრძნებას უჩვეულო სიმშვიდისა, რაც გლობალური მარტოობისა და გარინდების აურითაა ნაკარნახევი. ნავი თითქოს უმწეოდ, დაუცველადაც კი, გამოიყურება ზღვის გაშლილი, ცარიელი სივრცის ფონზე, მაგრამ ამ პრიმიტიული უმწეობის მიღმა კონტრასტულად შეიგრძნობა აბსოლუტის ყოვლისმომცველი ძალა, რაც წარმართავს პატარა სათევზაო ნავის მოძრაობას ზღვაში და, ზოგადად, სამყაროს მოძრაობას. „ღეთისათვის დატოვებული სივრცის“ მოდელი არსებითა უძველეს იაპონურ პოეზიაშიც. თემატური მრავალფეროვნების მიუხედავად,

საკრალური სიცარიელე თითქმის ყოველი სალექსო ვერსიის კონცეპტუალურ ატრიბუტს წარმოადგენს, თბილისის ყოველ სალექსო ვერსიაში იკვეთება ეს „დიადი“ პაუზა. შესაბამისად, მთარგმნელის ამოცანაა მისი, მოხელთება“ და გადმოტანა თარგმნილ ვერსიაში. მთარგმნელმა ზუსტად უნდა მოძებნოს განწყობა და განწყობის შესაქმნელად საჭირო ლექსიური აპარატი. აი, როგორ გამოსჭვივის ეს თემა მე-8 საუკუნის პოეტის, აკაპიტო იამაბეს ტანკაში:

*„ძიძე ნაბიჯით მიუყვები ხრეშიან ბილიკს ტაგოს ფიქრებით ჩამონისლულ სანაპიროზე, ცოდვილი სულის სინანული ფარფატებს ფიფქი და ვერცხლის თალის ცის ტატნობზე ელავს ყინული – ამაყი ფუჯი გარინდული თოვლთა ფანტომში....“*

აკაპიტო იამაბე

აბსოლუტის წარმმართველი ძალა სამყაროს შეცნობის იაპონური მოდელის საფუძველია – მის წიაღში ადამიანი ეძიებს თავის თავს და ისწრაფვის შერწყმისაკენ. ერთხელ, წვიმიან დილით, ძენის დიდ ოსტატს კიოშოს შემდეგი რამ უთქვამს მონაფისათვის: „გზაბნეულნი არიან ადამიანები. ისინი ხშირად გაუაზრებლად მიჰყვებიან ბუნების მოვლენებს და არ იციან, როგორ ეძიონ თავი მის წიაღში“. ძიება და შერწყმა არის იაპონური ხელოვნების და, ცხადია, ლიტერატურისა და პოეზიის უმნიშვნელოვანესი კანონი. აბსოლუტის ნებით წარმართული ბუნების მოვლენების აღქმა, მათთან შერწყმა და მედიტაცია ოდითგანვე იქცა იაპონური პოეზიის ქვაკუთხედად. დასაბამიდან ვიდრე დღემდე იაპონური პოეზიის განვითარების ტენდენციები შეიძლება განისაზღვროს როგორც სამყაროს წიაღში ადამიანის შეღწევისა და მისი პულსაციის შეგრძნების დაუოკებელი სურვილი. ამ პრინციპს ვერაფერი



დააკლო დრომ. მიუხედავად მძლავრი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა, ურბანიზაციისა, ემანსიპაციისა, რამაც ფართოდ მოიცვა იაპონური დღევანდელი, იაპონელთა ესთეტიკური პრინციპები უცვლელი დარჩა: მეცნიერების ვერც ერთი მონაპოვარი, ვერანაირი ტექნიკური აპარატურა ვერ მოგვცემს საშუალებას, გავერკვეთ ცხოვრების მისტერიებში. ერთადერთი ჭეშმარიტი გზა ამ მიზნისკენ ადამიანის სულზე ძევს — ვეძიოთ არა ზედაპირზე, არამედ — სიღრმეში, არა — გარშემო, არამედ — შიგნით. აზროვნების ეს ერთგვარად არქაული სტილი არამც და არამც არ ნიშნავს პრიმიტიულ ან პრეისტორიულ პოზიციებზე დაბრუნებას. პირიქით, იგი თვალნათლივ ადასტურებს იაპონელთა უნარს, ნოვაციების კონტექსტში შეინარჩუნონ ტრადიციული ესთეტიკური სულისკვეთება, არ დააკნინონ სულიერი თავისუფლების ღირებულება. ამ მოსაზრებას ნათელჰყოფს ისეთი ტრადიციული კულტურული ფორმების შენარჩუნება, როგორცაა ნოს თეატრი, ჩაის ცერემონია, ხის ფიქალზე ბეჭდვა, იკებანა, კალიგრაფია და, რასაკვირველია, რეალობის ინტუიტიურ-ემოციური აღქმა ლიტერატურაში. უკან მიხედვა ცოდეა არ არის. მე-20 საუკუნის უდიდესი იაპონელი მწერლები — რიონესკუ აკუტაგავა, კობო აბე, კავაბატა იასუნარი, იუკიო მიშიმა, კენძაბურო ოე და სხვანი ქედს იხრიდნენ იაპონური ლიტერატურული ტრადიციის წინაშე. იაპონელთა ესთეტიკის ყველაზე დიდი მესაიდუმლე კავაბატა იასუნარი, განიხილავდა რა უძველეს იაპონურ პოე-

ზიას, წერდა: „მაშინ, ჰეიანის იმ შორეულ ეპოქაში საფუძველი ჩაეყარა მშვენიერის ტრადიციას, რომელმაც არა მხოლოდ გავლენა იქონია შემდგომი საუკუნეების იაპონურ ლიტერატურაზე, არამედ პრინციპულად განსაზღვრა მისი ხასიათი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აბსოლუტის ნებით წარმართული სამყაროს მარადიული ბრუნვა და ცვალებადობა კვლავაც რჩება იაპონური ლიტერატურის ალტაცებისა და ჭვრეტის უმთავრეს ობიექტად, ძიება და შერწყმა, ზიარება და მედიტაცია, იდუმალება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა — უმთავრეს ესთეტიკურ ფასეულობებად.

...ორიენტალური კულტურა ყოველთვის, ხიბლავდა და იზიდავდა დასავლური კულტურის საუკეთესო წარმომადგენლებს. უამრავი მაგალითიდან შეიძლება მხოლოდ ერთის გახსენება. აი, რას წერდა ემერსონი 1844 წელს: „თქვენ ხშირად მდებთ ბრალად იმ გარემობას, რომ მე არ ვიცი, რა არის ცა-ცარიელი, ცა-მონმენდილი იდეალიზმი, იმდენად რამდენადაც ეს მიკერძოებაა, ვშიშობ, მე უფრო ღრმად ვარ დაავადებული, ვიდრე თქვენ გგონიათ. მე საოცარი ოცნებები მაქვს და ვტუქსავ ჩემს თავს არა ჩემი ოცნებების გამო, არამედ იმის გამო, რომ ოცნებები ვერ იქნა და ვერ დაეუფლენ ჩემსა სახლსა და ბელელს... მე მხოლოდ თავყვანს ვცემ მარადიულ ბუდას ბრაჰმას განმარტოებასა და გარინდებაში“. ემერსონის სიტყვებში ცხადად იგრძნობა ღრმა სინანული მსოფლხედვის აღმოსავლური მოდელის შეუცნობლობის გამო...“



## „ღმასაც ნაბჯრისთვალნი“, ანუ „თამარიანი“ და მისი ავტორი

ქუთაისში, გელათის სამონასტრო კომპლექსთან ახლოს, „მწვანე ყვავილას“ სასაფლაოზე განისვენებს „თამარიანის“ ავტორი სიმონ გუგუნავა. იგი გურიაში დაიბადა 1839 წელს, რალაც სიმბოლურია იმაში, რომ მისი დაბადების 150 წლისთავზე აღსდგა ისტორიული სამართლიანობა და ოზურგეთი კვლავ ოზურგეთია. სიმონ გუგუნავა მთელი არსებით მასთან იყო დაკავშირებული. ჯერ იყო და სწავლობდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში. მართალია, იგი არ დაუმთავრებია, მაგრამ აქ ჩაეყარა საფუძველი მის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მიმართულებას. გარდა ამისა, თითქმის ათ წელიწადს ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო. მანამდე კი საკმაოდ რთული გზა განვლო. რა თქმა უნდა, მის პიროვნებას და ხასიათის სიმტკიცეს შემდგომ თავისი კვალი დააჩნია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობამ. მართალია, საბრძოლო ეპიზოდების ამსახველი დოკუმენტური მასალა არა გვაქვს, მაგრამ აქ იგი უბრალო მაყურებელი რომ არ იქნებოდა, ცხადზე ცხადია, მით უმეტეს ამ ომის შემდგომ წლებში იგი მთავრობაში საკმაოდ მიღებული კაცი იყო, რაც ადრინდელი დამსახურების გარეშე არ მოხდებოდა.

უფრო ადრე, ვიდრე ოზურგეთის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩევენ, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის წევრი იყო. ამ ქალაქთან მისი კავშირი იმითაც გან-

ისაზღვრა, რომ ცოლად ჰყავდა სილამაზით განთქმული ქუთაისელი ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ქალი ფედოსი. მისი მშვენიერება თვით პეტერბურგშიც ყოფილა განთქმული. არსებობდა ლიტერატურული წყარო იმის შესახებ, რომ თვითმპყრობელური რუსეთის სატახტოში მას რამდენიმეჯერ სილამაზის პრიზიცი დაუსაკუთრებია.

სიმონ გუგუნავას მოყვრობა ქუთაისელებთან უფრო მეტად იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ეს ქალაქი მაშინ ჩვენი კულტურის ცენტრი იყო და ისიც ბუნებრივად ჩაერთვებოდა მის საზოგადოებაში.

რარიგადაც არ უნდა წარმოვიდგინოთ საზოგადოებრივი და სამოქალაქო სამსახური, იგი მაინც მისი ცხოვრების მეორეხარისხოვანი ფაქტია. სიმონი თავის წრეში იმ დროს პოპულარული გახდა და სამერმისოდაც შეუნახა სახელი ლიტერატურულმა მოღვაწეობამ. ამ დარგში ოჯახური ტრადიციაც მოსდგამდა. ჩვენს დრომდე შემონახულია მისი მამის – დავითის (რომელსაც თურმე დიდ დათა გუგუნავას ეძახდნენ), ლექსები. ისინი ჩვენთვის მნიშვნელოვანია, როგორც ფაქტობრივი მასალა. მათ ლიტერატურულ ღირებულებაზე არ ვლაპარაკობთ. აღსანიშნავია, რომ სიმონ გუგუნავას დედაც, ქუთაისელი მიქელაძის ქალი ყოფილა. ადვილი მისახვედრია, რასულიერ მიმართულებას მისცემდა ელისაბედი თავის პირმშოს. სავსებით სამართლიანად შენიშნავენ მკვლევარები, რომ სიმონ გუგუნავას გატაცება ისტორიული

თემატიკით შემთხვევითი არ ყოფილა. მისი საფუძველი ჯერ მშობლები, ოჯახი, შემდეგ აღზრდა და გარემო იყო.

სიმონ გუგუნავას შემოქმედებით მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანია ლექსები: „მოსწავლე ქართველობას“, „დედაენა“, „მომენყინა ცხოვრებაში“, „მამია გურიელის საფლავზე“, „დრო“, „მოხუცის ანდერძი“, „ტყვე სასტიკი ზამთრისა“. ზოგიერთი მათგანი გამოქვეყნებულია ყოველკვირეულ გაზეთ „კვალში“. ეს მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან იმ დროს ამ გაზეთში იბეჭდებოდა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, გიორგი წერეთლის, ეკატერინე გაბაშვილის, შიო არაგვისპირელის, დუტუ მეგრელის, ვასილ ბარნოვის და სხვა თვალსაჩინო მწერალთა ნაწარმოებები.

სიმონ გუგუნავას მემკვიდრეობაში მაინც ყველაზე მნიშვნელოვანია ისტორიული პოემა „თამარიანი“, რომლითაც თავის დროზე ძალზე პოპულარული გახდა. ეს პოემა პირველად 1888 წელს გამოცა და იმთავითვე მიეტანა მკითხველი. დღემდე ამ პოემის ბევრი გამოცემა გვაქვს. მათ შორის ორჯერ დაიბეჭდა ბათუმში, ძმები თავართქილაძეების სტამბაში.

მაინც რით არის მნიშვნელოვანი „თამარიანი“, თავის დროზე რომ ცხოველი ყურადღება მიიპყრო და მის მიმართ ინტერესი დღესაც არ განელებულა, ადრე არსებული მაღალი ტირაჟების პირობებშიც კი დიდხანს რომ არ ჩერდება წიგნის თაროზე?

მკითხველმა თავის დროზე გაიგო და მით უმეტეს ახლაც იცის, რომ „თამარიანი“ სიმონ გუგუნავას ორიგინალური ნაწარმოები არ არის. მისი პროზაული ვარიანტის ავტორია XIX საუკუნის შუახანებში მოღვაწე პროზაიკოსი, პოეტი და მთარგმნელი გრიგოლ რჩეულიშვილი. მის მხატვრულ პროზაში მნიშვნელოვანია: „ქვრივის ლიმონები“, „ანუკა ბატონიშვილი“, „შეშლილი“ და „თამარ ბატონიშვილი“. ეს უკანასკნელი რომ ფართო მასშტაბის ისტორიული ნაწარმოებია და ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია,

პირველად ყურადღება მიაქცია პოეტმა რაფიელ ერისთავმა და გალექსა კიდევ. შემდეგ მის სიუჟეტს პოეტურად მიმართა სიმონ გუგუნავამ. „თამარ ბატონიშვილის“ სიმონისული გალექსილი ვარიანტი, „თამარიანი“ რომ უწოდა, სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და სამუდამოდ შეუნახა სახელი მის ახალ ავტორს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„თამარიანი“ ძირითადად XII საუკუნის მოვლენებს, დიდი თამარ მეფის შემდგომ ეპოქას — რუსუდანის და ლაშა-გიორგის ცხოვრების ეპიზოდებს ასახავს.

„მე მინახავს კახელი გლეხი, — წერს საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი, — რომელიც ბუკინისტებში „თამარიანს“ ეძებდა... მახსოვს მისი ნაღვლიანი სახე, როცა უთხრეს, აღარა გვაქვსო“. ჩვენი დროის პოეტის ცნობით, ეს პოემა თურმე „ვეფხისტყაოსანივით“ გადადიოდა ხელიდან ხელში და ზოგიერთი მკითხველისათვის დღესაც „ნატვრისთვალს“ წარმოადგენს.

ეს სიტყვები 1920 წელს დაიწერა და ზოგიერთი კეთილგანზრახული გადაჭარბების მიუხედავად, ჭეშმარიტებაა. უპირველესად მკითხველის ყურადღებას მასში აღწერილი დრამატიზმით აღსავსე ისტორიული სინამდვილე იქცევს. იგივე იოსებ გრიშაშვილი მიუთითებს, რომ ეს „საოცარი დრამა“ თვით იაკობ გოგებაშვილმაც კი ამოიღო „ქართლის ცხოვრებიდან“ ყრმათათვის საკითხავ წიგნად. შენიშნა, „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთ ხანგრძლივსა და რთულ დრამას, რომელსაც ასი ტექსპირიც ვერ ამოლევსო“.

რა არის ეს „საოცარი დრამა“?

თამარ მეფეს ორი მემკვიდრე, რუსუდანი და ლაშა-გიორგი დარჩა, უკანასკნელი კი უგულშემატკივროდ გარდაიცვალა, რახან კანონიერი ცოლი არ ჰყავდა. მეფეს ჰყვარებია ერთი კახელი გლეხის ქალი, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი (დავითი). ცხადია, სასახლის დიდებულთა კაპრიზებმა დავითს გზა გადაუღობეს სამეფო ტახტისაკენ. რუსუდანს კი თავისი ვაჟის გამეფება სურდა და გადაწყვი-



ტა უკანონო ძმისწულის სიკვდილი. მას სულთანთან გზავნის, რომელსაც რუსუდანის ასული თამარი ჰყავდა ცოლად. ბუნებრივია, სულთანმა იცის სიდედრის ნადილი. ასეთია მართლაც ამ „საოცარი დრამის“ ისტორიული სარჩული, შემდეგ უკვე ბევრი რამ პროზაული ვარიანტის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, რასაც ძირითადად მიჰყვება სიმონ გუგუნავას მიერ გალექსილი პოეტური ვარიანტი.

„თამარიანში“ გვხვდება ელვარე პოეტური სტრიქონები, შესანიშნავი სახეები და სიუჟეტების ბუნებრივი მდინარეობაც მისი ავტორის ნიჭიერებაზე მიუთითებს, თორემ სიმონ გუგუნავას, როგორც ვთქვით, დიდი კლასიკური განათლება არ მიუღია.

იქნებ ახლა ბევრს აღარც ახსოვს, რომ ეგზომ გავრცელებული სიტყვები „შალვა, ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტადტკბილო“ და ა.შ. სიმონ გუგუნავას „თამარიანიდანაა“ და ხალხური ჰგონიათ. ეს არცაა გასაკვირი. ჩვენი კლასიკოსი პოეტებისა და მკითხველების ურთიერთობაში მსგავსი ფაქტი სხვაც ბევრია.

სიმონ გუგუნავა უყვარდათ მის თანამედროვეებს არა მხოლოდ როგორც „თამარიანის“ ავტორი. იგი იყო სიკეთით სავსე კაცი და ამა ქვეყნის მდაბიოთა ინტერესების დამცველი, რომელიც საქმითა და სიტყვით ილაშქრებდა ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ. ეს ის რაინდული თვისებაა, რასაც არ დაუკარგავს თავისი ზნეობრივი ცხოველმყ-

ოფელობა ჩვენს აჩქარებულ საუკუნეშიც.

ეროვნული

ისიც ცხადია, რომ „თამარიანის“ ავტორს ყოველთვის არ ჰქონდა დაღბნიებული ცხოვრება, დრო და გარემო ყოველთვის როდი აძლევდა „შალვა, ჩემო სიხარულოს“ სიმღერის განწყობილებას. სიმნარეც ბევრი ინწვია, სიმუხთლევ თავის თავზე გამოცადა ამა სოფლისა. 1906 წლის ერთ-ერთი დარბევის დროს მეფის დამსჯელმა რაზმებმა მისი სახლ-კარიც გადაწვეს, ხოლო უმცროსი ვაჟი გიორგი სხვებთან ერთად გააციმბირეს. როგორც ჩანს, ძალმომრეობის უხეში მანქანა თანდაყოლილივით კვალში მისდევს ქართველ მოღვაწეებს, რადგანაც მისი სისხლიანი ნაკვალევი ჩვენს განათლებულ საუკუნეშიც სამარცხვინო ანაბეჭდებს ტოვებს საქართველოს რუკაზე.

სიმონ გუგუნავას თავის „დედაენაზე“ ეპიგრაფად საკუთარი სიტყვები წარუძმღვარებია:

*„ჩემო აღმზრდელო ენაო,  
აჰყვავდი, იწყე ფრენაო,  
გისურვებ სხვათა ენები  
შემოგნატროდნენ შენაო“.*

ჩვენი მშობელი ენა, თვით „თამარიან-მაც“ შემოგვინახა, რადგან ქართველი კაცი თავის დედაენაზე კითხულობს საქართველოს ისტორიის „საოცარ დრამებს“.

იმიტომაც უნოდა იოსებ გრიშაშვილ-მა „თამარიანს“ „დეესაცნატერისთვალი“.



## ეთნიკური მობილიზაცია და ქართული უნივერსიტეტის ბაღი

ისევე როგორც საკუთარ ბიოგრაფიას, ქვეყნის კულტურის ისტორიის რეჟიმსაც სხვადასხვაგვარად აღვწერთ. ზოგჯერ ერთ ეპიზოდსა და ვითარებას ვანიჭებთ უპირატესობას, ზოგჯერ სხვას. ზოგადად კი ვიცით, რომ ეს ის ერთიანი დრამატულობით დამუხტული ჯადოსნური ამბავია, რომელსაც კონკრეტული კულტურა ქმნის და ქმნის იმათაც, ვინც ამ კულტურასთან ორგანულად და ექსისტენციალურად არის დაკავშირებული. ამ აზრით კულტურას შესაძლოა ბედისწერაც დავარქვათ, კულტურაში მოქმედ სუბიექტს კი საკუთარი ბედის ულმობელი მჭედელი.

ბედისწერა კულტურის ცალკეულ არტიფაქტებს უნიკალური ქსოვილით კრავს და სწორედ ეს ქსოვილი ანიჭებს კულტურას გარკვეულ ერთიანობას და განსაკუთრებულობას, ცალკეულ არტიფაქტებს, ეპიზოდებსა და მოვლენებს ერთიან ორგანულ სახეს. ამიტომაც იკითხება კულტურის ცოცხალ სხეულზე მტკივნეული არაორგანული ჩანართები, რომელიც მას სტრუქტურას უცვლის და მის ერთიან ქსოვილს არღვევს.

მეორეს მხრივ, სწორედ „სხვა“ და „უცხო“ ვითარებების მიმართ ანიტენცია აქცევს მას მგრძობობიარედ, ანიჭებს სიციცხლისუნარიანობას და ერთიანი ორგანულობის განცდას. სწორედ „უცხო“ მიმართ თვითდადგინება და მასთან კომუნიკაციაა ალბათ კულტურის ტრანსცენდენტალური ვითარება და ამ დრამატულ მომენტებში ხდება ერთიანი ეროვნული კულტურის თვითიდენტიფიკაციაც და ტრანსფორმაციაც. ეს ყო-

ველივე კი საოცრად დამუხტული ეთნიკური მობილიზაციის ხარჯზე მიიღწევა.

ეთნიკური მობილიზაცია რაღაც აზრით სპონტანური პროცესია. თითქოს კულტურის ცოცხალ ორგანიზმში მეორადი სასიგნალო სისტემა ჩაერთვება და იმუნურ სისტემას აძლიერებს.

ეთნიკური მობილიზაცია უმეტესწილად ფუნდამენტური ღირებულებების მქონე იდეების გარშემო ხდება. ამ ტიპის იდეები რაღაც აზრით იმანენტური აღმოჩნდება ხოლმე ეთნოსისათვის და ბევრწილად აქედან იღებს სათავეს ეთნიკური იდენტობაც.

ამგვარი ტიპის ფუნდამენტურ ღირებულებებთან იდენტობა გახლავთ ერთგვარი რელიგიური ინტიმი საკუთარ თავთანაც, სამყაროსთანაც და ღმერთთანაც. იგი შობს მსოფლმხედველობასაც და ცხოვრების წესსაც. ასეთი რიგის მოვლენები არა მხოლოდ ერთიანობის განცდას უქმნის ეთნოსს, არამედ აკონსტრუირებს მას, როგორც კულტურაში მოქმედ სუბიექტს.

საუკუნეების განმავლობაში ქართველთათვის ასეთი გახლდათ მაცხოვრის იდეა, რომელიც მართლაც ძალზე იმანენტური აღმოჩნდა ჩვენი ეთნოსისათვის. ამ იდეამ ააგო ქართველი არა მხოლოდ როგორც რელიგიური სიღრმისა და მეტაფიზიკური კონსტრუირების უნარისა და განცდის მქონე არსება, არამედ როგორც ისტორიული სუბიექტი – კულტურაში მოქმედებითი თუ პოლიტიკური ამბიციის მქონე.

ამიტომაც აერთიანებს სარწმუნოება საკუთარი ფუნდამენტური იდეების

გარშემო ეთნოსს და ეს გახლავთ ეთნიკური მობილიზაციის ერთ-ერთი და, ალბათ, ყველაზე მძლავრი და თავისთავადაც ფუნდამენტური სახე.

მეორეს მხრივ, აქედან მოდის ჩვენი უკანასკნელი ოცნლელის ფსევდოპრობლემაც – ღმერთი უფრო მაღალი ღირებულებაა თუ სამშობლო. სწორედ ამგვარ წიაღსვლაში აღმოჩნდება ხოლმე ხშირად სამშობლოს იდეა რელიგიური მუხტის მქონე და უზარმაზარი ძალისხმევა და კულტურა საჭირო, რომ მივხვდეთ ჩვენი რელიგიური მსახურების (ორივე აზრით) საზრისსაცა და მიზანსაც.

ამასთან, ხშირად სწორედ ამგვარი ეთნიკური მობილიზაციის მიმართ ზემგრძნობელობა იქცევა ხოლმე ამა თუ იმ ეთნოსისათვის მესიანისტური იდეოლოგიის წყაროდ. ეს ჩვენ არაერთხელ გამოგვიცდია და არაერთხელ ქცეულა ჩვენთვის იგი ხელისშემშლელი ისტორიულ სვლაში. თუ ერთის მხრივ, ამგვარი იდეოლოგია ბევრნილად კვებავს ეთნოსის ისტორიულ ამბიციას, რაშიაც ალბათ სათაკლო არაფერია, მეორეს მხრივ, იგი ხელს უშლის ისტორიულ-ტექნოლოგიური (თუ ასე შეიძლება ეწოდოს) რეალობის გააზრებასა და ხშირად ეთნოსი ფსევდოეთნო-მითოლოგიურ ფანტასმაგორიულ მისტიფიკაციებით ცდილობს გზის ვაკვლევას იქ, სადაც პრაგმატიზმითა და რაციონალიზმით დასახლებული ისტორიულ-ტექნოლოგიური (მაბატიეთ ნეოლოგიზმი და გამეორება) რეალებია.

ამიტომ გვეჩვენება (ან ცდილობენ, მოგვაჩვენონ) ღვთიურ ნიშნებად გიორგობადღეს რევოლუციის დამთხვევა, თუ მსგავსი რიგის მოვლენები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ალარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ სოციალური ექსპერიმენტები მართლაც ტოვებენ რელიგიური მუხტის მქონე შთაბეჭდილებას, რომ არა მათი სიღრმისეული განსხვავება რელიგიურ განცდასთან, რომ არა მათი ფუნდამენტალურ ღირებულებას მოკლებული მედროვეობა. ამ შთაბეჭდილებას კი კიდევაც იმიტომ ტოვებენ, რომ ერთი შეხედვით სრული

განცდაა ეთნიკური მობილიზაცია. თუმცა კი მალევე ხდება ნათელი, რომ ეს მობილიზაცია ფუნდამენტური იდეის გარშემო კი არ მოხდა, არამედ რალაც ფსევდოიდეის, რომელსაც უმაღლჩანაცვლებს სხვა, ფსევდო-სამართლიანობის ახალი, უფრო მოდერნიზებული ვერსია და ასეთი კალეიდოსკოპური უცნაურობით ცვალებადობს „მესიათა“ „მისიებიცა“ და ეთნოსის გემოვნებაც.

გვაქვს კი კიდევ რაიმე სხვა ფუნდამენტური ღირებულების მქონე იდეა ქართველებს, რომელიც ჩვენი რელიგიისა და რელიგიურობის წიაღში იშვა და ან მოხდა კი ოდესმე საერო ცხოვრებაში ასეთი იდეის გარშემო ეთნიკური მობილიზაცია, თავი რომ დავანებოთ უკანასკნელ ორ საუკუნეში რევოლუციებისა და სხვათა სოციალური ექსპერიმენტების მიმართ ჩვენს ასეთ მგრძნობელობას.

უნივერსიტეტი – საარალური ტოპოსი და მისი თანაზდროვა ასარალიზაცია (ან იქნავ პროფანაცია?)

ეთნიკური მობილიზაციის ამგვარი მაგალითი გახლდათ მეოცე საუკუნის პირველი ოცნლელის რევოლუციების საპირწონე ძალისხმევა – 1918(1) წელს ქართული უნივერსიტეტის დაარსება. ამ დროს თითქოს მთელი ქართული ინტელექტუალური რესურსი გაერთიანდა იმ სამყაროსთან ადაპტაციისათვის, რომელიც ჩვენი ისტორიული მთვლემარების განმავლობაში იშვა.

და თუ ჩვენ ეთნიკურ მობილიზაციას სტიქიურ პროცესად ვახასიათებთ, იყო თუ არა ეს ძალისხმევა სტიქიური; ძლისხმევა, რომელიც მე-19 საუკუნის სამოციანელებიდან იღებს სათავეს და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის უკვე უმძლავრეს ენერგად ფორმდება. სტიქიური იგი არის იმდენად, რამდენადაც უნდა იყოს ქართული ეთნოსის ეთნიკური მობილიზაცია ფუნდამენტური იდეისა თუ იდეების გარშემო. უნივერსიტეტი და მისი იდეა სწორედ ამგვარი ფუნდამენტური ღირებულების მქონე ძალას წარმოადგენდა ქართველთათვის (და

არაქართველთათვისაც, ზოგადად) და იდენტობის განცდასაც ქმნიდა.

რა მუხტის მატარებელია ეთნოსისათვის უნივერსიტეტი და რატომ არის შესაძლებელი, რომ იგი რელიგიურობის იდენტურ მუხტს ატარებდეს? იასპერსის სიტყვებს მოვიშველიებ: „უნივერსიტეტის ამოცანაა, დაეხმაროს მკვლევართა და სტუდენტთა საზოგადოებას ქვეყნის იტების ძიებაში“. თავად იასპერსი ერთ-ერთი იმ ფილოსოფოსთაგანია, რომელმაც განსაზღვრა ევროპის აზროვნებისა და ცნობიერების უახლესი პარადიგმა და, ალბათ, შესაბამისად ის განწყობილებებიც, რომელიც ევროპული კულტურის მიმართ ჩამოყალიბდა მთელს მსოფლიოში. უნივერსიტეტის იდეა გახლდათ ერთერთი ცენტრალური ლერძი ახალი და უახლესი ევროპული კულტურისა ზოგადად. განმანათლებლობა და ევროპული უნივერსიტეტის იდეამ განსაზღვრა ევროპული კულტურის რეჟიმი და ამ კულტურის დომინანტური როლი მთელს მსოფლიოში. ამის უმთავრესი მიზეზი კი უნივერსიტეტის ქვეყნობაზე ორიენტაცია გახლდათ. რელიგიური ძალისხმევის მსგავსად, ქვეყნობის შეცნობა „გზას“ საჭიროებს, ოღონდაც ამჯერად არა ლეთისმსახურის, არამედ მეცნიერის „გზას“. და, ისევე იასპერსს მოვიშველიებ, „პროფესორის ამოცანაა მეცნიერების გზით ქვეყნობის გადაცემა“.

და კიდევ ერთი იასპერსისეული „ნიუანსი“ — „პროფესორი თავისუფალია სწავლებისას“.

ამ უკანასკნელ მოტივზე შევჩერდები და ძალზე მოკლედ ვიტყვი, რომ სწორედ ეს უკანასკნელი გახლავთ პროფესორ-სტუდენტის ურთიერთობის „ინტიმი“ ქვეყნობისათან, სწორედ და მხოლოდ ამ რეგისტრში ხორციელდება (ან უნდა განხორციელდეს) მათი შინაგანი ერთობაც და, ასე ვიტყვოდი, „წმინდა გზაც“. ქვეყნობის ძიების ამ პროცესში მიღებული ცოდნა ესტაფეტასავით გადაეცემა ამ გზაზე შემდგარ ყოველ ახალ თაობას და ეს განსაზღვრავს თაობათა შორის უწყვეტობასაც და გზის არჩევა-

ნის თავისუფლებასაც. ამ პროცესში შესაძლებელია პედაგოგის მიერ მონიშნული გზიდან გადახვევა გზისაუცდენლად. ქვეყნობის გზა და საუნივერსიტეტო სწავლების პროცესი ამას არა თუ ითვალისწინებს, არამედ ამ და სწორედ ამ პირობით არსებობს. ეს არის ქვეყნობის ძიების დიალოგური პრინციპი და პირველადი ფილოსოფიური ტექსტების (სიბრძნის) ჩანერაც (ეს ძალზე მნიშვნელოვანია) ამ რეჟიმზე აიგო. იგი ორმაგ მუხტს ატარებდა — დიალოგს სიბრძნის რეჟიმში და კოდირებულ დიალოგს სიბრძნის გადაცემის თვალსაზრისით ყველა შესაძლო „სტუდენტთან“. ალბათ, ეს იყო და დღემდე არის ფილოსოფოს და მეცნიერ ბრძენთა უწყვეტობის განცდა მომავლის სამყაროსთან. ეს არის სწავლების თავისუფლება და სწორედ ეს გახლავთ კვლევისა თუ ძიების პროცესის უნიკალურობა.



განათლებაზე ორიენტირებული სამყარო ზოგადად ორგვარად შეიძლება დახასიათდეს: ერთი და უმთავრესი მჭვრეტელობითი დამოკიდებულება ქვეყნობისათან, ხოლო მეორე პრაგმატული — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა ბრძნობისა“, ანუ ამ ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა. სხვაგვარად, თუ შეიძლება ასე ითქვას (პროფანირებას მოვახდენ), სოციალიზაცია მჭვრეტელობით აკრეფილი ცოდნისა. ევროპული უნივერსიტეტები ძირითადად და უფრო მეტად მჭვრეტელობით დისკურსში მოღვაწეობდნენ, ვიდრე პრაგმატულში. ისინი ქმნიდნენ გარკვეული ტიპის სივრცეს — დამოკიდებულებათა სისტემას და ამ სისტემის ფარგლებში ცდილობდნენ, ეს ცოდნა ექციათ ბუნებრივ და ორგანულ სისტემად, რომელიც კეთილ ნაყოფს გამოიღებდა. ის ინფორმაციული სხეული, რომელსაც საუნივერსიტეტო სისტემა და სტრუქტურა ქმნიდა, საბოლოო ჯამში მაინც ნაყოფზე იყო ორიენტირებული უნებლიეთ, თავისთავად.

ამერიკული ტიპის უნივერსიტეტი ძირითადად პრაგმატულზეა ორიენტირებული, მაგრამ მას საფუძვლად სწორედ ევროპული უნივერსიტეტის ინფორმაციული სხეული უდევს. რამდენადაც დრო „დაჩქარდა“ (და ამას არა მხოლოდ ბუნებისმეტყველები დაადასტურებენ), ამერიკული ტიპის უნივერსიტეტი „ფორსირებული წესით“ ცდილობს ნაყოფის გამოღებას დროის დაჩქარების პარალელურად. იგი ცდილობს, „დაზიპული“ თუ „დაარარული“ შეკუმშული ცოდნა გადაიტანოს პრაქტიკულ საქმიანობაში და ასე აანაყოს კულტურის ახლებური რეჟიმი — ახალი ძალაუფლების სქემა (პრინციპით „ცოდნა ძალა“). ამ სქემის მიხედვით კი გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა აუცილებელია საკომუნიკაციო სივრცის შექმნა. ეს კი, რა თქმა უნდა, ადმინისტრირების მეტოფით მიიღწევა. ამიტომაც ამერიკული საუნივერსიტეტო მოდელი სახელმწიფოებრივ ძალმოსილებას ემსახურება. ეს გახლავთ მჭვრეტელობითი და ქმედითუნარიანი ძალისხმევის კავშირი, რომელსაც ამერიკული განათლების სისტემა ძალზე წარმატებულად ახორციელებს. მეცნიერებაში წარმატებები ერთია და სამეცნიერო საგანმანათლებლო სექტორის ადმინისტრირება მეორე. მხოლოდ ორივე ასპექტის სრულფასოვანი თანაარსებობა ქმნის საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმატების წინაპირობას. ეს გამოცდილება რომ წარმატებულია, სრულიად აშკარაა დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე. მხოლოდ განათლების უნივერსალიზმის პრინციპზე ორიენტირებული ევროპული განათლების სისტემაც კი გეზს პრაგმატულ ამერიკულ მოდელზე იღებს. ეს ევროპული საუნივერსიტეტო განათლების წარმატებლობაზე კი არ მეტყველებს, სწორედ რომ პირიქით. ევროპულ საგანმანათლებლო სისტემის უნივერსალიზმს ემატება ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის პრაგმატიზმი. უნივერსალიზმი კი, ალბათ, ეს გახლავთ.

ჩვენდა სამწუხაროდ, აკადემიზმისა და სეკულარული მეტაფიზიკური ძიებების ის ტრადიცია, რომელიც ევროპას ჰქონდა და ამერიკულმა საგანმანათლებლო სისტემამ საკუთარ საყრდენად აქცია, ჩვენთან არ არსებობდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მჭვრეტელობითი დამოკიდებულება სამყაროსთან ჩვენთან მთლიანად იყო მიბმული რელიგიურობაზე. ჩვენი განათლების კერებს ხანძთელთან თუ ჩვენს „ოქროს ხანაში“, გელათისა თუ იყალთოს აკადემიაში რელიგიური მუხტი განსაზღვრავდა და იმ ეპოქისათვის ეს ბუნებრივიც გახლდათ ქვეშარიტების ძიების პროცესში. ევროპულმა ცნობიერებამ, ჩვენგან განსხვავებით, უნივერსიტეტს, როგორც ახალი ტიპის ცნობიერების ლერძს, სხვა მეტაფიზიკური ტვირთი დააკისრა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ევროპული კათოლიკური უნივერსიტეტების ძლიერი და ფუნდამენტური ტრადიცია. ისინი სწორედ რელიგიური მუხტის აკადემიური ცოდნის სისტემაზე ტრანსფორმაციით ქმნიან აკადემიზმის ევროპულ მოდელს. ალბათ, ეს იყო საფუძველთა საფუძველი ახალი დროის საუნივერსიტეტო ცხოვრებისა.

აი ამ ტრადიციის, აკადემიზმის ტრადიციის უქონლობაა ჩვენი ტკივილი — იყალთოსა და გელათის აკადემიების შემდეგ თითქმის ათსაუკუნოვანი წყვეტა აკადემიურ სივრცეში.

მხოლოდ მე-19 საუკუნეში, როცა სამოციანელები (კერძოდ, ილია ჭავჭავაძე) მიხედნენ, რომ ახალი ტიპის ევროპულ სახელმწიფოს ეკონომიურ და საკომუნიკაციო სისტემებთან ერთად განმანათლებლობა და ბევრნილად უნივერსიტეტის იდეა განსაზღვრავდა, დაიწყეს ფიქრი ქართულ უნივერსიტეტზე. მათ მართლა მოამზადეს საფუძველი იმისათვის, რომ შემდგარიყო ქართული უნივერსიტეტი. ღმერთმა მაპატიოს მძიმე ფიქრები, მაგრამ იმ ეპოქასა და იმ



საუკუნეში, სადაც ქართული არისტოკრატიის ტიპური მეტაფორული სახე ლუარსაბ თათქარიძეა, ძნელად წარმოსადგენია, რა ნიადაგი და ბუნებრივი გარემო უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის იდეისათვის.

აი ასეთ ბუნებრივ გარემოში, გარემოში, სადაც ქართველი თავადაზნაურების მხოლოდ შვიდმა პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა, უნივერსიტეტის ფუნდამენტალურმა იდეამ იმ ადამიანთა კრიტიკული მასა წარმოქმნა, რომელთათვისაც უნივერსიტეტის დაარსება ერის სასიცოცხლო აუცილებლობად იქცა. ეს იყო არა მხოლოდ ახლებურ სამყაროსთან ადაპტაციის გზა, არამედ იმ საკრალურ ღირებულებებთან ორგანული ზიარებაც, რომელიც ათვისებულმა ეპოქამ წაღწეა. ქართულ უნივერსიტეტს რამდენიმე უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეეთავსებინა – შეეცაოს ის სულიერი ვაკუუმი, რომელიც მსოფლიოს ათვისებულმა ტალღამ მოუტანა, გაეჩინა მგრძობლობა განათლებისა და განათლებულობის მიმართ და, ალბათ, უმნიშვნელოვანესი – მოეხდინა ეთნიკური მობილიზაცია შემოქმედებითი იდეების გარშემო. აი ამ ცოცხალ და მფეთქავ სისტემას სთავაზობდა ახალი უნივერსიტეტის იდეა მთელს საქართველოს და იგი ამიტომაც მალევე იქცა ერთიანი ქართული ეროვნული სხეულის ცოცხალ სიმბოლოდ.

ასეთი უნივერსიტეტის იდეა ჰქმნიდა ეთნიკური მობილიზაციის უნებლიე შემოქმედებით კერებს. ამიტომაც ჰქონდა ნებისმიერ ქართველს უკანასკნელ საუკუნეში ლამის რელიგიური დამოკიდებულება თავის უნივერსიტეტთან და შემთხვევითი ამიტომ არ იყო სწორედ, რომ თერო ტაძარს ეძახდა.

სწორედ ამიტომ გახლდათ ის ბოლშევიკთა და არა მხოლოდ მათი სამიზნე.

რა რესურსი შეიძლება ჰქონოდა მაშინ ქართულ უნივერსიტეტს. ფაქტია, რომ ეს რესურსი არსებობდა და ეს პირველ რიგში ინტელექტუალურის გარდა ზნეობრივი რესურსი იყო. მისი ინერცია, მი-

უხედავად ბოლშევიკური იდეოლოგიური (და არა მხოლოდ) აგრესიისა, ქართულ უნივერსიტეტს მაინც შემოქმნა, მაგრამ უმთავრესი დატვირთვა ამის შემდეგ უკვე აკადემიზმის ტრადიციის შექმნასა და შენარჩუნება-გაძლიერებაზე უნდა მოსულიყო. ეს არის უნივერსიტეტის უმთავრესი ამოცანა. ეს ამოცანა უნდა დასმულიყო მელიქიშვილ-ჯავახიშვილის ძალისხმევით შემდეგ. მეცნიერული სულის წართობასაც რომ გარკვეული ასკეტიზმი განაპირობებს და ჭირდება, ეს ალბათ უდავოა. „მეცნიერული ასკეტიზმი“, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, არის საფუძველი მეცნიერული ჩვევებისა თუ ზნეობის გამომუშავებისათვის და, ალბათ, ამას უნდა ეწოდოს მეცნიერული სულის წვრთნაც. მეცნიერული ღირებულებებიც ამ სულიერი პროცესის კრიტალებია. ამ ღირებულებების შენახვა, ტრანსფორმირება და ახალი თაობისათვის გადაცემა აკადემიზმის სულიერი მისია. უფრო უზნეო და უზერხული, ვიდრე ღირებულებებსა და მსოფლმხედველობას მოკლებული პედაგოგია, აღარავინ არსებობს (აღარაფერს ვამბობთ საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო სისტემაში არსებული კორუფციისა, რომელიც თავისთავად არა მხოლოდ ნონსენსია, არამედ არის ერთგვარი კოლექტიური სუიციდის ფორმაც). აი, ეს გახლავთ დღევანდელი უნივერსიტეტის პრობლემა. ამკარაა, რომ დღევანდელ საუნივერსიტეტო სივრცეში არ მოიძებნა პროფესორ-მასწავლებელთა ის კრიტიკული მასა, რომელსაც შეეძლო მორეოდა მისსავე ორგანიზმში გაჩენილ მრავალ უბინძურეს სენს და აკადემიზმის რეჟიმში შეეთავსებინა საქართველოსათვის. რამდენიმე ათეულმა მჭვრეტელობაზე ორიენტირებულმა ადამიანმა კი ვერ შექმნა კრიტიკული მასა. ამიტომ ჩვენი საუნივერსიტეტო ცხოვრება „დე-ფაქტო“ უკვე დანგრეული იყო, როცა ის ხელისუფლებამ „დე-იურედ“ გააფორმა. არც ერთმა არ დააკლო ხელი ამ საქმეს. დღევანდელ-

მა რეფორმატორებმა თითქოს ის უნდა იცოდნენ, რა უნდათ, მაგრამ ის არ იციან, ეს „რა“ როგორ კეთდება. მათ არ იციან, რომ უნივერსიტეტის არსებობა აკადემიური ნების გარეშე, დირექტივით შეუძლებელია, რადგან ეს გახლავთ სულიერი ცხოვრების გზა, რომელსაც პოლიტიკური დირექტივითა და ბრძანებით ვერ გაჭრი, ის სხვათა შემოქმედებითი ნებით ხორციელდება და მათი მოვალეობა მხოლოდ ხელშეწყობაა და მეტიც არაფერი.

ქართული უნივერსიტეტი ინგრევა არა იმიტომ, რომ ვილაცის ბოროტ ნებას სურს ეს, არამედ იმიტომ რომ განათლებისა და ჭეშმარიტების ძიების მიმართ არავის მხრიდან არ არის მაღალი მგრძნობელობა. ფილოსოფოსობა სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს და არა დიპლომის. დიპლომის სიყვარულმა კი ოთხმილიონიან ქვეყანაში 200-ზე მეტი უნივერსიტეტი და მისი „პროფესურა“ „შვა“. ეს უკვე რამდენი ხნის წინ მიანიშნებდა არა მხოლოდ აკადემიზმის, არამედ ღირებულებათა სიკვდილზეც.

ქართული ინტელექტუალური რესურსის ლომის წილი დღეს არასამთავრობო სექტორშია გადასახლებული და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტირებული ფულით იმპორტირებულ იდეოლოგიას ამკვიდრებს. აი კიდევ რატომ ინგრევა ქართული უნივერსიტეტი. ეს უკვე იმუნური სისტემის დაქვეითებული მგრძნობელობაა.

აღბათ, ძალიან არაობიექტურები ვიქნებით, თუ არ ვიტყვით, თუ რამდენად სერიოზული მკვლევარები გვყავს ცალკეული მეცნიერების სახით. მათი სახელები და შემოქმედება ნებისმიერ ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტს დაამშვენებდა, მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, ვერ ქმნიან იმ კრიტიკულ მასას, რომელიც საუნივერსიტეტო ცხოვრების ნებას შესძენდა ქვეყანას. ამ ვითარებაში კი, აღბათ, ბუნებრივად ჩნდება პოლიტიკოსთა ნება, ქართული უნივერსიტეტი წარმატებულ ამერიკულ უნივერსიტეტს დაამსგავსონ. ამერიკული კულტურა

სულ სხვა სივრცე-დროით განზომილებაში მუშაობს. პოლიტიკოსებზე მეტად მისი ანალოგიის განხორციელებას „შემატებული“ ვევაში ჩვენ სულიერების „second hand“-ად გადაქცევა გვემუქრება. ჩვენი კულტურა სხვა რეჟიმს არის შეჩვეული, სხვა განზომილებებს. სრულიად გასაგებია, რომ ამ რესურსით და ფორსირებული წესით მისი ამერიკულ რეჟიმში ჩაგდება შეუძლებელია. იქნება სრული შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტი (ცარცის წრეშია მოქცეული — ერთის მხრიდან ყოფილ სოციალურ მდგომარეობას ჩაბლაუჭებული პროფესურაა, მეორეს მხრიდან კი ამერიკულ საგანმანათლებლო სისტემაზე ორიენტირებული პოლიტიკოსები. და აღბათ, წარმოუდგენელი ინტელექტუალური და ზნეობრივი ძალისხმევა და მობილიზაციაა საჭირო, რომ ისედაც მწირად შემონახული ღირებულებები გადარჩეს და შინაგან მოტივაცია იქცეს.

ხდება თუ არა ეთნიკური მობილიზაცია ინტელექტუალური რესურსის თვალსაზრისით? (დღი აღბათობითა და წესითა და რიგით იგი სტიქიური სწორედ რომ არ უნდა იყოს, ან იქნებ უნდა იყოს კიდევ, თუ კულტურის ორგანიზმს ჯანმრთელი რეაქციები ისევ შერჩენია).

## უნივერსიტეტს მიღმა

თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ ახალი ტიპის ევროპული სახელმწიფოები განმანათლებლობის, ეკონომიურ-ფულადი კომუნიკაციებისა და ინფორმაციული კომუნიკაციების მექანიზმების ფუნდამენტზე დაყრდნობით აიგო, გასაგები უნდა გახდეს, რისი ლოგიკური შედეგი, თუ გაგრძელებაა პოსტინდუსტრიული სამყარო და უახლესი ტექნოლოგიურ-ინფორმაციული ერა. რასთან გვინევს ადაპტირება და ეთნიკური მობილიზაციის რა ხარისხით. რჩება თუ არა ასეთ რეჟიმში ცენტრალური ადგილი ზოგადად უნივერსიტეტისათვის, კერძოდ კი უნივერსიტეტის იმ ვერსიისთვის,

რომელიც იყო და რომლის მოდერნიზაციასაც ძალზე საქმიანად ვახდენთ.

დღეს თანამედროვე ეკონომიურ პროცესებთან ადაპტაციის სტიქიური ეთნიკური მობილიზაციის მაგალითი ვახლავთ დეზერტირის, ლილოს, ქავთარძის, ელიავასა და სხვა ბაზრობები. ეს არის სასაზღვრო ვითარებაში ეკონომიური ადაპტაციის მექანიზმების ჩართვა.

სტიქიური ეთნიკური მობილიზაციის მაგალითია ინფორმაციულ კულტურასთან ადაპტაციის მექანიზმების ჩართვაც — 12-14 სატელევიზიო არხის გაჩენა მხოლოდ თბილისში, რომელთაგან, ერთი შეხედვით, მართლაც არცერთი არ უქნია ღმერთს.

დღეს ქართულ სინამდვილეში თუ ვინმე კიდევ ახერხებს ეთნიკურ მობილიზაციას, ეს ქართული „პლებსია“, რომლებმაც ეკონომიური ადაპტაციის მექანიზმები ჩართო. მისი იმუნური სისტემა გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე იმ ქართველის, რომელიც სულ ცოტა ხნის წინაც კი თავს სოციალურად მალალ საფეხურზე მიიჩნევდა.

გარდა იმისა, რომ ფულით აწყობილი კომუნიკაციები უღმობელია, ქართული სოციალ-კულტურული ორგანიზმი ძნელად თუ გაითვლის სულ ცოტა ხნის წინ წარმატებულ „ელიტაზე“, როგორც, რაღაც აზრით, ლოკალურ ღირებულებათა სისტემის მატარებელზე. ამიტომ მოხდა მათი მარგინალიზაცია როგორც ფინანსური, ისე, სოციალური აზრით.

ამ სოციალურ სეგმენტს ძირითადად ქართული ინტელიგენცია წარმოადგენდა, რომელიც დღესაც ვერ აცნობიერებს თავის „კლდიაშვილის აზნაურის“ როლს, ისევე მოძღვრის ფუნქციის მქონედ მოიაზრებს თავს და გულმოდგინედ ცდილობს, დაადანაშაულოს ხალხი, მაგალითისათვის, იმის გამოც კი, რომ იგი ქალაქში გამოიქცა და სოფელი მიატოვა, სადაც ღირსეულად გრძნობდა თავს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ზუგადიდელ თუ ზესტაფონელ ქალსა თუ უკაცს ერჩივნა, თავის სოფელში დარჩენილიყო, მინა მოეხნა, სიმინდი მოეყვანა, ფრინ-

ველი და პირუტყვი მოემრავლებინა, მაგრამ მან რაღაც მეექვსე გრძნობით იცის, რომ ისეთი მცირე ქვეყანა, როგორც საქართველოა, ვერ გადარჩება, თუ კომუნიკაციის ახალ სტემაში არ ჩაერთო — ფულადი და ინფორმაციული კომუნიკაციის სტემაში. ეს კი დღეს პოსტინდუსტრიულ ხანაში მხოლოდ ურბანისტულ გარემოში მიიღწევა და მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, ამიტომ სრულიად თავგანწირულად იბრძვის გადასარჩენად. თუ საკუთარმა მოძმეებმა „ინტელექტუალურმა“ ელიტამ თავისი გაუგონრად უგუნური დამოკიდებულებითა, თუ სახელისუფლო ელიტამ თავისი პირდაპირი ქმედებით არ გადაუკეტა აორტა (ორივე ამას წარმატებით ახორციელებს კიდევ).

თუ ზოგადად შესაძლოა, ჩვენს ხალხს ბრძენი დაარქვა, მხოლოდ და სწორედ ამ შემთხვევაში — სიცოცხლისა და სამყაროსადმი ადაპტაციის გაუცნობიერებელ ძალისხმევაში.

რაც შეეხება ინფორმაციულ ადაპტაციას, ესეც საკმაოდ საშიში აღმოჩნდა. აქაც მარგინალური ტელევიზიების დრო დადგა. ისინი და არა „წარმატებული“ და წარმატებულად დაფინანსებული სატელევიზიო არხები გრძნობენ კვდომის ბაცილის შესაძლო ტოტალური გავრცელების საშიშროებას.

სპონტანურად გაჩენილი უამრავი არხიდან მხოლოდ მარგინალურმა ტელეარხებმა იგრძნეს ცოცხლად კვდომის საშიშროება. აქაც სიცოცხლის სიყვარულის ჯანსაღი ინსტინქტი ამუშავდა.

სასაზღვრო სიტუაციაში რომ სწორედ ინტელექტუალური, ეკონომიური და საინფორმაციო ადაპტაციის სტიქიური მექანიზმები ჩაირთვებოდა, იცოდნენ და უცებ იგრძნეს კიდევ პოლიტიკური მგრძობილობით აღვსილმა წრეებმა და ჩამონათვალთაგან პირველი — ინტელექტუალური ღერძი გამოაცალა ორ დანარჩენს.

შემდგომი მოძრაობა კი უკვე ძალადობითაც იყო შესაძლებელი: ჩვენ მონმენი ვიყავით ბაზრობებზე თავდასხმებ-

ის, ბაზრობებზე, რომელიც პოლიტიკურ კონტროლს არ ექვემდებარებოდა (მხოლოდ ერგნეთის გახსენება რად ღირს!), ჩვენ მონმენი ვიყავით სწორედ მარგინალურ ტელევიზიაზე თავდასხმის (აქაც თამამად შეგვიძლია 202-ის გახსენება).

თუ პროცესები ასე ფორს-მაჟორულად განვითარდა, ჩვენ მალე მონმენი ვიქნებით ეთნიკური მობილიზაციის ყველა შესაძლო კერაზე „ისტორიული“ და ისტერიული შეტევის.

და ბოლოს, ანუ „ნახსი უხვო მოყმა ჰიგია“...

მოსარული ვიქნებოდი, თუ მეცოდინებოდა, ევროპულ და ამერიკულ აკადემიურ სივრცესთან გადაყრა ის შინაგანი

შფოთია, რომელიც ჩვენს საზოგადოებას, როგორც ეთნიკურ სუბიექტს გასაგებელი აქვს იმ მონიშნულ დირექტულუბებთან მიმართებაში, რომელსაც იგი უცხო კულტურასთან შეხებით გადაეყარა, მით უფრო, რომ ამ უცხო კულტურებს საუნივერსიტეტო ცხოვრების ტრადიცია და ბიოგრაფია უფრო ხანგრძლივი აქვთ. საშიშროება ის გახლავთ, რომ დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებს თავად უნევთ ახალ პარადიგმატულ სივრცესთან ადაპტაცია და ეს პარადიგმა ნამდვილად უცხოა ნებისმიერი არა მხოლოდ ტრადიციული კულტურისათვის, არამედ იმ კლასიკური საგანმანათლებლო სისტემისათვის, რომლის ტრადიცია ევროპაში განმანათლებლობის ეპოქამ შექმნა.



დავით მუსხელიანი

ქართული ეკლესია და სახელმწიფო  
ბარიბორონა შუა საუკუნეებში

ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდანვე ახლო აღმოსავლეთში ისეთი პოლიტიკური ვითარება შეიქმნა, რომ რომის იმპერიამ დასავლეთი საქართველო (ეგრისი// კოლხი-და) თავის პროტექტორატს დაუმორჩილა, ხოლო აღმოსავლეთში, ქართლის (ივერიის) სამეფომ „რომის მეგობრის“ პოლიტიკური სტატუსი მიიღო. ამერიიდან ქართულ სამეფოთა მესვეურები დასავლურ პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგენენ და ეს პროდასავლური კურსი, არსებითად, საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიისათვის განმსაზღვრელი ხდება.

ასეთი პოლიტიკური ორიენტაცია გულისხმობდა ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობასაც რომაული ცივილიზაციის სამყაროსთან და თუმცა კი საქართველო არასოდეს ყოფილა მოწყვეტილი აღმოსავლეთისაგან, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სწორედ I-III საუკუნეებში განსაკუთრებით ინტენსიური ხდება, ეგრისზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართლის სამეფოს კულტურული კონტაქტები დასავლეთთან. ეს კარგად ჩანს, როგორც რომაული ვერცხლის და ოქროს მონეტების მიმოქცევით ივერიის ბაზარზე, ასევე რომაულ-იტალიკური წარმოების მაღალმხატვრული ტარევეტიკის, სირიული მინის და მცირეაზიურ-ეგვიპტური გლიპტიკის ბრწყინვალე ნიმუშების იმპორტით. მატერიალური კულტურის ასეთი ინტენსიური დინება დასავლეთიდან, ცხადია, უნდა გულისხმობდეს დასავლური სულიერი კულტურის სავანეებთან თანაზიარებასაც და ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ როგორც უცხოური, ისე ქართული ისტორიული წყაროები, მოგვითხრობენ, მაგალითად, არა

მხოლოდ კოლხური და ივერიული ელიტის მიერ ანტიკური რიტორიკული ხელოვნების ათვისების თაობაზე (რიტორიკული სკოლა ფაზისთან, ბაკურ ივერიელის ურთიერთობა ლიბანიოსთან), არამედ უკვე მოციქულების ეპოქაში საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული მოძღვრების გავრცელების შესახებ. ყოველ შემთხვევაში, არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, რომ როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში მოსახლეობა გაცილებით ადრე იყო ნაზიარები ქრისტიანობას, ვიდრე იგი ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდებოდა.

ოფიციალურ რელიგიად კი ქრისტიანობა ქართლის სახელმწიფოში, დღეს უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, გამოცხადდა 326 წელს. ამავე ხანებში უნდა მომხდარიყო ეს დასავლეთ საქართველოშიც.

ეს იყო ქართველი ხალხის დასავლური კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის ნათელი გამოვლინება.

უდიდესი მნიშვნელობა ამ სახელმწიფოებრივი აქტის წარმატებისათვის უნდა ჰქონოდა ქართლის სამეფოს იმდროინდელი მოსახლეობის სოციალური განვითარების დონეს (დასავლეთ საქართველოსთვის, სამწუხაროდ, არავითარი რეალური საამისო მონაცემები არ გავყვანია). ქართლის საზოგადოება საკმაოდ რთულ და დიფერენცირებულ ორგანიზმად წარმოგვიდგება, რომლის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებობს მკვეთრი დაპირისპირება. მეფის ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა მზარდ ფეოდალურ ძალას, აზნაურობას და ამავე დროს ქვეყნის კონსოლიდაციისაგან მიისწრაფის, ბუნებრივია, მონოთეისტური რელიგიის მომხრეა. ქრის-



ტრანსული ეკლესია, რომელიც სწორედ მონოთეისტურ რელიგიას ქადაგებს, ასევე ბუნებრივად, მეფისა და აზნაურობის მოკავშირე ხდება პოლითეისტური წარმართული კულტურის წარმომადგენლების საპირისპიროდ. ამდენადვე, ცხადია, ქრისტიანული ქართული ეკლესია იმთავითვე ქვეყნის კონსოლიდაციის დიდ საქმეს ემსახურება. სახელმწიფო პოლიტიკა და ქრისტიანული რელიგია საქართველოში მჭიდრო ურთიერთკავშირში აღმოჩნდნენ, ერთი მთავარი მიზნის — ქვეყნის კონსოლიდაციის — მისაღწევად. ეს კარგად ჩანს პირველივე ქრისტიანი მეფის, მირიანის მაგალითზე.

მირიანი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ეწევა ქვეყნის აღმოსავლეთ პერიფერიაზე, ჰერეთში, სადაც ქართველებთან ერთად ალვანური მოსახლეობაც არის. იერთებს გარკვეულ ტერიტორიას, კერძოდ, სუჯეთს, კამბეჯოვანს. პოლიტიკური წარმატებების შენარჩუნებისათვის მირიანი ქრისტიანულ რელიგიას იყენებს და სოჯ მთავართა ერთ ნაწილს „ერთიურთ მათით“ წმ. ნინოს კაწარეთის ეკლესიაში ანათლივინებს, ხოლო მოგვიანებით, მეორე ნაწილს ბოდბეში (კამბეჯოვანში), სადაც იმავე წმ. ნინომ „სოჯი დედოფალი, მის თანა მთავრებითურთ“ მონათლა.

მემბტიანესაც, რომელიც აღწერს ამ ამბებს, კარგად ესმის, რომ ქვეყნის კონსოლიდაციისათვის მხოლოდ პოლიტიკური აქციები არ არის საკმარისი, რომ ამისათვის მოსახლეობის კულტურული და სულიერი ერთობა საჭირო. სწორედ ამას მოწმობს IV ს-ის პირველ ნახევარში განვითარებული ზემოხსენებული პროცესების მისეული შეფასება, ფრიად გამოკვეთილად გამოთქმული: „და ვითარ აღასრულა ესე ყოველი ღმრთივ-განბრძობილმან მირიან მეფემან, განამტკიცა ყოველი ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებასა ზედა სამებისა წმიდისასა, ერთარსებისა, ღმრთისა დაუსაბამოსასა, დამბადებელისა ყოვლისასა; და განმტკიცდეს სრულსა სარწმუნოებასა ზედა“. აქ ფრიად საინტერესოა ერთი გარემოება: ჰერეთი ამ დროს მთლიანად შემოერთებული პოლიტიკური თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ არის. ეს მოხდება საუკუნეზე მეტ ხნის გასვლის შემდეგ, ვახ-

ტან გორგასლის მეფობის დროს. ამჟამად მხოლოდ მისი ნაწილია ორგანულად შეტყფებული ქართლის სამეფოსთან [სტყფეთს] კამბეჯოვანის ნაწილი, მაგრამ კულტურის თვალსაზრისით უკვე IV ს-ის პირველ ნახევარში ჰერეთი მთლიანად შეერწყა ქართლს და დიდი ხნის წინ დაწყებული ეს პროცესი, მნიშვნელოვანწილად გაპირობებული ეთნიკური და დემოგრაფიული ვითარებით, ქართულმა ქრისტიანულმა ეკლესიამ დააგვირგვინა. მაშასადამე ქართული ქრისტიანული ეკლესია არა მხოლოდ თან სდევდა პოლიტიკურ პროცესებს, არამედ წინ უსწრებდა და მკვიდრ ნიადაგს ქმნიდა მათი შემდგომი შესაძლებელი წარმატებისათვის.

რით გამოიხატებოდა ამ მკვიდრი ნიადაგის შექმნა?

აქ ხაზი უნდა გავუსვა, დიდი ხანია ცნობილ, ერთ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ რომის იმპერიის აღმოსავლური პროვინციებიდან ჩვენში შემოსული ქრისტიანობა, დასავლეთ საქართველოში თუ დიდხანს ბერძნულენოვანი დარჩა, ქართლში ძალიან მალე (მაინცდამაინც უკვე V საუკუნისთვის) ქართულენოვანი შეიქმნა, რაც თავისთავად ქართლის (ივერიის) მაღალი კულტურული დონისა და სახელმწიფოებრივი სიძლიერის მაჩვენებელია. ამან, თავის მხრივ, განაპირობა არა მხოლოდ ქრისტიანოლოგიური ლიტერატურის იმთავითვე ქართულ ენაზე თარგმნა, არამედ ეროვნული მწერლობის სწრაფი და მძლავრი აღმავლობაც. ამას კი უღარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის შემდგომი არა მხოლოდ კულტურული, არამედ ეთნიკური განვითარებისთვისაც, რამდენადაც იმ უცხოურ, არაქართულ გარემოში, სადაც სხვადასხვა მიზეზთა გამო, ეთნიკურ იმიგრაციასთან ერთად, ქრისტიანობა ქართლიდან შედიოდა, მას თან სდევდა ქართული ენის, დამწერლობის და საერთოდ ქართული კულტურის ინტენსიური გავრცელება, რასაც საბოლოო ჯამში აბორიგენტთა ასიმილაცია და გაქართველება მოჰყვებოდა.

აი ეს გახლდათ ის მკვიდრი ნიადაგი, რომელსაც ქმნიდა ქართული ეკლესია მისი კულტურულ-საგანმანათლებლო და მისიონერული საქმიანობით, როგორც ქართულ, ისე

განსაკუთრებით არაქართულ გარემოში, რის საფუძველზეც ამა თუ იმ მხარის ორგანული პოლიტიკური შერწყმა ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, ფაქტობრივად, ბუნებრივად ხდებოდა.

რთული იყო სამისიონერო მოღვაწეობა იქ, სადაც სოციალური თვალსაზრისით ფრიად განსხვავებული ვითარება არსებობდა, სადაც ფეოდალურ ურთიერთობას ჯერ კიდევ ვერ შეეღწია, ანდა სუსტად იყო განვითარებული. ასეთი იყო მთიანეთი. საერთოდ ურთიერთობა მთასთან ამიერკავკასიური სახელმწიფოებისათვის, კერძოდ, ქართლის სამეფოსათვის შიდაკავკასიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას შეადგენდა. აქაც ეკლესიას უდიდესი სახელმწიფოებრივი მისია ეკისრებოდა.

მირიანის მეფობა ამ თვალსაზრისითაც ფრიად ნიშანდობლივ მოვლენებზე მიგვიბრუნებს. მთიელები, რომლებიც ბარს ჯერ სრულად დამორჩილებული არა ჰყავს, დიდ წინააღმდეგობას უწევენ ახალი რელიგიის აღებტებს და „მათ პირუტყუ-სახეთა, ვითარცა ესმა ქადაგებამ, უცხოედ განუყარნეს თავნი და პირნი გარემოიქცინეს: და იღრჰენდეს კბილთა მათთა“. კონფლიქტი გარდაუვალი შეიქნა და წმინდა „ნინომ უბრძანა ერისთავსა, რამათა წარმართოს მკირედ მახული მათ ზედა. და ვითარცა შებმა უყვეს, შიშით მისცნეს თავნი მათნი ნათლის-ღებსა და დაღუწნეს კერპნი მათნი“.

ამგვარად, სახელმწიფოს კონსოლიდაციისა და შინაგანი სიმტკიცის განხორციელებისათვის ეკლესია კონფლიქტზედაც კი მიდის. ეს კიდევ ერთხელ ნათლად გვიმოწმებს, თუ რამდენად მკიდროა სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირი, რომელთაც ერთი მიზანი აქვთ — ერთიანი, კონსოლიდირებული და ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა.

კიდევ უფრო კარგად ჩანს ეს შემდგომ საუკუნეებში. ასე მაგალითად, V ს-ის მეორე ნახევარში, დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ვახტანგ გორგასალმა, არა მარტო უშუალოდ შემოიერთა ჰერეთი, სადაც, როგორც ვიცით, კულტურულ საფუძველს საამისოდ ქართული ეკლესია მანამდე ქმნიდა, არამედ მთელი საქართველოც გააერთიანა და ამით ქართული ეკლესიისათვის

შექმნა პირობები დასავლეთ საქართველოშიც გაეჩინა მრევლი, რომელიც მანამდე მისთვის უცხო, ბერძნულენოვან ლიტურჯიას იმეზნდა. ჩვენ გვაქვს სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომ VI-VII საუკუნეების მიჯნაზე კათოლიკოსი კირიონი ხელდასმულ იქნა „ქართლის სამწყსოს, გუგარეთისა და ეგრისის არქიებისკოპოსად წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“. აქედან ჩანს, რომ ამ დროს ქართლის კათოლიკოსს ხელი მიუწვდებოდა დასავლეთ საქართველოზე, მაგრამ რამდენადაც მისი ხელდასმა „წინანდელ წესთა მაგალითისამებრ“ მომხდარა, ე.ი. ასეთი ვითარება გაცილებით უფრო ძველი ყოფილა. VI ს-ში, რომლის განმავლობაშიც დასავლეთი საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის განუწყვეტელი ომი მძვინვარებდა ირანსა და ბიზანტიას შორის, გამორიცხულია ქართლის კათოლიკოსს შესაძლებლობა მისცემოდა თავისი იურისდიქცია ეგრისზედაც გაეფრცელებინა. ამიტომ ეს უნდა მომხდარიყო კიდევ უფრო ადრე და, კერძოდ, V საუკუნის ბოლო მესამედში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა მოახერხა საქართველოს გაერთიანება.

უფრო გვიანაც, კერძოდ, VII საუკუნეში, როგორც ბერძნული წყარო გვიმოწმებს, დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა კონსტანტინოპოლის პატრიარქს დამორჩილებული ფსადის (ფოთის) სამიტროპოლიტო, რომელიც მოიცავდა ოთხ საეპისკოპოსოს: როდოპოლისის (ვარციხის), ცაიშის, პეტრას (ციხისძირის ან ზოფას) და ზიგანევთა (გუდაყვის). როგორც ზედავთ, ვარციხის გარდა, ყველა დანარჩენი საეპისკოპოსო და სამიტროპოლიტოც ზღვის პირას ან მის მახლობლადაა (ცაიშის) განლაგებული. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი და იმას უნდა მოწმობდეს, რომ ქართულ ეკლესიას დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიიდან განუღდენია ბერძნული ეკლესია და თავისი იურისდიქცია დაუშფარებია.

კიდევ მეტი, უკვე VI ს-დან მიინც ქართული მრევლი დასავლეთ საქართველოს უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთში, აფხაზეთის ტერიტორიაზეც ფიქსირდება, რასაც მოწმობს საკუთრივ ქართული საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები ამ რეგიონიდან (გაგრა,

აბა-ათა და სხვა).

სწორედ ამ ქართული კულტურის ინტენსიური შეღწევის ხანგრძლივი პროცესის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ აფხაზ დინასტია პოლიტიკური და კულტურული ორიენტაცია გარკვეულ დრომდე, ძირითადად, მიმართული ბიზანტიისაკენ იკვლევდა და ქვეყნის მომავალს VIII ს-ის შუახნიდან ისინი სრულიად შეცნობილად საერთოქართულ პოლიტიკას და კულტურას უკავშირებენ. ასე წარმოიქმნა დასავლეთ საქართველოში VIII ს-ის ბოლოს ე.წ. „აფხაზთა სამეფო“ დედაქალაქით ქართულ პოლიტიკურ და კულტურის ცენტრში, ქუთაისში.

მაღე აფხაზთა მეფეები, როგორც ქემარატი ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, ერთიანი ქართული სახელმწიფოსათვის, საქართველოს ფეოდალური მონარქიის შემქმნისათვის ბრძოლაში აქტიურად ჩაებნენ. ამისათვის მათ ეკლესიის ანუ მცხეთის საკათოლიკოსოს მხარდაჭერა სჭირდებოდათ, რადგან ეს უკანასკნელი თავად იყო დაინტერესებული ქართული სახელმწიფოებრიობის ტერიტორიაზე ერთიანი ქართული ქრისტიანული კულტურა გავრცელებინა, რაც შესანიშნავად ჩანს გიორგი მერჩულეს (X ს.) ფორმულაში: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებს“. „ამიტომ აფხაზთ მეფეებიც, უმჯელოა, ეცდებოდნენ ამ ძვირფასი მოკავშირის მიმხრობას. ამიერიდან მცხეთის საკათოლიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთიმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოკრთობისათვის მიიწვედა, აფხაზთ მეფეები კი იმერ-ამიერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრდნენ საფუძველს. აფხაზთ მეფეები პოლიტიკურ მთლიანობას ქმნიდნენ, მცხეთა კი ამ პოლიტიკურ მთლიანობას ერთს და მთლიან კულტურულ შინაარსს აძლევდა“ (ნ. ბერძენიშვილი). მაშასადამე, ამ პერიოდშიც სახელმწიფოს კონსოლიდაციის პრობლემა ეკლესიის მისიასთან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული.

ასეთივე ვითარებაა ამ დროს აღმოსავლეთ პერიფერიაზე, პერეთსა და შაქში, სა-

დაც ქართულ მართლმადიდებლობას სომხური ეკლესია უპირისპირდებოდა. მაგრამ აქაც ქართულმა ეკლესიამ სახელმწიფოს დახმარებით შეძლო თავისი უპირატესობის აღდგენა და, როგორც შემართანე გვაუწყებს, X ს-ის შუახანს ჰერანი „მოაქციენა მართლმადიდებლად დინარ ღედოფალმან“. ამის შემდეგ X-XI საუკუნეების მიჯნაზე პერეთის სამეფო პოლიტიკურადაც ორგანიზულად შეერწყა კახეთს.

მაგრამ მცხეთის საკათოლიკოსოს მისიონერული მოღვაწეობა უკვე ჩრდილო-კავკასიასაც სწვდებოდა. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, აღგვეჩინა, რომ X-XI საუკუნეების რეალები ცენტრალური და ჩრდილო-აღმოსავლეთი იმერკავკასიის მთიანეთიდან (არაბული წყაროები, ქართული ეკლესიები, ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები და სხვა) ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ამ პერიოდში აქ საქმე გვაქვს ქრისტიანული პროზელიტიზმის უცვარე აფეთქებასთან, მაგრამ, ცხადია, ეს იმის მოწმობა უნდა იყოს, და ქართული არქიტექტურის ძეგლები (მაგალითად, ტუმბაიერდას ტაძრის მშენებლობა ინგუშეთში VIII-IX საუკუნეებში), ქართულ-არაბული ისტორიული წყაროების მონაცემებიც ამას ადასტურებენ, რომ ამ რეგიონში ქრისტიანული კულტურის შეღწევის პროცესის დასაწყისი V ს-ის მეორე ნახევრიდან, ვახტანგ გორგასლის ეპოქიდან მაინც უკვე სავარაუდოა. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ამ პროცესის პარალელურად ქართული სახელმწიფოებრიობაც შედიოდა იქ და X-XI საუკუნეთა მიჯნა, დიდი ბაგრატ III-ის ეპოქა, მართლაც, გარკვეული ტუხილი უნდა ყოფილიყო ამ თვალსაზრისით, როდესაც ჩრდილო კავკასიაში, რომელიც ვასალურ ურთიერთობაშია ერთიანი საქართველოს სამეფოსთან, ქართველი კათოლიკოსის, გერძოდ, „აღმოსავლეთის პატრიარქის მელქისედეკის“ იურისდიქციასთან ერთად (ტუმბაიერდას ეკლესიის წარწერა), ქართული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიც („სახლისა მეჭურჭლე“, „ერისთავი“) ვრცელდებოდა. საზოგადოების ზედა ფენა აშკარად გაქართველებულია, ორენოვანია და სწორი უნდა იყოს მოსაზრება, რომ მღვდელმსახურება ამ დროს იქ (ყოველ შემთხვევაში, რეგიონის ცენ-



ტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში ქართულ ენაზე სრულდებოდა (გ. დამბაშიძე).

კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულყო ჩრდილო-კავკასიის წარმართული სამყაროს ქრისტიანიზაცია, მასზე ქართული ფეოდალური კულტურის გავლენა და ე.ი. ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაც XII ს-ში. ამას ცხადად მოწმობს XIII-XIV საუკუნეების რეალიები, როდესაც საქართველოში მონგოლთა ბატონობის ეპოქა კი საბუთებში მოიხსენიებიან „ანწუხისა საეპისკოპოზოჲ და... კუალად საყდარნი ხუნძთა, ნახითა“ და „ლუქთისი კათალიკოზი ოქროპირი“. ამ დროისათვის, როგორც დალესტანში აღმოჩენილი ქართული ასოებით შესრულებული ლუნძური ეპიგრაფიკის ძეგლები მოწმობს, გაქართველების პროცესი გაცილებით ღრმად იყო წასული, ვიდრე X-XI საუკუნეებში და არა მხოლოდ არისტოკრატიაში, არამედ ხალხის ფართო მასებშიც ვრცელდებოდა. ყველაფერი ეს ქართული სახელმწიფოებრიობის სიძლიერის მოწმობაც იყო.

XII ს-ში კავკასიაში სრულიად განსაკუთრებული ვითარება დაიყარა. შეიქმნა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოებრიობა საქართველოს ინიციატივით, ჰეგემონობით და მფარველობით. ფაქტობრივად, განხორციელდა დიდი საეკლესიო მოღვაწის ლეონტი მროველის მიერ XI ს-ის 70-იან წლებში ჩამოყალიბებული ცნობილი პოლიტიკურ-ეთნოლოგიური კონცეფცია, რომელიც მოწოდებული იყო, დაესაბუთებინა კავკასიური სამყაროს ერთიანობა. ესეც ნათელი მოწმობაა საქართველოს სახელმწიფოს და ეკლესიის მჭიდრო იდეოლოგიური ურთიერთკავშირისა.

დავით აღმაშენებელმა არა მხოლოდ გაერთიანა ერთ სახელმწიფოდ კავკასიის ქრისტიანული სივრცე, არამედ ამ ფარგლებში მაჰმადიანური და წარმართული სამყაროც შემოიყვანა. ეს არ იყო იმპერია ანუ ერთი ხალხის ბატონობა სხვა დანარჩენებზე. დავით აღმაშენებელმა შექმნა კავკასიაში ისეთი პოლიტიკური *modus vivendi* დემყარებინა, რომელიც არსებითად ხელსაყრელი იყო რეგიონის მთელი მოსახლეობისათვის. ეჭვი არ არის, პოლიტიკური მოტივების გარდა, საქართველოს უდიდესი პოლიტიკური მოღ-

ვაწე ქრისტიანული ზნეობრივი პოსტულატებითაც ხელმძღვანელობდა, რომელთა შორის ძირითადია „მშვიდობა ქუეყანასა! ზეცა და კაცთა შორის სათნოება“ (ლ.2,14).

ამ საერთოკავკასიური სახელმწიფოებრიობის საბოლოო სტატუსი XII ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. თამარ მეფის იტორიკოსი ჩამოთვლის კიდევ მასში გაერთიანებულ ხალხებს და ქვეყნებს: „სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოფსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა (შარზრუმის საამიროს) და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზარუნველობასა“. ეს უკანასკნელი ფრაზა პირდაპირ პოლიტიკური დოქტრინის ფორმულაა, რომელიც ნათლად აყალიბებს საქართველოს სამეფო კარისა და კავკასიის სხვა მხარეების ურთიერთობას: ვასალური ქვეყნები სრულიად სუვერენულნი არიან შინაგან მმართველობაში და ამავე დროს საგარეო პოლიტიკური გართულებების შემთხვევაში საქართველოს სამეფო კარი ვალდებულია, მათ დაეხმაროს. ეს არ იყო მხოლოდ თეორია, არამედ როგორც ისტორიული ფაქტები მოწმობს, რეალური პოლიტიკური ნორმა გახლდათ, რომელიც ფეოდალური საქართველოს მაღალი სახელმწიფოებრივი კულტურის და ქემპარიტი ქრისტიანული ზნეობის ამსახველი იყო. ეს არ არის ლიტონი სიტყვები და ამის დასტურია ის, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის კონფლიქტები ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული სიმბიოზი ქრისტიანული და მაჰმადიანური ქვეყნებისა კავკასიაში, რასაც მიაღწია საქართველომ და რამაც, მიუხედავად გარე-პოლიტიკური კატაკლიზმებისა, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს ფეოდალურ მონარქიას XIII ს-ის ოციანი წლებიდან, ფაქტობრივად, სამი საუკუნე გასტლო, სრულიად უნიკალური მოვლენაა შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიაში და ქართული პოლიტიკური აზროვნების უმაღლესი სტანდარტების მაჩვენებელია საერთოდ და მაინცდამაინც, იმ დროს, როდესაც გვაროსნულმა ომებმა მსოფლიო ორ შეურიგებელ ბანაკად გახლიჩა.

ამგვარად, დღიდან ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებისა, ქრისტიანობა ქართველი ხალხის და ქართული სახელმწიფოს კონსოლიდაციისა და ეროვნული კულტურის განვითარების მაღალ იდეას ემსახურება. ამ დიდი მიზნის მიღწევის პროცესში ზოგჯერ პოლიტიკური მოვლენები წინ უსწრებდა და ეკლესია აგვირგვინებდა სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ აქციას, ზოგჯერ, პირადად, ქართული ეკლესიის კულტურულ-იდეოლოგიური პროზელიტიზმი წინასწარ ქმნიდა მკვიდრ ნიადაგს პოლიტიკური პროცესების წარმატებით განვითარებისათვის, მაგრამ არსებითად, შეიძლება ითქვას, ქართული სახელმწიფო და ეკლესია თანხმობრივ მოქმედებდნენ ეროვნულ-კულტურული ტერ-

იტორიის მშენებლობის დიდ საქმეში. გვიან საუკუნეებშიც, როდესაც უმეტესი საგარეო-პოლიტიკური ვითარების გამო ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართული ეკლესიის მიერ ეროვნული კულტურის შენარჩუნებისა და ეროვნული სულის ჩამოყალიბებისათვის გაწეული უდიდესი ძალისხმევა იმით გამოიხატა, რომ მიუხედავად ფეოდალური პარტიკულარიზმისა, ყველა ეს მცირე სახელმწიფოებრივი ერთეული „საქართველოებად“ დარჩა, ასევე იწოდებოდა და საუკუნეთა მანძილზე ერთიანობისათვის ქრისტიანობის დროშით იბრძოდა, რის შედეგადაც ჩვენმა ქვეყანამ, თუმცა კი მძიმე მსხვერპლის ფასად, კიდევაც ქრისტიანობით მოაღწია დღემდე.



## ქართული ავლასიაზი სომხეთში

XI ს-ში სომხეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და მხარეებად დაიშალა, აღმოსავლეთი სომხეთი ქართველ-საამეფოს იურისდიქციის ქვეშ მოექცა და ამ მხარეს ქართველთა მეფეების მოხელეები ზაქარია და ივანე მხარგრძელები მართავდნენ. ცნობილია, მხარგრძელები იყვნენ გასომხებული ქურთები. საერთოდ მიღებულია, გვარი არ ითარგმნება, მაგრამ მიუხედავად ამისა სომხურმა ისტორიოგრაფიამ მაინც თარგმნა მხარგრძელთა გვარი და უწოდა — ერკაიაბაზუკ... აი, ამ ძეგებს ჩააბარა თამარ მეფემ XII-XIII ს.ს. აღმოსავლეთ სომხეთი. ამ ისტორიულ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა აკად. ს. ერემიანმა და შეეცადა აღდგენა მათგან, თითქოს — აღნიშნულ საუკუნეებში აღმოსავლეთ სომხეთს ჰქონდა სრული სუვერენიტეტი და მისი გამგებლები მხარგრძელები საქართველოს სამეფოსგან დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას ეწეოდნენ, რაც არავითარი ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ქართული სამეფოს სამართლის თანახმად ვიცით (რასაც უცხოური წყაროებიც მოწმობენ), მხარგრძელთა თანამდებობას მეფის სახელო ეწოდებოდა. ზაქარია და ივანე მხარგრძელები კი იყვნენ ქართველი მეფის მიერ ამ თანამდებობაზე დანიშნული მოხელეები, რომელთა უფლება-მოვალეობანი ქართული კანონმდებლობის მიხედვით იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე ქართველ მეფეს შეეძლო ნებისმიერ მომენტში, შეხედულებისამებრ გადაეწვიტა მხარგრძელთა ამ პოსტზე ყოფნა-არყოფნის საკითხი. ასეთია მოკლედ ისტორიული სინამდვილე აღნიშნულ პერიოდში აღმოსავლეთ სომხეთში. ამ მხარეს ქართულად გოვარენე, სომხურად — გუგარქ ეწოდებოდა და მოიცავდა უძველეს ქართულ ტერიტორიას — ქვემო ქართლს. ამ მიწის პირვე-

ლი ბინადარი იყო ქართველთა ტომი — გუგარები (მოსე ხორენაცი, სენ-მარტენი, ნ. მარი, აკ. შანიძე). ქართველი ბოლშევიკების უგერგილობის, უფრო სწორად მათი ანტიეროვნულობის გამო, ამჟამად, ეს ძირძველი ქართული ტერიტორია სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული.

სომხეთში ქალკოდონიზმს ხანგრძლივი ისტორია აქვს. მაგრამ ყველაზე აქტიური ფორმით აღნიშნული ისტორიული პირობების გამო გამოიხატა XII-XIII — საუკუნეებში (მხედველობაში მაქვს აღმოსავლეთ სომხეთი). ამ პერიოდში აშენდა ქართული ქალკედონური ეკლესიები, რაზეც მოწმობს საისტორიო წყაროები, არსებული ქართული ეპიგრაფიკა და ქართული ეპიტაფიური წარწერები საფლავის ქვებზე. აქ არსებული ქართული ეპიგრაფიკული მასალა შეისწავლეს აკ. შანიძემ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა, პ. მურადიანმა და სხვ. აქ კი ლოგიკური იქნება, გავიხსენოთ გიორგი მერჩულეს ცნობილი ფორმულა — „ქართლად ფრიადი ქუეყანაა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ე.ი. საქართველო იქაა, სადაც ქართული ენა ისმის ღვთისმსახურებაში“ (ს. კეკელიძე — ძვ. ქართ. ლიტ. ისტორია“, 1980, გვ. 53).

ახტალა — ახტალას ტაძარი განთავსებულია ქვემო ქართლში, მდინარე ღებედის შუა წელზე. ახტალას სომხურად ეწოდება პლძაპანქ, რაც ქართულად ნიშნავს — სპილენძის მადანს. ეს სახელწოდება მოწმობს, ამ მხარეში მუშავდებოდა სპილენძის მადანი.

ძველი სომხური ისტორიოგრაფიიდან ვიცით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ — ივანე ათაბაგმა მიიღო ქართული, დიოფიზიტური სარწმუნოება, მან სომხებს წაართვა პლძაპანქი და იქ ააშენა ქართული ქალკედონური

მონასტერი (XIII ს.) ამავე მონასტერში დასაფლავებული ივანე ათაბაგი. ეს ტაძარი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელმაც დღემდე მოაღწია. იგი ჭვარ-გუმბათოვანი საეკლესიო ნაგებობაა. აქვს მინაშენები და კარიბჭეები. ტაძრის ფასადი უხვად არის შემკული, მორთულობის სისტემა დამახასიათებელია XIII ს-ის დასაწყისისა და შუა წლებისათვის. მხატვრობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. უძველესი ფენა XIII ს-ის პირველი ნახევრისაა.

მიუხედავად იმისა, ზოგიერთი საკითხი არასწორად აქვს გაშუქებული აბტალის მონასტრის საფლავების ეპიტაფიური, ქართული წარწერები შედარებით სრულად აღნუსხა და გააანალიზა პ. მურადიანმა („ქართული ეპიგრაფიკა სომხეთში“, 1977, გვ. 199-222, სომხ. ენაზე). საერთოდ ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკული მასალა ლ. მელიქიეთ-ბეგმა ორ კატეგორიად დაყო: სააღმშენებლო-მემორიალურ და ფრესკულ მხატვრობად. მათი შინაარსის მიხედვით, ეს დაყოფა მისაღებია. ასევე მეცნიერულად არის გამართლებული ლ. მელიქიეთ-ბეგის მოსაზრება; „რამდენადაც ამ საუკუნეებში (XII-XIII) ქართველებად მიჩნეულნი იყვნენ არა მხოლოდ თვით ქართველები არამედ ქალკედონი, ე.ი. დიოფიზიტი (ორბუნებიანი) სომეხნი, ამიტომ იგივე ქართული წარწერები სომხური სათანადო ლიტერატურული წყაროების უქონლობის (ანდა სიმცირის) გამო ერთადერთი დამადასტურებელი ფაქტია სომხური ქალკედონიზმის არსებობისა, საერთოდ და დასახლებულ საუკუნეებში სომხეთში“, (ლორე-ტაშირის ქართული ეპიტაფიკა, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 310-326).

აქვე შევნიშავ — ანისის ქართული ეკლესიის შემდეგ, აბტალის მონასტერი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალკედონური ცენტრი იყო.

თეფარიუქი — (ძველი სახელია თაიოჩარუხი), სოფელ მელრამორის ახლოს არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება გიურჯიქილი — ქართველთა ეკლესია. სომხურ წყაროებში ეწოდება აგრეთვე — ბუნძანაქს. ეს ეკლესია აღწერილი აქვს — პ. შაჰხათუნიანს, ლ. ალიშანს, ე. ლალიანს, გ. სმბატანს, ლ. მელიქიეთ-ბეგს და სხვ.

ლ. მელიქიეთ-ბეგი წერს — ბუნის პუნძანაქსის ქართული წარწერები იმის საფუძველს გვაძლევს, ვითქვამთ, ზაქარიას... და ავადის დროს კიდევ არაერთი ქალკედონური ეკლესია აშენდა სომხეთში. თეფარიუქის მონასტრისა და იქ არსებული ქართული წარწერების შესახებ გამოკვლევის დაწერას აპირებდნენ აკ. შანიძე და ლ. მელიქიეთ-ბეგი.

ეს ქართული მონასტერი ლ. მელიქიეთ-ბეგს XII-XIII სს-ის ძეგლად მიიჩნია („წარდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა“..., 1928, გვ. 53). თუმცა ამ თარიღის შესახებ პ. მურადიანს განსხვავებული მოსაზრება აქვს.

ჰუჯაბი — ამ ტაძრის ქართულობის შესახებ არც თუ მცირე მეცნიერული ნაშრომი, სტატია და წერილია გამოქვეყნებული. დავინტერესდები, იყო თუ არა, ეს ტაშონიმი — შესაბამისად ტაძარი შეტანილი — „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტაშონითა ლექსიკონში“, რომელიც გამოვიდა 5 ტომად ერევანში 20-უ ს-ის დასასრულს და 21-უ ს-ის დასაწყისში სომხურ ენაზე. ჰუჯაბის შესახებ წერია — „ხუჟაბ-სომხეთის გუგარაქის ქვეყანაში, ტაშირის გვარი, ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოსაა. ეს ტაძარი აშენებულია XII ს-ში. მდებარეობს სომხეთის სსრ-ში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით. ბუნებრივია, დარჩა ბერძნული ხუროთმოძღვრების ნიმუშად“ (ტ. III, 1991). ჯერ ერთი, ეს „ბერძნული სტილის“ ტაძარი ვინ ააშენა, აღნიშნული არ არის, მეორე — სომხებმა ააშენესო, ვერ თქვეს, მაგრამ ქართველთა ნაამაგარი რომ არის, სომხურ საზოგადოებას შეგნებულად დაუმალეს. კიდევ უფრო სამწუხარო არის ის, რომ პუჯაბის მონასტრის დაბატონების მიზნით, სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ტერიტორიის ფარგლებში მოხვედრილიყო (ე. ხარაძე — „ძეგლის ნამდვილი მემკვიდრე“, ვახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1988, 15 ოქტომბერი).

სინამდვილეში ჰუჯაბი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთერთი საუკეთესო ძეგლი, რომლის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ძირძველ ქართულ მიწაზე (ქვემო

ქართლი), მარნეულის რაიონში, სოფელ ახ-  
ქერფის მახლობლად. საეკლესიო ნაგებობათ-  
აგან აღსანიშნავია XIII ს-ის პირველი ნახ-  
ევრის ტაძარი. პროპორციებით, დეკორული  
მორთულობით და სტილისტური ნიშნებით  
მიეკუთვნება XII-XIII სს. მიჯნას და XIII ს-  
ის პირველი ნახევრის ზღვრითმოდერულ  
ძეგლთა ჯგუფს (ბეთანია, ქვათახევი, ფიტ-  
არეთი, წულრულაშენი, ახტალა და სხვ).  
გუმბათის ყელი უხვადაა მოჩუქურთმებუ-  
ლი. გარედან შემოსილია ოქროსფერი და  
ღვინისფერი ქვით. შიგნით მოხატულია.  
შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარ-  
წერების ფრაგმენტები (ქს.ე. II, 1987).

პნევანქ — ძელი ქეშმარიტისა. სომხ-  
ურად ამ ეკლესიას ეწოდება — „პნევანქ“,  
ქართულად კი — „ძელი ქეშმარიტისა“. ამ  
სახელწოდებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს  
— 1. ჰუნე ვანქ — ბერძენთა მონასტერი. 2.  
ჰუნე ვანქ — ძელი მონასტერი, ქალკედონიან-  
თა საგანის მნიშვნელობით. ვახუშტი ამ მო-  
ნასტრის შესახებ წერს — „ეკლად დასაფ-  
ლით ამის არს მონასტერი ძელი ქეშმარი-  
ტისა, — მშვენიერი, ამ ბერდუჯის მდინარესა  
ზედა, უპყრავთ „სომეხთვე“. პროფ. კ. ლაფა-  
დარიანმა სიტყვა „ძელი ძველთან მსგავსებ-  
ის გამო ძველად აღიარა, რაც სომეხმა მეც-  
ნიერებამაც არ გაიზიარეს. ეს ცნობა პ.  
მურადიანმა სათუოდ მიიჩნია და აღნიშნა  
— ვახუშტი ამ ტაძარს „ძელი ქეშმარიტისა“  
უწოდებს, მაგრამ რის საფუძველზე, წყაროს  
არ ასახელებს. ამასთან დაკავშირებით გვ-  
სურს, შევნიშნათ — ვახუშტი თავის საქართვე-  
ლოს გეოგრაფიულ აღწერაში, როცა რომე-  
ლიმე ეკლესიას, მონასტრის თუ ციხე-სიმაგრეს  
აღწერს, გარდა საისტორიო წყაროებისა,  
ეყრდნობა ხალხის ისტორიულ მემკვიდრეებს.

გ. ჩუბინაშვილს ეს ძეგლი VIII-IX სს.  
აქვს დათარიღებული. განიხილავს რა დეტა-  
ლურად ამ ძეგლს ლ. მელიქსეთ-ბეგი, მარ-  
თებულად დაასკვნის — „ყოველ ექვის გარე-  
შეა, რომ ეს ძეგლი (ძელი ქეშმარიტისა)  
თავდაპირველად სომეხ ანტიქალკედონიანთა  
კერა ყოფილა, შემდეგ კი XII საუკუნიდან  
ქალკედონიანთა ხელში გადასულა, რის აღმ-  
ნიშვნელნი არიან XII-XIII სს. ქართული  
ასომთავრული წარწერები მის გარეგედლე-  
ბზე“ (ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფი-  
კა, თსუ შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 318).

ქობერი — ეს არის მიღებული სომხურ  
— ქობა-რიდან. ფუძე არის ქართული —  
„ქება“ სიტყვა, რომელსაც ერთგის სომხური  
აირაჟები. ე.ი. ქებათაქებათ. როგრაც ლ.  
მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს — ქებათქებათ გამ-  
ართლებულია ამ მონასტრის მდებარეობით.  
იგი ქებაში, მღვიმეში ღრმად მოთავსებული  
მონასტრის შთაბეჭდილებას ახდენს (ქობერი  
და მისი სომხური და ქართული წარწერები,  
ტფილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, ტ. VIII,  
1927, გვ. 60). ქობის ქართულობა, რატომ-  
ღაც საეჭვოდ მიიჩნია პ. მურადიანმა და სომხ-  
ურ სიტყვიერ სამყაროს დაუკავშირა (ქართუ-  
ლი ეპიგრაფიკა სომხეთში, 1977, გვ. 166,  
სომხ. ენაზე). ეს სიტყვა გამოყენებულია აღ-  
არწინის წარწერაშიც. ნ. მარი „ქებაქობ“ს  
ქართულიდან სომხურში შესულ სიტყვად  
თვლის. მისი აზრით, ეს სესხება მომხდარა  
სომხური ქალკედონური წრეების მეშვეო-  
ბით (ანისი, 1934, გვ. 104, რუს. ენაზე).

სომეხ მეცნიერთაგან ე. ლალიანი ერთერ-  
თი პირველი იყო, ვინც აღნიშნა, ქობაირში  
სომხურის გარდა არის ქართული ასომთავრუ-  
ლი წარწერებიო — „ქართულ-მესრობიანუ-  
ლი — ასოებით“ — (1901). აქ კი სამწუხაროა  
ის, რომ ე. ლალიანმა გაიმეორა სომხურ  
სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებუ-  
ლი ყალბი აზრი, მესრობა-მამტოცის მიერ  
ქართული ანბანის შექმნის შესახებ. სარგის  
ჯალალიანც და გ. აღაიანც კი ქობაირის  
ქართული წარწერები ბერძნული ეგონათ და  
მონასტრის ბერძნულს უწოდებდნენ.

ქობერის ქართული და სომხური ეპი-  
გრაფიკის მეცნიერული შესწავლისა და ან-  
ალიზის საფუძველზე ლ. მელიქსეთ-ბეგმა  
გააკეთა მართებული დასკვნა: „ქობერის  
ქართული წარწერები გვხვდება მთელ რიგ  
შენობებზე (დიდი ეკლესია, ეგუტერი, სამ-  
რეკლო-სამარხი), სომხური გვხვდება მხოლოდ  
და მხოლოდ პატარა ეკლესიაზე, და ეს,  
უთუოდ, იმის მაჩვენებელია, რომ ამ მონას-  
ტრის განუცდია რაღაც გარდატეხა XII-  
XIII საუკუნეების მიჯნაზე იმ მხრივ, რომ  
წინათ ის ყოფილა სომეხთა ანტიქალკედო-  
ნისტთა საგანედ, ხოლო შემდგომ გადატყუ-  
ლა სომეხ-ქართველთა ქალკედონისტთა საგ-  
ანედ, რასაც სხვათა შორის, ქართული წარ-  
წერების გარდა, ამტკიცებს მთავარი ეკლესიის

საკურთხევლის აგებულება ქალკედონისტური რიტუალის მოთხოვნებისამებრ და აგრეთვე იმავე ეკლესიისა და ეგუტერის კედლის მხატვრობა ქართული ასომთავრული წარწერებითურთ („ქობერი და მისი სომხური და ქართული წარწერები“, ტფილისის უნივერსიტეტის „მოამბე“, ტ. VII, 1927, გვ. 73).

ოსკიპარი — ოსკიპარი, ვახუშტის რუკის მიხედვით, მდებარეობს აღსტაფის ხეობაში, აგებულია XII-XIII სს. ფრესკებზე არის ქართული წარწერებიც (ლ. მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარი“ და მათი ვინაობა... 1928, გვ. 59).

შაპნაზარი — ეს სახელი ეწოდება სოფელს ლორე-ტაშირში, რომელიც მდებარეობს ყარაღაჯად წოდებული მთის ჩრდილოეთით და ლორეს ველის დასავლეთით. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ და ვახუშტის რუკაზე კი აბოცის მიდამოშია აღნიშნული. შაპნაზარში დაცული ერთი ქართული წარწერის საფუძველზე, რომელშიც ნახსენებია „აბოზი“ ანუ, „აბოო“. ლ. მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს — ეს სახელწოდება გადმოტანილი უნდა იყოს ყაიყულისაბოციდან აქაური მოსახლეობის ლორე-ტაშირში გადმოსახლების დროს. სომეხი მეცნიერი არ გამოირიცხავს იმასაც, რომ შეიძლება მათ მიერ იყოს აბოციდან გადმოტანილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ლორე-ტაშირში. შაპნაზარში და მის მიდამოში დაცულია რამდენიმე ქართული ასომთავრული წარწერა, აგრეთვე — ქანდაკება-ჩუქურთმა ქვაზე, რომლებიც სომეხ-კათოლიკებს ჩაუტანებიათ ეკლესიების კედლებში. ე.წ. ქვემო ეკლესიაში, სამხრეთ შესავლის კარის მარჯვნივ, სარკმელ ქვეშ არის 9 სტრიქონიანი ქართული წარწერა. ამ წარწერაში მოხსენიებული არიან ამ ეკლესიის აღმშენებლები ოთხი ძმა ძნელაის-ძენი. ამ ქრტიორულ ქართულ წარწერას ლ. მელიქსეთ-ბეგი ათარილებს 1135 წლით (ლორე-ტაშირის წარწერები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 108, 1964, გვ. 320). პ. მურადიანი ფიქრობს, წარწერა უნდა იყოს — 1095 წლის (ქართული ეპიგრაფიკა სომხეთში, 1977, სომხ. ენაზე). პ. მურადიანს მიაჩნია, „ძნელაის-ძე ძმებს“ თუ დაუკავალი-ფიცირებთ ძნელაის ოთხ შვილს, ძმებს მათი ეროვნული კუთვნილება და ეროვნული

შთამომავლობა ნათელია, მაგრამ თუ სომხურად გადავაკეთებთ, იქნება უძველესები, როგორც გვაქვს — აბუეთი, შამელეთისძენი და სომხური აბუეთიანი, ან ლიპარიტ ლიპარიტის ძე, ლიპარიტიანები (მითითებული შრომა, გვ. 160). პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ მურადიანმა სათუოდ მიიჩნია ძნელაის-ძეთა ქართულობა. ეს დაახლოებით იგივეა, როგორც პროფ. მარუთიანმა იშხანის ცნობილი ქართული წარწერის (1032) სომხურ თარგმანში იშხანის ქართველი ხუროთმოძღვარი იოანე მორჩაიძე გადააქცია სომეხ მორაისცევანად („სიღმრეთა სომეხთი“, 1978, გვ. 20, 160, სომხ. ენაზე).

ფიქრობთ, მურადიანს ამგვარი პარალელების საფუძველი არ ჰქონდა, რადგან იქვეა ასეთი სხვა ქართული წარწერა — „ქრისტე შეიწყალე ძნელია მირიან“.

შაპნაზარის ახლოს გუფეჭენდაში, გორაკზე ერთნაგიან, ნახევრადანგრეულ ეკლესიაში ლ. მელიქსეთ-ბეგმა ნახა ნუსხა-ბუცუქური შერულებული 6 სტრიქონიანი წარწერა — „სახელითა ღმრთისაითა ესე ჩუენ გორაკელთა, ფიჩოსანთა, დავწერეთ: „ვინ უწინა მოკუდეს, ი დღე ქამი უწირონ ყოველთა“.

ლ. მელიქსეთ-ბეგი ამ ქართული წარწერის კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. პ. მურადიანს კი იგი მიაჩნია XII-XIV სს. ნიმუშად. თუ გაიხსენებთ, რომ მეფე ალექსანდრე დიდმა (1390-1442) ლორე სვეტიცხოველს შესწირა, ქალკედონური ეკლესიების მშენებლობა და ქართული ეპიგრაფიკა ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ლორე-ტაშირში — ამ უძველეს ქართულ მხარეში. აღნიშნულ წარწერაში მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასში ნახსენები სახელი „ფიჩოსანთა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს — „ქართველ ან საერთოდ ქალკედონელთა „ფიჩოსანთა“, არსებობაზე, ე.ი. ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს ქვემდებარე სამონასტრო აღმშენებლობაზე ლორე-ტაშირის ამ განაპირში მხარეში“ აღნიშნავს პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი (მითით. ნაშრ. გვ. 322).

ქართული ეკლესიის ახლოს 1910 წელს ანში, გათხრების დროს ნ. მარმა იპოვა საქართველოს კათალიკოს ეპიტანეს ოც-სტრიქონიანი ქართული წარწერა. ამ წარწ-

ერაში ქართველი კათალიკოსი მიმართავს ანში მცხოვრებ ქართველებს (ანი, 1984, გვ. 85). რაც შეეხება ამ ქართულ ეკლესიას, აკად. ი. ორბელიის აღწერით – იგი არის ბაზილიკური ტიპის მომცრო ზომის საკულტო ნაგებობა. მის სამხრეთის კედელზეა 1329 წლის ქართული წარწერა (რჩეული შრომები, 1963, გვ. 120, რუს. ენაზე).

5. მარმა ანში ნახა აგრეთვე მდიდარი სომხის, ჭლკედონიტ ტიგრან პონენცის მიერ – „ნახევრადქართული, ნახევრადსომხური, ერთი სიტყვით ჭლკედონურ-მართლმადიდებლური გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია, რომელიც გადაუყეთებია ტიგრან პონენცს 1215 წელს“ (ანი, 1939, გვ. 85).



საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2006 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილებით ქვემო ქართლში ეპარქია აღდგა და ეწოდა აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქია (ამჟამად ეს მხარე მოქცეულია სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებში). მართალია, აღდგა სამართლიანობა, მაგრამ ერთი კი მინდა შევნიშნო – სჯობდა, ეწოდებინათ ლორე-ტაშირის ქართული ეპარქია, რადგან ეს სახელწოდება უფრო სრულად ასახავდა ისტორიულ სინამდვილეს. ამ აქტს უარყოფითად შეხვდა სომხური სამეცნიერო და სასულიერო საზოგადოება. მაგალითად – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკად. პავლე ჩობანიანი მას პოლიტიკურ დაკვეთას უწოდებს. ამასთან დაკავშირებით მსურს ვთქვა – ამ ბოლო ხანებში ერთი ტენდენცია შეინიშნება, ყოველი ანტიქართული გამოხედვის პასუხი ქართველთა მხრიდან სომხ მეცნიერებს და პოლიტიკურ ექსპერტებს რატომღაც პოლიტიკურ შეკვეთად მიიჩნევათ. დაახლოებით ანალოგიურად იქცევა აკად. ჩობანიანი, როცა აღნიშნულ გადაწყვეტილებას პოლიტიკურ შეკვეთად ნათლავს, რაც არაფრით არ არის გამართლებული. და აი, რატომ. ქართული, ჭლკედონური ეკლესია-

მონასტრების, ქართული ეპიგრაფიკის არსებობა ლორე-ტაშირში ფაქტობრივად უდასტურებს, XII-XIII საუკუნეებში ამ მხარეში ქართულ სამოციქულო ეკლესიას თავისი იურიდიული უფლება-მოხილება ჰქონდა და შესაბამისად ეწეოდა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას. მის მრევლს შეადგენდნენ როგორც ქართველი ისე სომეხი ჭლკედონიტები. ეს უკანასკნელი კი ქართველებად განიხილებოდნენ. ასე რომ, აკად. ჩობანიანის შენიშვნა, ლორე-ტაშირის მრევლს მხოლოდ სომეხი ჭლკედონიტები წარმოადგენდნენ, არ არის სწორი და ისტორიულ სინამდვილეს არ ასახავს. ამდენად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილება, აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქიის აღდგენის შესახებ, იურიდიულად და ისტორიულად დროული და გამართლებულია.

ამდენად, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია, მოითხოვოს სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების გადმოცემა. მართალია, ქართული მრევლი უკვე აღარ არის იქ, მაგრამ ამ სავანეებში შეუძლიათ, გააჩაღონ მოღვაწეობა ქართველმა ბერ-მონაზვნებმა.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი უპრაგონოდ ხმარობს სიტყვა – ფაშისტს და არ იცის მისი ქეშმარიტი მნიშვნელობა. მათ გასაგონად მსურს, ვთქვა – რომელიმე ეკლესიის სადაურობის შესახებ დავა-კამათი კი არ არის ფაშისტობა, არამედ აღბანურ მიწაზე დამკვიდრებულ აზერბაიჯანულ მოსახლეობას იარაღის ძალით რომ აყრი და განდვი – ეს არის ფაშისტობა, ისე როგორც აბორიგენ ქართულ მოსახლეობას ძირძველი ქართული მიწიდან – აფხაზეთიდან იარაღის ძალით განდევნი და ეთნიკურ წმენდას ჩაუტარებს. ამ ფაშისტურ ბოროტებაში ლომის წილი უდევს ბაგრატიანის სომხურ ბატალიონს...

ბოლოს გვსურს, აღვნიშნოთ, არა გვაქვს პრეტენზია, რომ სრულად აღწესდეს ქართული ეკლესიები სომხეთში. ზოგი შეიძლება გამოგვჩა, ზოგი სადაო ეკლესია შეგნებულად არ შევიტანეთ სომხეთის ქართულ ეკლესიათა სიაში.



## ხანძთის და შატბერდის ლოკალიზაციისათვის

ხანძთისა და შატბერდის შატბერდის საეპიგრაფიკოსის საკითხს არაერთი მკვლევარი შეეხო. სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა ბევრი მოსაზრება, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი. აზრთა სხვაობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ ეპოთა სვლაში დავიწყებას მიეცა ერთ დროს მნიშვნელოვანი სექლესიო და სამწიგნობრო ცენტრების ადგილმდებარეობა. ხალხის მეხსიერებას არ შემოუწინაბავს თვით საგეოგრაფიო სახელი შატბერდი. ხანძთა კი ქვია სოფელ უბის ზემოთ (უბურ მაილაზე) ერთ ადგილს, მაგრამ აქ საეკლესიო ცენტრის არსებობა ნაკლებსაავრაულოა.

მიყვებით მოვლენებს.

დ. ბაქრაძე აღნიშნავს: შატბერდი „...მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად არ ვიცით და ვერ გვიპოვნია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერტად უნდა იგულისხმებოდეს დოლისყანა (ლოლისყანა), თუმცა ახლა როგორც მე ადგილობრივ დავრწმუნდი, ეს სახელი დაკარგულა“ (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, გამოსცა დ. ბაქრაძემ. ტფ. 1885 წ., გვ. 129-130).

როგორც უხედავთ, დ. ბაქრაძემ შატბერტად ვერ დოლისყანა მიიჩნია, შემდეგ კი თავად უარყო ეს მოსაზრება.

ნ. მარის ვარაუდით, შატბერდი უნდა იყოს უსახელო საფანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის მიდამოებში, სახელდობრ ფორთის სამხრეთ ზონაში, რომელიც ამჟამად ფორთის ბაღების სახელით არის ცნობილი, ხოლო ხანძთა უნდა იყოსო ფორთის ჩრდილ-

ოთით მდებარე ნუკას საყდარი (Н.Я. Марр, Дневник поездки в Шавшетнио и Кларджетио. ТРАГФ. т. 7.1911, 125; 139).

ნ. მარის ეს მოსაზრება მთლიანად გაზიარებული არაა. მკვლევარის ცთომილება გამოწვეული უნდა იყოს გიორგი მერჩულის თხზულების გაუთვალისწინებლობით.

ე. თაყაიშვილი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ხანძთისა და შატბერდის ადგილმდებარეობა სავარაუდებელია არა კლარჯეთში, არამედ ევფრატის ხეობაში (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, ტფ. 1890 წ., გვ. LXI-LXXIII).

ჩვენთვის უცნობია, რა წყაროს ეყრდნობოდა ავტორი, როდესაც ამ დასკვნას აკეთებდა. ევფრატის ხეობაში ხანძთისა და შატბერდის მდებარეობა დღემდე ცნობილი არც ერთი ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროს მიხედვით არ ივარაუდება.

ხანძთისა და შატბერდის მდებარეობის გასარკვევად ბევრი იღვაწა პ. ინგოროყვამ, რომელმაც ნ. მართან ერთად ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გიორგი მერჩულეს თხზულებისა და, საერთოდ, ადრეფეოდალური ხანის მწერლობისა და ისტორიის შესწავლაში.

მოვიყვანთ ამონარიდებს პ. ინგოროყვას შრომიდან:

ხანძთის მონასტერი... მდებარეობდა ძველ ქართულ მხარეში, კლარჯეთში (ჭოროხის ხეობაში...), მე-9-10 საუკუნის სატახტო ქალაქის არტანუჯის ახლოს“ (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954წ., გვ. 14).

„მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულეს თხზულების სრული



დღეიანი, საბოლოოდ და მტკიცედ და-  
დასტურდა, რომ ხანძთა და შატბერთი  
კლარჯეთის მხარეში მდებარეობდნენ,  
ჭორახის ხეობაში, არტანუჯისა და ან-  
ჩის მეზობლად, სახელდობრ, კლარჯე-  
თის იმ ზონაში, სადაც მდებარეობს  
ოპიზა“ (იქვე, 306).

„ხანძთა არის სწორედ ის უსახელო  
სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ  
ფორთის სამხრეთ ზონაში“ (იქვე, 311).

შეგნიშნავთ: რამდენადაც ფორ-  
თა|ქორთა ადრეც იხსენება (იხ. პ. ინგორო-  
ოყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 314 და შემ-  
დეგ), კერძოდ წინა არაბულ ხანაში (V-VII  
საუკუნეებში) აქ საუბისკოპოსო ცენტრი იყო,  
შეუძლებელად მიგვაჩნია მისი გაიგივება ხან-  
ძთასთან. გ. მერჩულეს თხზულებაში არაა  
აღნიშნული ხანძთის ადგილას წინათ რაიმე  
ტაძრის არსებობა, მით უმეტეს კათედრალ-  
ისა. მწერალს რომ ცოდნოდა აქ ასეთი მნიშ-  
ვნელოვანი ცენტრის არსებობა, აუცილებლად  
აღნიშნავდა ამ ფაქტს თავის შრომაში.

გავიხსენოთ, თხზულებაში ნათქვამია, რომ  
იშხნის საკათედრო ტაძარი დანგრეული იყო  
და იგი უფლის მინიშნებით განაახლა საბა  
იშხნელმა. ამიტომაც მას მწერალი იშხნის  
„მეორედ მაშენებელს“ უწოდებს. ასეთ რამეს  
არ წერს გიორგი მერჩულე ხანძთის შესახებ.  
და, ვფიქრობთ, ეს მნიშვნელოვანი ფაქტია.

„ძველი შატბერთი საძიებელია არ-  
ტანუჯის მხარის იმ უბანში, დოლისყა-  
ნის მახლობლად, სექტორში, სადაც მდი-  
ნარე იმერხევი ერთვის ჭორახს“ (იქვე, 317).

მოყვანილი მოსაზრების გაზიარება  
გაჭირდება რამდენიმე მიზეზის გამო. ჭერ  
ერთი, დოლისყანა არ მდებარეობს იქ, სა-  
დაც მდ. იმერხევი ერთვის ჭორახს. უფრო  
მეტეც, მდ. იმერხევი საერთოდ არ ერთვის  
ჭორახს, იგი შავშეთის წყლის შენაკადია,  
ერთვის შერთულთან. მეორეცაა და, დოლი-  
სყანის მახლობლად სხვა დიდი საეკლესიო  
ცენტრი არ არსებობს.

პ. ინგოროყვას ეს ცთომილებები უპირვე-  
ლესად იმითაა გამოწვეული, რომ მკვლე-  
ვარს ამ მხარეში არ უმოგზაურია და ადგ-  
ილზე არ უნახავს კლარჯეთის სავანეები. მისი  
კვლევა მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებს  
ყვარდნობოდა.

ხანძთისა და შატბერდის ლოკალიზაციის  
პრობლემას სხვა მკვლევარებიც შეეხნენ, გან-  
საკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს  
პერიოდში (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან  
მოკიდებული), მაგრამ ისინი უმეტეს შემთხ-  
ვევაში იმეორებენ ზემოთმოყვანილ მო-  
საზრებებს. სიციხისათვის მოვიყვანთ ზო-  
გიერთ მათგანს.

ვ. ჯობაძე წერს: 1. მერჩულეს მიხედ-  
ვით ხანძთა მდებარეობს ოპიზასა და  
მიძაძოროს შუა; 2. შატბერდი მდებ-  
არეობს არა ოპიზასა და მიძაძოროს  
შორის, არამედ არტანუჯსა და დოლი-  
სყანა ბერთას შუა (ვიმოწმებთ: ირ. გიგი-  
აშვილი, ი. კობლაძაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ.  
2004წ., გვ. 70).

შ. ამირანაშვილის დაკვირვებით  
ფორთა ხანძთაა (იხ. შ. ამირანაშვილი, ქა-  
რთული ხელოვნების ისტორია, თბ. 1971წ.,  
გვ. 176).

ნ. ალექსიძე და დ. ხოშტარიაც თვლიან,  
რომ ენი რაბათის „...ძველი სახელი და-  
კარგულია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს  
უნდა იყოს შატბერდი — გრიგოლ  
ხანძთელის მიერ დაარსებული დიდ-  
ებული მონასტერი...“ (ნ. ალექსიძე, დ.  
ხოშტარია, ახალი ცნობები ტაო-კლარჯე-  
თის სიძველეთა შესახებ. ლიტერატურა და  
ხელოვნება, 1, 1991 წ., გვ. 127). ავტორთა  
მსჯელობას დამაჯერებლობას ისიც მატებს,  
რომ ისინი ითვალისწინებენ გიორგი მერ-  
ჩულეს თხზულების მონაცემებსაც.

ნუკა საყდარი კი დგას „...მიუვალ ადგ-  
ილას, სტალაგმიტივით აღმართული კო-  
ლოსალური კლდის მომრეცე შფერილზე,  
რომელიც სპეციალურად ამოყვანილი  
სუბსტრატით გაუფართოებიათ. ჩრდი-  
ლოეთ ფასადით ეკლესია კლდეს ეკვრის  
და ნაწილობრივ გამოკვეთილია მასში,  
ხოლო სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასა-  
დები უშუალოდ აგრძელებს კლდის  
ვერტიკალურ კედლებს“ (იქვე, გვ. 130).

იმერხევი, სოფელ უბის მახლობლად, ქალა-  
ში არის ეკლესიის ნანგრევები. მისი მხილ-  
ველი შ. ფუტყარაძე მორიდებით გამოთქ-  
ვამს ვარაუდს: „იქნებ დღევანდელი ქალა  
არის ის დავაყება, სადაც პირველად  
ააშენეს ხანძთის მონასტრის ხის სენაკები

და ხის ეკლესია, შემდეგ კი დიდი ტაძარი" (შ. ფუტყარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993წ., გვ. 189).

რ. ჟორდანია აზრით პორტა ხანძთაა (იხ. ქართული ზოოლოგები თურქეთში, თბ., 1997). ბატონი რეზო თავის დასკვნებში განიციდის ვ. ჯობაძის გავლენას და ეს არცაა გასაკვირი. იგი ხომ ზოოლოგია, ორნითოლოგი და არასოდეს უკვლევია ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები. ვხად გაიარა ამ მხარეში სხვა საქმესთან დაკავშირებით და სიტყვამ მოიტანა და ხანძთის ლოკალიზაციაც მოახდინა.

ირ. გვიიაშვილი და ირ. კობლატაძე თვლიან, რომ ხანძთა ფორთაა, შატბერდი - ენი რაბათი (ირ. გვიიაშვილი, ირ. კობლატაძე, ტაო-კლარჯეთი, თბ. 2004).

რომ შევაჯამოთ საეტიკალურ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები, სურათი ასეთია:

დ. ბაქრაძე: შატბერდი დოლისყანაა (მოგვიანებით თავადვე უარყო ეს მოსაზრება);

ნ. მარი: შატბერდი უსახელო სავანეა ფორთის მიდამოებში, ხანძთა კი ნუკას საყდარი;

ე. თაყაიშვილი: ხანძთა და შატბერდი ეგვიპტის ხეობაშია საძიებელი;

პ. ინგოროყვა: ხანძთა ის უსახელო სავანეა, ფორთის მიდამოებში რომ მდებარეობს, შატბერდი კი დოლისყანის მახლობლადაა;

ვ. ჯობაძე: ხანძთა ოპიზასა და მიძაძოროს შუა მდებარეობს, შატბერდი კი არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთას შუა;

შ. ამირანაშვილი: ფორთა ხანძთაა;

ნ. ალექსიძე, დ. ხოშტარია: შატბერდი აწინდელი ენი რაბათია;

შ. ფუტყარაძე: სავარაუდოა ხანძთის მონასტერი დღევანდელ ჭალაში (უბის მახლობლად) მდებარეობდეს;

რ. ჟორდანია: პორტა (ფორთა) ხანძთაა;

ირ. გვიიაშვილი, ირ. კობლატაძე: შატბერდი ენი რაბათია, ფორთა - ხანძთა. ხანძთისა და შატბერდის||შატბერდის ლოკალიზაციისათვის ყველაზე სანდო წყა-

რო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. აღნიშნული თხზულებების შენაცემებისა და ჩვენი ამ მხარეში „არასტრატეგის“ მოგზაურობის შთაბეჭდილებების შეჯერებით თავს უფლებას ვაძლევთ მკითხველის ყურადღება მივაქციოთ აღნიშნულ საკითხებზე.

გ. მერჩულეს თხზულებაში ხაზგასმულია, რომ ხანძთის კლდეები „უფიცხელისა“ კლარჯეთის კლდეთა შორის და მონასტრისათვის ბერებმა დააეკეს ეს ფიცხელი კლდეები. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი ასე აღწერს ხანძთის ადგილმდებარეობას: „და არს იგი უგზო და მიუვალ რამეთურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ დადოთა მათთა შინა მალალთა არს მკვიდრობაა მათი. და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა და წყალთა მათგან საშინელად ადგილითა მავალთაჲსა. და მონასტერსა მთ შინა არა არს სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი, არამედ დიდითა შრომითა როჴიკითა მისლვაჲ აქვს კარაულისა ზურგითა...“ (ვიმოწმებთ: გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ქართული პროზა, I, თბ., 1981წ., გვ. 245).

მოყვანილი ვრცელი ამონარიდიდან ჩანს, რომ ხანძთა არის „უგზო და მიუვალ“, რომ „დადოთა მთათა შინა მალალთა არს მკვიდრობაჲ მათი“, რომ იგი ერთი მხრიდან „მორტყმულ არს“ მთებით, რომ „ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნებისა“, რომ ძნელი მისასვლელია, რომ მონასტერს არა აქვს „სათიბელი ქვეყანაჲ, არცა ყანაჲ სახნავი“... ყველაფერი ეს უსუსტად აღწერს იმ მიდამოებს, სადაც მდებარეობს აწინდელი ნუკას საყდარი, რომლის სექტორშიც მდებარეობს ფორთა და ოპიზა.

ჩანს, ქსტორიული ხანძთა მერმინდელი ნუკას საყდარია მოგვიანო ხანაში სახელშეცვლილი. უპირველესად აღვნიშნავთ, რომ ნუკას საყდრის მიდამოებში მარ-

თლაც არ არის სათიბი და სახნავი მიწები, რაც არ ითქმის ფორთაზე, რომლის ახლოს ბაღებიც ყოფილა. აღნიშნულ ღირსის ფაქტიც, რომ ხანძის სამონასტრო ადგილი ბერებმა დაავაკეს მძიმე შრომით. ვისაც ფორთა უნახავს, დაგვეთანხმება, რომ მისი ადგილმდებარეობა არ მოითხოვს დიდ შრომას სამონასტრო ადგილის დასავაკებლად, რასაც ვერ ვიტყვით ნუკას საყდარზე...

კიდევ ერთი რამ იქცევა ყურადღებას: გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში არ ახსენებს ფორთას, თუ რატომ, დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძელია, უნდა ვივარაუდოთ, რომ გიორგი მერჩულეს მიერ აღწერილ ეპოქაში იგი უკვე აღარ იყო მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. ყურადღება მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ როცა გრიგოლმა სამონასტრო ცხოვრება დაიწყო, იმ მხარეში მხოლოდ ოპიზის მონასტერი იყო მოქმედი. ჩანს, ფორთას თავისი ფუნქცია უკვე დაკარგული ჰქონდა, არადა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამომამდელ პერიოდში იგი საეპისკოპოსო კათედრალი იყო.

გიორგი მერჩულეს თხზულებიდან კიდევ ერთ ეპიზოდზე მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ აშოტ ერისთავთ-ერისთავმა ხანძის ახალი ეკლესიის შენება დაიწყო. „ხოლო იყო მას ეამსა ხანძთას წინამძღვრად მამამ არსენი, ნათესავით აზნაური, ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახლისა მის და შვენიერისა ეკლესიისაჲ *ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიალთა შრომითა და ქვეთკირითა მყარითა მრავალთა ეამთა დაავაკეს* და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებაჲ ადგილისა მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ჰქისტემან ამონა, სიბრძნით სრულიად მშენებელი, და შემწეინ ყოველნი... ხოლო *ჭვამ და კირი ფრიალ შორით მოაქვნდა ძველთა მათ გზათა კაცთა ზურგითა.* და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდეს მამენებელნი იგი“ (გვ. 257-258).

მოყვანილი ამონარიდი ჩვენთვის საინტერესო ცნობებს შეიცავს, კერძოდ:

1. რომ ეკლესიას აშენებენ „*ფიცხელსა მას კლდესა ზედა*“, რომ „*ფრიალ*

შრომით“ და „*ქვეთკირითა მყარითა*“ დაავაკეს ადგილი. აღნიშნავთ, რომ ნუკას საყდრის სამხრეთი კედელი *საეკლესიურად* ამოყვანილ სუბსტრატიაზე დგას. როგორც ვხედავთ, ამ მონაცემით ნუკას საყდრის მდებარეობა ზუსტად ემთხვევა ხანძისას.

2. საშენი მასალა, - *ჭვა და კირი შორიდან მოჰქონდათ ზურგით ძველად საველ გზაზე.* თხზულების ეს მონაცემიც მთლიანად ემთხვევა ნუკას საყდრის მდებარეობას. იგი დღესაც ძველად მისადგომია და არც სამშენებლო ჭვაა ახლოს საგულვებელი.

3. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ამონა. საფიქრებელია, იგი ის ამონა ვახთანგ მოძარღულის ძეა, „სინური მრავალთავის“ ანდერძში რომია მოხსენებული, როგორც წიგნის ერთ-ერთი გადამწერი (იხ. სინური მრავალთავი, აკ. შანიძის რედაქციით, თბ., 1959; ივ. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი, თბ. 1975წ., გვ. 10; ზ. სარგველაძე, ჭართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ. 1984). იგივე ამონა უნდა იყოს პეტრესთან, ანდრიასა და მაკარისთან ერთად ოპიზის მამენებელი. ბასილი ზარზუმელის თხზულებაში ვკითხულობთ: „*აღეშენა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი*“ (ზარზუმ. 150). ჩანს, ხანძისა და ოპიზის ახალი ტაძრები ერთად აშენდა, რამდენადაც ორივეს მშენებლობაში მონაწილეობს ამონა, ვახთანგ მოძარღულის ძე, რომელიც შემდგომ მოღვაწეობას იერუსალიმში, საბაწმინდის ლავრაში აგრძელებს.

მოყვანილი ეპიზოდიც ამყარებს ჩვენს ვარაუდს ხანძის მდებარეობის შესახებ.

კიდევ ერთი საყურადღებო ცნობაა დაცული „*გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში*“. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: გრიგოლმა უბრძანაო დიდ ზენონს: „*ძმავ, შთავიდეთ ვენახად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა, რამეთუ ეამი იყო სთვლისაჲ*“. ამ ვენახებში შეხვდნენ ისინი მაკარი ოპიზელს. მათ ერთად გაათიეს ლაბე. დილით

„მაკარი წარვიდა ოპიზად, ხოლო მამამ გრიგოლ და ზენონ აღვიდეს თვისად მონასტრადე“.

მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, რომ გრიგოლი და ზენონი „შთავიდნენ ვენახად“ (აქ უდავოდ იგულისხმება ფორთის ვენახები, რომელიც ხანძიიდან (აწინდელი ნუკას საყდრიდან) ოპიზისაკენ მიმავალ გზაზეა), მეორე დღეს კი „შთავარი წარვიდა ოპიზად“, გრიგოლი და ზენონი „აღვიდეს თვისად მონასტრადე“.

გხედავთ, რომ ფორთის ბაღები ხანძისასა და ოპიზას შორისაა. თხზულებიდან ისიც ჩანს, რომ იგი საკმაოდ დაშორებულია ორივე მონასტრისაგან, იმდენად, რომ იქ წასულ ხანძიელ ბერებს მაკარისთან ერთად ღამის გათევაც კი მოუხდათ ვენახებში. მეორეცაა და ხანძთა ვენახების მაღლა მდებარეობა, ნათქვამია, რომ გრიგოლი და ზენონი „აღვიდეს თვისად მონასტრადე“, ხოლო „მაკარი წარვიდა ოპიზად“. თუ გავითვალისწინებთ ოპიზის, ფორთისა და ნუკას საყდრის მდებარეობას (ისინი ერთ სექტორში მდებარეობენ) განლაგება ასეთია: ოპიზა და ფორთა დაახლოებით ერთ ზოლზეა (ფორთა შედარებით მაღლაა), ნუკას საყდარი კი ორივეზე უფრო მაღლაა.

ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ დღევანდელი ნუკას საყდარია სწორედ ძველი ხანძთა. გიორგი მერჩულეს თხზულებას დაუცავს კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: როცა გრიგოლ ხანძთელმა იგრაძო „განსლვაჲ ხორცთაგან“, თავის ძმებს უბრძანა, კერეონები მიეტანათ მახლობელი უდაბნოები-სათვის, „რომელ არიან ოპიზაჲ და ფრთენი მისნი — ბერთაჲ და მხოლობელი მისნი მიწაძორაჲ და წყაროსთავი თანამკვიდრით მათითურთ. ხოლო შატბერდი დაღაცათუ სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“ (გვ. 318).

მოყვანილი ეპიზოდიდან ჩანს, რომ ხანძთა და ოპიზა მახლობლად მდებარეობენ, იქვე ახლოა ბერთა, მიწაძორი და წყაროსთავი, ხოლო შატბერდი „სხვათა მათ უდაბნოთა მცირედ შორავს...“.

რომ შევაჯამოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ცნობები ხანძის შესახებ, სურათი ასეთია:

1. ხანძთა მდებარეობს უგზო და მიუწვდელ ადგილას, „ლადრთა მთათა შინა მაღალთა არს მკვიდრობაჲ მათი“.

2. მონასტრის ერთ მხარეს დიდი მთაა, მეორე მხარეს კი „შავმთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა“. „და ესრეთ ყოვლთა კერძო შეზღუდვილ არიან მთათა მიერ და ხევნების და წყალთა მათგან საშინელად ადგილთა მავალთაჲსა“.

3. ხანძთას არა აქვს არც სახნავი და არც სათიბი.

4. ხანძთა გაშენებულია „ფიცხელსა მას კლდესა ზედა“, რომელიც დიდი შრომით და „კეთიკირითა მყარითა მრავალთა ეამთა დააეკეს“.

5. ტაძარი მდებარეობს ფორთის ბაღების ზემოთ. იგი საკმაოდ დაშორებული ჩანს მისგან. ხანძის მეზობლადაა ოპიზა, ბერთა, მიწაძორი და წყაროსთავი.

6. ოპიზის გზაზე (იგულისხმება ხანძიიდან ოპიზისაგან მიმავალი გზა) გაშენებულ ვენახებთან ახლოს (ფორთის ბაღებთან ახლოს გიორგი მერჩულე რაიმე მონასტრის არ ახსენებს).

ყველა მონაცემით ხანძთა აწინდელი ნუკას საყდარია და არა ფორთა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს.

ბოლოს ხანძის მდებარეობის გასარკვევად ეამთაღმწერლის შრომაში დაცულ ერთ ცნობაზეც გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას, კერძოდ: ეამთაღმწერელი მოგვითხრობს ერთი სასწაულის შესახებ, თევუდარის ლაშქარს რომ შეემთხვა: „თევუდარი აიყარა და „მომართა მთათა დადოსათა“, „კარჩხალთა და კარისათა“, რომელიც შეუმთსა და აჭარას შორისა და დადგა თავსა შავშეთისასა ფიჭუთას“. თევუდარმა გაიგო, რომ ოპიზა „უპირველესი ათორმეტ უდაბნოთა შორის“ იყო „საღმრთოთა კრებულითა აღსაგევ იგი საყოფი ნათლისმცემლისა“. ესმა რა „სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატრიოსნითა ხატითა, და კანდელთა მიერ აღსაგესობა“, გამოაგზავნა ათასი მხედარი მის მოსაოხრებლად. ლაშქარი კარცხალის გზით წავიდა... იოანე ნათლისმცემელმა, რომლის სახელობისაც იყო ოპიზა, „დაიცვა მისი სამყოფი“ და „მოუვლინა ნისლი და სიბნელე,

და ვერლარა ვიდოდეს ფერკითა სადაგელი-  
თა, რამეთუ მიახლებულ იყვნეს უდაბნოსა.  
და დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა  
ეწოდებინ ძეგლი, რომელსა ზედა შენ არს  
ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს  
შორის ოპიზას და მიძნაძორსა“. მაშინ  
იოანე ნათლისმცემელმა „მოავლინა ჭარი სას-  
ტიკი მთისა ლადოსა და ხოშკაკალა სეტყუა  
და წუშა მძაფრი, და აღდგეს ღელვანი ვი-  
თარცა შუა ზღვასა, და წარმოეცა წყალი  
მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი, რომელიც  
გასწორდა ვიდრე წუფერადმდე ძეგლისა,  
რომელი აწცა იხილვების დიდი იგი  
ნალღერევი, რომელიც შთავალს მართლ  
ზედა-ზედა წყალსა შევშურსა...“ ყველა თა-  
თარი დაიღუპა ერთის გარდა, რომელიც  
თეგუდარით გაიქცა ამბის მისატანად...  
(ჟამთააღმწერელი. ჭართლის ცხოვრება, ტ.  
II, 1959 წ., გვ. 259-260).

ჟამთააღმწერლის თხზულებიდან მოტანილ  
ამონარიდში რამდენიმე ჩვენთვის საინტერესო  
ცნობაა, კერძოდ:

1. ძეგლის მთაზე აშენებულია წმინდა  
გიორგის სახელობის ეკლესია (გავიხსენოთ,  
რომ ხანძთის მონასტერი წმინდა გიორ-  
გის სახელობისა იყო);

2. ეკლესია მდებარეობს ოპიზასა და  
მიძნაძორს შორის (გავიხსენოთ, ხანძ-  
თაც მდებარეობს ოპიზასა და მიძნაძო-  
რის შორის);

3. მაშინ მოვარდნილი დიდი წყლის ნალ-  
ღარევი „აწცა იხილვების“ (ნუკას საყ-  
დრის ორივე მხარეს ნალღარევი ახლაც  
შეინიშნება);

ყველა მონაცემით ჟამთააღმწერელი  
ლაპარაკობს ხანძთის წმინდა გიორგის სახ-  
ელობის ეკლესიის, ანუ აწინდელი ნუკას  
საყდრის შესახებ.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ ხანძთის ლოკალ-  
იზაციისათვის მნიშვნელოვნად გვეჩვენება  
გაიოკვეს, თუ ვის სახელზეა აშენებული  
ფორთის გუმბათოვანი ეკლესია.

ამის შემდეგ შეიძლება გადავიდეთ შატ-  
ბერდის მდებარეობის გარკვევაზე. გიორგი  
მერჩულეს სიტყვებით, შატბერდი „სხვათა  
მათ უდაბნოთა მცირედ შორავს“. სხ-  
ვაგვარად შატბერდი სხვა უდაბნოთაგან გან-  
ცალკევებით დგას.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“  
გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი: მამა გრიგოლმა  
ხელმწიფეს ურჩია, მოენახულებინა კლარჯე-  
თის უდაბნოები. მეფე და დიდებულები და-  
თანხმდნენ ბერს და თხოვეს თავად წაძოლო-  
და ამაღას. სვლა მეფის სასახლიდან, არ-  
ტანუჯიდან იწყება. გრიგოლმა მეფე და მისი  
თანმხლებნი პირველად შატბერდში მიიყუა-  
ნა. რამდენადაც პირველად შატბერდში  
მივიდნენ, სავარაუდებელია, რომ სხვა  
საეკლესიო ცენტრებთან შედარებით იგი  
არტანუჯთან ახლოსაა.

არტანუჯთან ახლოს მნიშვნელოვანი საეკ-  
ლესიო ცენტრი ენი რაბათია (დაახ-  
ლოებით 16 კილომეტრში).

საფიქრებელია, აწინდელი ენი რაბათია  
ოდინდელი შატბერდი სახელშეცვლილი.

მეფე და მისი ამაღა არ ასულა ანჩაში  
(30 კილომეტრზე მეტია არტანუჯიდან),  
არამედ შატბერდიდან წამოსულებს შეუერთ-  
და ზაქარია ანჩელი ეპისკოპოსი. იქიდან  
მივიდნენ ჭმერკსა და ბერთაში, — წმინდა  
ლვისმშობლის სახელობის ეკლესიებში,  
შემდეგ ოპიზაში, აქედან კი ხანძთაში, წმინ-  
და გიორგის სახელობის ეკლესიაში. ხანძთა-  
ში მოვიდნენ მიძნაძორის წინამძღვარი დავი-  
თი და მისი მოწაფეები — ილარიონი,  
წყაროსთავის მაშენებელი და შემდგომ მცხე-  
თის კათალიკოსი და მამა ზაქარია — ბა-  
რეთელთა მაშენებელი. ამის შემდეგ მეფემ და  
მისმა ამაღამ მოილოცეს მიძნაძორი,  
წყაროსთავი და ბარეთელთა (გვ. 254-258).

მაშასადამე, მეფისა და მისი ამაღის მარ-  
შუტიასეთია: არტანუჯი>შატბერდი>ჭმერკი  
>ბერთა>ოპიზა>ხანძთა>მიძნაძორი>წყა-  
როსთავი>ბარეთელთა.

ამ მარშრუტიდანაც ჩანს, რომ ხანძთა  
მიძნაძორთან და წყაროსთავთან ახლოსაა.

მიძნაძორთან ახლოსაა დღევანდელი ნუ-  
კას საყდარი.

დღევანდელი ენი რაბათის ადგილას ჩანს,  
უწინ დიდი საეკლესიო ცენტრი იყო. ტერ-  
იტორიულად ენი რაბათის მიდამოები საა-  
გარაკედ გამოსადგვია. ძეგლის მდებარეობა  
ამართლებს გიორგი მერჩულეს სიტყვებს:  
ამოტ კუროპალატმა „შეწირნა ადგილნი  
კეთილნი და შატბერდისა ადგილნი  
აგარაკად ხანძთისა“.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიული შატბერდი დღევანდელი ენი რაბათია.

ჩვენს ხელთ არსებული ყველა მონაცემის გათვალისწინებით ხანძთა ნუკას საყდარია, შატბერდი — ენი რაბათი.

და ბოლოს, შევხვით ხანძთისა და შატბერდის (||შატბერთის) ეტიმოლოგიის საკითხს.

ხანძთაში გამოიყოფა ხანძ ძირეული მასალა და თ(ა) მრავლობითობის სუფიქსი. იგივე ძირი დასტურდება ხანძარში.

აქარულში შ. ნიჟარაძე ადასტურებს შეხანძვას — გადახარშვის, გადახარაკვის, ზედმეტად მოხარშვის მნიშვნელობით. „კოტა გამუნეღე ცეცხლი, ცავ არ შეიხანძოს შეკამანდმა“ (იხ. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971 წ., გვ. 387).

ჩანს, ხანძ ძირი ანალოგიური მნიშვნელობით იხმარებოდა სხვა სამხრულ კილოებშიც.

შეხანძვასთან ერთად იხმარება დახანძვა, ხანძა... მისი ძირითადი მნიშვნელობაა დახრავვა, ჩახრავვა, ჩაწვა. იტყვიან „ჩეიხანძა საკმელო“, ან კურალებია და „მიწა ღეიხანძაო“.

დახანძვა, შეხანძვას ეძახიან მზის სიმზურვალთ მიწის ზედაპირის, თუ ხეხილის ნაყოფის შეხრავვასაც.

ხანგრძლივ სიცხეებს რომ დაიჭერს, ქვეყანა გედეიხანძვის. თუ გაეთვალისწინებთ ხანძთის (ნუკას საყდრის) მდებარეობას, — იგი სამზურვი ადგილია, მზის გული. დასამვებია, ეს ადგილები ადამიანის ხელითაც დაიხანძა, დაიხანძრა, გადაიწვა.

ამდენად, ხანძთა დახანძული, დახანძრული, გადამწვარი ადგილია.

შატბერდი||შატბერთი: ამოწავალი ფორმა უნდა იყოს შატბერთი („შატბერთა“). იგი თანხანი მრავლობითის ფორმა ჩანს. შატბერ ფუძე დასტურდება გვარსახელში შატბერაშვილი. საფიქრებელია, რომ შატბერ რთული ფუძეა (შატბერ(ა)), რომლის მეორე ნაწილი — ბერ(ა), ცნობილი ფუძეა ქართულში, საძიებელია შატის მნიშვნელობა. აღვნიშნავთ, რომ შატი იხმარება ხევსურულში, მოხეურში, თუშურში, შესაძლებელია სხვა დიალექტებშიც, რამდენიმე მნიშვნელობით: 1. მარყუჭი (ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960); 2. სადილე, დილის კილო, მარყუჭი (ო. ქაჯაია, მოხეური კილოს ლექსიკისათვის. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, XI, 1967); 3. შატი — ნაქარგის ერთურთი სახეა (ქეგლ). შდრ. ძველ ქართულში იხმარება შატროვანი ნაქსოვის მნიშვნელობით; ვიხილე ტყუენავსა მას შინა შატროვანი ერთი ქრელი. M ვიხილე ნატყუენავსა შინა ნაქსოვი ქრელი G ისუ ნ. 7,21 (ვიმოწმებთ: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973).

შატბერთისეული შატის რომელიმე ზემოაღნიშნულ მნიშვნელობასთან დაკავშირება ჯერჯერობით ნაადრევია. ვფიქრობთ, მომავალი კვლევა სამხრულ კილოებში და სამწერლობო ქართულში გამოავლენს დამატებით მასალას შატ ძირის მნიშვნელობის ასახნელად, რომელიც ნათელს მოჰფენს შატბერდის ეტიმოლოგიას.



კოლხეთის აგრარული კულტურა

როთი იკახაბოძენე ქართველანი  
ამერიკის აღმოსავლეთი

გამომცემლობა „მეცნიერებათა“ ფართო სა-  
ზოგადოებას მიაწოდა ავტორთა კოლექტივის  
მონოგრაფია „კოლხეთის აგრარული კულტურა“.  
წიგნი საქართველოს მეცნიერებათა აკა-  
დემიის ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის  
ინსტიტუტის და ო. ლორთქიფანიძის სახელო-  
ბის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გრიფით  
დაიბეჭდა.

სამწუხაროდ, ეს წიგნი ერთ-ერთი უკანასკნე-  
ლი პროექტითა აღმოჩნდა ქართული მეცნიერ-  
ული წიგნის ფლაგმანი – გამომცემლობა „მეც-  
ნიერებისა“, რომელიც უკვე დაიხურა და  
საქართველოს მეცნიერება უმართავ ხომალდს  
დაემსგავსა. არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვ-  
ლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიც,  
თუმცა მათ ჯერჯერობით, შეტნაკლებად მაინც  
შეძლევს კრიზისის გადატანა და პროფილიდან  
გამომდინარე ერთობლივი ნაშრომების შექმნა.  
სწორედ ასეთი თანამშრომლობის საუკეთესო  
ნიმუშია წინამდებარე წიგნი, რომელიც კოლხ-  
ურ ხორბლეულს, ფეტვიანარებს, საბოტკოვე-  
საზეთე და პარკოსან კულტურებს წარმოგვიდ-  
გენს.

საქართველო, კერძოდ კოლხეთი, კულტურუ-  
ლი მცენარეების წარმოშობის ერთ-ერთი  
უძლიერესი კერაა. არქეოლოგიურმა მონამორებე-  
მა ცხადი გახადა, რომ ჩვენს მიწა-წყალზე ნეოლი-  
თური რევოლუცია წარმატებით წარიმართა.  
ქართველთა წინამრებმა – ბინადარი ცხოვრებე-

ბისა და მიწათმოქმედების პატრიარქებმა კაცო-  
ბრიობას მრავალი კულტურული მცენარე  
შესძინეს, რითაც საყოველთაო შემცენარეობას,  
იხე შესაქონლეობას დასაბამი მისცეს. ამას ცხა-  
დყოფს ბოტანიკურთან ერთად ისტორიულ-არ-  
ქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები.  
მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მადლიან მიწაზე  
ბაღეთ-ბოტანიკური მასალები უზგადაა აღმოჩე-  
ნილი, სამუშეოში დონეზე ერთად თავმოყრილი  
არ არის და არც აღრიცხვა-ნუმერაციაა დამაკ-  
მაყოფილებელი, ავტორებმა რთულ ამოცანას  
მაინც წარმატებით გაართვეს თავი და კოლხ-  
ური აგროკულტურის სრულფასოვანი სურათი  
წარმოაჩინეს.

საქართველოში გამოყვანილი, აღწერილი და  
რეგისტრირებული ხორბლის თითმეტი სახეო-  
ბიდან ხუთი ენდემურია და კოლხეთის ფლორის  
უძველეს მონამოგარს წარმოადგენს. კოლხური  
პირველადი კულტურის ხორბლეულის რე-  
ლიკვიები – მახა, კოლხური ასლი, ზანდური,  
ნათლად, თვალსაჩინოდ ასახავენ ზოგადად ხორ-  
ბლეულის ჩასახვა-განვითარების და ევოლუცი-  
ის თითქმის ყველა საფეხურს. გამოჩენილი მეც-  
ნიერების აღიარებით, ქართველმა ხალხმა გამ-  
ოყვანა და ათასწლეულთა მანძილზე შეინარ-  
ჩუნა ხორბლის ინციპალური კულტურები, არა  
მარტო მიწის წიაღში, არამედ ყოფით აგროკულ-  
ტურაშიც. ქართული ხორბლეულის შედგენი-  
ლობაში დაცულია ევოლუციის საკვანძო

ინეზა შაისაია, თამაზ შანშიაშვილი, ნინა რუსიშვილი – „კოლხეთის აგრარული კულტურა“. გამ. „მეცნიერე-  
ბა“, თბილისი, 2005 წელი.

წიგნის მთავარი რედაქტორია გ. ნახუცრიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-  
ტი, გ. იანაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რეკონსტრუქტორი – ლ. ძაძიგურა, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი, შ. ახალკაცა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

მონაკვეთები, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ამ მცენარის კულტურის ისტორიის დადგენა. ზორბლეულის ასეთი განძი არცერთ სხვა ხალხს არ გააჩნია.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ნეოლითში, როცა ადამიანი შემგროვებლობიდან მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდა, რასაც ნეოლითური რევოლუცია ეწოდება, ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე პირველი მოშინაურებული მარცვლეული ფეტვი და ქვრემა იყო. ნეოლითური რევოლუციის ქართველი სპეციალისტები ფეტვნიარებს აღიარებენ იმ კულტურად, რომელთაც პრეისტორიულ ხანაში დასავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებას სათავე დაუდო. ეს ვარაუდი არქეოლოგიური ვაოხრების შედეგად შობოვებული კარბონიზებული მარცვლეულის ანალიზის შედეგად უაქმიანი გახდა.

ნეოლითსა და ენეოლითში კოლხეთის როგორც მთაში, ისე ბარში ინტენსიური მიწათმოქმედების მომდევარი მოსახლეობა ცხოვრობდა, რასაც კარბონიზებულ მარცვლეულთან ერთად, ქვის თოხები და ხელსაფეხვავები ადასტურებენ, რომლებიც უხვადაა აღმოჩენილი. ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ კოლხებს იმ დროის შესაფერისად განვითარებული მეურნეობა ჰქონიათ. ინტენსიურმა მიწათმოქმედებამ მოსახლეობის არნახული ზრდა გამოიწვია, რასაც შეცნიერება დემოგრაფიულ აფეთქებას უწოდებენ. მათი დასკვნით ქართული მოდგმა — მაგასხეზლობითი ჯიშ-ჯილდო მამინდელ მსოფლიოში თოხივ კუთხივ გავრცელდა და საკუთარი კულტურული მონაპოვარი საყოველთაო გახადა. კაცობრობის ცივილიზაციის აღიარებული კერები ამ კულტურით დიდად არიან დაფალებულნი. მომავალი კვლევა-ძიება, ქართული მიწის წიაღის კიდევ უფრო ღრმად შესწავლა ქართული ეთნოსის ზოგადსაკაცობრიო დგაწვლს კიდევ უფრო ფართოდ წარმოაჩენს.

ტრადიციული კონტინენტების სოფლის მეურნეობა საუკუნეთა მანძილზე, ძირითადად, ქართველ მიწათმოქმედთა მონაპოვრებით სულდგმულობდა. ახალი კონტინენტის — ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, XVII-XVIII საუკუნეებიდან, ძველი მსოფლიოს კულტურული ფლორა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამერიკულმა ხიმინდმა, კარტოფილმა, პომიდორმა და სხვამ სწრაფად იწყო გავრცელება. მიუხედავად ამისა, საქართველო და სახელდობრ კოლხეთი უძველეს სასოფ-

ლო-სამეურნეო კულტურათა საყოველთაო კერად მაინც დარჩა. სარეკენზინ, წიგნმა შიტი, როგორც იტყვიან, სულზე მიუხსნო. თამთაყვანის მათგანის აღრიცხვა და წარმოქმნა არა მართლ საშური ეროვნული საქმეა, არამედ ზოგადსაკაცობრივიც, ამ წიგნმა მოამზადა ნიდაგი, რომ საქართველო — კოლხეთი ძველითაძველ, პირველიად აბორიგენულ კულტურათა ცოცხალ, მოქმედ მუზეუმად უნდა ვარდაიხსნოს. სარეკენზინი ნაშრომის გუდღასმით ვაცნობამ ეროვნულ კიდევ დამარწმუნა, რომ ამის მიღწევა ჯერ კიდევ შესაძლებელია. მუცნიერულს რომ თავი დაეანებოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას ტურიზმის ინდუსტრიისათვის, ისედაც ნათელია და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

წიგნის პირველი თავი ფეტვნიარებით, სახელდობრ ღომით იწყება. ღომი ადგილობრივი, ქართული კულტურაა. ქვემო ქართლში, ნახიდურში (ახლ. არუხლო) აღმოჩენილია ღომის დანახშირებული მარცვლები დათარიღებული V-IV ათასწლეულებით. მიუხედავად ამისა, ის, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და ქვემო იმერეთში. XVII ს. ფრანგი კომპრანსანტისა და შოვზაურის ფან შარდენის, იტალიელი მიხონერების (არქანჯელო ლამბერტი, დონ კრისტეფორო დე კასტელი და სხვ.) ცნობით, ღომის გავრცელება-გამოყენების არეალი გაცილებით ფართო ყოფილა, კერძოდ ქართველებით დასახლებულ შავი ზღვის შიველ ხანაპიროზე მეოტიის სრუტიდან ტრაპიზონის ჩათვლით. როგორც ფან შარდენი გვარწმუნებს, მამინდელი ქართველების პურს — უმთავრეს საკვებს ღომის ფაფა, ე.ი. ჩვენებურად ღომის ღომი წარმოადგენდა. ღომის ჭამას იმდენად მიჩვეულნი ყოფილან, თურმე ზორბლეულის პურსაც ამკობინებდნენ. XVIII საუკუნეშიც ღომი და ფეტვი უმთავრეს მარცვლეულად რჩებოდა, ფაფასთან ერთად ღომის მჭადსაც აცხობდნენ (ანტ. ვაულდენშტედელი).

ღომის ღომი და მჭადი მეტად ყუათიანი, შემრგო, ძალ-ღონის მომცემი და კუჭნაწლავისთვის უუბარი წამალი ყოფილა. თავისი ღირსებითა და ხარისხით ორი ფუთი ჩვენის (ღომის) მარცვალი 30 ფუთი ხიმინდს უდრიდა, ამიტომ ღომმა დასავლეთ საქართველოში თავი XX ს-ის პირველ ნახევრამდე შეინარჩუნა, საბოლოოდ ის ხიმინდის სუროგატმა შესცვალა. ღომის მონათესავე



ფეტვი, როგორც წიწილების გამოზრდა-გამოკვე-  
ბის უმთავრესი საშუალება, ფართოდ იყო გავრ-  
ცელებული, ამჟამად ორივე ეს კულტურა არსე-  
ბობის უკანასკნელ დღეებს ითვისებს, რაც ფრიად  
დასანანია. ღომის ჩალა საქონლის საუკეთესო  
საკვები იყო, ასევე მისი კონები ისღა არანაკ-  
ლები სახურავი გახლდათ. ეთნოგრაფიული მო-  
ნაცემები გვაუწყებენ, რომ შთიანი სამეგრელოს  
ტრადიციულ ოჯახებში ღომის კულტურას და  
მასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან იარაღ-  
ჭურჭელს და ნაგებობებს დღემდე ინარჩუნებენ.  
ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების თანამედ-  
როვე ეტაპზე წინაპართა ამ ნაღვანის გადარ-  
ჩენა და აღორძინება გადაუდებელ ამოცანად გვე-  
სახება.

ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული ღო-  
მის დათესვა-მოყვანის ხალხური აგროტექნიკა,  
ღომის ჯიშები, იარაღ-ჭურჭელი, ნაგებობანი და  
ა.შ. ნიშნდობლივია, რომ ღომი ნამურფალზე  
ითესებოდა და მუწურე ერთი და იმავე ნა-  
კვეთიდან წელიწადში ორ მოსავალს იღებდა.  
ამით ნიადაგი კი არ იფიტებოდა, არამედ შამა-  
ბაპური თესლბრუნვა და სათეს კულტურათა  
შეთანაწყობა ამდიდრებდა, ანოყიერება და უხ-  
ვმოსავლიანად ხდიდა, იღებდნენ სასუქების შავნე  
ზეგაგლენისგან თავისუფალ, ეკოლოგიურად  
ხუფთა მოსავალს, რაც მოსახლეობის ჯანმრთე-  
ლობას უზრუნველყოფდა. ღომი კარგ მოსავალს  
იძლეოდა ნახშირბად ადგილებშიც, ოღონდ სი-  
მინდის მოყვანიდან მეორე წელს.

თუ ღომის ფართოდ გავრცელების არეალი  
დასავლეთ საქართველო იყო, ფეტვის აღმოსავ-  
ლეთ საქართველოშიც უხვად თესდნენ. მისი კარ-  
ბონიზებული მარცვლები ქვემო ქართლში,  
ადრესამიწაომოქმედო კულტურის კერაშია გამ-  
ოგლენილი (ძვ. წ. VI-V საუკუნეები). ფეტვის  
ქართველები სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ  
კუთხეთა მიხედვით, ამათგან ყველაზე ცნობილი  
ია ჭადი. სიმინდის შემოსვლამდე ჩვენთან უმე-  
ტესად ჭადის ჭადს შექცევდნენ „მაწიერს და  
გემრიელს“. სულხან-საბა ორბელიანის გან-  
მარტებით — „მჭადი ფეტვისა, სიმინდისა და  
მისთანათა პურია“.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ დიდხ-  
ანს შემოინახა ღომის ღომი — „ღუმუ“ — „მა-  
გარი ფაფა“, ხოლო ფეტვის ფქვილიდან აცხ-  
ობდნენ „მჭადს“ (მჭადს) ან ხარშავდნენ პატარა  
კვერებს (ს. მაკალათია).

როგორც აღნიშნული გვქონდა, ფეტვი ქო-  
შების საუკეთესო საკვებია. ფეტვით ნაკვები ქო-  
შის ხორცი და კვერცი გამორჩეულად მაღალხ-  
არისხოვანია, ხოლო წიწილების გამო-  
საზრდელად მას ვერცერთი მარცვლეული ვერ  
შედრებოდა. სწორედ ამიტომ ეს კულტურა  
მთელ საქართველოში გახლდათ გავრცელებუ-  
ლი, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, დღეს  
მხოლოდ ზემო სვანეთის ზოგიერთ სოფელში აქა-  
იქაა შემორჩენილი. ფეტვის ჩალა პირუტყვის  
ნოყიერი საკვებია. ზრდის წველაობის ასევე  
ფეტვის ნახარშიც, მთხრობელთა საყოველთაო  
აღიარებით ფეტვით ნაკვები ადამიანი, ცხოველი  
თუ ფრინველი განსაკუთრებით ჯანმრთელია და  
სიცოცხლისუნარიანი. ყოველივე ეს ლეგენდა-  
გადმოცემებშიცაა ასახული. ფეტვისგან ტე-  
ბილეული და შეჭამადებიც კეთდებოდა. ეს  
მცენარე ხალხურ მედიცინაშიც ფართოდ გამ-  
ოყენებოდა. საქართველოში ხუთნაირი ჯიშის  
ფეტვი იყო გავრცელებული, თითოეული მათ-  
განი მაღალმოსავლიანობითა და ხარისხით გამ-  
ორჩეოდა. ფეტვს, ბურის მსგავსად, ნამვლით  
მკიდნენ, ცუხვავდნენ და მარცვალს ფქვავდნენ.

ფეტვიანობის განეკუთვნება ურში და ქერი-  
მა. ისინი ნესტიან ნიადაგებს და მაღალმთიანეთს  
კარგად ეუკუბოდნენ. მართალია დიდი ღირსე-  
ბით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ გულმოდგინე  
ქართველი მიწათმოქმედი მაინც თესდა. რათა  
სხვა კულტურებისათვის უგარვისი მიწა გამო-  
ყენებინა და ზამთარში საქონლისათვის ყუბ-  
თიანი საკვები შექონოდა.

ბრინჯის სამშობლოდ სამხრეთი აზია ითვ-  
ლება. საქართველოში მისი შემოსვლის თარიღი  
ჯერჯერობით დღე უზუსტებელია. აკად. ივანე ჯავ-  
ახიშვილი თვლიდა, რომ ბრინჯი ჩვენში სა-  
ბერძენეთისა და ბიზანტიის ვზით შემოვიდა. სხვა  
ავტორები (მ. ვაკუა, ვ. ვოკოლაძე) მიიჩნევენ,  
რომ ეს კულტურა ირანიდან ჯერ ქვემო ქართლში  
გავრცელდა და იქიდან დანარჩენ საქართველო-  
ში. იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამ-  
ბერტის ცნობით XVII ს-ის სამეგრელოში ბრინ-  
ჯის უხვი მოსავალი მოჰყავდათ და თურქეთშიც  
გაქონდათ. მდინარისპირა წყლით გაჯერებულ  
ნოყიერ მერუბში ის ურწყავად მოდიოდა, იქ  
იწონებდა თავს, ხადაც სხვა კულტურა ვერ ხარ-  
ობდა. მოსახლეობა ბრინჯს ფართოდ იყენებდა.  
აკეთებდნენ ფაფას, თავისებურ შეჭამადს — „მა-  
სულაყას“. ბრინჯის თესვა და მოყვანა საინტელი-

ში ბოლო დრომდე შემოინახა, რაზედაც სარეცენზით წიგნში, სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი.

ფეტცნაირებს განეკუთვნება ხორგო. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მისი კარბონირებული მარცვლი ახ.წ. პირველი საუკუნის ფენებშია აღმოჩენილი (ქარელის რაიონი). სირვო ძალადი შაქრიანობით ხასიათდება, უხვად იძლევა საქონლის საკვებ მწვანე მასას. სორგოს ჯიშახსებვაობაა ჯიქურა, რომლისაგან ჩვენთან ცოცხებს ამზადებენ.

ფეტცნაირთა აღწერილობა ამით შთავრდება და ავტორები ხორბლეულზე გადადიან საერთო სათაურით — „მარცვლოვანი კულტურები“. ვფიქრობ, ფეტცნაირთა ნაყოფიც „მარცვლია“ და ამდენად სათაურებს დაზუსტება სჭირდება.

ხორბლის ანუ პურის ძველქართული სახელწოდება „დიარი“ ამჟამად არც ლიტერატურასა და არც ყოფაში აღარ იხსენიება. ეს სიტყვა მკვდარია და მხოლოდ ისტორიის კუთვნილებადაა ქცეული.

ბალეობოტანიკური მასალების ანალიზით ნათელი ვახდა, რომ ენეოლითში რბილი ხორბლის პოპულაცია უკვე 50-75 პროცენტს შეადგენს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ხალხური სელექცია შორხაა წახული და საქართველოს ტერიტორია კულტურული მემორბლეობის ერთერთი ძირითადი კერაა. კილიან მარცვლეულთან ერთად რბილი ხორბალი უმთავრესი კულტურაა. ხორბლის გავრცელების არეალი, ისევე როგორც სხვა კულტურებისა, გერტიკალური ზონალიზებით და, აქედან გამომდინარე, პავის მოთხოვნილებით განისაზღვრება. შესაბამის ზონას, პავის და ნადავს შესაბამისი ჯიშობრივი ასორტიმენტი შეესაბამება. მოცემულ ტერიტორიაზე ყოველივე ამის შემოქმედი ქართველი ეონოსია. ნიშანდობლივია, რომ ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე რბილი ხორბლის პოპულაცია 90 პროცენტს შეადგენს. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ თუ უფრო ადრე არა, ადრე-ბრინჯაოს ხანიდან, გერტიკალურ ზონალიზაში, ჯიშობრივი ასორტიმენტის დაცვით, ხორბლის სუფთა ყანებია სავარაუდო, არსებობდა აგრეთვე რბილი და მაგარი ხორბლის შერეული ნათესებიც, რაც კლიმატურ-ეკოლოგიური მონაცემებით იყო განპირობებული. შეცნირვნი საქართველოს მემორბლეობის ცოცხალ მუზეუმს უწოდებენ, „სადაც ხორბლის გვარის მთელი სახეობრივი

მრავალფეროვნებაა წარმოდგენილი. მხოლოდ აქ (მსოფლიოში სხვაგან არსად) არის შემორჩენილი კულტურული ხორბლის ევოლუციის საწყისი ეტაპები. ამგვარად, ხორბლეულის ქართული მუზეუმი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკუმია, რომლის ბადალი სხვაგან არსად ვგვხვდება“ (ვლ. მენაბდე, 1946 წელი). და ეს ყოველივე მიღწეულია მრავალათასწლოვანი ხალხური სელექციით. შემდეგ ავტორები საინტერესოდ და ფართოდ განიხილავენ ხორბლეულის ტრადიციულ ქართულ ჯიშებს — იფქლს, დოლის პურს, დიკას და ა.შ. რაც შეეხება მახას, იგი ზანდურთან ერთად, ხორბლეულის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის უნიკალური ძეგლია, რაჭა-ლეჩხუმში ბოლო ხანებამდე ცოცხლად შემონახული. მახას პური თეთრი, ყუათიანი, ხასიამოვნო სურნელების და გემოსი იყო, თან ხანგრძლივად კვებით ღირებულებას არ კარგავდა, სწორედ ამიტომ რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობამ ის დიდხანს შეინარჩუნა.

ზანდური კილიან ხორბლებს შორის ერთერთი უძველესი და საქართველოში ყველაზე გავრცელებული სახეობაა. ხართბს თაოქმის ყოველგვარ ნიდავზე. მისი პური გამძლე და ძლიერ გემრიელია, ხოლო მისგან დამზადებული საწესო საქმელი კორკოტი (ჭანტილი) ყველა პურეულზე უმჯობესი. დაავადებათა მიმართ გამძლეა. ზანდური მსოფლიოში აღიარებულია როგორც ხორბლეულის ახალი ჯიშების გამოყვანის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

კოლხური ასლი XX ს-ის დასაწყისში მახას ნათესებში გამოვლინდა. ზოგიერთი მეცნიერი მას მახასთან აიგივებდა. შემდგომში კვლევამ აჩვენა, რომ იგი, მახას მსგავსად, უძველესი ჯიშია და ხორბლეული კულტურის რელიქტია და მეტად საინტერესოა ხორბლეულის გვარის ევოლუციის შესწავლის თვალსაზრისით.

ქერი (ქრთილი), ხორბლის მსგავსად, საქართველოსათვის დამახასიათებელი ძველთაძველი კულტურაა. ქერი ქვემო ქართლის ადრესამიწითომოქმედო კულტურის კერებშია აღმოჩენილი (ძვ.წ. VI-V ათასწლეულები). ენეოლითში იგი ამ ხანის თითქმის ყველა არქეოლოგიურ ძეგლზე გვხვდება. ფრიად საყურადღებოა, რომ შუაბრინჯაოს ხანაში მოშინაურებული საქონლის, სახელდობრ გამწვევი ძაღლის როლი ძლიერ იზრდება, განათხარებში ქერის კარბონიზებული მარცვლების უხვად გამოვლენა იმის დამადას-

ტურებელია, რომ მაშინ ქერს პირუტყვის საკვებად წარმატებით იყენებდნენ. ნიშანდობლივია, რომ ეს მცენარე დღესაც თავისი ნაყოფით ცხოველთა საუკეთესო საკვებია, განსაკუთრებით ცხენებისათვის. ქერი მაღალმთიანეთის მარცვლეულია, ის იქ მოდის, სადაც, ზღვის დონიდან დიდი სიმაღლის გამო, სხვა მარცვლეული შეშოსვლას ვერ ასწრებს. ქართული ქერის ჯიშები მაღალმთიანეთისათვის და ხარისხიანობით გამოირჩეოდა. მთაშალაღში ქერის პური ხშირად ერთადერთი პურეული იყო, ხოლო მისი მარცვლეულით გამოხდილი ღუფი საკულტო სასმელი, პირუტყვისა და ფრინველის საკვებად მას ბადალი არ მოეპოვებოდა. დასახანია, რომ საქართველოში ქერის კულტურა ყოფიდან ქრება. საქერეები, სადაც სხვა მარცვლეული არ მოდის, ან ჯაგანარმა დაფარა, ანდა მოუფლევლობით შილიანად განადგურდა, ისინი მხოლოდ ტომონიმიკაში იხსენიებიან. დასახანია, რომ ქართული ღუფის ნედლეული მთლიანად უცხოეთიდან შემოაქვთ, ხოლო ქართული ქერი დაჯავშვებას ეძლევა; მაღალმთიანეთის მოსახლეობა (ვინც ჯერ კიდევ იქ ცხოვრობს) დაუსაქმებელია...

ასევე უძველესი სამიწათმოქმედო კულტურაა ჭვავი. კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ჭვავი ენოლითურ და უფრო გვიანდელ ძველებზე ქერისა და ხორბლის ნათესებში იყო შერეული, შემდგომ ხანებში მისი ცალკე ნათესებაც გვხვდება. მთიანი სამეგრელოს ეთნოგრაფიულმა ყოფამ ის გვიანამდე შემონახა. ჭვავის პური, რა თქმა უნდა, ბურისას ვერ შეედრება, მაგრამ მდებიოთა კვებაში ჭვავი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დამახასიათებელი ყუათიანობითა და ბარაქიანობით. ჭვავიც მაღალმთიანეთის კულტურა იყო. მარცვალიან ერთად, მის ჩაღას ფართოდ იყენებდნენ ქილიფების საქსოვად და სამზურთა ქუდების დასამზადებლად. სამეგრელოში ჭვავის შემეგობით ორი მოსავალი მოჰყავდათ. აგვისტოში სიმინდის აღების შემდეგ ჭვავს თესდნენ და მაისში ასწრებდა მოსვლას, მოჰიკლი ყანა სხვა ერთწლიანი მარცვლეული კულტურისათვის ხელახლა იხვნებოდა და ითესებოდა. ასეთი ინტენსიური თესვებრუნვა ნიადაგს კი არ ფიტავდა, არამედ სწორად შერჩეული კულტურების მონაცვლეობით ამდიდრებდა და ანოფივრებდა. სამეგრელოში ჭვავისგან რიტუალური ნამცხვრებიც ცხვენოდა.

საქართველოში პარკოსანი კულტურები -

უგრეხელი, ბარდა, ოსპი და ცულისპირა ენოლითიდანაა ცნობილი. ჩამოთვლილ კულტურათა საგარეუდო ველური წინამრები ბუნებაში ამჟამადაცაა გამოვლენილი. უგრეხელი და ცულისპირა, ძირითადად, რაჭაში ყოფილა გავრცელებული.

ბარდა (ცერცვი, საკდრისა, უკადრისა, ხანდური-ხანდური) მსოფლიოს უძველესი კულტურული მცენარეა და საქართველოში უხსოვარი დროიდან, დასაბამიდანაა გავრცელებული. იგი შუალედური საბოსტნე კულტურაა, ითესება შემოდგომის მიწურულს და მოსავლას ადრე ვაზაფხულზე იძლევა. ძალიან ნაყოფიერია, მარცვალი ძველთაგანვე მაწიერი სამარხხო საქმელი იყო, ხოლო ჩალა პირუტყვის ყუათიანი საკვები, უხვად იძლევა მწვანე სახილოსე მასას. მცენიერული შესწავლით დამტკიცებულია, რომ დასავლეთ საქართველოს დაბლობ საგარეულებში, სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ, თუ ბარდა, უგრეხელი და ცულისპირა შერეული დაითესება, პექტარზე 300 ცენტნერ მწვანე მასას მივიღებთ, რომელიც ძვირფასი ნედლეულია სახილოსედ, საქონლის საკვებად.

ამის მიღწევა შესაძლებელია ისეთ დროს, როცა სახნავ-სათესი სხვა კულტურებისგან თავისუფალია, ე.ი. პირველი მოსავალი აღებულია. ბარდა ნიადაგს ბუნებრივი აზოტით ძალიან ამდიდრებს, ამიტომ მისი დათესვა მიღებული ვენახებსა და ხეხილის ბაღებში, აგრეთვე ციტრუსების პლანტაციებში, XVII ს-დან ლობიოს გავრცელებამ ბარდა, ცერცვი საქართველოს ბარიდან თითქმის მთლიანად განდევნა, ის მხოლოდ მაღალმთიანეთს შემორჩა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბარდა ახალქალაქის, წყალკის, ნინოწმინდის, დმანისის და ქარევის რაიონებში მოჰყავდათ, ასევე რაჭასა და სვანეთში. საკონსერვო დანიშნულებით ბარდა წყალტუბოს რაიონშიც მოჰყავდათ. მოსახლეობამ ბარდა საბოსტნე კულტურად შემოინახა, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში (ხონის, მარტვილის და სენაკის რაიონები). ლობიოს შემოსვლამდე მისი მარცვლეული და მწვანე პარკი, ცერცვიან ერთად ფართოდ მოიხმარებოდა.

ცერცვი, ბარდას მხგავსად, უძველეს კულტურათა რიგს განეკუთვნება. საქართველოს ტერიტორიაზე ის უკვე VI-IV ათასწლეულებიდანაა ცნობილი. როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილია ცხადი გახდა, ლობიოს გავრცელებამდე ცერ-

ცვი ჩვენთან ერთ-ერთი უმთავრესი მარცვლეუ-  
ლი ყოფილა. უყვარს ნესტიანი ადგილები, კარ-  
გად ხარობს დახავლეო საქართველოში.

**მუხუდო** (გრევიანი, ხანდური, პინდური) უკვე  
„დაბადების“ პირველად ქართულ თარგმანებში  
იხსენიება. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშ-  
ნავს, მუხუდო, ოსბი, ცერცვი „ძველი პლანეტის“  
მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი საკვები იყო.  
მუხუდო შედარებით გვალვაგამძლეა და წარ-  
მატებით ითესებოდა როგორც დახავლეო, ისე  
აღმოსავლეთ საქართველოში, მეტადრე შთისწი-  
ნეთში. თეთრი მუხუდო მეტწილად ადამიანის  
საკვებად გამოიყენებოდა, წითელმარცვლოვანი  
კი საქონლისთვის იყო განკუთვნილი.  
საქართველოში სამი ჯიშის მუხუდოა ცნობილი:  
თეთრი, წითელი და გოგრა მუხუდო. თესდნენ  
მრავალწლიან ნარგავებში და სიმინდის ყანებ-  
შიც. ის ნიადაგისთვის „წაბლი იყო“, „ნოყიერუბ-  
და, ამდიდრებდა და აკეთილშობილებდა“. მთი-  
მარეთოდა მოხარშული სახით, ახვევ მის მარცვ-  
ლებს ახმობდნენ, ფქვავდნენ და ვემრიელ მჭადას  
აქვობდნენ. მუხუდოს ბარდი და ნედლი პარკი  
პირუტყვის ძვირფასი საკვები გახლდათ, მეტად  
ამაღლებდა წველადობას. დღეს მუხუდოს ნათე-  
სები ძლიერ შემცირებულია, მის ნაცვლად,  
რატომღაც, სოთი გავრცელდა, რომელსაც ხალხი  
შეცდომით მუხუდოს უძახის. სპეციალისტებმა  
ყველაფერი უნდა იფიქროს, რათა ამ მარცვლეულმა  
ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში კუთვნილი  
ადგილი აღიდგინოს, სოთი თავისი დანიშნულებით  
უნდა ითესებოდეს, მუხუდო კი ამ ფართო გამოყ-  
ენებით, რაც ტრადიციულ ქართულ ყოფაში  
პქონდა. მუხუდოში ცილების შემცველობა 31,2  
პროცენტს აღწევს, საშუალოდ 25 პროცენტია.  
მუხუდოს თესლი ცხამებითაც მდიდარია. მისი  
თესლბრუნვა ხორბლეულთან ძალიან ზრდის  
ორივე კულტურის მოსავლიანობას. გარდა ამისა,  
მუხუდო ხევა პარკოსნების მხვაგსად, უხვად ამ-  
არავებს ნიადაგს ბუნებრივი აზოტით.

ძაბა (უწოდებენ ძაბალობისაკ) შავმარცვ-  
ლიანია და ივანე ჯავახიშვილის ვარაუდით, მან  
სახელწოდება სამგლოვიარო შავი ფერისგან —  
ძაბისგან მიიღო. ის ცხამებითა და ცილებით მდი-  
დარი პარკოსანია, მაგრამ ლობიოს კონკურენციის  
შედეგად მისი ნათესები ძლიერ შემცირებულია.  
ძაბას საშუალოდ ეკვამტე ითვლება.

**ხანჭკოლა** (ხანჭკვალა). დამკვიდრებულია  
ტომონიმიკაშიც („ხანჭკვა“ ოდიშში ეწოდება

მდინარეს, „ხვანჭკარა“ სოფელს რაჭაში).  
ვფიქრობთ „ხვანჭკარა“ „ხვინჭკარადიანა“  
ნაწარმოები და არა „ხანჭკვალადიანა“. მეტადრე  
ამ მცენარის არსებობა იქ არაფერ იცის.

ხანჭკოლის ოთხი სახეობაა ცნობილი:  
ჭრელთესლიანი, წვრილთესლიანი, ყვითელთ-  
ესლიანი და თიერთესლიანი. ხანჭკოლის მარცვა-  
ლი მწარეა, სახელწოდება მეგრულია: „ხანჭი“  
მეგრულად ცერცვა, „კოლა“ მწარე, ე.ი. ხან-  
ჭკოლა მწარე ცერცვაა. მისი მარცვალი ძალიან  
მდიდარია ცილით — 30-50 პროცენტი. პირუ-  
ტყვის შემრგო, საუკეთესო საკვებია როგორც  
მარცვლეული, ისე მწვანე მასა. ერთი დღელამის  
განმავლობაში წყალში დაღობა-გარეცხვის  
შემდეგ მარცვლეული სიმწარეს კარგავს.

ოსმის პირველად კერად მცირე აზია და ამ-  
იერკავკასია მიჩნეული. იგი უძველესი კულტურ-  
აა. ძველ საბერძნეთსა და რომში ძირითად საკვე-  
ბად მოიხმარდნენ. ამჟამად აქა-იქ სვანეთში ითე-  
სება, ადრე კი მთელ საქართველოში იყო გავრ-  
ცლებული. ოსბიც ლობიოს მსხვერპლია.

და ბოლოს, ავტორები საზეთო-ბოჭკოვან  
კულტურებს განიხილავენ. კოლხური სელი, სე-  
ლის კულტურის ჩასახვა-განვითარების ცოცხა-  
ლი რელიქტია, ხოლო კოლხეთი — სელის კულ-  
ტურის წარმოშობის საყოველთაოდ აღიარებუ-  
ლი კერა. ბრინჯაოს ხანაში ჩვენთან სელი ფარ-  
თოდ ითესებოდა, თესლთან ერთად არ-  
ქეოლოგიური გათხრების შედეგად, გამოვლე-  
ნილია მისი ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილებ-  
ის ნაშთები, შათ შორის უნახუნი, უნატიფესი.  
საგულისხმოა, რომ ნოქალაქეში სელის ბოჭ-  
კოს ვერტიკალური ხაროვ-საქსოვი დაზგა აღ-  
მოჩნდა (ძვ. წ. VII ს.). აღმოსავლეთ საქართველოში  
ადრესამიწათმოქმედო კულტურის კერებში უხ-  
ვადაა მოთხოვნილი სელის ნაშთები. კოლხეთის  
კერამიკულ წარმოებაში სელის ბოჭკოს ქსოვილს  
საფენელად იყენებდნენ და მისი ანაბეჭდი თითქ-  
მის ყველა ჭურჭელზე შეიმჩნევა (ძვ.წ. მეორე  
ათასწლეული).

საქართველოში ოდითგანვე სელის ნაყოფის-  
გან ზეთი ხდიდნენ, გამოიყენებოდა როგორც  
საკვებად, ისე გასანათებლად, თრიალეთისა და  
ჯავახეთის ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში  
საზეთო სელის ჯიშები და ზეთსახდელი ხალხ-  
ური საშუალებანი ბოლო დრომდე შემოინახა.  
სამხრეთ საქართველოში იშვიათია სოფელი, სა-  
დაც გელაზის უზარმაზარი ქვები არ იყოს უბა-

ტრონიდ მიტოვებული, ოდესღაც სელის თესლის-  
გან ზეთის უხვად გამოხდის უტყვი მოწმენი. სე-  
ლის ბოქკოსგან ნაირნაირი ქსოვილები მზად-  
დებოდა უხეში ტილოებიდან დაწყებული ნაზი,  
საუკეთესო საკაბეები, საცვლების თუ თავს-  
აბურავის მატერიები. კოლხურმა სელმა ანტი-  
კურ ხანაში დიდი პოპულარობა მოიპოვა. მაშ-  
ინდელი კულტურული მსოფლიოს ბაზარზე ის  
ძალიან ძვირად ფასობდა და მხოლოდ ვაბა-  
ტონებელი წოდებისათვის იყო ხელმისაწვდომი.  
ზოგიერთი მკვლევართი ამტკიცებს, რომ კოლხ-  
ური სელის ძვირფასი ქსოვილები ოქროს საწ-  
მისში სახიერებოდა. ისტორიის შამად აღიარე-  
ბული პერსიოტი (ძვ.წ. V ს.) კოლხეთის წინაპრე-  
ბად ეგვიპტელებს მიიჩნევდა. და ამ მოსაზრებას  
იშთაყ ახაბუთებდა, რომ კოლხები და  
ეგვიპტელები სელისგან ყველაზე უკეთეს ქსო-  
ვილებს ამზადებდნენ. სელის თესლს და ზეთს  
ფართოდ იყენებდნენ მედიცინაში. ზეთისგან სა-  
პონიც მზადდებოდა. სელის ფაფა ყუაიანი სა-  
მარხო საჭმელი იყო. სელს კოლხეთში უხსოვარ-  
ი დროიდან საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა  
მინიჭებული. სელის სამოსელი საწმინდის,  
სისუფთავის სიმბოლოდ ითვლებოდა. ძველი  
კოლხები — ბინადარი ცხოვრებისა და მიწათ-  
მოქმედების პატრიარქები, უმირატესობას სელის  
ქსოვილებს ანიჭებდნენ და მიცვალებულთა სუ-  
დარასაც უსათოდ სელისგან ქსოვდნენ. ისტო-  
რიულ კოლხეთში, ისევე როგორც მთელ  
საქართველოში ჯანხორციელებული იყო ძველი  
ადოქმის სწავლება: „სამოსელი სელისა გან-  
წმენილი შეიძოსოს და ნიფხავი სელისა იყოს  
სხუელსა მისა და სარტყელი სელისა შემორტყ-  
ყას და ვარშამანგი სელისა დაიბუროს“ (დევ-  
იტელთა, 16,4). მიწათმოქმედთა უძველესი სარ-  
წმუნობრივი დოგმატიკით მიუღებელი იყო სა-  
სულიერო ბირთა მატყლის (საერთოდ ცხოვე-  
ლური წარმოშობის) ქსოვილებით შემოსვა, ასევე  
მიცვალებულთა ვაბატიონება. ქართველები,  
როგორც ბირველადი მიწათმოქმედების ჩამომყ-  
ალიბებელი, საწესო რიტუალში იშთავითვე სე-  
ლის ქსოვილებს და ნაყოფს ანიჭებდნენ უმირატე-  
სობას. ჩვენს ტრადიციულ სოფლის მეურნეობასა  
და ყოველდღიურ ყოფაში დიდი გამოყენება  
ჰქონდა სელის ბოქკოსგან დამზადებულ  
ჯვალისა და თოკებს. სამეგრელოში დღემდე  
შეჟიანახა სელისგან თვეუსაქერი ბადეების ქს-  
ოვის ძველიძველი ტრადიცია.

ახ. წ. IX საუკუნემდე სელის ქსოვილები  
საქართველოდან უცხო ქვეყნებში გამოქონდათ, IX  
საუკუნიდან კი სელს კონკურენცია იბრუნებდა  
გაუწია და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. XIX ს-  
ის მეორე ნახევრიდან სელის მოყვანა და წარ-  
მოება დაცემის ვაზს დაადგა. ძლიერ შემცირდა  
მოთხოვნილება არა მარტო მის ბოქკოზე, არამედ  
ნაყოფზეც, ამჟამად სელს აღარავითარი პრაქ-  
ტიკული დანიშნულება აღარ აქვს, მისი სანაყ-  
ოფე-საბოქკოვე დიდებული ქართული ჯიშები  
დავიწყებისთვისაა განწირული...

სელის მსგავსად კანაფის კულტურაც  
საქართველოსათვის უძველესია. ჩვენთან გამოყ-  
ვანილი იყო ორი ჯიშის კანაფი: საბოქკოვე („დედ-  
ალი“) და სანაყოფე („მაშალი“). კანაფი ორ მო-  
სავალს იძლეოდა: სართავ-საქსოვე ბოქკოს, რომ-  
ლისგან ქსოვდნენ ტომრებს, ცალებს და ბადეებს,  
ხოლო ნაყოფის ზეთი საკვებადაც გამოიყენებო-  
და და საწარმოო მნიშვნელობაც ჰქონდა. მის-  
გან აკეთებდნენ ოლიფას, რბილ საბონს, ღაქს,  
საღებავებს და ა.შ. კანაფის ზეთით მანქანების  
ნაწილებსაც ბოხავდნენ, დარჩენილი ნახადი —  
ჩენი — კოპტონი პორტყვის მაწიერი საკეები  
ვახლდათ. ფართო პრაქტიკული გამოყენების  
გამო კანაფის ნათესები ცალკე ყანებად ჰქონ-  
დათ. ამჟამად კანაფი, ძირითადად, გავრეურე-  
ბულია, მას ნარკოტიკული ნივთიერების მისაღე-  
ბად იყენებენ, ამიტომ მისი ორგანიზებული მო-  
სახობა მიმდინარეობს, რა თქმა უნდა, ეს მარად  
საჭირო უძველესი კულტურული მცენარე ნარკო-  
მანთა უზნეობას არ უნდა შეეწიროს.

ბაშბის კულტურის ძველ ტრადიციულ კერე-  
ბად ჩინეთი, ინდოეთი და ამერიკა ითვლება. მკვ-  
ლევართა აღიარებით ბაშბა საქართველოში  
სპარსეთიდან უნდა იყოს შემოსული. ის, როგორც  
საუკეთესო საბოქკოვე მცენარე, მთელ  
საქართველოში მოჰყავდათ. მას უმეტესად საო-  
ჯახო მიზნებისათვის გამოიყენებდნენ. ბაშბისა-  
გან ტანსაცმელს, თორუელს, სარტყელებს, ხურ-  
ჯინებს, ზონრებს, ზონჯრებს და სხვა მისიანთ  
ამზადებდნენ. ქსოვდნენ ფარდაკებს, ფარდებს,  
საფეხებს, ჯეჯიმებს და ა.შ. ბაშბის მაგარ ვას-  
ანთლულ ძაფს ფართოდ იყენებდნენ ხარაზეში.  
ბაშბის ნაყოფისაგან ხდიდნენ ზეთს, რომელიც  
20-27 პროცენტ ცხიმს შეიცავს. მისი კოპტონი  
საქონლის ყუათიანი საკვებაა. ბაშბის ზეთისგან  
კეთდებოდა მარგარინი, საბონი, გლიცერინი,  
საცხები და ა.შ.

ბაძბა სიტბოს და სინათლის მოყვარული მცენარეა, ამიტომ საქართველოს მაღალმთიანეთში არ ხარობდა. მას ბარსა და მთისწინეთში თესდნენ — მყუდრო, ნაყოფიერ მიწებზე. შიშკაყვდათ ყანებსა, ვენახებსა და ხეხილის ბაღებშიც. ნატურალური ბაძბა ხომ სამედიცინო თვალსაზრისით და პოეტიკისთვის შეუცვლელია. უცხოეთიდან შემოტანილმა იაფმა ბაძბამ ქართველებს ბაძბის მოყვანაზე ხელი ააღებინა. ამ კულტურის მოსავლენად ჩვენი ქვეყნის ტოპონიმებში მრავალი „ნაბაძბარი“ შემონახა, თვით შთიანეთშიც კი, იქ „შხვილი“, ციცი ქარებისგან დაკულ მყუდრო ხეობებში, რა თქმა უნდა, ბაძბა ითესებოდა.

სარეცენზით წიგნი შეცნიერულ-პოპულარულია. ის ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი და დაწერილი და აწ უკვე რელიკვიად ქვეულ განხილულ კულტურებზე თითქმის ყველა შეცნიერულ მონაცემს შეიცავს. ასეთი სახის მონოგრაფია იმდროშაც არის მნიშვნელოვანი და საქმრო, რომ სპეციალური შეცნიერული ნაშრომების პოპულარიზაციას ახდენს და დიდად უწყობს ხელს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას. თავისთავად ის ფაქტი, რომ ძველი კულტურული სამყარო ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამდე ძირითადად, ამ კულტურებით იკვებებოდა, ფრიად საინტერესო და საყურადღებოა. ამ კულტურებით ნაკვებმა და გამოზრდილმა ადამიანებმა შეძლეს მსოფლიო ცივილიზაციის შექმნა. დღეს აგრარული წყობის ეს მიღწევა რატომღაც უარყოფილია და ჩვენ არ ვიცით, ამით კაცობრიობას რა დააკლდა! საქართველოს მაგალითზე შესაძლოა დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ სიმინდი, ღობიო, კარტოფილი და სხვა, რომელიც ამჟამად ხალხის უმთავრესი საკვებია ღმთთან, ფეტვთან, ცერცვთან, მუხუდოსთან და ა.შ. შესაძლო სურთგატეხად ჩაითვალოს. მათ ვითარცა ადამიანის, ისე პირუტყვისა და ფრინველის კვებაში (გათვალისწინებ საუკეთესო ზორცა, რძე, კვერცხი) პადალი არ მოეპოვებოდა. მე პირადად არცერთი ნაშრომი არ ვიცო, სადაც ვაანალიზებული იქნება ტრადიციული საკვები კულტურების უარყოფით თანამედროვე კაცობრიობას რა დააკლდა. მარტო დასავლეთ საქართველოში გამოუძებნოთ სიმინდი კვებისგან წარმოშობილი დაავადებების სამედიცინო შეფასება რად ღირს. ერთი სიტყვით ამ წიგნმა მრავალი პრობლემა

წამოშალა, მათ გადასაწყვეტად როგორც ხელისუფლებამ, ისე მეცნიერებამ უნდა იზრუნოს, მით უმეტეს, დღეს მოსახლეობის კვების უზრუნველყოფის თვითღონებაზეა მიშვებული. საქართველო თურქეთისა და სხვა ჩამორჩენილი თუ განვითარებული ქვეყნების სანაგვე ყუთად გადაიქცა, ჩვენი ბაზარი ადამიანისთვის მაგნე ხუროვატებმა წაღვეა, ეროვნული სოფლის მეურნეობა კი ჩამკვდარია. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებთან ერთად, მოსახლეობის ტრადიციული კულტურებით გამოკვება, ქართული ცხოვრების წესიდან გამომდინარე კვების ეროვნული ორგანიზაციის აღდგენა, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მარხვა-ხსნილის, საქმის დღეობა და უქმეთა მონაცვლეობის გათავალისწინებით, გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

ვაიდა ამისა, არის კიდევ ერთი მტიკონეული პრაქტიკული ამოცანა, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ ტრადიციული კულტურების აღდგენით შეიძლება. ეს კულტურები ნიდაგს ბუნებრივად ანოყიერებდა და ეკოლოგიურად სუფთა მოსავალს იძლეოდა. ამ შექილვების ყამს მამაპაპური თესლობრუნვა, ორგანული სასუქებით ნიდაგის ვახოყიერებისა და დაცვის ხალხური სისტემა ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალებაა ჩვენი გამოფიტული სავარგულების სიცოცხლისუნარიანობის აღსადგენად. ტრადიციულ თესლობრუნვასთან ორგანული სასუქის მიზანმიმართული შეხამება, ხარისხთან ერთად, მაღალმოსავლიანობას განაპირობებდა. სწორედ ამიტომ საქართველოს მოსახლეობა, ათასწლეულთა მანძილზე, სრულფასოვანად იკვებებოდა. დღეს ეს პარამონა, სამწუხაროდ, დარღვეულია. სარეცენზით წიგნი განხილული კულტურების უმეტესობა ნიდაგს ბუნებრივი აზოტით ამდიდრებდა და სწორი თესლობრუნვის შედეგად ყანებში ხელოვნური აზოტის შეტანას გამოიციხავდა. დღეს საქართველოს ნიდაგების უმეტესობა მოუსავლიანი და ვაპარტახებულია, როგორც სტიქიური მოვლენების დამლუგველი ზეგავლენით, ასევე ტრადიციული თესლობრუნვის უარყოფით. ამრიგად, სარეცენზით წიგნს თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული ღირებულება აქვს. ვადარჩენილია ხალხში საუნჯედ შემონახული უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა ამ უძველესი კულტურების თესვის, მოვლა-მოყვანის და გამოყენებისა. აღნუსხულ-აღწერილია, ილუსტრაციებში მოცემულია ამ კულტურებთან

დაკავშირებული, აწ უკვე უმეფიანთა იარაღ-ჭურჭელი, ნაგებობანი, დანადგარები და სხვ. გამოკეთილადაა ნაჩვენები თითოეული კულტურის როლი და დანიშნულება მოსახლეობის კვებაში, ხალხურ მედიცინაში და ა.შ.

წიგნს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი სია. მისასაღებელია, რომ სბეკალური ლიტერატურის, წერილობითი წყაროების, ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების ამომწურავი გამოყენებით, მოცემულია თითოეული კულტურის წარმოშობის, მოგვლა-მოყვანის, გამოყენების სრული სურათი, ასევე გავრცელების არეალი დროსა და სივრცეში. რუკების, ცხრილების და სხვა ილუსტრაციების მეშვეობით აუცილებელი თვალსაჩინოება მოგვებინადაა მიღწეული. განსაკუთრებით ფასეულია არქეოლოგიური მონაცემების ამსახველი ნუსხები, სადაც ყოველი კულტურა აღმოჩენის ადგილის და დათარიღების აღნიშვნითაა, ქრონოლოგიურ ჭრილში მოცემული. სასურველია, აღმოჩენის დროც იყოს მითითებული. განხილული მცენარეების სურათებს, ასევე პალეობოტანიკურ მონამოვრებს ძალიან ამდიდრებს ეთნოგრაფიული იარაღ-ჭურჭლის და ნაგებობების ფოტოები და ჩანახატები. ამით ნაჩვენებია ათასწლეულთა განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედების წარმოშობა-განვითარების უწყვეტი ციკლი.

წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ თითოეული ექსპონატის დაცვის ადგილი და ნომერი არ არის მითითებული. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველო-

ში აღმოჩენილი უნიკალური, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პალეობოტანიკური მონამოვრების სრულფასოვანი მკვლევრული საცავი არ ვაგვაჩინია და არც მათი დაცვა-აღრიცხვის საქმეა მოგვარებული. თუ იმას ვაგვიანვლისწინებთ, რომ საქართველო კულტურულ მკვლევრულ წარმოშობა-სრულყოფის ერთ-ერთი უმთავრესი კერაა, ასეთი საცავების ორგანიზაციას არა მარტო ეროვნული, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება. ვიმედოვნებთ, ეს პრობლემა დაგვიანებით, მაგრამ ოდესმე მაინც მოგვარდება.

პარკოსანი კულტურებიდან ნაშრომში რატომღაც ცულისპირა არ არის აღწერილი, მითუმეტეს, მისი კარბონიზებული მარცვლები ჩვენს არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილია და, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს კულტურა ყოფაში საკმაოდ გვიან ხანებაშივე შემოინახა.

წიგნს ერთვის რეზიუმე ინგლისურ ენაზე, სასურველი იყო, ავტორებს საძიებლებიც დაურთოთ, მეტადრე ეს დიდ დროს და ადგილს არ წაიღებდა.

და ბოლოს, დაბეჯითებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნის და საერთოდ მსგავსი ნაშრომების პოპულარიზაცია ყველაზე ეფექტური მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, ტელევიზიით, უნდა მოხდეს, რათა ფართოდ გავრცელებულმა ინფორმაციამ იქნებ ამ კულტურათა გადარჩენის და კვლავ ყოფაში დაწვრილის საშვილიშვილო საქმე სასურველად გადაწყვიტოს.



## ამერიკის შაერთიებული შტატები

მსოფლიოში უმსხვილესი ინტერნეტ-საძიებო სისტემის, google-ის ირგვლივ ატეხილი სკანდალი ჯერ კიდევ არ ჩამოცხრალა. შეგახსენებთ, რომ google-ის ხელმძღვანელობამ ათი მილიონი დოლარი გამოყო მსოფლიოში უდიდესი ციფრული ბიბლიოთეკის შესაქმნელად და ამით ფრანგი, შვეიცარიელი და პოლანდიელი გამომცემლების აღშოთება გამოიწვია. ცოტა მოგვიანებით მას ამერიკელ მწერალთა ლიგაც დაუპირისპირდა და google საავტორო უფლებების დარღვევაში დაადანაშაულა. საქმე სასამართლომდეც კი მივიდა და ჯერ არაფერი იცის, რით დასრულდება.

ვინდოუსის მამამთავარმა, ფირმა microsoft-მა ეს პრობლემები გაითვალისწინა. იგი კალიფორნიის, ტორანტოს, ბრიტანეთის უნივერსიტეტებს და ნიუ-იორკის საზოგადოებრივ ბიბლიოთეკას დაუკავშირდა. ფირმის განცხადებით ახალ, უმსხვილეს, ინგლისურენოვან, ელექტრონულ ბიბლიოთეკაში, რომელსაც სახელად „წიგნის საძიებელი“ ჰქვია, მხოლოდ ის წიგნები განთავსდება, რომელსაც საავტორო უფლებათა ვადა ამოწურული აქვს.

## გერმანია

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გერმანიაში ადოლფ ჰიტლერის სახელი რამდენჯერმე წამოტრიალდა. ჯერ იყო და დასავლეთ პოპერანიის პატარა ქალაქ შვერინში, „ჰიტლერის უსაყვარლესი მოკანდაკის“ არნო ბრეკერის გამოფენა გაიხსნა და დიდი დაპირისპირებაც გამოიწვია, შემდეგ ადოლფ ჰიტლერის მიერ გადაკეთებული ბობლია აღმოაჩინეს, ცოტა მოგვიანებით ფრენკ პანერის გამოგონებამ, რომელ-

საც ARL დაერქვა და რომელიც კომპიუტერს საშუალებას აძლევს, ტუჩების მოძრაობა ხმოვან ბგერებად გარდაქმნას, მსოფლიო საზოგადოებას უდიდესი დიქტატორის, ადოლფ ჰიტლერის ახალი სახე გაუხსნა. მეცნიერებმა ეს ტექნოლოგია ჰიტლერის არქივებში შენახული მუნჯი ფილმების გასაშიფრად გამოიყენეს. ამ ფილმებს თავის დროზე, სამხსოვროდ, ვვა ბრაუნი იღებდა და სრულიად მოულოდნელად ჰიტლერი ისეთი კეთილმოხურე კაცის სახით გამოჩნდა, ვისაც ბავშვები უყვარს და ხელოვნებას ეთაყვანება. შემდეგ დიდი ბრიტანეთის ცნობილმა აუქციონსმა Jefferys-მა გასაყიდად ადოლფ ჰიტლერის მიერ დახატული აკვარელი გამოიტანა. და აი, ამჯერად ებრაული წარმოშობის შვეიცარიელმა კინორეჟისორმა დანი ლევიმ დიდი დიქტატორის შესახებ კინოკომედია გადაიღო. ფილმში ჰიტლერი ნარკომანის სახითაა წარმოდგენილი, რომელიც აბაზანაში სათამაშოებით ერთობა და თავის ძალს ნაცისტურ ფორმას აცემებს. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორის პულ ნორკეს განცხადებით, ჯერ კიდევ ათი წლის წინ ამგვარ ფილმს ვერაინ გადაიღებდა, რადგან გერმანელები „ნაციზმის გადაფასებით იყვნენ დაკავებული“.

## გვანია

გვეპატემი, სიძველეთა ქურდებმა, თავისდაუნებურად არქეოლოგებს სამი სამარხი აღმოაჩინეს. არქეოლოგთა აზრით, ამ სამარხებში ფარაონთა კარის სტომატოლოგები არიან დამარხული. ქურდები, რომლებიც გათხრებს გვეპატის უძველესი, საფეხურებიანი პირამიდის მიმდებარე ტერიტორიაზე აწარ-

მოებდნენ, დანაშაულის ადგილზე დააპატიმრეს. ექსპერტების აზრით, სამარხები 4200 წლისა და უძველეს სამეფო ეპოქას ეკუთვნის. შიგნით ხშირად მოჩანს თვალისა და კბილის გამოშხველი ივრგოლიფი, რის გამოც სწავლულებმა გადაწყვიტეს, რომ ეს სტომატოლოგთა სამარხებია. შესასვლელი კარი შენევენებითაა დაკეცილი. თავად სამარხი გამოუწყავი აგურით არის აშენებული, რაც მათი მეპატრონეების სიღარიბეზე მიგვანიშნებს. სამგებროდ, სამეფო პირამიდის გვერდით მღებარეობს, რაც იმის დასტურია, რომ სტომატოლოგებს ძველ ეგვიპტეში დიდი პატივით ექცეოდნენ.

## ვატიკანი

ვატიკანმა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ მუსიკალური ვერსია დააფინანსა. ამ მუსიკალური კომპოზიციის ავტორი ეპისკოპოსი მარკო ფრეზინო აღმოჩნდა. ეპისკოპოსმა ფრნალისიტებს აცნობა, როცა მუსიკას ადგილი ჯოჯოხეთში მიეკუთვნებოდა, რადგან ეს ფაზრი ცოდვითა ტანჯვას ყველაზე უკეთ ასახავს. სექტაკუს სახელად „ადამიანი სიყვარულის ძიებისას“ დაერქვა და მისი პრემიერა ამა წლის შემოდგომაზე იტალიის საუკეთესო დარბაზებში გაიმართება.

## იაპონია

იაპონიაში სადაც პუსენინის ბოლო რომანი „ღემონთა როკა“ არნახული სისწრაფით იყიდება. ბოლო მონაცემებით, მისმა ტირაჟმა პარი პოტერის პოპულარობასაც კი გაუსწრო. შეგახსენებთ, რომ ეს ნაწარმოები არაბულადაა დაწერილი და ომის დროს მის ქალიშვილთან ინახებოდა. მთარგმნელს ეს წიგნი, მამის ადოკატების თანხლებით, სწორედ მან



გადასცა. ორიგინალში რომანს „წადი, შექცეხებულო!“ ჰქვია და ხელმოწერილიც ფსევდონიმი-თაა — „ვეტროლი“.

ჰუსეინის აზრით, შაითანი ყველაგანაა. იგი შეიძლება იპოვნო ფერად ლინზებში, რასაც თვალში ისეაძენ, თვითმფრინავის ძრავებში, ან უცხოელების აგრესიაში. ზანდაზან ადამიანებს სულში უსახლდება ხოლმე, მაშინ მიიწაზე ჯოხს აბრაზუნებენ და „წადი, შექცეხებულო“, ყვირიან. რომანის ფაბულა მარტივია და ტრადიციული. ბრძენ მამას, აბრაგიმს სამი ვაჟიშვილი ყავს: იუზეკილი, იოსები და მაჰმუდი. იუზეკილი ეშმაკის კლანტებში მოქცეული თუღაიზმის სიმბოლოა.

ეს საღამო ჰუსეინის მეოთხე რომანია. ცხოვრების ფილოსოფიური გააზრების მცდელობის წინა რომანებშიც შეიმჩნევა.

## იხალისი

1998 წლის ბუკერის პრემიის ლაურეატს, მწერალ იენ მაკიუნეს პლაგიატობაში დასდეს ბრალი. აწ გარდაცვლილი მწერალი ქალის, ლუსი ენდრიუსის სალიტერატურო აგენტებმა განაცხადეს, რომ მაკიუნეს თავის რომანში, „მონანიება“, ენდრიუსის რომანიდან „ურთიერთობისთვის დრო არა მაქვს“ სიუჟეტური ხაზი და მთელი ფრაზებიც კი აქვს მითვისებული. მაკიუნემაც ბრალდება უარყო და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ლუსი ენდრიუსი, როგორც ინფორმაციისა და შთაგონების წყარო, მას არაერთხელ ყავს მოხსენიებული და ამას წიგნის შესავალშიც კი აღნიშნავს.

შეგახსენებთ, რომ იენ მაკიუნე ასეთი ბრალდების წინების ქვეშ პირველად არ მოექცა. ჯერ კიდევ 1978 წელს, სადებიუტო რომანის, „ცემენტის ბალი“, გამოქვეყნების შემდეგ,

ჯულიანა გლოაგის რომანის, „ჩვენი დედის სახლი“, სიუჟეტური ხაზის მითვისებაში დასდეს ბრალი, მაგრამ მაშინ მწერალმა ამ ბრალდების უარყოფა შესძლო.

ამჯერად სკანდალმა ფართო საზოგადოებრივი სახე მიიღო. მაკიუნის დასაცავად რამდენიმე ცნობილმა, ინგლისურენოვანმა მწერალმა /მარგარეტ ვენტუდი, კაპო ისიგურო, ჯონ ადლაკი, თომას პინჩონი/ საზოგადოებას ღია წერილებით მიმართა. განსაკუთრებული გაოცება თომას პინჩონის წერილმა გამოიწვია, რადგან ყველასთვის ცნობილი იყო, რომ იგი უკიდურესად კარნაკტიული ცხოვრობდა და პრესასთან ურთიერთობას თავს არიდებდა.



ბრიტანულმა გაზეთმა The Guardian-მა მეოცე საუკუნის მთავარ ტილოდ პაბლო პიკასოს „ავინიონელი ქალწულები“ დაასახელა. იგი მოდერნისტული მხატვრობის საფუძვლად ჩაითვალა, რადგან ამ წმინდა კუბისტურ ტილოს წელს ასი წელი უსრულდება.

25 წლის პიკასომ ამ ტილოსთვის ესკიზების მზადება 1906 წლის ზამთარში დაიწყო და 1907 წლის ივნისში დაასრულა. არც ერთ ტილოზე მას ასე ზანგბდივად არ უშუშავია. თავის დროზე, ანდრე ბრეტონმა ამ სურათს პიკასოს შემოქმედების კენტივსენცია უწოდა.

## ირანი

ირანის კულტურის მინისტრმა, ჰუსეინ საფუარ-პარანდიმ განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების უმთავრესი საფუძველი ყურანი უნდა გახდეს. ჩინოფიკის აზრით, ხალხმა ყურანთან დამოკიდებულება უნდა გადააფასოს და იგი თავისი

ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად გადააქციოს. სწორედ ამ მიზნით, ირანის კულტურის სამინისტროში შეიქმნება ახალი განყოფილება, რომელიც ყურანის კინოინდუსტრიაში, თეატრში, ლიტერატურასა და პრესაში დანერგვით იქნება დაკავებული. თუ კინოს, თეატრის, ლიტერატურისა და პრესის მთელი აქტიურობა ყურანზე იქნება დაფუძნებული, წმინდა წიგნი ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტს მისწვდებათ, ბრძანა მინისტრმა და იქვე დაამატა: ხელოვნება დიდი „რისკია“, მაგრამ ისლამური სწავლების გაკვლევით დიდ სარგებელს მოგვიტანსო.

მინისტრის განცხადებას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვა. ირანში შემეცნებითი ხასიათის რამდენიმე დასავლური ვებ-გვერდი დაიბლოკა.

## იტალია

ანტონიო სტრადივარიუსის შემკვიდრებმა იმ ამერიკელი პროფესორების წინააღმდეგ გაილაშქრეს, ვინც ამტკიცებდნენ, გენიალური ოსტატის საიდუმლო აიკვსენითო. ეს შესანიშნავი იტალიელი ოსტატი, ვინაც ათასამდე ვიოლინო, ვიოლა და ვიოლინელო აქვს დამზადებული, ყოველივეს საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ვრაიუს აეხსნა, მისი საკრავები სხვებზე უკეთ რის გამო ღვიდა. ამ ცოტა ხნის წინ, ამერიკელმა მეცნიერებმა განაცხადეს, მიზეზს მივაკვლიეთო და ამ მიზეზად სპეციალური ლაქი დაასახელეს, რომელიც ხეში სოკოვანას კლავდა. მათ განცხადებას კატეგორიულად არ დაეთანხმნენ იტალიელი ექსპერტები და სტრადივარიუსის ნიჭის ჩვეულებრივ ქიმიურ რეაქციასთან შედარება აბსურდულად ჩათვალეს. ასე რად ეცდილობთ სტრადივარიუსის

მშენებლების გაჩნდეს? — იკითხა ერთ-ერთმა მთავანამ. — ეს ხომ იგივეა, რომ მიქლანჯელოს გენია არშინით გავზომოთ?!

**ნორვეგია**

ცნობილი ნორვეგიელი მხატვრის, ედვარდ მუნკის ორი შედევრი: „ყვირილი“ და „მადონა“, შეიძლება ვეღარ გადაჩნეს. შეგახსენებთ, რომ ეს ორი ტილო ოსლოში, მუნკის მუზეუმიდან 2004 წელს მოიპარეს. ორი წლის შემდეგ პოლიციამ ტილოები დააბრუნა, თუმცა ახსნა-განმარტებას თავი აარიდა, მაგრამ შედევრები სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტილო „ყვირილის“ ერთი კუთხე უცნობი სითხითაა გაფენილი, რაც რესტავრატორებს სერიოზულ პრობლემებს უქმნის, ტილო „მადონა“ კი მოლიანად ნახვრეტებითაა დაფარული.

**რუსეთი**

მიხეილ ბულგაკოვის სახელმუშეუმს თავს ბარბაროსები დაესხნენ. ახალგაზრდების ჯგუფი, ცნობილი ალექსანდრე მოროზოვის ხელმძღვანელობით, სათადარიგო შესასვლელიდან „ბინა ნომერ 51“-ში შეიპარა და იმჟამითი ექსპონატები, ორგტექნიკა, დოკუმენტაცია და სურათები ფანჯრებიდან გადმოყარა. ადგილზე მოსულმა მილიციამ მოროზოვის დაკავება ვერ შესძლო, რადგან სასწრაფო დახმარების ექიმებმა იგი შეურაცხადად ჩათვალეს. დარბევის შედეგად მთლიანად განადგურდა იმ არქივის ნახევარი, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე აგროვებდნენ. ყველაზე აუნაზღაურებელ დანაკლისად კი „ოსტატისა და მარგარიტასთვის“ შექმნილი ცნობილ მხატვართა ილუსტრაციები დასახელეს.

**საფრანგეთი**

საფრანგეთის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საერთაშორისო სემინარი გამართა და ფრიად საინტერესო და ამასთანავე აქტუალური საკითხი წამოჭრა, რომელიც დაახლოებით ასე ელერდა: მწერლები პერსონალურ კომპიუტერთან გადასხდნენ, ამის გამო კი ხელნაწერების ტრადიცია იკარგება. როგორ ფიქრობთ, ხომ არ გადაადიბებს ეს მსოფლიო კულტურას?

სემინარის მონაწილემ, იტალიელმა მწერალმა უმბერტო ეკომ დადასტურა, რომ სამუშაო ვარიანტებს ავტორი, რა თქმა უნდა, აღარ ინახავს, მას „ვერსია-აჩრდილები“ უწოდა და მწერლის მუშაობა, კომპიუტრის გამო, ნაკლებად იდუმალი არ გამხდარაო, ბრძანა. რაც შეეხება ფილოლოგიას, მისი ხეაღინდელი დღე ასე შეფასა: „ფილოლოგიები მომავალში, ალბათ, მხოლოდ წარმოდგენას შეძლებენ, როგორც შეიძლება ფიფილიყო ეს ვერსია-აჩრდილები. მათი საქმე ეს გახლება და ვინ იცის, იქნებ რამდენიმე ბრწყინვალე პუბლიცისტიც კი შეიქმნას. ფილოლოგები, რა თქმა უნდა, მეტყვინა, ეს მსჯელობა საუნივერსიტეტო კურსების დონეზე შეიძლება მიეწინიოთო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მწერლობაში მექანიზირებული სისტემების გამოყენება კი არ ამარტივებს შემოქმედებით პროცესს, პირიქით, უფრო ართულებს და ფარულსაც ხდის.

ვინა თქვა, რომ დაუსრულებელი შესწორება საქმისთვის უკეთესია? როგორც ცნობილია, უკეთესი კარგის მტერია“.



საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული, გონკურის სალიტერატურო პრემია წელს ამერიკელ მწერალს, ჯონათან

ლიტელს მიანიჭეს, რომანისთვის „კეთილმოსურნელი“ ეხსენება და ცხრამეტი წლის ასაკში მწერალი ბარსელონაში ცხოვრობს, რომანი კი ფრანგულ ენაზე დაწერილი და სს-ის ოფიცრის მოვრებებზე აგებული. თავდაპირველად, სს-ის ოფიცრის „კეთილმოსურნელ“ გამოცხადების მცდელობამ სალიტერატურო კრიტიკოსთა და ისტორიკოსთა გაოცება გამოიწვია, მაგრამ რომანი, როგორც ჩანს, შედგა, რადგან ფორიმ „ეს სალიტერატურო მოვლენაა ბოლო ნახევარი წლის მანძილზე“-ო გამოაცხადა.

**შვედეთი**

ცნობილ პეტერბურგელ დირიჟორს ვალერი გერგიევს და ბრიტანულ როკ-ჯგუფს „ლელ ზეპელისს“ შეეციის სამეფო მუსიკალური აკადემიის პრემია „პოლარი“ გადაეცა. ორგანიზატების განცხადებაში აღნიშნულია, რომ გერგიევს ეს პრემია უნიკალური მუსიკალურობისთვის და თანამედროვე საზოგადოებაში მუსიკის მხატვრული ღირებულების განვითარებისა და გაძლიერებისთვის გადაეცა.

„ლელ ზეპელისს“ კი პრემია იმისთვის მიანიჭეს, რომ იგი როკ-მუსიკის ერთ-ერთი სტილის ფუძემდებლად ჩათვალეს. „პარდ-როკის“ ენარად ჩამოყალიბება ბევრად განაპირობა მათმა სახუმარო და ექსტრემალურმა კომპოზიციებმა, რომელიც მიხტიკითა და პირველყოფილი ძალით შეკავშირებულ უამრავი სტილის ნახავს წარმოადგენს“, ნათქვამია განცხადებაში.

მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ჭილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე  
ანდრო ბუაჩიძე

პასუხისმგებელი მდივანი  
დინარა ჩავეჭაძე

ჯომიერბარული უზრუნველყოფა  
შორენა ფარქოსაძე

ქრნელი გამომცემის ორ თავში ერთხელ  
იბეჭდება მხოლოდ რედაქციის მიერ შეკვეთილი მასალები

გამომცემლობა „სანთელი“

ფანი ორი ლარი

